



**REVUE MILITAIRE GEORGIENNE**

**N° 18**

---

**PARIS**

**1935**



ქ ა რ ი თ ვ ა რ მ

გ ხ ი რ ა რ ი თ ა

ო რ ა გ ა ნ მ

# Mkedari

REVUE MILITAIRE GÉORGIENNE

N° 18

30 60 80, 1935 წ.



ქვემას, 12 მაისს 1935 წ. საღამოს 8 ს. 45 წ. გარდა-  
იცვალა ქ. ვაჩუვაში პოლონეთის პირველი მარშალი  
ი ი ს ე ბ 3 0 ლ ს უ დ ს კ ი

განახლებულ პოლონეთის აღმართებელი

და

ერთ ჭირებლობი

## კავკასიის კონფედერაციის

### თავდაცვის პირობები \*)

წასულ მოხსენებებში ჩამოყალიბებულ იქმნენ სახელმწიფოს თავდაცვის და ამისათვის საჭირო აპარატის მუშაობის დებულებანი. ეს იყო ერის სამხედრო და პოლიტიკურ ხელმძღვანელობათა თანამუშაობის საერთო დებულებათა ჩამოყალიბება. რომ ეს მუშაობა ნეგატიურ მაგალითების ჩამოთვლით არ გავათვოთ, საჭიროო ციცნობ გადავხედოთ რის გაკეთება და მიღწევა შეუძლიან სახელმწიფოებრივათ ჩამოყალიბებულ კავკასიონს.

ერთი მხრივ სასურველია, რომ ეს სურათი, რაც კი შეიძლება, რეალური და კონკრეტიული სახისა იყოს; რომ მას ოცნების დარგის რამე ნაკლი არ დაჰყვეს. მეორე მხრივ, ამ შეძლებათა განხილვა დამყარებული უნდა იქმნეს რამე განყენებულ მდგომარეობაში, თავის თავათ ცხალია, ცოტაოდენ დაშორებული იქნება თავის ნამდვილ სახიდგან.

---

ევროპის ისტორიაში შევქმნა დებულება, რომ ემიგრაცია ვერც ვერაფერს სწავლობს და ვერც ვერაფერს ივიწყებსო. მართალიცაა: ემიგრაცია სწყდება ერის ფსიხოლოგიურ ვითარებას, ველარ ერჩევა მის რეალურ მისწრაფებებში და ერისთვის მხოლოდ ბალასტს და ზედ მეტ საფრთხეს წარმოადგენს.

ეს ცხოვრების ურყევი ჭეშმარიტებაა, რომელიც მართლდება მუდამ და მართლდება მთელი თავისი ასი პროცენტით. მხოლოდ უნდა

\*) ვაფრათხილებთ მყითხველს, რომ ავტორის მიერ მოყვანილი აზრები მომავალ სამხედრო მოქმედებათა წარმოების შესახებ კავკასიის კონფედერაციის ფარგლებში არ წარმოადგენენ რაიმე კონკრეტიულათ ჩამოყალიბებულ სამხედრო კონცეპციებს.

ავტორი იძლევა მხოლოდ და მხოლოდ თეორიულ მაგალითებს, რომელთა მიზანია დაარწმუნოს ქართული და საერთოთ კავკასიის საზოგადოება კავკასიის კონფედერაციის აუცილებლობაში სამხედრო თვალსაზრისით.

(რედაქცია).

ოლინიშნოს ერთი რამ, რომ შეეხება ეს მარტო შინაგან ბრძოლის ემი-  
გრაციას. და მართლაც რას წარმოადგენს იგი? მთელი მისი იდეალი  
რომელიმე კლასის გარდამავალ ინტერესების დაქმაყოფილებაა; ხში-  
რად მისი იდეოლოგია პირდაპირ რომელიმე ოჯახის ან პიროვნების  
ინტერესებით იზღუდება. მაგალითად დინასტიურ ბრძოლის შემთხ-  
ვევაში.

ინიასტიურ ბრძოლაზედ საერთოთ არა ლირს ლაპარაკი. კლასე-  
ბის ინტერესების გამწვავება — ეს თავის თავათ, ერის ცხოვრების გა-  
ნსაზღვრულ და გარდამავალ მომენტს წარმოადგენს. ერთი კლასი ბუ-  
ნების წესით ჰქარგავს თავის უპირატესობას, მეორე ბრძოლით ჰპო-  
ვებს თავის ინტერესების დაქმაყოფილებას და დროთა ვითარებაში  
თვითონაც მიზდევს თავის დამარცხებულ წინამორბედის კვალს. ამის  
გამო ეს საკითხი არ წარმოადგენს ერის ცხოვრების მუდმივ სიმწვავეს  
და აკტუალობის თემას. გარდა ამისა ერის ცხოვრებაში ხშირათ დგე-  
ბა ისეთი წუთი, როდესაც სახელმწიფოს მთელი ყურადღება მხოლოდ  
მის გარეშე მდგომარეობაზედაა მიპყრობილი და როდესაც ყოველ შე  
გნებულ ერთეულის მოვალეობაა, რომ ერის არსებობის ინტერესები-  
სათვის, დაივიწყოს ყოველ გვარი შინაგანი საკითხები. ამისათვისაა,  
რომ ის ტიპი ემიგრაციისა, რომელიც ვერ ზდგას მთელ ერის არსებით  
ინტერესების შეგნების სიმაღლეზედ, და თავის იდეოლოგიას იკე-  
ტავს მხოლოდ მის რომელიმე განსაზღვრულ ნაწილის ინტერესებით,  
თავის თავათ ცხადია, რომ უნდა მიეცეს დავიწყებას და ჩამოშორდეს  
ერის ცხოვრებას.

სულ სხვა გვარათ გამოიყურება ეროვნულ ბრძოლის ემიგრაციის  
საკითხი, რომელმაც მამული დასტოვა გარეშე მტერთან ბრძოლის  
კატასტროფით დამთავრების შედეგათ; რომელმაც არ მოისურვა ქი-  
დის დამპყრობელის წინაშე მოხვრა და უცხოეთში გადაიკარგა. მისი  
იდეალი — ეს ერის, მთელი ერის და არა მის რომელიმე ნაწილის,  
ინტერესებია. ეს საკითხი კი ყოველთვის აქტუალურია და თავის სი-  
მწვავეს და მნიშვნელობას არას დროს არა ჰქარგავს. აი ამისათვისაა,  
რომ ამ საკითხთან დაკავშირებულ ემიგრაციის ტიპი, თავის ერის-  
თვის არასოდეს არ ჰქარგავს თავის მნიშვნელობას.

ისტორია გვიჩვენებს, რომ არც ერთ ერს, რომელსაც კი თავის  
ეროვნულ განსხვავების შეგნება ჰქონია, არ დაუკარგავს არც ერთი  
შესაფერისი წუთი დამპყრობელთან ანგარიშების იარაღით ხელში  
ჯასასწორებლათ. ძლიერ ხშირად ესეთი ერის ხელმძღვანელობას, იგრ  
მოუხერხებია მომენტის სათანადო შეგნება რა მის ჯმოყენიბა  
მიუხედავათ ამისა, ისტორიაში არ მოიპოვება მაგალითი, რომ ერის  
მასსას დაეკარგოს შესაფერისი მომენტი ბრძოლის ველზედ გამოსას-

ვლელად, თუ გინდ ხელმძღვანელობას სრულიად მოკლებული ყოფილიყოს. მხოლოდ ერთი! თუ კი მას ჰქონია თავის ეროვნულ განსხვავების შეგნება. დღეს ამის საუცხოვო მაგალითს წარმოადგენენ ის დამოუკიდებელი სახელმწიფონი, სადაც ომის წინ ეროვნული მუშაობა არ იდგა ძლერ მაღალ დონეზედ. მაგალითად ლიტვა, ლოტვა და ესტონია.

როგორ გამოიყურება ამ მხრივ კავკასიონის მდგომარეობა. აქვს მას თავის ეროვნულ განსხვავების შეგნება თუ არა.

ჯერ ისევ დღევანდლამდის მთელი კავკასიონი მწვავე ფიზიკურ ბრძოლის ხანაში იმყოფება თავის დამპყრობელთადმი, რომელმაც ყოველი მტკაველი კავკასიონის მკერდის, მხოლოდ შეუწყნარებელ ბრძოლით დაიკავა. მოიხადა თუ არა რუსეთმა მოკავშირის ნიღაბი საქართველოსადმი, საქართველომ მაშინათვე შეურიგებელ ბრძოლით უპასუხა მას. პირველი მას ალექსანდრე ბატონიშვილი შეებრძოლა, რომელიც შეერთებულ კავკასიელთა ჯარით მოადგა თბილისის კარებს. ბრძოლა იყრის ნაპირებზედ გათამაშდა. ამის შემდეგ ყოველი თითოეული ნაწილი აღმოსავლეთ საქართველოსი რამდენჯერმე ჯანყდება რუსეთის წინააღმდეგ. საქართველოს დანარჩენი ნაწილები კი თავგამოდებით ებრძონენ რუსეთის აგრესიონის ყოველ ნაბიჯს. აქ განზრახ უსვამ ხაზს საქართველო-რუსეთის ბრძოლას, ვინაიდან რუსეთი ძლიერ ხშირათ ემყარებოდა თავის, საქართველოს მიერ მოწვევაზედ. ეს ნიღაბი რუსეთისათვის იმდოლათ ხელსაყრელი გამოდგა, რომ თვით ბოლშევიკებმაც კი უცვლელათ მიითვისეს იგი. საქართველოს შემდეგ რუსეთს ებრძოლა ადერბეიჯანი, რომლის ხანებმაც ბაქოში მოჰკლეს გადაგვარებული გენერალი ციციანოვი. ხოლო კავკასიის ტრალედიის აპოთეოზათ შამილის ხანგრძილივი თავგანწირული ბრძოლა შეიქმნა, რომელმაც თავისი სილუეტით გადალახა თავისი ერის საზღვრები და უაპელაციოთ დაიკავა საერთო კავკასიის საამაყო ბუმბერაზის ცოკოლი.

შაშ აქვს კავკასიონს თუ არა თავის ეროვნულ განსხვავების შეგნება, როდესაც იგი ას რამდელიმე წელი განუწყვეტელ მწვავე ფიზიკურ ბრძოლის პროცესში იმყოფება. დეე ამ საკითხზედ თავი პოლიტიკის ლაბარატორიულ თეორეტიკოსებმა იმტვრიონ. ჩვენ შეგვიძლიან დროს დაუკარგავთ გადავაბიჯოთ ამ საკითხს. როგორ გამოიყურება ამ ნიადაგზედ ჩვენ კავკასიურ ემიგრაციის საკითხი. ნუ თუ ჩვენ რუსეთის რევოლუციის მსხვერპლი ვართ. ნუ თუ ჩვენი ბრძოლა ეროვნულ არსებობისთვის ეკატერინოსლავის პროლეტარიატის გარდამავალ ინტერესებისთვის იყო წარმოებული, ან და ტამბოვის მუ-

შიკებისთვის? ან იქნებ ჩვენი ბრძოლის მიზნები გადაბმული იქმნენ რომანვების დინასტიის წაგებულ საქმესთან, ან „პოპულიარულ“ ამ-ხანაგ კერძნსკის კარიერასთან? ნუ თუ კავკასიონის მკერდზედ ვერ მოიპოვება ჩვენი სიცოცხლის ან სიკვდილისათვის სამყოფი ალაგი, რომ ეს ბრძოლა კავკასიის შინაურ საქმეებისათვის ყოფილიყო წარ-მოებული? არასოდეს!

კავკასიონის ჭაღარა წარბებ ქვეშიდან შემოგვურებენ მის შვი-ლთა ინტერესები, რომელთაც განვლეს ოც და რამდელიმე საუკუ-ნიანი ისტორია, გაუძლეს კაცობრიობის არა ერთ და ორ აბობოქრე-ბულ ქარიშხალს, გადაიტანეს ტრალედია არაბების, მონგოლების, ოს-მალების, სპარსელების, და სხვა ურდოთა მძვინვარების და მოგვთხო-ვენ ჩვენ ამ ბრძოლის წარმოებას ერის დამსახურებულ დიდების მი-ლწევამდე.

რა მოვალეობანი გამოდინარეობენ აქედან ჩვენთვის? კავკასიონი იბრძოდა და იბრძვის. და იგი პირველ შეძლებისთანვე ახალათ დაზ-დება ბრძოლის ველზედ თავის უფლებათა იარაღით ხელში მოსაპო-ვებლათ. და თავის დამპყრობელთაღმი ძველ ანგარიშების გასაძწო-რებლათ.

ჩვენი იდეალია, რომ ჩვენი ერის ისტორიის ეს ფურცლები ჩვენ მკერდზედ, ჩვენი თაობის მკერდზედ იქმნეა დაწერილი.

ხოლო ჩვენ მოვალეობათა ვსთვლით, რომ ეს ბრძოლა სათანა-დოო იქმნეს მომზადებული. რომ არც ერთი წვეთი კავკასიის შეილთა სისხლის, რომელიც საუკუნოების განმავლობაში დაუნანებლივ იფ-ლანგებოდა, არ დაიკარგოს უმიზნოთ.

მაშ გადავხედოთ ამ ბრძოლის გათამაშების შესაძლებლობას შე-ერთებულ კავკასიონის მიერ, ხოლო მეორეს მხრივ ენახოთ რა გეხვდე-ბა წილათ ამ საქმიან ჩვენ, კავკასიის ემიგრაციას.

როგორც მხედარი, ჩემს მოვალეობათა ვსთვლი შევხედო პირ-დაპირ ყველაზედ უძნელეს რეალობას, რომ ყველაფერი ავილოთ რაც კი შეიძლება მძიმე პირობებში; რომ ჩვენ საშუალებათა შეფასებაში უფრო კრიუანგობა ვამოვიჩინოთ ვიღრე გულუხვობა და გაოჭარბება.

უკვე პირველი ზერელი თვალის გადავლება კავკასიონის რუს-ზედ გვიჩვენებს, რომ მთელი ეს სივრცე წარმოადგენს ერთს მთლიან და განუყოფელ ერთეულს გეოგრაფიულ და ეკონომიკურ ოვალსაზ-რისით; ერთ მთლიან და განუყოფელ სამხედრო ასპარეზს. ამ შეი-დულობას მთელი ურყევლობით დასტურებს გოვრაოსორი როქა და ცხად ჰყოფს ოც და რამდეღმე საუკუნიანი ისტორია კავკასიისა. სახელდობრ: მიუხედავათ საზღვრების ყოველ გვარ შესაძლებელ და შეუძლებელ გატარებისა, რომელსაც კავკასიის ტერიტორიაზედ ატა-

რებდნენ თითქმის ყველა ერნი დედა მიწის ზურგზედ; მიუხედავათ აუარებელ სხვა და სხვა ცვლილებებისა, ვერც ერთმა მათგანმა ვერ მოახერხა კავკასიის მთლიანობის დარღვევა. ეს პირველი ურავვი დებულებაა კავკასიის პოლიტიკურ არსებობისა.

გარდა ამისა მთელი კავკასიონი წარმოადგენს ძლიერ მაღალ ხარისხოვან ლირებულების სამხედრო ასპარეზს, ესეთივე ხარისხის სამხედრო ლირებულების მოსახლეობითა. მიუხედავათ ამისა — კავკასიონი ჰერგავდა თავის დამოუკიდებლობას და რამოდენჯერმე დაპყრობილ იქმნა სხვა და სხვა სახელმწიფოთა მიერ. რაგვარ ბრძოლის შედეგში ჰერგავდა კავკასიონი თავის დამოუკიდებლობას? არც ერთ კავკასიის სახელმწიფოს თავის დამოუკიდებლობა არ დაუკარგავს შინაურ კავკასიის ბრძოლაში. კავკასიის ისტორიას არ ახსოვს, რომ რომელიმე კავკასიის სახელმწიფოს მეესპოს თავის მეზობელ სახელმწიფოთა პოლიტიკური არსებობა. ეს ისტორიის მიერ დამტკიცებული მეორე დებულებაა კავკასიის არსებობისა.

მაშ საიდან გამომდინარეობენ ჩვენი ისტორიის ტრალედის ფურცლები? ზდგამდა თუ არა კავკასიის მკერდზედ ფეხს რომელიმე უცხო, არა კავკასიელ სახელმწიფოს ჯარისკაცი, მამინათვე ისტორიაში ისმებოდა საკითხი მთელი კავკასიონისა, სწყდებოდა ბედი კავკასიის ყველა სახელმწიფოების და არა მის რომელიმე განცალკევებულ ერისა, იმის და მიუხედავათ, თუ რომელ კავკასიის ერისადმი იყო მიმართული ამ უცხო სახელმწიფოს პირველი აგრესიული ნაბიჯები. შედეგში მთელი კავკასიონი ჰერგავდა თავის დამოუკიდებლობას.

თუ გინდ ამ გარეშე დამპყრობელ ძალას არ შესწევდა ღონე კავკასიის დასამორჩილებლათ, თუ მის ხელში დარჩა ერთი მტკაველი მაინც კავკასიის მიწისა, მაინც მთელი კავკასია ჰერგავდა თავის დამოუკიდებელ არსებობას და ხდებოდა მეზობელ სახელმწიფოთა მეტოქეობის ასპარეზათ. ესე იყო არაებ,-მონგოლებ,-ოსმალებ,-სპარსებობის და რუსების ბატონობის დროს. ესე იყო სპარსეთ-ბიზანტიის და ოსმალეთ-სპარსეთის მეტოქეობის დროს. ეს ესევე უცვლელათ დარჩება მომავალშიაც. ეს ჩვენი არსებობის მესამე დებულებაა, რომ კავკასიის ტერიტორიის სულ უმცირესი ნაწილი მაინც თუ უკავია რომელიმე უცხო, არა კავკასიელ სახელმწიფოს, მაშინ მთელი კავკასიის არსებობა უკვე ფიქციას წარმოადგენს.

ბოლოს დროს სად იწყებოდნენ ჩვენი უბედურებანი? ებრძოდა კავკასიონი თავის დამპყრობელთ თუ არა და იცოდა მან ბრძოლა თუ არა? ჩვენ ისტორიას არ ახსოვს ისეთი მაგალითი, რომ რომელიმე დამპრობელ ერს, ისე დეემყარებინოს თავისი ბატონობა, რომ კავკასიის ტერიტორიის ყოველივე ნაწილი სისხლით არ მეერწყოს და

ყველა თითოული სახლი იერიშით არ ეეღოს, მიუხედავათ ამ დამპყრობელის ეროვნების და სარწმუნოებისა.

ესე იყო არაბებთან, მონგოლებთან და საერთო ყველა კავკასიის დამპყრობელთან ბრძოლის დროს. ყველა მათგანს ებრძოდა საქართველო, ებრძოდა ადერბეიჯანი და ებრძოდა მთა. ესვე განმეორდა რუსეთის მიერ ორთავე დაპყრობის დროს. ჯერ ისევ პირველ დაპყრობის დროს, თითქმის ოთხმოც წლიან შეუწყვეტელ ბრძოლის განმავლობაში, მოწინააღმდეგ იძულებულ იქმნა ანაპირან აფშერონამდე და თერგიდან არეზამდე ყოველი სახლის კარები იერიშით გევლო.

მაშ, როგორც ვხედავთ კავკასიონი იბრძოდა და იბრძოდა მთელი! ამის და მიუხედავათ ჰერაგვდა იგი თავისუფლებას და ვარდებოდა მტერთა ბატონობის ქვეშ. მაშ გავიცნოთ კარგათ ჩვენი უბედურობის წყარო და ვეძიოთ ჩვენი ბედის სხვა ფრივ დატრიალების საშუალება.

ვიდრე შეუდგებოდე სახელმწიფოებრივათ ჩამოყალიბებულ კავკასიის კონფედერაციის პოლიტიკურ და ეკონომიურ შემძლებლობათა განხილვას, ერთხელ კიდევ აღვნიშნავ, რომ ვიღებ ყველაფერს რაც კი შეიძლება მძიმე პირობებში და თალხ ფერებში, რომ ბოლოს ერთხელ და სამუდამო იცოდეს ყველა კავკასიელმა შეუძლიან რამე კავკასიონს თუ არა, რომ ვიცოდეთ ბოლოს სად თავდება ჩვენი შემძლებლობის სინამდვილე, და სად იწყება ფანტასიის ზეფირი. არ ვრჩებ მხედველობაში არც ერთ ისეთ სააღმშენებლო ან ეკონომიურ ცვლალებას, რის განხორციელებაც არ შეეძლოს სახელმწიფოს განთავისუფლების შემდეგ ათი წლის განმავლობაში. განხილვის ნიადაგათ ვიღებ კავკასიის ეხლანდელ ეკონომიურ მდგომარეობას, თვითეულ კავკასიის სახელმწიფოთა მიერ 1918 წელში მიღწეულ საზღვართა ფარგლებში. სახელდობრ: ჩრდილოეთის საზღვრათ დედაქანტ-როსტოვის რკინისგზის ლიანდაგს (დაახლოვებით). სამხრეთ საზღვრათ დღევანდელ რუსეთ - ოსმალეთის და რუსეთ - სპარსეთის საზღვრებს. როგორც ყველამ ვიცით, ამ საზღვრების გარეთ რჩება კავკასიის ეთნოგრაფიულ ტერიტორიის ძლიერ დიდი ნაწილი. ეს მიტომ. რომ, როგორც უკვე აღვნიშნე, მსურს ჩემი განხილვის იქეთ მინიმუმზედ დაგამყარო, რომელიც ყველასათვის ყოველ გვარ ეჭვის გარეშე იყოს. აღნიშნულ საზღვრებში ამ სახელმწიფოს ეყოლება 12. 000. 000 მოსახლეობა. დღეს, ყოველ დამოუკიდებელ სახელმწიფოს, მიუხედავათ სიღიდის და ეკონომიურ მდგომარეობისა, თუ იგი არ არის შეზღუდული გარეშე პოლიტიკურ ხასიათის პირობებით (როგორც მაგალითამ გერმანეთი ან ბოლგარეთი), მშვიდობიან დროში ჰყავს ერთი ქვეითი ჯარის დივიზია 1. 000. 000 მოსახლეობაზედ. გარდა ამისა დივიზიის

გარეშე ცხენოსან ჯარის დიდი ერთეულები. ოოგორც უკვე აღვ ნიშნე, ეს ნორმა სრულიათ ადვილი და მისაღები აღმოჩნდა ყველა პატარა სახელმწიფოსათვის. არ ვიღებ აქ მხედველობაში ახალშენების (კოლონიების)<sup>9</sup> მოსახლეობის რიცხვს. ამ შეფარდების მიხედვით, კავკასიის კონფედერაციას მშვიდობიან დროს შეეძლება იყოლიოს 12 ქვ. ჯარის დივიზია.

საერთაშორისო ომის დროს გერმანელებმა 1. 000. 000 მოსახლეობაზე 4 დივიზია გამოიყვანეს ბრძოლის ველზედ. სხვა სახელმწიფოებმა, რომელთაც ეკონომიური პირობანი და მოსახლეობის ნაკლები სიხშირე არ აძლევდათ ამის საშუალებას, ვერ მოახერხეს მოსახლეობის ესეთ პროცენტის გამოწვევა. ამის და მიუხედავათ, არც ერთ სახელმწიფოს არ გამოიყვანია ბრძოლის ველზედ ორ დივიზიაზე და ნაკლები მეტრობოლიის 1. 000. 000 მცხოვრებზედ. მგონი არ იქნება გადაჭრებული, თუ ამ მხრივ, ჩვენ შემძლებლობას მილიონ მცხოვრებზედ ერთ ნახევარ (1,5) დივიზიით აღვნიშნავ. ამ მინიმალურ ნორმის მიხედვით ომის დროს 20 დივიზია გვეყოლება.

ბატონებო! არც კავკასიის დაპყრობაში, არც მის დაცვაში ოც დივიზიას არას დროს არ მიუღია მონაწილეობა. აი პირველი თაიგული კავკასიის შეერთებისა.

---

გადავხედოთ ეხლა მახლობელ აღმოსავლეთის, შეერთებულ კავკასიონის ცხოვრების სარბიელზედ გამოსვლით, შეცვლილ სურათს და შევაფასოთ ეს ახალი პოლიტიკური კონსტელაცია და მის ძალთა განწყობილება.

სამხრეთიდან ჩვენი მოსახლეობები სახელმწიფო საპარსეთი იქნება. მისი სივრცე — 1. 7645 ათას კილომეტრს, ხოლო მოსახლეობა 9.000. 000 უდრის. მივიღოთ ამ სახელმწიფოსათვის ჩვენზედ უკეთესი პირობანი შეიარაღების და გაწვევის. დაახლოვებით მივიღებთ 9 დივიზიას მშვიდობიან დროს და 20 ომის დროს. ჯერ-ჯერობით ეს სახელმწიფო ეკონომიურ განვითარების პრიმიტიულ დონეზედ იმყოფება. მის ერთად ერთ ლიანდაგს თბილის-თავრიზის რკინის გზა წარმოადგენს. გარდა ამისა, შენდება ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალი. შემთხვევათა იდეალურ პირობებში ამ სახელმწიფოს სამბილიზაციონ და საკონცენტრაციო შემძლებლობა ევროპის მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარის დონეზედ იქნება.

ჩვენ მეზობელთა შორის, ეს უცელაზედ უფროსი ერთა და მის აგრესიული განწყობილება ჩვენდამი ჩამოყალიბდა, ჯერ ისევ კავკასიის ერთა ისტორიულ ხანის კარგათ წინ. საპარსეთის ამ გვარ განწყობილებამ ჩვენ ურთი ერთობას რამდოლიმე ათეულ საუკუნიან სამ-

კვდრო სასიცოცხლო ბრძოლის ხასიეთი მისცა. დროთა ვითარებაში, რელიგიურ ელფერის დადგებით ამ ბრძოლამ უფრო მწვავე სახე მიიღო, რომლის შედეგათაც გადასწყვიტა საქართველომ დაყრდნობიყო ახალ ქრისტიანულ მილიტარულ ძლიერებას და ბრძოლის სარბიელზედ რუსეთი შემოიყვანა. ამ შემთხვევამ ჯერ დღესაც გამოურკვევილი ხანით, ძირიან ფესვიანათ გადაატრიალა მახლობელ აღმოსავლეთის ძალთა განწყობილება. ჩვენი ბრძოლის აპოთეოზათ კი თბილის ერევნის და თავრიზის ნანგრევები შეიქმნენ. ჩვენ მას პოლიტიკური თავისუფლება ვანაცვალეთ. ხოლო სპარსეთი, მეორე ხარისხოვან, კოლონიალურ სახელმწიფოს დონემდი მიყვანილი, უძლურათ დეეშვაკასპის ზღვის სამხრეთით. და დღეს ვხედავთ, რომ არავითარი ერთი მეორის საწინააღმდეგო ინტერესები არ მოგვეპოვება და მთელის სიმტკიცით შევვიძლიან ვსოდეთ, რომ კავკასიის კონფედერაცია სპარსეთთან კეთილ მეზობლურ განწყობილებაში იქნება.

მეორე მეზობელი სახელმწიფო სამხრეთიდან ოსმალეთია. უკავია მას 871 ათასი კვადრატიული კილომეტრი 13. 6 მილიონ მცხოვრებით. მიღებულ ნორმის თანახმა და მის საერთაშორისო ომის დრო ინდელ რიცხოვნების მიხედვით, ამ სახელმწიფოს ძალა შეგვიძლიან განვზომოთ 13 დივიზიით მშვიდობიან დროში და 26 - ით ომის დროს.

ოსმალეთის ინტერესები მოითხოვენ, რომ კავკასიონი ძლიერი ბუფერი სახელმწიფო იყოს და ამით ერთხელ და სამუდამოთ მააშოროს ოსმალეთს თავიდგან ის ჩრდილოეთის საფრთხე, რომელსაც მისთვის რუსეთი წარმოადგენს. რუსეთი, რომელიც თავის თავს ბიზანტიის მექვიდრეთ სთვლის და, განურჩევლათ თავის შინაური პოლიტიკურ ელფერისა, ერთნაირათ მიღწვის სამხრეთის ღია ზღვებისაკენ, პირველ რიგში კი ბოსფორის და დარდანელის სრუტეების დაპყრობისაკენ. საუბედუროთ, ისტორიის მთელ ვითარების განმავლობაში, ოსმალეთი ვერას დროს ვერ აღმოჩნდა თავის ნამდვილ ინტერესების შეჯნების სიმაღლეზედ. ეს სახელმწიფო ძველათვე მილიტარულ ტრადიციებზედ აღზრდილი და დამყარებული, ჩვენ საზღვრებზედ მოდგომის პირველ დღიდგანვე უცვლელათ და ტრადიციულათ ჩვენამდე უაღრეს აგრძისიბით იყო განმსჭვალული. ოსმალეთის მიერ ვენის ავანტურის წაგების დღიდან, მის პრიმიტიულ მილიტარულ აგრძობის ტრადიციამ, დაპყრობილ ქვეყნების კარგვის და ლიკვიდაციის სახე მიიღო. მით უფრო მეტი და ისტერიულია ამ სახელმწიფოს აგრძისიბა, როგორც მას ჰგონია, ყველაზედ ნაკლებ წინააღმდეგობის მიმართულებით ე. ი. კავკასიის მიმართ. ეს მიდრეკილება ამ ერის პოლიტიკისთა პირველ ყოფილ სიმაღლიდგან წარმოზდება და ჩვენი მოგალეობაა ანგარიში გაუწიოთ ამ მუდმივათ და უცვლელათ არსე-

ბულ ფაქტს. უნდა გვახსოვდეს, რომ მიუხედავათ ქემალის აურზაუ- რიანი რეფორმებისა, 1918-1921 წლებში, ოსმალეთმა ჩვენ მიმრთ თავის ძველი ტრადიციული როლი ითამაშა და უკანასკნელი ისარი მან პერა საქართველოს რესპუბლიკის და ამით კავკასიის დამოუკიდე- ბელ არსებობასაც.

კავკასიონის ინტერესები მოითხოვენ, რომ სუსტ ოსმალეთის ალაგი შავ ზღვაზედ და ჩვენ სამხრეთ საზღვრებზედ, არ დაიკავოს სხვა რომელიმე მძლავრ სახელმწიფომ. ამის გამო, ოსმალეთის რამე მძიმე ამის შემთხვევაში, რომელიმე მილიტარულ ძლიერებასთან, ისე რომ მას სახელმწიფოებრივ არსებობის დაკარგვა მეელოდეს, ჩვენ, ჩვენი საკუთარ ინტერესებისათვის მუდამ ოსმალეთს უნდა მივეშვე- ლოთ. ოსმალეთს ამ მხრივ შეუძლიან კავკასიონს მთელის იმედით და სიღინჯით შემოხედოს.

ჩვენ კი საუბედუროთ მუდამ უნდა გვახსოვდეს და მზათ ვიყოთ, რომ ოსმალეთი თავის ძველი ტრადიციების თანახმათ, ჩვენდამი მუ- დამ სამტრო პოზიციას დაიკავებს. უფრო ეცდება, რომ კავკასის რო- მელიმე სხვა დამპყრობელთან შეთანხმებით დაიკავოს მისი რომელიმე ნაწილი, ვიდრე ხელ საყრელი ნეუტრალობა, დამოუკიდებელ საბუ- ფერო კავკასიისადმი. ყოველ წუთს გათვალისწინებული უნდა გვქონ- დეს, რომ რამე მილიტარულ კონფლიქტის შემთხვევაში, მდგომარეო- ბის უაღრეს გართულების წუთში, ოსმალეთი მტრულ ნეუტრალობას აც კი არ დაიკავს, პირ იქით ჩვენ მდგომარეობის ესეთ მომენტს, თა- ვის პანთურქისტულ ოცნებათა გახორციელების ნიშათ ჩასთვლის.

კონფედერაციის მესამე მოსაზღვრე სახელმწიფო რუსეთი იქნება. გვესაზღვრება იგი ჩრდილოეთიდგან და არის ჩვენ მეზობელთაგან ყველაზე ახალი; ყველაზე ძლიერი და უსახიფათოესი სახელ- მწიფო. დღეს მას უკავია 21. 250 ათასი კვ. ტილომეტრი და ჰყავს 146. 989 ათასი მცხოვრები. არის იგი ერთი უძლიერესთაგანი სახელ- მწიფო დედამიწის ზურგზედ. უკვე სამ საუკუნეზედ მეტია, რაც ამ სახელმწიფოს განვითარება ღია ზღვების დასაპყრობად წარმოებულ აგრესიონაზედ ემყარება. ამ სახელმწიფოს მთელი ეს განვითარება ემყარება მხოლოდ და მხოლოდ პრიმიტიულ ხარისხის მილიტარულ იმპერიალიზმზედ (ისევე როგორც ჩვენი მეორე მეზობელი ოსმა- ლეთი). რუსეთის ამ მილიტარულ განვითარებას ვერ თანაზღვდა მის სახელმწოდოებრივ განვითარების დანარჩენი აუცილებელი მხა- რენი, რის გამო ამ ერის ნამდვილ ძლიერების საერთო განვითარება, მუდამ კოჭლობდა. ამიტომ მის საგარეო ექსპანსია, კაცობრიობის და საბედნიეროთ, ყოველ მხრივ და მუდამ იგვიანებდა თავის საბოლო- ვო მიზნების მიღწევაში. ამ თავის ექსპანსიას, რუსეთი გამოფლანგვი-

ლი სახით მიერეკებოდა ყოველ შესაძლებელ და შეუძლებელ მიმართულებით, სახელდობრ: ჩრდილოეთით, სამხრეთით, დასავლე-თით და აღმოსავლეთით.

ჩრდილოეთით ძლიერ მალე მიადგა იგი გაყინულ ოკეანეს, რო-მელის შხოლოდ დასავლეთი ნაწილი და ისიც ძლიერ ცოტა ხინით იძლევა ნაოსნობის საშუალებას.

ყველაზედ ადრე რუსეთის წინსვლა დასავლეთით იქმნა შეჩე-რებული. ბალტის ზღვაზედ გასავლის მოპოების შემდეგ, შემთხვე-ვით, პოლონეთის შინაგან წყობილების ანარქიულობის წყალობით, რუსეთმა დროებით მდინარე ვისლის აუზის ნაწილიც კი დაიკავა.

აქ მას თვით მეგობრულად განწყობილ გერმანეთმა აგრძნობია; რომ რუსეთი დასავლეთით არაფერს არ უნდა დეეძებდეს. ისტორიამ რუსეთისათვის ამ რჩევის სიმართლეს გარკვეული ხაზი გაუსვა მეც-ხრამეტე და მეოცე საუკუნის კატასტროფიულ დამარცხებათა მთე-ლი რიგით, და ბოლოს საზღვარის კოლა-ლენინგრად-ოდესის ხაზამ-დე უკან დახვეთით.

აგრეთვე შორეულ აღმოსავლეთში დაიგვიანა რუსეთმა თავის მო-პოებათა ნამდვილ განმტკიცებაში. აქაც რუსეთის პაციფიკის გაუყი-ნავ ნაპირებზედ დამკვიდრება ამომავალ მზის სამკვიდრებელოს მძლავრ სახელმწიფოთ ჩამოყალიბების შემდეგ დაიწყო. აქ იაპო-ნეთმა მას უწყალო წერტილი დაუსვა. ეს მიმართულება მომავალ-ში შეიქმნება დიდ კვეთებათა და რხევის ლერძათ, რაც ბოლოს რუ-სეთის საზღვრებს, ისტორიის შეუწყნარებელ განაჩენის სახით, ურ-ალს ან ვოლგადე მიიყვანს. დღეს ჩვენი თაობა, შეიძლება მოწმეთ შეიქმნეს ამ კვეთებათა პირველ ზეირთების ბაიკალის ცივ სარკემდე მიღწევისა.

რჩება უკანასკნელი მიმართულება რუსეთის აგრესიობისა, ეს სამხრეთის მიმართულებაა, და მიმართულება ყველაზედ მოკლე ინ-დოეთის ოკეანეს და ხმელთა შუა ზღვისაკენ. საბეჭნიეროთ, რუსე-თმა ამ მიმართულებითაც დაიგვიანა და ვერ გამოიყენა ყველაზედ ხელსაყრელი მომენტი. მიუხედავათ ამისა ეს მიმართულება წარმო-ადგენდა ყველაზედ ნაკლებ წინააღმდეგობის ხაზს, რასაც რუსეთი ვერ ჰგრძნობდა სათანადო დროს. ამ მიმართულებით უნდა მოველო-დეთ, უახლოეს მომავალში რუსეთის მთელ ძლიერების კვეთებას. აქეთ ეცდება იგი თავის სახელმწიფოებრივ არსებობის განმტკიცე-ბას და აქ უნდა შექმნას მან მკვიდრი ნიაღაგი ფეხ ქვეშ, რომ აქე-დან გადასწვდეს აღნიშნულ გაუყინავ ზღვებს, ურომლითოდაც რუ-სეთის ძლიერება წარმოუდგენელია, თუ მას უწერია სახელმწიფო-ებრივი არსებობა. რუსეთის აი ამ ღწევის ნიაღაგს და საბრძოლო

კვეთების ჯუცილებელ სივრცეს კავკასია წარმოადგენს. ვხედავთ; რომ რუსეთისათვის კავკასიაში ბატონობა მარტო ჩვენ ბუნებრივ სიმდიდრეთა ექსპლოატაციის საკითხს არ წარმოადგენს. უნდა გვე- სმოდეს კარგათ, რომ ეს რუსეთისათვის სახელმწიფოებრივ ყოფნა განვითარების საკითხია. ჩვენი მოვალეობაა უდიდესი სიფხიზლით და შეგნებით შექხედოთ სიმართლეს თვალებში და ერთხელ და სამუ- დამოთ აღვნიშნოთ, რომ ვართ გადაბმული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლით, დედამიწის ზურგზედ უდიდეს სამხედრო ძლიერებასთან. მერე რა უშავს. განა ჩვენ ისტორიაში ყოფილა სხვაფრივ ოდესმე. ბუნებრიზებთან ბრძოლა და მათზედ გამარჯვებათა მოპოება ეს კავ- კასიონის ბედი და პრივილეგიაა. როდის ყოფილა, რომ რომელიმე კავკასიონის დამპყრობელს გამოეწიოს ხელი, თავის დაცემის და და- უძლურების ხანაში. არასოდეს! ყველა მათგანი ჩვენთან ბრძოლის დროს თავიანთ სიძლიერის უმაღლეს წერტილზედ იღვნენ ხოლმე. დღეს ჩვენთვის საკმარისია რომ გავითვალისწინოთ, რომ ჩვენი არსე- ბობის უფლება სამკვდრო - სასიცოცხლოთ ეჯვარადინება რუსეთის ინტერესებს; რომ ამ საწინააღმდევო ინტერესების კომპრომისული შეთანხმება ყოვლად შეუძლებელია; რომ რუსეთი, მიუხედავათ თა- ვის შინაურ წყობილებისა, ჩვენდამი მუდამ იმპერიალისტურათ და აგრესიულათ იქნება განწყობილი. ეს უნდა გვემოდეს, ეს უნდა გვა- ხსოვდეს ყოველ წუთს, და არასოდეს არ შეგვიძლიან თავი მოვიტყუ- ოთ, რამე შესაძლებელ ურთიერთობის დროებითი გამოკეთებით, როგორც მაგალით. დღევანდელ რუსეთ-ოსმალეთის არაბუნებირივი გადაბმა. რუსეთის ამგვარი ურთიერთობა ჩვენდამი მუდამ ჟამს ესე- თი იქნება და ესეთივე დარჩება სანამ მას არ აიძულებს ისტორია, რომ საკუთარ ეთნოგრაფულ საზღვრების დაცუაზედ იფიქროს. ეს ბუნების უცვლელი წესია და ამ გზიდან გადახვევა მხოლოდ მომწამ- ლავი თვალთმაქცობა იქნება.

ზემოთ აღწერილ მახლობელ აღმოსავლეთის პოლიტიკურ ვითა- რებიდან სჩანს, რომ კავკასიის კონფედერაციის დამოუკიდებლობის დროს, შესაძლებელია შემდეგი შეიარაღებული კონფლიქტები: —

1. ომი კონფედერაციის და რუსეთ შორს;
2. ომი კონფედერაციის და ოსმალეთ შორს;
3. ერთდროული ომი რუსეთთან და ოსმალეთთან.

აქაც ერთხელ მიღებულ დებულების დავექვემდებაროთ და შე- უდგეთ ამ კონფლიქტების, ჩვენთვის კველაზედ უძნელეს სახის გან- ხილვას. განვიხილოთ მათ გათამაშების შესაძლებლობანი კონფედე- რაციის სრულს განმარტოების შემთხვევაში.

როგორი იქნება ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა აღნიშნულ

კონფლიქტების შემთხვევაში? თავმოუტყუებლივ და აშეკარათ უნდა შევიგნოთ, რომ ჯერჯერობით და ჯერ კიდევ კარგა ხანი, კავკასია 98 პროცენტით სამეურნეო სახელმწიფო იქნება ისიც პრიმიტიულ დონის მეურნეობისა. 1918-1921 წლებმა ცხად ჰყვეს, რომ ამიერ-კავკასიის ფარგლებში, ძლიერ ადგილათ შეგვიძლიან თვით გა მოკვების სრული მიღწევა. გარდა ამისა გვაქვს საუცხოვო პირობები მძიმე და ქიმიურ მრეწველობის განვითარებისთვის. გვაქვს საშუალება დაგამყაროთ, სახელმწიფოსთვის იდეალური წონასწორობა, მრეწველობის და მეურნეობის 50 პროცენტიან შეფარდებით. მიუხედავათ ამისა, არა გვაქვს უფლება ფანტაზიაში შეტოპვის, და უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენ თაობის განმავლობაში კონფედერაცია ვერ მიაღწევს სრულ თვითდამაკმაყოფილებას და ძლიერ ბევრი ხანი გვექნება ნაკლულოვნება ყოველ გვარ ფაბრიკატების და განსაკუთრებლივ სამხედრო მრეწველობის ფაბრიკატებისა.

გარდა ამისა უნდა მიგილოთ როგორც ურყევი სინამდვილე, რომ პოლიტიკურ ვითარების ყოველ გვარ გამწვავების დროს, როგორც შავი, აგრეთვე კასპიის ზღვა, ჩვენთვის დაკეტილნი იქნებიან და მათ სივრცეზედ ჩვენი მოწინააღმდეგენი უკონტროლოდ იმედებენ, მაშასადამე, გვჭირია სხვა უშუალო გზის დამყარება დანარჩენ ქვეყნიერობასთან და ეს გზა სრულიათ თავისუფალი უნდა იყოს როსეთის და ოსმალეთის ყოველ გვარ გავლენისგან. ამ გვარი გზის დამყარება პირველი ეტაპი იქნება ჩვენი ნამდვილ დამოუკიდებლობისა. ეს გზა ლამის რომ არსებობს კიდევაც. ეს ძველი პირველი ისტორიული გზაა დასავლეთ და ომოსავლეთ შორის. ეს თბილის-ბალდად-ბასრა-სპარსეთის ყურეს შემართებელი გზაა. თბილისიდან თავრიზამრი უკვე ოცი წელია რაც არსებობს რკინის გზის ლიანდაგი. სპარსეთის ყურედგან ბალდამდის, თავის დროს დიდათ აურჩაურიან ბერლინ-ბალდადის რკინის გზის ლიანდაგი არსებობს. ყველაზედ დიდი ჩივრცე, ამ თრ გზათა შორის არ ღლემატება 400-500 კილომეტრს. აი ამ გზის ეს ნაწილი სპარსეთის და ირაკის ცხელ და უწყლო უდაბნოებისა, იქნება ჩვენი ნამდვილი განთავისუფლება, ჩვენდამი მტრულად განწყობილ მეზობელთა გავლენადგან.

გარდა ამისა ეს გზა ალადგენს კავკასიის გაჭრობის ძველ ტრადიციას და გააცოცხლებს ევროპა-აღმოსავლეთის ყველაზედ მოკლე გზას, რომელიც დაკეტა 1453 წ. კონსტანტინოპოლის ტრალებიამ. ეს ერთხელ და სამუდამოთ გაგვანთავისუფლებს ჩვენ, რუსეთის ბაზრის ხელოვნურ გავლენიდგან და კავკასიის ეკონომიურ ვითარებას თავის ნაშვილ ლიანდაგზედ დააყენებს, დაგვიბრუნებს აღმოსავლეთის ბუნებრივ კარების როლს.

როგორი იქნება კავკასიის სამხედრო მდგომარეობა ჩამოთვლილ სამხედრო გათამაშებათა დროს. მთელ კაცობრიობას სწამს და ჩეენ ც რომ კავკასიონი ჭირველ ხარისხოვან სამხედრო ლირსების საომარ სარბიელს წარმოადგენს. მთელ ქვეყანასა სწამს, რომ მისი მოსახლეობა თავის საომარ ვარგისობით სრულიათ ეთანასწორება თავის მიუღომელ სამშობლოს თვისებებს. ისტორია ურყევლათ და უგამონაკლისოთ ამტკიცებს ამას და გვიჩვენებს, რომ კავკასიონის ყოველი მტკაველი და ყოველი კერა სისხლითაა მორწყული შეუწყვეტელ ომების განმავლობაში; რომ წლები და ათეული წლები სჭირდებოდათ კავკასიის მოწინააღმდეგებს მის დასაპყრობათ.

მაგრამ, ისტორიავე გვიჩვენებს, რომ მიუხედავათ მთელი სიძნელისა, მიუხედავათ ათეულ წელთა დახარჯვისა, მოწინააღმდეგენი მაინც ახერხებდენ კავკასიონის დაპყრობასა. ხომ დაიპყრეს კავკასიონი მიუხედავათ ყოველ გვარ სიძნელისა არაბებმა, მონგოლებმა, სპარსელებმა, ოსმალებმა და რუსებმა ორჯელ!

რაშია საქმე? არის კავკასიონი ნამდვილი მიუდგომელი მთიყნების თვისებისა, რომელნიც სულ ერთგვარ თანაბარ ძვირფას ღიყნების თვისებისა, რომელნიც სულ ერთგვარ თანაბარ ძვირფეს ღირსებით არიან მოსილნი დაწყებული ნორვეგიიდან და გათავებული აბაშეთით (აბისინია). გვექვს მთის ხალხთა ეს მაღალი ღირსებანი, თუ ყველა ეს ლეგენდის ლამაზ ჩადრში გახვეული ზღაპრებია?

არა. ეს არ არის ზოაპარი. კავკასიონი და მისი მოსახლეობა მართლა უმაღლეს ხარისხის სამხედრო ლირსებითაა მოსილი. კავკასიონი მართლაც მიუდგომელ და დაუპყრობელ სალ კლდეს წარმოადგენს. აი სწორეთ ამ მიუდგომლობის და დაუპყრობლობის მკვეთრ ჩამოყალიბებამ და მის ყველას მიერ აშკარა შეგნებამ, თავის. პარადოქსული შედეგით შექმნა ჩეენი სისუსტე და უძლურება. ყველასა სწამდა თავის სამშობლოს მიუდგომლობა, ყველასა სწამდა თავისი საომარი ვარგისობა და ამისთვის ყოველი ერი, ყოველი ტომი და თითქმის ყოველი ოჯახი იბრძოდა განცალკევებულათ და უშუალოთ იცავდა საკუთარ კერას განმარტოვებულ და უიმედო ბრძოლითა. დიახ! ჩეენი ტრადიცია იყო საკუთარ კერაზედ თავ განწირული ბრძოლა და გმრული სიკვდილი. ამ ტრადიციამ შექმნა ჩეენი ღიდების შერაცხანდედი, მთელი ჩეენი სიამაყე. მან მოგვცა კავკასიონის ისტორიის უძვირფასესი ფურცლები, რომელნიც განუყრელათ არიან დაკავშირებულნი კავკასიონის ღიდების — შამილის სახელთან.... ამ ტრადიციამ მიგვიყვანა ჩეენ კატასტროფამდე და გაანადგურა ჩეენი თავისუფლების ნიადაგი.

ეს ტრადიცია თავიდგანვე შეიცავდა სიკვდილის ნიშანს და თავი-

დანვე გვანწესებდა უბედურობაზედ. არ შეეძლო და არც ერთხელ არ მოგვცა მან გამარჯვება.

სამხედრო მეცნიერების მკვდარ უსულო ლაბორატორიულ ენა-ში იგი პასიურ მოგერიების სახელს ატარებს; თავდამსხმელს კვეთების ალაგის და დროის შერჩევაში უტოვებს შეუზღუდველ ინიციატივას და მომგერიებელს არას დროს არ აძლევს გამარჯვებას. მოწნაალმდეგეს მუდამ თავისუფალი ხელი ჰქონდა და თუმც გვიან, თუმც რამოდელიმე წლის დავვიანებით, მაინც აღწევდა ჩვენზედ წარმატებას იქ, სადაც მას სურდა. კავკასიონი ნაწილობრე იძრძოდა. მოწინაალმდეგე კი იპყრობდა მას ხელსაყრელ სანისიო ნაწილებით, იმდოლ ნაწილათ, რამდოლ ერიდგანაც შეზღვებოდა კავკასიონი და ამ თავის გასჯას იმდოლათ აგრძელებდა დროში, რამდოლათაც ეს მას სასურველათ და ხელსაყრელათ მიაჩნდა. ეს ტრდიცია ჩვენ სამშობლოს და მის მოსახლეობის ღირსებათა უაღრესი გაფლანგვა იყო. მის ყოველ შხრივ გამშუქებელ უკანასკნელ მაგალითად ჩვენი ისტორიისა შამილის ეპოქა იყო.

ბატონებო! შევიგნოთ ჩვენი წარსული. ჩვენი მოვალეობაა აღნიშნოთ, რომ არც ერთ დამპყრობელს კავკასიონსა არა ჰქონია საჭმე შეერთებულ კავკასიონთან, იპყრობდა მას ნაწილობრივ, თუმც ბოლოს საერთო ჯამში მას ყოველ კავკასიელ ერთან უხდებოდა ბრძოლის წარმოება. ბატონებო! გამოვიჩინოთ ჩვენ მომავლისთვის სათანადო სიმაღლე, ჩვენ წარსულ დამარცხებათა მიზეზის შეგნებისა. და აღნიშნოთ აშკარათ, რომ ჩვენ დამარცხებათა საბაბი არა მარტო მტრის სიძლიერე, არამეთ ჩვენ ტრადიციის ნაკლულოვანებანი იყვნენ. ჩვენი გზა აქეთ არ მიდის. კავკასიონის მაღალ ღირსებათა ნამდვილ გამოყენების პერსპექტივები სულ სხვადაგვარათ გამოიყურებიან. მათი თვისებანი მოგვცემენ ჩვენ საშუალებას ძალთა ყაირათის დებულების უმაღლეს წერტილამდე გამოყენებისა.

იქ, სადაც ომის ბედის გადაწყვეტას არ დავეძებთ, მივმართავთ ჩვენ გველ ტრადიციებს და ვაიძულებთ მოწინაალმდეგეს იერიშით დაიპყროს ყველა თითოული სახლი. ასეულებით შევაჩერებთ და თავაგვიანებთ მის ათასეულებს და ათეულ ათასებს. დავაგვიანებთ მას თითქმის განუსაზღვრელ დროის განმავლობაში, სამხედრო ენით რომ ვსოფეათ, მინიმალური ძალებით შევკრავთ მოწინაალმდევის დირ ძალებს და ისიც ჯერ არავისთვის არ ცნობილ გამტანობით. ეს მოგვცემს ჩვენ საშუალებას მთელ ჩვენი ძალების იქ შეგროვებას, სარაი მომის ბედის გადაწყვეტას დავეძებთ. ეს მოგვცემს ჩვენ საშუალებას ინიციატივის მუდამ ჩვენ ხელში დაჭრისა, მუდამ აქტიურ მოქმედებისა და ველზედ ღია ბრძოლაში ყოველ გვარ უპირატესობის მიღწე-

ვისა. აი ჩვენ მდუმარე ჩაჩქან მოსილ კლდეთა ნამდვილი ღირებულება, რომელიც მოგვცემენ საშუალებას ვაიძულოთ მტერი ჩვენ უსულო კედლებში უმიზნო ღრღვნაზედ, ხოლო იქ, სადაც ჩვენ სასურველათ დავინახავთ, ჩვენ 12 მილიონიანი ერი, ჩვენი რიცხობლივ უპირატესობით, ჩვენი სურვილისაშებრ უკარნახებთ ბრძოლას 150 მილიონიან სახელმწიფოს. და ჩვენ მთების ეს ღირსებანი ტეხნიკის განვითარებასთან ერთად უფრო ძლიერდებიან და არა სუსტდებიან. გადავხედოთ ეხლა ამ განყენებულ დებულების კონკრეტიულ განხორციელების შესაძლებლობას კონფედერაციისთვის მოსალოდნელ სამხედრო გათამაშებათა შემთხვევებში.

რუსეთთან ომის დროს კავკასიის კონფედერაციის პოლიტიკური მდგრმარეობა შემდევ დაგვარი იქნება; შავს და კასპის ზღვებზედ მოწინააღმდეგე იბატონებს უკონტროლოთ. როგორც ეკონომიკურათ, ისე ოპერაციურათ ორთავე ზღვები ჩვენთვის დაკეტილი იქნებიან. რუსეთს ორთავე ზღვებზედ, სრულიათ შეუზღუდავი შემძლებლობა ექნება სადესანტო ოპერაციების წარმოებაში. ოსმალეთი რუსეთისათვის ხელსაყრელ ნეიტრალიტეტს დაიცავს.

ამ ომის ოპერაციულ მსვლელობაში, რუსეთი აამუშავებს ჩვენ ჩრდილოეთის ფრონტს შავ და კასპის ზღვის შუა, რომელსაც ორი მთავარი მიმართულება ექნება:

1. აზოვის და შავ ზღვის ნაპირის;
2. კასპის ზღვის ნაპირის.

მოქმედება ამ ორ მთავარ მიმართულებით შეერთებული იქნება. შუალედ მეორე ხარისხოვან დაშაკავშირებელ მოქმედებით, ვლადიკავკაზ დარიალის მიმართულებით.

გარდა ამისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოწინააღმდეგე უეჭველათ აწარმოვებს ტაქტიკურ და საოპერაციო განზომვის სადესანტო მოქმედებებს, როგორც შავ, იგრეთვე კასპის ზღვის ნაპირებიდან. ჩვენი მოვალეობაა, რომ მზათ ვიყვეთ საოპერაციო განზომვის დესატთა მისაღებათ.

რუსეთისათვის ამ ფრონტის უმთავრესი სარკინიზმო ნერვები შემდეგი იქნებიან:

1. ცარიცინ-ეკატირინოდარის რკინის გზა;
2. რასტოვ-ვლადიკავკაზის რკინის გზა;
3. ვორონეჟ-როსტოვის სამ ლიანდაგიანი სუპერ მაგისტრალი.

ამ მოქმედებათა საოპერაციო ბაზათ, რუსეთი შემდეგ ქალაქებს გამოიყენებს:

შავი ზღვის კავკასიის ნაპირზედ — ნოვოროსიისკეს, შემდეგ წინ წაწევის და მიხედვით, გამოიყენებს ტუაპსეს, სოჭს, გაგრას და სხვა.

შავი ზღვის ჩრდილოეთის ნაპირზე უპირველესათ გამოიყენებს ოდესას და სევასტოპოლს. ეს ის გზაა, რომლითაც 1924 წელში მიმართა რუსეთმა თავის სამხედრო ნაწილები საქართველოს აჯანყების ჩაა-ქრობათ და, რომელიც ჩვენს საჭინააღმდეგო მოქმედებისთვის ძლიერ ხელსაყრელი გამოდგა.

გარდა ამისა კავკასიაში მოქმედებისათვის რუსეთისათვის ძლიერ ხელსაყრელი ბაზა იქნება კრასნოვოდსკი, რომელიც კასპის ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზედ, პირ და პირ ბაქოს გაღმა ზდევს. რუსეთმა ამ გზით ჩამოიყვანა კავკასიის ფრონტზედ საერთაშორისო ომის დროს თავის თურქესტანის კორპუსები. ეს პორტი ტაშკენტ-ორენბურგის ჩ. გზით ცენტრალურ რუსეთთანაა შებმული, ხოლო ახალ ”ტურქ-სიბ“-ის რკ. გზის ხაზის ამუშავებით მისი მნიშვნელობა რამდონჯერმე გაიზარდა.

როგორ გამოიყურებიან ჩვენი შესაძლებლობანი რუსეთთან ომის დროს.

კავკასიის მოსაზღვრე რუსეთის ტერიტორიის ნაწილის მოსახლეობას ერთ მხრივ დონის, ყუბანის და თერგის ყაზახობა შეადგენს, მეორე მხრივ ვოლგის ქვეითა ნაწილის და მდინარე მანიჩის შუა მოსახლე არა სლავიანური უცხო ტომის ერნი. ყველა ჩამოთვლილი ელემენტები, ისევე, როგორც კავკასიონი, რუსეთმა ბრძოლით და იარაღით დაიმორჩილა. და როგორც, ყველა დამორჩილებულ ერს, მათ ყოველთვის ჰქონდათ თავის სეპარატიული ტენდენციები, მუდამ მიიღწოდენ სრულ ოვითმართველობისაკენ და ამას ყოველ შესაფერის დროს მუდამ ხაზს უსვამდნენ. გარდა ამისა მთელი ამ სივრცის მოსახლეობის სიხშირე ძლიერ ნაკლებია. ჩამოთვლილ მიზეზების გამო, რუსეთის ის ერთეული, რომელიც კავკასიის წინააღმდეგ იმოქმედი ბენ, ცენტრალურ რუსეთში უნდა იქმნენ შეგროვილნი. ამის გამო.

რუსეთის სივრცე და სიშორე მის ერთეულთა მობილიზაციას და კონცენტრაციას მუდამ გააგრძელებს და დააგვიანებს. რამდობლი ხნით შეგვეჭლება ჩვენ, მობილიზაციის და კონცენტრაციის რუსეთზედ ადრე გათავება? რა გზები უნდა გავიყვანოთ, რომ ეს ჩვენი სასარგებლო განსხვავება უფრო გავადიდოთ? ეს საკითხები და მათი ფანჯრით გამოანგარიშება, დღევანდელ მოხსენების შინაარსში არ შედის.

რა სტრატეგიული მიზნები ექნება რუსეთს და რა ოპერაციული თანადათანობით იმოქმედებს იგი ჩვენთან ომის დროს?

პირველად ეცდება იგი კონფედერაციის ლაშქრის უკუგდებას კავკასიონის მთავარ ქედზედ. შეძლევ ეცდება შავი ან კასპის ზღვის ნაპირებით ან კავკასიონის ქედის სამხრეთით შემოჭრას. თავიანთ

რიცხობლივ უპირატესობის სიმტკიცით გამოწვეულ რუსების ფსიხოლოგიის ტრადიციით, ამ ორთავე მიმართულებით ერთ დროულათ იმოქმედებენ. აქ ეცდებიან სახელმწიფოს საიცოცხლო ცენტრების დაყრდნობას და ამით ჩვენ საომარ შემძლებლობის მოსპობას. ამ მოქმედებებს მასშველებენ დესანტებს შავს და კასპის ზღვიდგან.

როთ შეგვიძლიან ამაზედ პასუხის გაცემა?

ერთ ერთ ამ მიმართულებაზედ უნდა ვაწარმოვოთ ჩვენებური მოგერიება რაც კი შეიძლება მცირე ძალებით. მეორე მიმართულებით უნდა შევკრიფოთ მთელი ჩვენი ძალები, უნდა გამოვიყენოთ ყველა ჩვენი საშუალებანი, რომ ძალების შეგროვება რაც კი შეიძლება რუსეთზედ აღრე გავათავოთ. აქ უნდა ვუკარნახოთ მტერს ბრძოლა ჩვენი ინიციატივით და დავგამარცხოთ იგი ჩვენზედ რიცხობლივ უპირატესობის მოპოვების წინ.

რა მიმართულებით ვაწარმოვოთ მოგერიება და რა ძალები დავტოვოთ იქ. რა მიმართულებით ვაწარმოვოთ შეტევა და რა ძალები შევაგროვოთ აქ. ამაზედ პასუხს მოგვცემს გაძოვვლევა იმის, რომელ მიმართულებაზედ მიაღწევს რუსეთი ყველაზედ აღრე სამოქმედოთ მზათ ყოფას. სად მოახერხებს იგი ყველაზედ აღრე თავის მომავალ რიცხობლივ უპირატესობის გამოყენებას? რა მიმართულებით გაუადვილებენ მას ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული პირობანი, დროებით წარმატების განმტკიცებას. და რა მიმართულებით იქნება ყველაზედ ძლიერი ჩვენი ფრონტის და საერთოდ ჩვენი სახელმწიფო ებრივი გამძლებლობა.

აზოვ-შავი ზღვის მიმართულება.

ყველა რეინის გზები, რომელნიც რუსეთიდან და უკრაინიდან მოდიან კავკასიისკენ ერთდებიან შავ და აზოვის ზღვასთან ძლიერ დაახლოვებულ, შედარებით, პატარა სივრცეზედ.

ამ რაიონში იმყოფება რკ. გზათა ქსელის ყველაზედ ხშირი ნაწილი. ეს ქსელი ერთის მხრივ როსტოკ-ცარიცინით უერთდება რუსეთის და უკრაინის ქაველს, მეორეს მხრივ რამდოლიმე ტოტით უკავშირდება შავი ზღვის კავკასიის საუკეთესო ნავთსადგურებს; სახელდობრ ნოვოროსიისკენ, ტუაპსეს და სოჭს. მხოლოდ ამ კვანძიდან მიდის ერთი ტოტი კასპის ზღვის ნაპირებით ამიერ კავკასიაკენ. მაშასადამე, რუსეთისათვის, როგორც ხმელეთის გზათა ქსელის, ისე საზღვაო გზათა მიხედვით, მთავარი ძალების შეკრება უკეთესია შავი ზღვის ნაპირზედ. გარდა ამისა, შავი ზღვის ფლოტის წყალწყვა (ტონაეი) სპეციალური პირობების გამო, ძლიერ ბევრით აღემატება კასპის ზღვის ფლოტის წყალწყვას. მით უფრო, რომ შ.ზღვის ფლოტის გადიდება, რუსეთს ყოველ წუთს შეუძლიან თითქმის განუსაზ-

ღვრელ სიდიდემდის, თავის ბალტის ზღვის ან უცხო ფლოტის ფრახტის დაქირავებით. (აქ მხედველობაში ვიღებ კონფედერაციის სრულ განმარტოვებას, როდესაც საერთაშორისო უფლება ძლიერ მხარის სამსახურში იქნება). ეს გამოკვლევა ცხად ჰყოფს, რომ რუსეთის მთავარი კვეთება აზოვის და შავ ზღვის ნაპირებით იქნება მომართული.

როგორ გამოიყურება ამ მიმართულებით მოგერიებითი გამძლებლობა.

პირველ სერიოზულ ბუნებრივ დაბრკოლებას ამ მიმართულებით წარმოადგენს მდინარე ყუბანის ქვეითა ნაწილი თავის ჭაობიან ღარით. ამ მდინარის სამხრეთით უკვე იწყობიან მთები, რომელთა სილმეშიც დიდი ქსელით იჭრებიან ყუბანს მარცხენა შემდინარე ტოტები. აქ უკვე დაიწყება მოწინააღმდეგის ძალთა განაწილება და განცალკევება ამ მდინარეთა ღარების გასწრივ. ამ მდინარის ღარებს მიზდევენ გზები კავკასიონის მთავარ ქედისკენ. მათი რიცხვიდან, ანაპილან სუსტუმადე, 350 კილომეტრის მანძილზედ, მხოლოდ შვიდი გზა მიდის მთავარ მკერდის გადამავალ უღელტეხილებამდე. ყველა ამ უღელტეხილთაგანი ძლიერ აღვილ მოსაგერიებელ ობიექტს წარმოადგენს სულ უმცირესო ნაწილებისთვისაც კი, მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგესთვის მათი გახსნა ძლიერ მძიმე ოპერაციას წარმოადგენს. წარმოვიდგინოთ, რომ მოწინააღმდეგებ კიდევაც მოახერხოს ამ უღელტეხილთა გახსნა და გადალახვა. მაშინ იგი დგინდა ფრონტით ზღვისკენ და თავის მოქმედებათა განვითარების სივრცეთ ჩრება მხოლოდ ვიწრო ზოლი ხმელეთისა კავკასიონის მთავარ ქედის და ზღვის ნაპირის შუა. აქ უნდა შემობრუნდეს იგი და შუბლით დეექვეროს და გახსნას ეს გრძელი და ვიწრო ბუხარი, სადაც თავის რიცხობლივ უპირატესობას ვერ გამოიყენებს. ჯარა ამისა ამ გზაზედ ელობება მას მთელი რიგი მდინარეებისა, რომელთა რბენა სწორეთ მტრის მისწრაფების მიმართულებას ჰკვეთავენ. თუ მოწინააღმდეგ არ მოისურვებს თავის ძალების სამთო მოქმედებებში ჯაბნევას და განაწილებას, მაშინ ჯერ ისევ ანაპილან უნდა შეუდევს ამ ვიწრო საზოგაო ზოლის შუბლით გახსნას, რომლის სიგრძეც, ლია ველზედ პირველ გასავლის მოპოვებამდე 400 კილომეტრს უირის. მთელ ამ სივრცეზედ ყველა გეოგრაფიული ელემენტიბი. მხოლოდ და მხოლოდ ჩრდილოეთიდან შემომტევ ძალთა წინააღმდიგა იწყობიან. ერთ და იმავე დროს ყველა ეს ელემენტები ძლიერ ხილსაყრიოათ ეწყობიან სამხრეთის მიმართულების დამცველ ძალებისათვის. მხოლოდ ერთი პირობით: თუ ეს ძალები აწარმოვებენ აქტიურ საპარ-

რაციო მოგერიებას და არა კმაყოფილდებიან სივრცის პასიურ კბილებით და ფრჩხილებით კანჭურობითა. ამ შემთხვევაში მოწინააღმდეგის რიცხობლივი უპირატესობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ამ ფრონტზედ ყოველ მიმართულებით, სადაც კი მოვისურვებთ აქტიურ მოქმედებას, ყოველთვის შევსძლებთ ამ სასურველ ალაგას

მიუხედავათ მტრის საერთო რიცხობლივ უპირატესობისა, ჩვენს საკუთარ რიცხობლივ უპირატესობის შექმნას, ისიც დიდ, მრავალ რიცხობლივ უპირატესობისა. ამას ხელსუწყის კიდევ ის გარემოება, რომ ყველა მოქმედებათა კოორდინაციისთვის ჩვენ უფრო ნაკლებ სივრცის გადაჯგუფება გვეჭირება ვიდრე მოწინააღმდეგეს; ჩვენ უფრო მეტი გზები გვექნება ვიდრე მოწინააღმდეგეს. ეს იმიტომ, რომ ჩვენ ვიდგებით უღელტეხილთა მთელ სისტემაზედ რკალის შიგნით, ხოლო მოწინააღმდეგე ამ რკალის გარეთ გრძელ ხაზზედ თხელი ქალალდით იტრიალებს. გარდა ამისა უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ მტრისათვის ერთბაშათ თავიდანვე საერთო რიცხობლივ უპირატესობის მიღწევა ძნელი იქნება და ამას, მხოლოდ ჩვენს შემდეგ პატარა დაგვიანებით მიაღწევს. აი ყველაზედ ხელსაყრელი შესაძლებლობა ჩვენ მოწინააღმდეგის, თუ ჩვენ არავითარი შეცდომა არ ჩავიდინეთ. წარმოვიდგინოთ, რომ აქ ყველაფერი, რამე ზეწყევლილ შემთხვევის ძალით, ყველა ამ შესაძლებელ მოქმედებებმა იხუვლეს და ჩვენთვის პირდაპირ საუბრებულ სახე მიიღეს. სადამდის შეიძლება მტრის შემოშვება ისე, რომ ჩვენი სახელმწიფობრივი გამდლებლობა არ იქმნეს შერხეული და ეს სტრატეგული მარცხი ჯერ კიდევ ომის წარმოების უნარს დაკარგვათ არ შეიქმნეს.

თუ ამ ფრონტზედ მხოლოდ მოწინააღმდეგის დაგვიანებით დავკმაყოფილდებით, მაშინ შეგვეძლება ამ დაგვიანების სულ მინიმალური ძალებით წარმოება და განზომილი უკან დახევის წარმოება მდინარე ენგურამდე. იქნება ეს დაახლოებებით 640 კილომეტრი პირველი ჩრდილოეთით მდებარე ბუნებრვ დაბრკოლებიდგან. მდინარე ენგურის გადმოლახვით მტრი გამოდის უკვე შეუზღუდავ ბარზედ, ეყრდნობა დიდს და სრულიათ ეხლანდელს სრულყოფილს ნავთ სადგურ ფოთს, მისი წინსვლის მიმართულება ეწყობა, მდინარე რიონის ღარის გასწრივ და არა, როგორც ამას წინ, გარდი-გარდმო. და მთელი ეს მოქმედება საუცხოვოთ იქნება ზურგ გამაგრებული ფოთი-ჭუთასის რკინის გზით. აქ მოწინააღმდეგე უკვე ჩვენდამი დიდ წარმატებას აღწევს, უკვე ჰპოულობს თავის რიცხობლივ უპირატესობის გამოყენების სრულ საშუალებას. აქედან უკვე მასთან წონასწორობის აღსადგენათ მხოლოდ და მხოლოდ უხეში მუდმივ რიცხობლივი უპირატესობა და დაგვრჩება. ეს ჩვენთვის უკვე ხანგრძლივ

მეტოდათ ველარ გამოდგება და აქედან დაიწყობა უკვე ჩვენთვის  
მწვავე სახელმწიფო ბრივი კრიზისი, ე. ი. ბოლოს დასაწყისი.

როგორც ჯამი ამ მიმართულებაზედ ყოველ გვარ შესაძლებელ  
ვითარების უნდა აღვნიშნოთ შემდეგი:

1. ამ მიმართულებით, სულ უბრალო დროებით წარმატების შე-  
მთხვევაშიაც კი, როსტოვ-ბაქოს ხაზის გადაჭრით მოწინააღმდეგის  
კასპის ზღვის ლაშვარს თავის თავათ კრიტიკულ მდგომარეობაში ვა-  
გდებთ, თუ გინდაც, რომ მის წინააღმდეგ არავითარ უშუალო ოპე-  
რაციას არ ვაწარმოვებდეთ.

2. თუ განვიზრახავთ მხლოდ დროის მოგებას, მაშინ შეგვე-  
ძლება მოწინააღმდეგის სულ მცირე ნაწილებით დაგვიანება მდინარე  
ენგურამდე. ეს გარემოება კი მოგვცემს საშუალებას მთელი ჩვენი  
ძალების სხვაგან სადმე შეგროვებისა და აქ გარდამწყვეტ გამარჯვე-  
ბის მოპოვებისა.

3. შავი ზღვის მიმართულება მოგვცემს სათანადო დროის მოო-  
პოების საშუალებას ამ გამარჯვების სხვა ფრონტზედ მოპოვებისა,  
ვინაიდან მის ძლიერ ბუნებით ხვავიანი დამავაიანებელი სვრცე 460  
კილომეტრით განიზომება, ხოლო დამავაიანებელ თვისებათა შედე-  
გიანობა, ჯერ ევროპისათვის უცნობ სიძლიერისა აქვს.

კასპის ზღვის სანაპირო მიმართულება.

მთელი სივრცე მდინარე ვოლგის ქვეითა ნაწილის შუა და მდი-  
ნარე თერგის და ყუმის შუა, წარმო ადგენს უდაბნოს სახის ბარსა,  
რომელიც ძლიერ ნაკლებათაა დასახლებული და ისიც არა მკვიდრ,  
არამეთ ნახევრათ მოტანტალე ტომებით. მთელი ეს სივრცე მოკლე-  
ბულია ყოველ გვარ გზათ ქსელს.

დიდ განზომვის სტრატეგიული მრტველებათა წარმოება: ამ სივრ-  
ცეზედ მოკლებულია სერიოზულ მიზნებს. გარდა ამისა უგზონობის  
გამო პირდაპირ შეუძლებელი იქნება ამ სივრცეზედ მომქმედ ლაშვ-  
რის რიცხოვნების განსაზღვრულ მცირე რიცხვის ზევით აწევა. მხო-  
ლოდ მდინარე თერგის სამხრეთით იწყება სერიოზულ მოქმედებათა  
სარბიელი. ეს რაიონი დანარჩენ რუსეთთან ორ რკინის გზითაა შე-  
ერთებული: პირველი როსტოვ-დერენტ-ბაქოს გზა და მეორე ჯერ  
კიდევ დაუსრულებელი ჩერვლონაია-ყიზლარ-სტაროტერეჩნიას გზა.  
ეს გზა მდინარე თერგის ქვეითა ნაწილის გასწვრივ მიდის. ორთავე  
აღნიშნული ხაზი შესაძლებელ საბრიოლო ფრონტის პარალელური  
მიმართულებისა არიან და თვით მციმავალ ბრძოლის გათამაშების  
ხაზით მიღიან; მთელ საბრძოლო ცვილებადობის საქანაო სიღრმის  
შუაგულზედ. ამის გამო ამ ხაზების გამოყენება მოწინააღმდეგისთვის  
ბრძოლის გარდამწყვეტ მომენტებში კოვლათ შეუძლებელი იქნება.

ამის და მიუხედავათ ჩემ განხილვას გამყარებ. იმ მომენტზედ, როდე-  
საც შოპირდაპირეს ამ რკინის გზების ს ხული გამოყენების საშუალება  
წქნება.

როსტოკ-ბაქოს რკინის გზა, ოჯახთის შავი ზღვის სამოქმედო  
სივრცეზედ ზღვებს და მისი დასაწყისი ამ ლაშქრის მთავარი საკვები  
ნერვი იქნება. აქედან თავის თავათ ცხადია, რომ ეს გზა, რუსეთის  
კასპის ზღვის ლაშქარის, მხოლოდ იმდროათ მეემსახურება, რამდო-  
ლათაც თავისუფალი იქნება შავი ზღვის ლაშქრის სამსახურიდან.  
მაშასადამე, თავის თავათ ცხადია, რომ რუსეთისათვის კასპის ზღვის  
ლაშქარი და მისი მოქმედებანი მხოლოდ მეორე ხარისხოვან დანიშ-  
ნულების იქნებიან. ამ ლაშქრის გამოკვების და შევსების ბაზები,  
რუსეთს შეეძლება მოაწყოს ასტრახანში ან კრასნოვოდსკში; ერთიც  
და მეორეც ძლიერ დაშორებული იქნებიან ბრძოლის ასარეზიდ-  
გან. კასპის ზღვის ფლოტის ტონაჟი სპეციალურ პირობების გამო  
ძლიერ შეზღუდული იქნება. გემები უმთავრესათ პატარა და მდინა-  
რის ტიპისა არიან. მათი რიცხვის გადიდება შეიძლება მხოლოდ ვო-  
ლგის სანაოსნო ძალების შემადგენლობით.

ყველა ჩამოთვლილი პირობები ძლიერ აძნელებენ ამ ლაშქრის  
მოქმედებას და ზღუდავენ მის რიცხოვებას, მაგრამ უნდა ხაზი გაუ-  
სვათ, რომ მხოლოდ აძნელებენ, ზღუდავენ და არა შეუძლებელ ჰყო-  
ფენ.

თვით ბრძოლის სარბიელი, თავის ბუნებრივ თვისებებით აქაც  
ძლიერ სასარგებლოთ ეწყობა ჩვენთვის. მდინარე თერვის ბოლოდან  
თვით მთების კალთებამდის მთელი ეს სივრცეძლიერ ჭაობიანია. გა-  
ოდა ამისა მას სჭრის ორი დიდი მდინარე საბრძოლო ფრონტის პარა-  
ლელურ მიმართულებით. შემდეგ იწყობა ვიწრო, სულ რამდენიმე  
კილომეტრის სიგანის ზოლი ვაკე ზღვისა და კავკასიონის მთა-  
ვარ მთავრებილის შუა (ისევე როგორც შავი ზღვის ნაპირზედ). ეს  
ზოლი მიდის ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. მას ჰკვეთს გარდი გა-  
რდმო მიმართულებით ოციოდე სერიოზულ მნიშვნელობის მთის მდი-  
ნარე. ამ ბუხრის დასაწყისში ზღვებს კავკასიის ნაპირის პირველი სე-  
რიოზული ნავთსადგური მახაჩკაა (ვეტროვესკი) 130 კილომეტრის  
შემდეგ მეორე: დარუბანდი (დურბენტი). ამ ბუხრის მთელი სიგრძე  
მის უკანასკნელ დაბრკოლებანდი ე. ი. მდინარე სუმგაითამდის, რომ-  
ლის შემდეგაც მოწინააღმდეგე შესძლებს მთავარ ქედის აღმოსავ-  
ლეთიდან შემოვლის. 320 კილომეტრს უდრის. მთელ ამ სივრცეზედ  
არ მოიპოვება არც ერთი უღელტეხილი მთავარ ქედზედ, რომლითაც  
შეიძლებოდეს მის გაღალმა გადასვლა. მთელი ეს სივრცე ისეთი თვი-  
სებისაა, რომ აქ რუსეთს არა შემთხვევაში არ შეუძლიან თავის რიც-

პობლივ უპირატესობის გამოყენება და მთელი ეს ბუხარი მთელი თავისი სიგრძით მხოლოდ შუბლით უნდა გახსნას ე. ი. იძულებული იქნება მოქმედება აწარმოვოს ყველაზედ ძნელი, უხეში, და ძვირი ჲანითა. როგორც მდინარე თერგის ჭაობიანი სივრცე, ისე ეს ბუხარი ყველად შეუძლებლათ ჰყოფენ ამ სარბიელზედ დიდი მასების მოხმარებას. მთელ ამ სარბიელზედ არ მოიპოვება არც სივრცე და არც საშუალებანი მოწინააღმდეგის მიერ ორ დივიზიაზედ მეტის მოხმარებისათვის. სრულ და უხინჯო ობიეკტივობისათვის ვიღებ აქ მოწინააღმდეგის 5 დივიზიას

როგორია ამ ფრონტის მოგერიებითი ვარგისობა? ვითარების ჩვენთვის ყველაზედ უკიდურეს სახის მიღების შემთხვევაში შეგვიძლიან დაგვიანება ვაწარმოვოთ მდ. სუმგაითამდე ე. ი. აფშერონის ნახევარ კუნძულის ფუძემდის. აქამდის მოწინააღმდეგებს ვერ ძალუს ჩვენ სახელმწიფოებრივ სიმკვიდრის შერხევა და აქამდის შეგვიძლიან კრიზისის სიმძაფრის ატანგა. მხოლოდ ამ მდინარის ღარის გახსნის შემდეგ მოწინააღმდეგ იპყრობს აფშერონის ნახევარ კუნძულს და მის ნავთის სასიცოცხლო წყაროებს; უცლის სამხრეთიდან კავკასიის მთავარ მთაგრეხილს და გამოღის შირგანის შეუზღუდავ ბაზზედ. მთელ ამ მოქმედებისათვის პპოვებს საუცხოვო ნავთსადგურს პაქოს, რომლიდანაც უკვე ახლო ზღვეს ძლიერ ხელსაყრელი საკვები ბაზა კრასნოკოდის და თავის წინ სცლას აყრდნობს ამიერ კავკასიის ორხაზიან ლიანდაგზედ. ამ წუთიდან მოწინააღმდეგებს აქვს სრულიათ შეუზღუდავი საშუალება თავის ყოველგვარ უპირატესობის სროობ გამოყენებისა როგორც ტეხნიკურ ისე რიცხობლივისა და მისი შედეგი მსვლელობა მის კატასტროფიულ რბენათ უნდა ჩავთვალოთ.

მაშ ამ გამოკვლევათა მიხედვით საღ უნდა ვეძიოთ ომის ბედის გარდაწყვეტა და როგორი უნდა იყოს ჩვენ ძალთა განაწილება ამ მიმართულებაზედ? აღნიშნული გამოთვლა ცხადათ გვიკარნახებს. რომ ბედის გამოჭედვას პირველ რიგში შავი ზღვის მიმართულებით უნდა შეეუდინეთ. აქ უნდა შევაგროვოთ ყველა ჩვენი ძალები; მათი, რაც კი შეიძლება მეტი ნაწილი, უნდა შევაგროვოთ რაც კი შეიძლება მალე; მოწინააღმდეგებზედ უნდა მოვიპოვოთ აქ აკველ გვარი უპირატესობა რიცხობლივი, ხარისხობლივი და სხვა; აქ უნდა დავამარცხოთ მოწინააღმდეგე და უნდა დავამარცხოთ კატასტროფიულათ. ჩვენ ვერ შეგვეძლება დაქმაყოფილება ევროპის სტერეოტიპიულ მტრის „უკან დახევაზედ იძულებით“; იგი მოსპობილ უნთა იქმნება. რომ ამ ბრძოლის შემდეგ ჩვენი აქ ნახმარევი ძალები სულ სხვა აოაგას განვაწესოთ. აი ამის მისაღწევათ უნდა აავაკოთოთ ყველათერი, რაც კი ჩვენ ძალთ იქნება. აი ამ მიზნისათვის იქნება, რომ სხვა ას-

პარეზებზედ პირდაპირ კრიუანგული სიწიწურაქით, რაც კი შეიძლება ნაკლებ ძალებს მივავლენთ და არ შეგვეშინდეს იმისი, თუ რომელიმე მიმართულებით მოწინააღმდეგე დროებით რამე წარმატებას მიაღწივდეს. ჩვენი ძალების რა ნაწილის შეგროვება შეგვეძლება აქ? აი აქ გამოდის მნიშვნელობა ჩვენ ჩუმ მიუდგომელ მთებისა. აი ამ მთების ღირსებანი მოგვცემენ საშუალებას, სხვა მიმართულებებზედ სულ უმცირეს და უმნიშვნელო ნაწილებით იოლათ გამოსვლისას. სახელდობრ: თუ გვეყოლება 20 დივიზია, აქედან შეგვეძლება 18 დივიზიის შავ ზღვის ასპარეზზედ შეგროვება, ხოლო ყველა დანარჩენ მიმართულებებზედ მხოლოდ ორი დივიზიით იოლათ გამოსვლა. აი ეს შეფარდება 18:2 მუდამ უცვლელი უნდა დარჩეს რა გინდ მეტი ძალებიც არ გვყვანდეს. მისი შეცვლა მხოლოდ შ. ზ. ასპარეზის სასარგებლოთ შეიძლება. აი ამ ძალების შეგროვება რუსეთზედ ადრე უნდა მოვახერხოთ. ჩვენი ბუნება ამის საშუალებასაც გვაძლევს.

კასპის ზ. ფრონტზედ 2 დივიზია გვეყოფა (ერთიც სრულიათ საკმარისია). აქ შეგვიძლიან საერთო და სრულ გამარჯვების ფასით, მას პირველ წარმატების კარიკატურული ეფექტი დაუთმოთ მის შავ ზ. ნაპირებზედ მოსასპობათ, შეგვიძლიან იგი კავკასიის კარებამდე მოუშვათ და აქ დაკავუნების უფლებაც კი მივცეთ.

კონფედერაციის მთავარ სარდალს უნდა ჰქონდეს სამყოფი ავტორიტეტი კავკასიის საზოგადოებაში და მოსილი უნდა იქმნეს მის სათანადო ნდობით ან იგი თავის ნებისყოფით უნდა დაიმორჩილოს, რომ მას არ შეუშალონ ხელი ამ მძიმე და ერის და ისტორიის წინაშე საპასუხისმგებლო ოპერაციის გატარებაში. ეყოლება მას ძლიერ დიდი ოპოზიცია; გაუწევენ მას ძლიერ მწვავე კრიტიკას და შეიძლება ღალატიც კი დასწამონ: ყავახანის “სტრატეგები” და პოლიტიკოსები ალელვებულნი იქნებიან ამ გვარ მოქმედებებით; ყველა ეს დამაბრკოლებელი მოვლენანი თავიდანვე უნდა იყვნენ გაოვალისწინებულნი; მაგრამ მათდა მიუხედავათ, თვით კავკასიის გულამდე ნერვები უნდა გვეყოს. სულერთია, რა სახითაც კი არ იქნება ეს; იქნება მთავარ სარდალისადმი ერის და მთავრობის განუსაზღვრელ ნდობის მკურნალ ალერსიან გავლენის წყალობით თუ ტყვიის მფრქვეველთა სეტყვის ატეხვის შიშის ზარით. ეს სულ ერთი იქნება, ყველა საშუალება უნდა იქმნეს ნახმარი ამ ქირურგიულ ოპერაციის გადატანისათვის.

შავი ზღვის ნაპირებზედ ბრძოლის გადამწყვეტ შედეგამდე მიაჟანის, შემდეგ, აქ მოქმედ თვრამეტ დივიზიიდან შეგვეძლება (კამეტ დივიზიის სხვა ასპარეზზედ გადაყვანა. ე. ი. კასპის ზღვის ნაპირებზედ მოშემედ მტრის წინააღმდეგ. აქ უკვე შეგვეძლება მის წინა-

აღმდეგ ორ-კეც მოქმედების მოწყობა ერთი სამხრეთიდან ზღვის პირით, მეორე ჩრდილოეთ დასავლეთიდან მთავარ ქედის ცენტრალურ ნაწილიდან დარიალის უღელტეხილზედ დაყრდნობით, აღმო-სავლეოსაკენ მიმართული.

რა შედეგების მოტანა შეუძლიან ამ მოქმედებათა ხელსაყრელ გატარებას? თუ ეს მარტო საშუალო დაბალ ხარისხის წარმატება იქნება, ამით მოწინააღმდეგის საკონცეტრაციო რაიონი უკუგდებული იქნება შორს ჩრდილოეთისკენ როსტოვის მიდამოებში. ეს გარემოება მოგვცემს თავისუფალ ხელს კარგა დიდი ხნის განმავლობაში, რაც სრულიათ სამყოფი იქნება სხვა მიმართულებებით გათამაშებათ აჩვენ სასარგებლოთ გასატარებლათ. ხოლო თუ შინაგან მოვლენებმა არ შეგვიშალეს ხელი აქ ისეთ სრულ გარდამწყვეტ გამარჯვების მოპოვებაში, რომლის პირობებიც გვაქვს, მაშინ შეგვეძლება ამ გამარჯვების პოლიტიკური შედეგებით დაგვირგვინება და აქ მოსახლე ველიკოროსების განსხვავე ტომების მიმართულებათა სრული ასრულება.

### სადესანტო მოქმედებანი.

სადესანტო მოქმედებებს ის თვისება აქვთ, რომ ჯერ ისევ მშვიდობიან დროს შეგვიძლიან დიდის სიზუსტით გამორკვევა მტრის მოქმედებათა შემძლებლობა. ჯერ ისევ მშვიდობიან დროს შეგვიძლიან მტრის საზღვაო ტრანსპორტების საშუალებათა დაწვრილებითი გამოკვლევა და მის დაწვრილებითი დანუსხვა. რაც შეეხება კასპის ზღვის ფლოტს, ეს საქმე შეგვიძლიან ისეთ სიზუსტით დავაყენოთ, რომ მოწინააღმდეგეს აქ არავითარ მოულოდნელობის მოპოვება ვერ შეეძლება. ზევით ჩამოთვლილ პირობების გამო, ცოტა ძნელი იქნება ამ საქმის შავ ზღვაზედ ესეთ სიზუსტით წინ და წინვე დაზვერვა; მაგრამ აქაც ძლიერ ბევრის გაკეთება შეგვეძლება. გარდა ამისა ჯერ ისევ მშვიდობიან დროს საკუთარ სანაპიროების შესწავლით შეგვიძლიან გამოვარკვიოთ შეუცდომელათ ის ალაგები, სადაც მოწინააღმდეგეს შეეძლება დიდ ოპერაციულ განზომის დესანტის გადმოსხმა. ესეთი ალაგები ჩვენს სანაპიროებზედ ძლიერ ბევრი არ იქნება.

შავი ზღვის ნაპირებზედ, მოწინააღმდეგესთვის ყველაზედ ხელ საყრელი სივრცე სტრატეგიულ მნიშვნელობის დესანტის გადმოსასხმელათ, მდინარე ენგურის და რიონის შუა ბარი იქნება. აქ გადმოსხმული დესანტი აძლევს მას ყველა იმ უპირატესობებს, რომელსაც იგი შავი ზღვის „ბუხრის“ გახსნით და ენგურის გადალახვით იღებდა. (თანახმათ შავ ზ. ნაპირის აწერისა). თვით ნაპირი ამ სივრცის ძლიერ ჭობიანია და ამ დესანტის გადმოსხმას ტაქტიკურათ ძლიერ გააძნე-

ლებს, რაც ჩვენთვის ძლიერ ხელსაყრელი მოვლენაა, გვაძლევს დღი უპირატესობას და აუცილებლივ გამოყენებული უნდა იქმნეს.

ბევრას უკეთესი პირობები აქვს მოწინააღმდეგებს ამ გვარ თე-რაციის საწარმოვებლათ კასპის ზღვიდგან. ყველაზედ ხელსაყრელი ალაგი მისთვის ეს აფშერონის ნახევარ კუნძული იქნება. თავიდანვე ამ მოქმედებისა იგი ორთავე ფრთას ზღვაზედ აყრდნობს, საიდანაც იგი ძლიერ დიდ ტაქტიკურ დახმარებას გაუწევს თავის სახმელეთო ნაწილებს. მოიპოვებს უზრუნველყოფილ სივრცეს თავის ძალთა შე-გროვების ხანის გადასატანათ. თავიდანვე იძყრობს ნავთის წყაროებს და პირველ ხარისხოვან ნავთსადგურ ბაქოს. უვლის სამხრეთიდან კავ-კასიის ქედს და გამოდის შირვანის ვაკეზედ. ე. ი. ძლიერ აღვილათ აღწევს ყველა იმ წარმატებებს, რომელსაც მას მდ. სუმგაითის გადა-ლახვა აძლევს ჩრდილოეთიდან წინსვლის შემთხვევაში. (კასპის ზ. სანაპიროს დახასიერება).

აი ამის გამო პირველ ხარისხოვან მნიშვნელოს ღებულობს აფ-შერონის და მის უშუალო გარემო კუნძულთა გამაგრება. ამ სიმა-გრეთა აშენების შემდეგ მოწინააღმდეგების ყველა ჩამოთვლილი შესა-ძლებლობანი ძირიანათ ხაზ გადასმულათ უნდა ჩაითვალოს. წინააღ-მდეგ შემთხვევაში ვაძლევთ მოწინააღმდეგებს პირველ ხარისხოვან ნი-ადაგს კონფედერაციის სასიკვდილო კვეთების მომართვისათვის. აი ამისთვისაა, რომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს თბილისის უშუ-ალო გამაგრებას და ჩვენი უკანასკნელი გროშიც კი თბილისის უზ-რუნველსაყოფათ, აფშერონის გასამაგრებლათ უნდა გავილოთ და არა ხარფუხში მიწის საჩიჩქნელათ.

დესანტებთან ბრძოლის დებულებანი.

სამხედრო ისტორია გვიჩვენებს, რომ დესანტებთან ბრძოლა ძლი-ერ აღვილია და ამას უფრო ნაკლები ძალები სჭირია, ვიდრე სხვა რო-მელიმე სახის ბრძოლებს.

ხმელეთზედ გადმოსხმული ნაწილები დასაწყისში ძლიერ სუ-სტნი და შეუთამაშებელნი არიან. ამ შეთამაშებისათვის და რიცხობ-ლივ თანასწორობის მოპოებისთვის მათ იმდოლი დრო სჭირიათ, რომ ხმელეთის დამცველ მხარეს მუდამ შეუძლიან სათანადო ძალების შე-გროვება და მოწინააღმდეგის ზღვაში უკუგდება. ამისთვის მხოლოდ ერთი პირობის დაცვაა საჭირო: მხოლოდ ერთი, რომ უმაღლეს სარდლობისთვის მოწინააღმდეგის მიერ დესანტის გაღმოსხმის შესა-ძლებლობა ფსიხოლოგიურ და სტრატეგიულ მოულოდნელობას არ წარმოადგენდეს.

ჯერ ისევ მშვიდობიან დროს უნდა იქმნეს დანიშნული ამორჩე-ული სარდალი მოწინააღმდეგის დესანტებთან საბრძოლველათ. ჯერ

ისევ მშვიდობიან დროს უნდა ჰყავდეს მას მთელი თავისი სახელმძღვანელო აპარატი, და ჯერ ისევ მშვიდობიან დროს უნდა შეისწავლოს მან ამ მოქმედებათა ყველა შესაძლებელი ვარიანტი. ომის დროს სრულებითაც არ არის საჭირო, რომ სადმე გამოყენებლივ იდგნენ დესანტებთან საბრძოლველათ აღნიშნული ერთეულები. შეიძლება მათი სხვაგან გამოყენება, ოღონდ თავიდან იყოს აღნიშნული, რა ნაწილები ებრძევიან მოწინააღმდეგის დესანტებს. ამ მოვლენის განხორციელების შემთხვევაში და ამ ნაწილების ტრანსპორტი იქმნეს სათანადოთ განმზადებული.

გარდა ამისა, ამ სახის მოქმედებებში, უფრო მეტათ ვიდრე სხვაგან, გარდამწყვეტ მნიშნელობას ღებულობს მოქმედებათა სისწავე და მათი გამბედავი გარდამწყვეტით სახე. ეს ღებულება წარმოადგენს ამ მოქმედებათა გათამაშების აუცილებელ სახეს. აი ამის გამო ამ ვკარ მოქმედებებში უაღრესათ იქნებიან გამოყენებულნი ყველა სახის სწრაფ მავალი იარაღი, დაწყებული ცხენოსან ჯარით და გათავებული ტეხნიკის უკანასკნელ მოპოვებულ წარმატებებით. აქედან უკვე გამომდინარეობს ჩვენ ჯართა სხვა და სხვა დარგების ცოტა სხვა ვკარი შეფარდება, ვიდრე ამას სხვა სამორ სახელმწიფოთა მდგომარეობა მოითხოვს. აი კიდევ ერთი მაგალითი იმისა. რომ სამხედრო საქმეებში არ შევეიძლიან სხვა და სხვა უცხო სახელმწიფო თან ნიმუშების ბრძან აღება.

#### ომი ოსმალეთთან.

სულ სხვანაირათ ეწყობიან შეიარაღებულ კონფლიქტის გათავაზების პირობანი ჩვენ მეორე, აგრესიულათ განწყობილ მეზობელთან, სახელდობრ ისმალეთთან. კონფლიქტის საზღვრათ ვიღებ დოლევანდელ რუსეთ-ოსმალეთის საზღვრებს. გინდ ჩვენ ტერორისის ეთხოვგრაფიული საზღვრები სრულიათ უყურადღებოთ დავტოვოთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ კონფლიქტის მინიმალურ სტრატეგიულ უზრუნველყოფვის მხოლოდ 1914 წლის რუსეთ-ოსმალეთის საზღვრები იძლევიან კავკასიაზე თავდასხმის ბუნებრივ გზათა დაკეტვით.

საზღვრების დღევანდელი მოხაზულობა ისმალეთის ხელში სტოკებს კავკასიაზე დამოლაშქრების საუცხოვო პლაცარმას: ყარს-ოლთის-აღზევანის (კაგიზმანი) რაიონს. მოწინააღმდეგეს აქედან გზა გახსნილი აქვს კავკასიის ყველა მიმართულებისაკენ. სახელდობრ: მის აღმოსავლეთ, დასავლეთ და ცენტრალურ ნაწილებისაკენ. ეს გარემოება ჩვენთვის შეუძლებელ ჰყოფს სახელმწიფოს მოგერიების ყველაზედ ხელ საყრელ სახით წარმოებასა.

უკვე დღეს, ჩვენი ქვეყნის დღევანდელ ტეხნიკურ და ეკონომიკურ განვითარების დონით, მოწინააღმდეგის ომის წარმოების საშუალება-

ნი და შესაძლებლობანი შეუდარებლივ ნაკლებნი არიან კონფედერაციის ამავე ელემენტებთან შედარებით. ამ მხრივ ისეთი დიდი უპირატესობა გვაქვს მოწინააღმდეგის შეზღუდულ საშუალებებზედ, მოსახლეობის თითქმის, რომ სრულ თანასწორობით, რო არც ერთი წუთით არ შევგიძლიან მისთვის ინიციატივის დათმობა.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ კონფედერაცია უფრო მძლავრი და უკეთეს პირობებში იქნება, ვიდრე 1912 წლის ბალკანეთის კალიცია. სამაგიეროთ ოსმალეთი უფრო სუსტ და ძნელ პირობებში იქნება, ვიდრე 1912 წლის ომის დროს.

რა საშუალებები ექნება მოწინააღმდეგეს ჩვენთან ომის საწარმოვებლათ. ერთათ ერთი რკინის გზა, რომელიც ჩვენ საზღვრებამდე მოდის, ეს ჯერ ისევ რუსების მიერ დიდ ომის დროს აშენებული ვიწრო ლიანდაგიანი ერზერუმ-ყარაურგანის გზაა. ყარაურგანიდან უკვე ნორმალურ სიგანის ლიანდაგით უერთდება კონფედერაციის რკინის გზათა ქსელს (ყარს-გუმბრის შტოთი).

ოსმალეთის რკინის გზათა ქსელის ჩვენ საზღვრებისკენ ყველაზედ წინ გამოწეული საბოლოო სადგური, ეს სადგურ სივასი არის. იგი ჩვენ საზღვრებიდან დაახლოვებით 800 კილომეტრითაა დაშორებული. ჯერჯერობით მას სხვა რამე. რკ. გზა არ მოეპოვება. მოწინააღმდეგისათვის, კონფედერაციასთან საომარ ასპარეზის მთავარ საკვები ნერვი შემდეგი იქნება: შავი ზღვა სტამბოლიდან ტრაპიზონამდე და შემდეგ ტრაპიზონ აზრუმის შარა გზა. ეს უკანასკნელი ოსმალეთის მთავარი როკადა იქნება, რომელიც ჩვენი საზღვრების პარალელურათ მიდის დაახლოვებით 300 კლ. დაშორებით. ამ მოქმედებათა მთავარი ბაზები იქნებიან ტრაპიზონი და ერზერუმი. მხოლოდ შეძლებ სივასი.

გზათა ქსელის დიდი სისუსტის გამო, მოსახლეობის ძლიერ ნაკლები სიხშირის და მოსახლეობის დიდ ცენტრთა ძლიერ პატარა რიცხოვნობის წყალობით, ოსმალეთის ძალთა მობილიზაცია ძლიერ ძნელი და გაჭიანურებული იქნება. უფრო ცუდათ ეწყობა მის ძალთა კონცეტრაციის პირობანი. ოსმალეთის ძალები უნდა შეგროვდენ ჩვენ საზღვრებიდან შორს, დაახლოვებით აზრუმის მიდამოებში და ისეც გრძელ, რამდენიმე სანისიაო ნაწილებათ. მათი ეს კონცენტრაცია დაფარული იქნება მუდმივ მოსაზღვრე გარნიზონთა შედარებით ლონიერ ფარდით. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ეს გარემოება და მტრის ძალები ცალ ცალკე ვსპოთ ამავე სანისიონ ნაწილებათ მის შეგროვედა არ მივცეთ საშუალება მთლად შეგროვებისა.

როგორ გამოიყერებიან კონფედერაციის საშუალებანი?

მოსახლეობის სიხშირის, დიდ ცენტრების სიმრავლის და გზათა

ქსელის უკეთეს განვითარების გამო, კონფედერაცია თავის მობილიზაციას ოსმალეთზედ მუდამ ათ რამოდელიმე დღით ადრე გაათავება. აგრეთვე ძალების შეგროვებაში გვექნება დიდი უპირატესობა.

კონფედერაციას უკვე მოეპოვება სამი საზღვრებისაკენ მიმა-  
ვალი რკ. გზის ხაზი; სახელდობრი: თბილის-ბათუმის რკ. გზა. თბი-  
ლის-ყარსის რკ. გზა და ევლახ-შუშა-ერევნის რკინის გზა. ყველა ეს  
რკინის გზები გაორჟეცებულნი არიან პირველ ხარისხოვან პარალე-  
ლულ გზატკეცილებით. ამ საშუალებათა წინააღმდეგ ისმალეთს მო-  
ეპოვება მხოლოდ ორი ფრონტისაკენ მომავალი გზა ტკეცილი. ჩა-  
მოთვლილი პირობები ნებას მოგვცემენ მოქმედებათა ათ რამოდე-  
ნიმე დღით ადრე დაწყებისა, ვიდრე ამას ჩვენი მოწინააღმდეგე მო-  
ახერხებს. მოქმედების დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენთვის სახი-  
ფათოა არა თვით ის უსულო სივრცე, საიდანაც შეუძლიან მოწინა-  
აღმდეგეს ჩვენზედ გამოლაშქრება, არამედ ის ცოცხალი ძალები,  
რომელნიც აქედან დაიძრებიან, ეს ძალები კი შეიკრიფებიან აზ-  
რუმბაბურთის რაიონში. ჩვენ არ შეგვეძლება ამ მოქმედებათა 1878  
წლის რუსეთის გენერალ გეიმანის სახით წარმოება, რომელიც მთე-  
ლი თავისი ძალებით ზაქივით შუბლით დეეტაკა ყარსს და მთელი  
პირველ ხარისხოვანი კავკასიის ლაშქარი უმიზნოთ შააკვრევინა ის-  
მალეთის მცირე რიცხოვან მეორე ხარისხოვან ლაშქარს.

საჭირო იქნება ყარსის მინიმალური ძალებით შეკვრა - დაზვერ-  
ვა. დანარჩენი ჯარი შეიძლება შეგროვილ იქმნეს ორ ლაშქრათ.  
ირთი ახალციხე-ახალქალაქის რაიონში, მეორე უფრო სამხრეთით  
გუმბრ-ერევნის რაიონში. ამ ორ ძალთა შეერთება შესაძლებელი იქ-  
ნება უკვე ოლთისს-ჰასანკალის რაიონში და გარდამწყვეტი ბრძოლა  
გათამაშებული იქნება აზრუმ-ბაიბურთ-ისპირის რაიონში. ეს, დაახ-  
ლოვებით, ცნობილ ბასინის ველზედ გამოდის, სადაც თამარ მეფის  
ლაშქარმა ჯერ ისევ მე-12 საუკუნეში შეხვედრით ბრძოლაში გას-  
წერა სელჯუქთა დიდი ლაშქარი და სადაც, 1915 წელს დაამარჩეს  
რუსებმა ოსმალეთის ჯარი. არც ეს იქნება ახალი და შემთხვევითი  
მოვლენა. ეს სამხედრო პრაქტიკის მკვეთრი ხაზისგასმაა იმის, თუ საღ  
უნდა გადასწყდეს კავკასიის ბედი: ან მტკვრის ან ბასინის ველებზედ  
ე. ი. მას ან ანდერძი უნდა ეეგოს, ან უნდა გაიმარჯვოს. ეს ბუნების  
უცვლელი წესია.

ამგვარ ორ ლაშქრით მოქმედებას ერთგვარი სახითათო თვისება  
აქვს: ეს ორ ნაწილათ გაყოფის უხერხულობაა, მაგრამ ესეთ უპირა-  
ტესობათა ქონის დროს უნდა მოვახერხოთ ამ გამოცდის ჩაბარება.  
კონფედერაციის საზღვრების პასიური მოგერიება ძლიერ ბევრ ძა-  
ლებს შთანთქავს და ჩვენთვის ყოვლად მიუღებელი არის, ვინაიდან

მას არავითარი გარდაწყვეტის მოტანა არ შეუძლა. კონფედერაციის ყველა საშუალებათა სრულ გამოყენებისათვის და სამხრეთ ასპარეზის მთლიან გასრულყოფილებისათვის საჭირო იქნება შემდეგ რკ. გზების გაყვანა:

1. ქუთაის-ახალციხე-არდაგანი;
2. ბორჯომ-ახალქალაქი-არდაგანი;
3. თბილის-ახალქალაქი;
4. როვადა: გუმბრი-ახალქალაქი.

დიდი სამხედრო მნიშვნელობის გარდა, ამ გზებს ისეთი დიდ ეკონომიური მნიშვნელობა აქვთ, რომ მათი შემოსავლიანობა და დიდი რენტა ძლიერ ადვილს ხდის მათ აშენებას.

რჩება კიდევ ერთი ვარიანტის განხილვა, სახელდობრ: რუსეთთან და ოსმალეთთან ერთდროულ ომის შემთხვევა. ესეთ კოალიციის ოპერაციული შესაძლებლობანი აქტუალური ჯამი იქნება ყველა იმ ერთათ აღებულ შესაძლებლობის, რომელიც რუსეთთან და ოსმალეთთან ომის შემთხვევებში ცალ ცალკე იყვნენ განხილული. ამათ ემატებათ კიდევ ერთი ვარიანტი, რომელიც ჩვენთვის საგრძნობლათ სახითათ იქნება. სახელდობრ: შესაძლებელი ხდება რუსეთის ჯარების ოსმალეთში გადასხმა და ამით ჩვენ წინააღმდეგ მოქმედება კავკასიის ფრონტზედ. უნდა აღნიშნოთ, რომ ეს რუსეთის ნაწილები ოსმალეთის მხრიდან ჩვენ წინააღმდეგ მებრძოლნი ჩვენთვის უფრო სახითათონი არიან ოსმალეთის ფრონტზედ, ვიდრე იგივე ერთეულები ჩვენ ჩრდილოეთს ფრონტზედ მებრძოლნი. თუ გინდ იმიტომ, რომ ეს ერთეულები ოსმალეთის ფრონტზედ უფრო აღრე გამოჩნდებიან, ვიდრე თვით ოსმალთა ნაწილები. გარდა ამისა აქ მათ უფრო მეტი იმედები ექნებათ გამარჯვებისა, ვიდრე საკუთარ ფრონტზედ.

რამდენიმე მოწინააღმდეგებთან ერთდროულ ომის წარმოებას სამი ერთი შეორის აწინააღმდეგო დებულება აქვს.

1. მთელი ძალების უძლიერეს მოწინააღმდეგისაკენ მიმართვა.
2. მთელი ძალების ყველაზედ სახითათო მტრის წინააღმდეგ მიმართვა; აქ უნდა აღინიშნოს, რომ უძლიერესი მტერი ჯერ კიდევ არ ნიშნავს ყველაზედ სახითათო მტერს.
3. მთელი ძალების იმ სახელწიფოს წინააღმდეგ მიმართვა, რომელიც ყველაზედ ადვილათ შეგვიძლიან ვაძეულოთ ზავის შეკვრაზედ.

რუსეთ - ოსმალეთთან ერთდროულ ომის შემთხვევაში, რუსეთი უფრო ნაკლებათ ემუქრება ჩვენ სახელმწიფოს სასიცოცხლო ცენტრებს, ვიდრე ოსმალეთი. გარდა ამისა რუსეთს უფრო მეტ ხანს მოვიგრიებთ სულ მცირე ძალებით, ვიდრე ოსმალეთს. და ეს მაშინ, რო-

დესაც შედარებით სუსტი ოსმალეთს, საუცხოვო გზები აქვა კონფედერაციის სასიცოცხლო ცენტრებისაკენ და აქვს საშუალება ომი ჩვენთვის კატასტროფული სახე მისცეს. გარდა ამისა თვით დროებით მოგრძების წარმოება სუსტი ოსმალეთის წინააღმდეგ, ჩვენ სამხრეთ საზღვრების სპეციალურ ხასიერის გამო, უფრო მეტ ძალებს მოითხოვს, ვიდრე მოგრძების წარმოებული ძლიერ რუსეთის წინააღმდეგ. მაშასადამ, რუსეთთან შეედარებლივ სუსტი ოსმალეთი, რუსეთთან ერთდროულ ომის შემთხვევაში, ჩვენი ბუნების თვისებათა გამო, ჩვენთვის უფრო სახითვათოა ვიდრე დიდი რუსეთი. ამისთვის პირველი ჩვენი კვეთება ოსმალეთზედ უნდა იქმნეს მიმართული, მით უფრო, რომ მისი მოწინააღმდეგეთა რიგიდან გამოყვანა ყველაზედ აღვილი იქნება. ამისთვის საჭირო იქნება ჯერ საქმის ოსმალეთთან გათავება და შეძლებ მთელი ძალების რუსეთის წინააღმდეგ მიმართვა. აქ კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ვიღებ ყველაზედ უკიდურეს მდგომარეობას, როდესაც არც რუსეთი და არც ოსმალეთი არავითარ ომს არ აწარმოვებენ თავინათ დანარჩენ საზღვრებზედ. ჩვენ ძალთა განაწილებას ვიღებ შეძლებს: 15 დივიზია ოსმალეთის წინააღმდეგ და 5 რუსეთის წინააღმდეგ.

ეს შეფარდება უცვლელი უნდა დარჩეს ჩვენი ძალების გაზრდის და მიუხედავათ. დანარჩენი ყველა ზედმეტი ერთეული ამ ხუთ დივიზიის შეძლებ, მხოლოდ ოსმალეთის ფრონტზედ უნდა იქმნეს განწესებული.

აი ყველაზედ მძიმე პირობანი კავკასიის არსებობისა, და აი მის სურათის გამომეტყველება შესაძლებელ ყველაზედ შავ ფერებით დახატული. განგებ მხედველობაში ვიღებდი საგარეო პოლიტიკის მარტო ერთ იარაღს, მის შეიარაღებულ ძალებს. აქამდის, განზრახ. არცერი მითქვამს ჩვენ საერთაშორისო ურთიერთობის პოლიტიკურ სის მძღვანელობის მუშაობის შესახებ, რომლისათვისაც ძლიერ აღვითი იქნება დიდი შედეგების მიღწევა და შეიირაღებულ ძალთათვეს ჩგრი. თავდაცვის ძლიერ ბევრათ გაადვილება. კონფედერაციის ბრძოლა რუსეთთან, ეს ახლობელ აღმოსავლეთის ყველა სახელმწიფოს ბრძოლაა საკუთარ არსებობისათვის, ვინაიდან რუსეთის სამხრეთისაკენ წინსვლა მათ არსებობასაც ჩვენთან ერთნაირათ ემუქრება. კავკასიის ბრძოლა რუსეთთან, ეს ინგლისისათვის ყველაზედ საშიშ მოწინააღმდეგის ინდოეთის მიმართულებიდგან უკუგდება. გარდა ამისა, როგორც რუსეთს, აგრეთვე ოსმალეთს მოეპოვებათ სხვა მოსაზღვრე მეზობლები. რომელთათვისაც ისეთივე საფრთხეს წარმოადგენენ. როგორც ჩვენთვის ე. ი. ჩვენი მოკავშირეობა მათვების ბუნებრივი როოი იქნება. გარდა ამისა, ადრე თუ გვიან, ოსმალეთის პოლიტიკურ ხელ-

მძღვანელობის შეგნებაში უნდა შევიდეს, რომ დამოუკიდებელი და ძლიერი კავკასიონი ერთხელ და სამუდამოთ უზრუნველ ჰყოფს მათ ჩრდილოეთის საზღვრებს. აი ნიადაგი ჩვენ საგარეო პოლიტიკის ხელ-მძღვანელთათვის.

ჩვენ, მხედრობის მოვალეობათა გსოვლით, ყველაფერი ეს ავილოთ რაც კი შეიძლება მძიმე პირობებში და რეალურათ შევაფასოთ მდგო- მარება. გვაქვს თუ არა დამოუკიდებელ არსებობის პირობები. ვხე- დავთ, ბა-ბო, რომ გვაქვს შეძლება სრულ დამოუკიდებელ არსებო- ბისა და ამ არსებობის სრული მოვერიების და დაცვის ყველაზედ უძნელეს განცალკევებულ ომის შემთხვევაში. თუ კი აღმოვჩნდებით საქმის შეგნების და მის მოთხოვნილებათა სიმაღლეზედ.

ბოლოს და ბოლოს რაშია საქმე და რას მოგვთხოვს ჩვენ ჩვენი რეალური მდგომარეობა, ისტორია და არსებობის უფლებანი? მხო- ლოდ ერთს! მხოლოდ ერთს, რომ ჩვენ არსებობისთვის ჩვენ მოწინა- აღმდეგებს მივცეთ ერთი ბრძოლა, ერთდროულათ მთელ კავკასიონ- თან ერთათ და მთელი კავკასიონის და არა მის რომელიმე ნაწილის დასაცავათ. უნდა გავათავოთ კავკასიონის სისხლის სანისიონ ნაწილე- ბათ უმიზნო ფლანგვა. კმარა ამ გვარ უბედურობის ოც საუკუნის სი- გრძეზედ ჩვენ წინაპართა სისხლით დაწერილი გამოცდილება! აღა- რა გვაქვს აღარც ერთი გამოცდის და აღარც ერთი შეცდომის უფ- ლება! აღარა გვაქვს უფლება კავკასიის არსებობისათვის ბრძოლის თითოობლივ ოჯახის კერაზედ წარმოებისა. ამ ტრადიციამ ჩვენი წა- რსული რითმთა სუდარაში გაახვია და ჩვენ წინაპართა ინდივიდუა- ლურ ბუმბერაზობის სახით, ლამაზ საფლავში გამოამწყვდია. და ჩვენ ეროვნულ არსებობიდგან დაგვიტოვა მხოლოდ ძეგლი, დღეს შეგი- ნებულ კავკასიონის ნანგრევების სახით.

უნდა შევიგნოთ ჩვენ და შევაგნებინოთ მთელ ჭვეუნიერობას, რომ ადერბეიჯანი, სომხეთი, მთა, საქართველო — ეს მხოლოდ ჩვე- ნი შინაგანი კავკასიური ტერმინოლოგიაა, რომ უცხოელთათვის ეს სახელები არ არსებობენ, რომ მათთვის არსებობს მხოლოდ მთლიანი კავკასიონი, რომელიც შესძლებს უკარნახოს თავის სურვილი ყველა მათ, ვინც ჩვენ არემარეში თავის ინტერესებს დევებს. ამაზედაა და- მოკიდებული ჩვენი მომავალი, რომელიც იქნება ისეთი, როგორსაც დაგიშახურებთ. ჩვენი მოვალეობაა ვიმუშაოთ მისთვის, რომ იგი ჭა- ლარა კავკასიონის საკადრისი გამოდგეს, ვინაიდან გვაქვს ამის შე- ძლება.

აი ბატონებო, კავკასიონი და მისი მომავალი გზა! აი რისთვის უნდა იმუშაოს დღეს ყველა კავკასიელმა, და აი რისთვის უნდა აე- კრძალოს ყველას, წარსულის ანგარიშების გასწორებათა თავალსაზ-

რისით შეხება. ვისაც ჩვენი მომავალი სწამს, იგი მისთვის მუშაობას გასწევს. ვისაც ეს არ სწამს, იგი უკვე ისტორიის არქივს ეკუთვნის და წარსულის ანგარიშებს მომაკვდავის ავადმყოფურ სიჯიუტით ებლაუჭება და ამით აწმყოსა სწამლავს. აი ამისთვისაა, რომ ჩვენ წარსულის საანგარიშო დავთრები გაუღებლათ დახურულათ მიგვაჩინია, და ჩვენთვის მხოლოდ მომავალი არსებობს, რომელიც ურყევლათ გვრწამს. წარსულს ვეხებით მხოლოდ ისტორიულ გამოცდილების მოსაპოებლათ და არა სხვა რომელიმე მიზნით. აი ამ ნიადაგზედ ჩვენ მომავლისათვის მუშაობაში არ გვესმის; ვერ ვხედავთ ვერავითარ ხარისხოვნებულ განსხვავებას ვერც თითოობლივ ქართველთ და ვერც კავკასიელთა შორის.

### ვ. ნა — ლი

## საგუბრლოსათვის სამსახური

ყოველი ირჩევს იდეალს, რომელსაც ემსახურება;  
ერთი კლასთა ინტერესს, მეორე სამშობლოს, მესამე კაცობრიობას.

ქვემოთ მოყვანილია საკმაოთ თავისუფალი აზრები, მაგრამ ერთი მეორეში გადაბმული უდიდესი იდეით — სამშობლოთი.

სალუს პატრიი ლექს სუპრიმა ესტო (სამშობლოს კეთილდღეობა ეგ უდიდესი უფლებაა).

უდიდესი განძი შექმნილი ადამიანის კულტურის მიერ არს მცნება სამშობლო, უმშვენიერეს და საპატიო მოვალეობათ ადამიანისათვის გახლავთ სამშობლოსათვის სამსახური.

ვცხოვრობთ სწორეთ იმ ხანაში, როდესაც ამ მცნებამ საბოლოოთ გარეკვეული და ლამაზი სახე მიიღო. ვცხოვრობთ იმ ბედნიერ ხანაში, როდესაც სამშობლოს კეთილდღეობას ენაცვალა და დაემქვედებარა ეგოისტური ინტერესები ცალ-ცალკე კლასთა — როდესაც ყოველივე ცდა გამოყოფისა. მიუხედავათ იმისა მარჯვნივ წავა ეგ. თუ მარცხნივ — კიცხდება როგორც არამორალური და არარაციონალური.

დღეს სამშობლო არის არამც თუ სული, არამედ მატერიაც და მაშასადამე, კავშირი მასთან მოქალაქის — საესებითია.

ვცხოვრობთ ხანაში, როდესაც მცნება სამშობლო — სახელმწიფო სავსებით ეგუება საზოგადოების ცხოვრების ფორმებს და რო-

დეკაც დაბალი ფორმები, როგორც გვარი, ოჯახი და ტომი არიან მხოლოდ მისი შემადგენელი ნაწილები.

ვცხოვრობთ იმ ხანაში, როდესაც ბოლოს და ბოლოს შეგნებული იქმნა აბსოლუტური თეორიის სიყალბე, რომელიც ცდილობდა ყველაფრის დაპყრობას ინტერნაციონალის ზეესახელმწიფო ზედ.

ბოლოს და ბოლოს ვიგნებთ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებს მაშვინ აქვთ ასებობის უფლება, თუ კი ააღვილებენ ხალხთა შორის ურთიერთ ცხოვრებას და არა მაშვინ, როდესაც ყოველი ერის სამშობლოს გვერდით ჰქმიან ეფექტულ საკაცობრიო სამშობლოს.

ბოლოს და ბოლოს ვიგნებთ, რომ სანამ ასებობს განსხვავება ცალკ-ცალკ ერთა შორის, ცხოვრება უნდა განაგოს ისეთ ფორმებით. რომელიც კი ანგარიშს გაუწევენ ერთაშორის ასებულ განსხვავებას.

დღეს განვიცადეთ სიკოტრეს ხარბი ინტერნაციონალური იდეის. რომელიც ანგარიშს არ უწევდა სინამდვილეს. მოწმენი გავხდით ამ იდეის ყოველმხრივ გაკოტრების, მთელი თავისი სიგანით დაწყებული იდეოლოგით კაპიტალისტური ქვეყნიერებისა — ერთა ლიგა. საერთაშორისო კონფერენციები და გათავებული კომუნიზმ-კომინტერნის იდეოლოგით.

შეიძლება ზოგიერთს ეკონოს, რომ გაკოტრდა უკანასკნელი სიტყვა ჩვენი კულტურის — იდეა ზეესახელმწიფოსი და ამ უკანასკნელ სიტყვასთან ერთათ თვით კულტურაც.

არასოდეს! გაკოტრდა მხოლოდ არარეალური მიმართულება კაცობრიობის აზრისა და ამ გაკოტრების წყალობით უფრო აშკარა ხდება გამარჯვება ცხოვრებასთან შეფარდებულ, რეალური იდეისა და ფორმებისა.

ასეთ პირობებში მართლაც რომ გვაქვს უფლება აღვიაროთ. რომ უდიდესი განძი, რომლის მქონი არის დღეს კაცობრიობა, გახლავთ მცნება „სამშობლო“.

გვაქვს უფლება მოვითხვოთ, რათა ინტერესები ცალკ-ცალკი ჯგუფთა და წრეებისა დაემჭვემდებაროს სამშობლოს ინტერესებს: გვაქვს აგრეთვე უფლება მოვითხვოთ, რომ საერთაშორისო მუშაობა მიმართული იყოს იმ გზით, რომელიც გააადვილებს ერთა შორის ურთიერთ ცხოვრებას და არა მას მოსპობს.

დღევანდელი საზოგადოების ცხოვრების მთავარ აზრათ არის სამშობლო!

ვართ წინააღმდეგი ინტერნაციონალის მთელი მისი შემოქმედებით, დაწყებული ერთა ლიგით, თუ კი ის უარყოფს ერთა იდეას, სახელმწიფოს და თავის თავს ჰყოფს მიზნათ. მიუხედავათ ამისა აზრათ არა გვაქვს კრიტიკა უყოთ მათ, რომელნიც ბრძოლაში ჩვენი დამო-

უკიდებლობისათვის ეძებდენ ხსნას ამ ინტერნაციონალში: ახლო წარ-სულში ინტერნაციონალი წარმოადგენდა რეალურ ძალის, რომლის აბუქათ აგდება იმ ხანებში შეუძლებელი იყო; კაცობრიობის შემცდა-რი აზროვნების გამო, ეს ძალა რეალურ ფაქტორს წარმოადგენდა.

როგორ უნდა შევიგონოთ მცნება სამშობლო?

როგორი უნდა იყოს ჩვენი განწყობილება და სამსახური სამშო-ბლოსადმი?

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ დღეს განვიცდით ისეთ ხანას, როდესაც ამ მცნებამ გარკვეული სახე მიიღო და მიაღწია უმშვერიერეს გამომე-ტყველობას. ამ მცნებას ჩამოშორდა ზედმეტი რელიგიური ელემენტე-ბი და გადაჭარბებული ასპირაციები კლასებისა.

დღევანდელი — სახელმწიფო წარმოადგენს ორგა-ნიზებს, რომლის შემადგენლობაში შედიან მოქალაქენი და არა წევრი ცალკ-ცალკე კასტებისა და ჯგუფებისა, შედიან ხალხნი შეკავშირე-ბულნი ერთობრივი ტრადიციებით, რომელთა შეხელულება თავისი ერის ცხოვრებაზე არის ერთსულოვანი, შედიან მოქალაქენი, რომელ-თაც შეგნებული აქვთ ერთობა და განსხვავება მეზობლებისაგან.

ჩვენი სამშობლო არის კავკასია — მჭიდრო ერთეული, რომელიც გეოგრაფიულად და ეთნოგრაფიულად, ისტორიულად და კულტუ-რით განსხვავდება თავის მეზობლებისაგან. კავკასიაში ცხოვრობენ კავკასიელები, რომელთაც შეგნებული აქვთ თვისი ვინაობა და განს-ხვავება, რომელთაც არა სურთ ვისიმეს უღლის ქვეშ ყოფნა.

ლირს ვემსახუროთ ასეთ სამშობლოს, რა გინდ მძიმე ან ნაკლებ სარგებლიანი არ მოგვეჩვენოს ეს სამსახური.

სამშობლოსათვის სამსახური არის უდიდესი ლირსება, როგორიც წილათ ხვდება ადამიანს და მით მეტად ლირსეული არის ის, რამდე-ნათ უფრო გაულენთილი არის იდეით.

მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეგ სამსახური იდეალურათაც შე-გნებული აძლევს ადამიანს ბარაქას, როგორც მატერიალურს, ისე სურიერსაც.

ადამიანთა ხასიათები განსხვავდებიან და ძნელია მოვთხოვოთ მათ, რომ ერთნაირი განწყობილება იქონიონ სამშობლო — სახელ-მწიფოსადმი.

არც არის ეგ საჭირო და არც კარგია.

ყოველთვის ერთნი შესცეკრიან სამშობლოს, რომელსაც იმსა-ხურებიან, როგორც იდეალს. მეორენი კი როგორც ინტერესს, ცო-ტათ თუ ბევრათ სარგებლიანს.

დევ ეგრეც იყოს! არის ეგ მოვლენა საერთაშორისო თა ბრძოლა ამის წინააღმდეგ უნაყოფოა.

ერთი კი რამ უნდა მოვთხოვოთ და ვეცადოთ მივაღწიოთ, სა-  
ხელდობრ: — იდეალისტებისათვის იდეალათ და მატერიალისტები-  
სათვის მატერიათ ყოფილიყოს სამშობლო და რომ ისინი მის საზღვარ  
გარეთ არ გამოსულიყვან. ერთი კი რამ უნდა მოვთხოვოთ და ვეცადოთ მივაღწიოთ, სა-  
ხელდობრ:

ასეთ პირობებში ყველანი განუყრელათ სამშობლოსადმი მიდ-  
გომისა, ემსახურებიან ქვეყანას. ვიმეორებ, ეგ სამსახური იქნება სხვა  
და სხვა ფეროვანი, მაგრამ სხვაობაც საჭირო და კარგი არის, ვინაი-  
დან შრომას აწარმოებენ ყოველ დარგში, ყოველ მიმართულებით  
და შრომის ნაყოფი მეტად პროდუქტიული და სხვა და სხვა ფეროვანი  
იქნება.

ადამიანის ბუნება ისეთია, რომ გარდა იდეური და აბსტრაქტიუ-  
ლი ფესვისა შეიცავს მატერიალურ თვისებებსაც; მაშასადმე საჭიროა  
როგორც ერთი ისე მეორე შეუხმატებილო სამშობლოს.

ჩვენი იდეალი — ჩვენი სამშობლოა, ამავე დროს არის ის ჩვენი  
მკვებელი.

დაამახასიათებელ თვისებათ სამშობლოსადმი სამსახურისა არის  
ამ სამსახურის მუდმივობა. ეგ სამსახური უნდა არსებობდეს ყოველ-  
თვის და განუწყვეტლივ, როგორც სახელმწიფოს აყვავების, ეგრეთვე  
დაქვეითების ხანაში. როგორც ვსთქვით, სამშობლოსადმი სამსახური  
არის მუდმივი, მაგრამ ამავე დროს არის ელასტიური და ცვალებადი.  
ეგ საესებით აშკარაა — სხვა და სხვა დრო და სხვა და სხვა პირობები  
მოითხოვენ ყოველ მხრიულ მუშაობას, შეფარდებული ცხოვრების  
ცვალებად პირობებთან. არასოდეს ხელი არ უნდა ავილოთ მუშაობა-  
ზე თუ გინდ მძიმე და არა მადლიერი მოგვეჩვენოს ჩვენ ის.

როგორც ვსთქვით, სამშობლოსადმი სამსახური უნდა შეფარდე-  
ბულ იქმნას დროსთან, რომელსაც ადგილი აქვს.

ვნახოთ, რა დროს განვიცდით ამ ჟამათ.

ვცხოვრობთ იმ ხანაში, როდესაც კავკასიაში დაკარგა თვისი და-  
მოუკიდებლობა და წინააღმდეგ თვისი სურვილისა შევიდა იმ სახელ-  
მწიფოს შემადგენლობაში, რომელიც თავის თავზე ახდენს ისეთ  
უზარმაზარ სოციალურ ეკსპერიმენტს, რომლის მზგავის კაცობრიო-  
ბის ისტორიაშ არც კი იცის; ახდენს თავის თავზე არარეალურ და მი-  
უღწეველ ეკსპერიმენტს.

ასეთ პირობებში ჩვენი მუშაობა პირველ ყოვლისა მიმართული  
უნდა იქმნეს კავკასიის დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, გარდა  
ამისა უნდა მივმართოთ ცდა, რათა ქვეყანა გამოვიყვანოთ დღევან-  
დელ პირობებიდან რაც შეიძლება ნაკლებ დაზარალებული.

მაგრამ გვაქვს თუ არა რაიმე იმედი გამოვიდეთ გამარჯვებული  
დიდ 160. 000. 000 ერთან ბრძოლაში?

კარგათ ცნობილია, რომ მომეტებული წილი ხელოვნურათ შე-  
ქმნილი დიდი სახელმწიფოები სდგანან სუსტ ფეხებზე.

უყოთ ანალიზი მტერს, რომელიც გარს შემოგვერტყა ჩვენ, ჩვენს  
ძალებს და შეძლებისობას.

დასკვნები აქედან გამოტანილი მოგვცემენ შეძლებას გავარკვი-  
ოთ გზა, საითკენაც უნდა მიემართოთ ჩვენი მუშაობა.

ძნელი იქნებოდა კავკასიის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება,  
თუ კი დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა როგორც საბჭოთა,  
ისე საერთაშორისო ფარგლებში, ყოფილიყოს უცვლელი.

ამის შიში არ უნდა გვქონდეს.

არანორმალურ მდგომარეობას ცხოვრება დიდ მანძილზედ ვერ  
ითმებს.

საბჭოთა სახელმწიფოს დღევანდელი მდგომარეობა არ არის ნო-  
რმალური, არც საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობაა ნორმა-  
ლური; მაშასადამე არც ერთი არც მეორე საუკუნოებით ვერ იარსე-  
ბებს.

არ არის სრულებით საჭირო ბევრი ვიბასოთ ჩვენს მტერზედ.

იმ სახელმწიფოში, სადაც ადგილი აქვს მიუღწეველ ცდებს, სა-  
დაც მოქალაქენი ცხოვრობენ არა ნორმალურ პირობებში — ადგილი  
უნდა ჰქონდეს ფერმენტებს და აღშფოთებას, რომელიც ჯერ-ჯერო-  
ბით არის მიმალული, მაგრამ თავს გამოყოფს ხელსაყრელ პირობებში.

გარდა ამისა არ უნდა დავივიწყოთ, რომ საბჭოთა სახელმწიფო  
ევ ხელოვნურათ და ძალით შექმნილ სხვა და სხვა მრავალ ერთა კრე-  
ბულს წარმოადგენს.

ასეთ პირობებში არ შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა სახელმწი-  
ფოს შინაგანი მდგომარეობა ყოფილიყოს მაგარი და გამოუცვლელი.

ასევე ითქმის დღევანდელ საერთაშორისო მდგომარეობაზედ.

აუარებელი სადაცო საკითხების გადაჭრა უკონფლიქტოდ შეუ-  
ძლებელია.

დღევანდელი სუსტი საერთაშორისო მდგომარეობა გამოწვეული  
წარსული ომებით და მომავალი ომის მოლოდინით დიდხანს ვერ გას-  
ტანს, აღრე თუ გვიან კონფლიქტი იფეთქს და ამ კონფლიქტში ჩათ-  
რეული იქნება საბჭოთა სახელმწიფო.

სწორეთ ამ დროს თავს ამოჰყოფენ ამ ეამათ მიმალული ფერმენ-  
ტები. აღშფოთება და დაიწყება ამ სახელმწიფოს დეზორგანიზაცია.

ამაზე გავათავებთ ბას მტერზე და ქვეყნიერებაზე.

ვნახოთ ეხლა თუ რას წარმოვაღენთ თვით ჩვენ, რა ძალების და  
შეძლებისების პატრონნი ვართ?

კავკასიაში შეგვიძლია დავადასტუროთ ერთი ფრიად საგულის-

ხმო მოვლენა — სახელდობრ ეროვნული შეგნება და ამასთან ერთათ შეგნება და აუცილებლობა კავკასიის დამოუკიდებლობისა.

ამას კიდეც ამოწმებს საზღვარგარეთელი პრესა, ჩვენდამი არც მაინც და მაინც კარგათ განწყობილი.

დღევანდელი კავკასია სრულებით არ ჩამოგავს 1918 წ. კავკასიის. გარდა ამისა დღევანდელი კავკასია, რომელიც მტერს უყენებს ყველა ტომებისაგან შემდგარ პარტიზანულ რაზმებს, არ არის ის ძე-ლი კავკასია, რომელიც მოწმე იყო ტომთა შორის ქიშპობისა და ომებისა (კარგათ ცნობილია თუ ვინ იყო ამ ომების მომწყობი, თანახმათ დივიდე ეტ იმპერა).

კონფედერაციის პაქტი არ არის შექმნილი უცხოეთში მყოფ პოლიტიკურ ერიგრაციის მიერ, არამედ დაგვირგვინება იმსა, რაც იქ ადგილზედ შეიქმნა ინსტიქტიურათ.

სალვარგარეთელი პრესა, მართალია, ხაზს უსვამს ეროვნულ შეგნების გაზრდას, მაგრამ სცდება ის, როდესაც ამას აკუთვნებს საბჭოთა ცენტრალურ მთავრობის „ჰუმანიტარულ“ განკარგულებებს და „პატრიოტ“ სტალინის გავლენას.

კავკასიაში ეროვნულ შეგნების გაძლიერება მოხდა არა საბჭოთა პოლიტიკის წყალობით, არამედ სულ სხვა ფაქტორებს ამ შემთხვევა-ში აქვს აქ ადგილი ერთ დიდ ფაქტს, რაზედაც პრესა ან სდემის ან აბუჩათ ივდებს — ეს არის მცირე ხანა ჩვენი დამოუკიდებლობისა.

ბოლშევიკურ უფლებამ და მათმა პოლიტიკამ კი არ გაამწვევა ეროვნული შეგნება, არამედ დამოუკიდებლობის სამი წლის ხანამ.

კავკასიამ შეიგნო სავსებით, რომ ეროვნული საკითხი დღეს მისთვის სასიცოცხლო საკითხს წარმოადგენს და მსა უნდა დაექვემდებაროს ყოველი სხვა საკითხი.

თუ კი 1918 წ. კავკასია მხოლოდ იღვიძებდა და ძლივს თვალებს ახელდა ასი წლის მონაბის შემდეგ, დღეს ის წარმოადგენს გალიაში მომწყვდეულ გაშმაგებულ და მრისხანე არწივს, რომელსაც კარგათ ახსოვს თავისუფლების დღენი.

ცუდათ ერკვევა საკითხში და სცდება ის, ვინც ეროვნულ შეგნების გაღვივებას აწერს კომინტერნს.

საბჭოთა ხელის უფლების უხეშმა ძალამ უფრო გააღვივა ეროვნული შეგნება — აი მათი როლი!

ეგრე დგას ჩვენი საკითხი. ეხლა კი განვიხილოთ თუ რა ეგები-სი ვითარება ექნება შემთხვევებს მომავალში.

საბჭოთა ხელისუფლების დღევანდელი მდგომარეობა არ არის მუდმივი, არამედ ევოლუციის გზით იცვლება დღითი-დღე. ასეთი მდგომარეობა გასტანს იქამდისინ, სანამ მოსკოვი არ იქნება ჩათრეუ

ლი რაიმე კონფლიქტში, რომელსაც საერთაშორისო ხასიათი ექნება. სწორეთ ამ დღეს გათავდება მათი სიარული სწორ გზაზედ და ამი-ერიდან ცვლილებები ერთი მეორეს მოჰყვება ჭიქაქუხილით.

უნდა შევიგნოთ ევოლუცია როგორც გამოცვლა დღევანდელი ყოფა-ცხოვრების და თანამდებობის დაახლოება ნორმალურ ფორმებთან და შინაარსთან. ასეთი ცვლილებებით უნდა ვისარგებლოთ და გამოვიტანოთ სარგებლობის მაქსიმუმი. მაგრამ იმასაც ანგარიში უნდა გაუწიოთ, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ფარგლებში ევოლუციით გამოწვეული ცვლილებები, ხშირად მიმართული იქნება ფორმალურათ ჩვენი საკითხის და სურვილის შინააღმდეგ, როგორც მაგალითად ყოველივე ცენტრალური მოქმედება. მაგრამ ამ შემთხვევაშიაც, მთავრობის ასეთი მოქმედება უნდა გამოყენებულ იქმნას ჩვენი „შინაგანი პოზიციების“ გასამაგრებლათ, ე. ი. თვით კავკასიელებ შორის, კავკასიის დამოუკიდებლობის იდეის გასამაგრებლათ (როგორც რეაქცია მოსკოვის მთავრობის მოქმედების საწინააღმდეგოთ).

დღეს დღეობით მთელი ჩვენი ცდა უნდა მიმართულ იქმნას იმისაკენ, რათა გამოვიყენოთ ჩვენს სსარგებლოთ ყოველ გვარი ცვლილება; ამავე დროს უნდა ვეცადოთ უფრო მეტად გავაღვივოთ კავკასიის ეროვნული შეგნება, რათა კლდესამებრ მაგარ ერთ სხეულში დაგავაგშიროთ კავკასია და საბოლოვოთ დავაგვირგვინოთ მისი დამოუკიდებლობა.

შინაურ მუშაობასთან ერთათ, უნდა იქმნას ტარებული ინტენსიური მუშაობა ქვეყნის საზღვარგარეთაც. ასეთ მუშაობას მიზნათ უნდა პქნდეს ჩვენი საკითხის აკტუალობა და უცხოეთის შეგნება, რომ კავკასიის დამოუკიდეობლობა არის საკითხი რეალური და მეტის მეტად მიზანშეწონილი.

დღევანდელ მუშაობას ორი მიმართულება უნდა პქნდეს: ერთის პხრივ დაპყრობა თანამდებობით და ნაბიჯ-ნაბიჯ ყოველივე იმისა, რის დაპყრობაც შეიძლება დღევანდელ პირობებში; მეორეს მხრივ კი — სათანადო მომზადება ყოველივე იმისა, რაც მისცემს შეძლებას კავკასიის გამოვიდეს მაქსიმალური ძალებით გარდამტებ ხანაში, მაშინ, როდესაც რუსეთს მოესპობა ევოლუციის გზით სვლის შესაძლებლობა.

ამ მომენტის გაშვება არ შეიძლება და რომ ეგ არ მოხდეს, საჭიროა ინტენსიური მუშაობა შიგნით და გარეთ.

გარეთ მუშაობა ვალათ აწევს დღევანდელ პოლიტიკურ ემიგრაციას. მის წმინდა მოვალეობათ უნდა იყოს ჩვენი საკითხის აკტუალობის ქადაგება. როგორც მმართველ წრეებში, ასე უცხო ფართო საზოგადოების შორის.

გარდა ამისა პოლიტიკურ ემიგრაციას, რომელიც ცხოვრობს და

მუშაობს ბევრათ უკეთეს პირობებში, აწევს კიდევ ერთი დაზღი შოვალეობა, სახელდობრ — კავკასიურ აზრებს მისცეს გარკვეული ფორმა. ემიგრანტულ მუშაობას უნდა მიეცეს სათანადო მიმართულება.

აქნობამდი ფართე საზოგადოება ემზადებოდა იმ შრომისათვის, რომელიც მას მოელოდა შინ დაბრუნებისას. მთელი მუშაობა შესცეროდა მომავალს, რამაც დაბადა ერთგვარი მოლოდინის პსიჩიკა, თვით შრომა კი უნაყოფო და ერთფეროვანი დარჩა, ვინაიდან არ უწევდა ანგარიშს დროის სირთულეს.

ადგილი ჰქონდათ წარსულის მოგონებებს, მომავალზე ფიქრებს და დაგვაკლდა რეალური დღევანდელი დღე.

დიდი წილი ემიგრაცისა საუბედუროთ შეეჩია ისეთ ფიქრებს, ვითომც ვინმე ან რამე მათ იხსნის და შინ ჩაიყვანს. საქსებით ვერ შეუგნია, რომ სამშობლოს გასანთავისუფლებლათ საჭიროა მუშაობა. დღევანდელი მუშაობა, თუნდაც ხდება ძალიან ვიწრო ფარგლებში, მაინც უნდა წარმოებულ იქმნას და მეტად საჭირო არის — მისი აბუჩათ აგდება არ შეიძლება.

გარდა ამისა არ უნდა დავივიწყოთ, რომ ემიგრაცია, უცხოეთში დიდ ხანს ცხოვრებით, იმყოფება სპეციფიურ პირობებში და ამიტომ მიქცეულ უნდა იყოს ყურადღება, რათა არ დაკარგოს კავშირი მამულთან. მიალწევს ამას ემიგრაცია პირველ ყოვლისა მაშვინ, როდესაც იმუშავებს დღევანდელი დღის სიბრტყეში, რაც მას მისცემს შეძლებას შეიგნოს კავკასიის დღევანდელი მდგომარეობა — ეს ერთი მხარე კავშირისა, გარდა ამისა ეგეთ მუშაობას იგრძნობს მამული — ეგ მეორე მხარე კავშირისა.

ეგრე შეგნებული სამსახური თავისი სამშობლოსათვის გახლავთ მხერე, რაციონალური და ღირსეული.

სამშობლოსათვის სამსახური არის უდიდესი ღირსება ადამიანისათვის. უნდა იყოს მუდმივი, მაგრამ ყოველთვის შეფარდებული ცხოვრების ცვალებად პირობებთან.

უნდა იყოს ეგ სამსახური ინტენსიური, როგორც აყვავების ხანაში, აგრეთვე განცდის მომენტებშიაც.

სამშობლოს ემსახურებით, ვინაიდან ის გვიყვარს, ვინაიდან მასში სძევს ჩვენი ინტერესები.

სამშობლოს უნდა ვემსახუროთ ყოველთვის. ხელების დაკრეფა არასოდეს არ შეიძლება. რამდენათ უფრო მძიმე პირობებში გვიხდება მუშაობა, რამდენათ უფრო მეტ მსხვერპლს და თავდადებას ითხოვს, იმდენათ უფრო ღირსეულია.

კარგი მსახური მაშვინ გამოდის ასპარეზზე, როდესაც სამშობლო განსაცდელის პირობებში იმყოფება.

რამდენათ მძიმე და გამოუსვლელი არ მოგვეჩენოს დღევანდელი მდგომარეობა, უნდა ყოველთვის გვახსოვდეს, რომ ეგეთი დრო კავკასიას არა ერთხელ განუცდია.

უნდა გვახსოვდეს მისი გრძელი საუკუნოების მანძილზე არასოდეს ადგილი არ ჰქონია ისეთ შემთხვევას, რომ დაპურობილი მტრის მიერ, კვლავ გამარჯვებული არ გამოსულიყო.

კავკასიაზე გაიარეს მაკედონელებმა, გაიარეს რომის რკინის ლეგიონებმა; ჩვენს მიწა-წყალზე გვინახავს სპარსელები, არაბები, ბიზანტიელები, მონგოლები, თურქები და ბევრი, ბევრი სხვა ვინმე, რომელთა სახელწოდება ისტორიას არც კი შეუნახავს.

ყველანი ისინი მოვიდენ და .... წავიდენ, კაუკასია კი სუგას და კიდევაც იდგომება.

როგორც ძველმა მოლაშქრეებმა, აგრეთვე დღევანდელი მტერია სამშობლოს დასტოვებს, ვინაიდან ჩვენ ეგრე გვინდა, ვინაიდან ჩვენ ამას მიერჩივთ!

კავკასია კვლავ ააფრიალებს მაღლა დროშას და ეს იქნება უმშვერიერესი, ვინაიდან იქნება პირველი დროშა გაერთიანებული სამშობლოსი.

კავკასიას უნდა ვემსახუროთ

და ღირს სამსახური მისდამი!

და ამ სამსახურში, როგორც განცდის აგრეთვე აყვავების ხანაში ჩვენს ლოზუნგათ დევ იყოს დიდი კაცის დიდი სიტყვები, რომელიც ანალოგიურ პირობებში იმზომდა და ბრძოლით მოიპოვა თავისუფლება თვისი ქვეყნის.

აი სიტყვები იმედით სავსე და ცხოვრების ღრმათ შეგნებით ნაკარნახევი: —

„იყო დამარცხებული და არ დანებდე — აი გამარჯვება, გაიმარჯვო და ხელები დაკრიფო — აი დამარცხება!“.

1-12-1934.

ლ. შ — ლი

## მხედრის ფიქრები

შალვა ამირეჯიბის წერილის „რჩევა ომისა“-ს გამო  
(უურნალი „მხედარი“, რვეული 17)

ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა  
და ან ცაში ვარსკვლავები?  
ვინ შეამკოს ღირსეულად  
ქართველ გმირთა მხარ-მკლავები?  
აკაკი

დიდი სიამოვნებით და დიდი ყურადღებით წავიკითხე ბ. შ.  
ამირეჯიბის წერილი. ნეტავი ამისთანა წერილები გვაწოდონ ხოლ-  
მე მათ, ვინც კარგი მცოდნე არის ჩვენი ისტორიისა. ჩვენ ბევრი არ  
ვიცით ჩვენი თავგადასავალისა. ჩვენ, მხედრებს, ბევრს შეეგძენ ამისი  
ვოლნა. აი, დღესაც გავუზიარებ მკითხველს იმ ფიქრებს, რაც მო-  
მივიდა თავში, როცა წავიკითხე ბატონ შალვას წერილი.

სხვათა შორის, ამისთანა წერილები აღვიძებენ ადაპარში აუკან და  
სხვა ფიქრს, სურვილებს, ძალაუნებურად აფიქრებიებს იმაზე, რაზე-  
დაც წინად არ უფიქრია. ჩვენი ემიგრანტული უურნალები კი სულ  
სავსეა პოლიტიკურ აზრებით და ერთმანეთის შელახვით. ბ. შალვას  
წერილის კითხვაზე კი კაცი ისვენებს.

ბ. შალვამ სამხედრო სპეციალისტებს დაუსვა კითხვა, ვინ იყო  
ამ „ომის რჩევაში“ მართალი: „მოცდის“ მომხრენი თუ „შებმის“?

ამაზე მხრივ ერთი პასუხის გაცემა შეიძლება: ისინი, ვინც  
შებმის მომხრენი იყვნენ, მართალი არ იყვნენ, რადგან რჩევის შემ-  
დეგ გადასწყვიტეს შებმა და ამით არა თუ დამარცხდნენ, გაანაღუ-  
რებინეს სამშობლო.

ომში უნდა მოიგოთ არა ერთი ან რამდენიმე შებმა (ბრძოლა),  
არამედ უნდა მოიგოთ ომი საბოლოოდ, გაიმარჯვოთ მტერზე საბო-  
ლოოდ, გადაარჩინოთ თქვენი მიწა-წყალი, თქვენი სამშობლო. რა  
საშუალებით მიაღწევთ ამას, ყველა მართალი იქნება თუ გამარჯვება:  
თქვენს მხარეზეა. ამიტომ გადაჭრით ვამბობ, რომ „შებმის“ მომხრე-  
თქვენს მხარეზეა. ამიტომ გადაჭრით ვამბობ, რომ „შებმის“ მომხრე-  
თქვენს მხარეზეა. ჩემ სიტყვიდან თითქოს ის აზრი იბა-  
დება, რომ მართალი, მაშ, „მოცდის“ მომხრენი იყვნენ! შეიძლება:

მაგრამ არ ვიტყვი ამას. იმიტომ, რომ არ ვიცი, რითი გათავდებოდა საქმე თუ „მოცდის“ მომხრეთა აზრი გაიმარჯვებდა.

სამხედრო ხელოვნებაში უნდა ვსწავლობდეთ როგორ დავამარცხოთ მტერი, რა ხერხით, რა ზომებით, რა მეთოდით, ესე იგი -- როგორ გავიმარჯვოთ. ამიტომ მხედარი უნდა სწავლობდეს განსაკუთრებით ისეთ სარდლების ომებს, საიდგანაც ეს სარდლები გამარჯვებულნი გამოსულან. ეს არა ნიშნავს, რომ შესწავლილი არ იყოს ის ბრძოლები, რომლებშიაც ესა თუ ის სარდალი დამარცხებულა და არ ვეძებოთ დამარცხების მიზეზები. სრულებითაც არა! მაგრამ, საერთოდ, დამარცხების მიზეზების შესწავლა, ჩვენ მოვგიტანს მხოლოდ იმას, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ არ ვიყოთ დამარცხებული და მხოლოდ არ ვიყოთ დამარცხებული. ჩვენ კი უნდა ვეძებდეთ, არა მარტო იმას, თუ როგორ ავირიდოთ დამარცხება, არამედ ვეძებოთ ზომები, ხერხები, მეთოდები, თუ როგორ მოვიპოვოთ გამარჯვება. მაშასადამე, შესწავლა, გარჩევა იმ სარდლების მოქმედებისა, ვის მხარეზედაც საერთოდ მუდამ იყო გამარჯვება, მოუტანს მკვლევარს ნამდვილ ნაყოფს, დაახელოვნებს მხედარს.

ამიტომაც დიდი ნაპოლეონი ამბობდა, თუ ომში დახელოვნება გსურთ, დიდ ხელოვნურ (ესე იგი გამარჯვებულ) სარდლების ომები შეისწავლეთო.

რაც შეეხება მარაბდის ომს, ჩვენს წინ არ გახლავს მასალები, რომ ეს „შებმა“ (ბრძოლა) გავარჩიოთ და ვსთქვათ, სად იყო დამარცხების მიზეზი. იქნებ დამარცხების მიზეზი არ იყო მხოლოდ „შებმა“ და არა „მოცდა“ და იქნება ამისი მიზეზი იყო ცუდი ხელმძღვანელობა თვით ბრძოლის დროს, ან რამე მოულოდნელობა, ღალატი, ან ლაჩრობა? ვინ იცის!...

რაც შეეხება „მოცდას“, პირადათ მე მიმაჩნია, რომ გიორგი საკაძის მოსაზრებანი მართალი არიან. შექმნილ მდგომარეობას ყველაზედ მეტად მისი აზრები ეგუებიან. „შებმის“ მომხრენის აზრებიც საერთოდ მართალი და სწორნი არიან, მაგრამ მხოლოდ საზოგადოთ და შექმნილ მდგომარეობას არ ეგუებიან. მაგალითად, უმრავლესობის აზრი, რომ „ისინი (მტერი) აქ არ მოდიან“ — „არსად წავლენ იქიდან“-ო, დარჩება მტერი თავის ალაგას თუ არა, დაიძვრება აქეთ, თუ იქით, ან გაბრუნდება — აბა, ვის ეცოდინება! სამხედრო ხელოვნებაში სარდალი უნდა ანგარიშობდეს თავისი მიზნის და განზრახვის მიხედვთ და არა მტრის. ვის ეცოდინება მტრის ზრახვანი, მისი ფიქრები? იქნებ ყორჩიბაშ ისახანი განვებ იდგა მარაბდაში და ელოდა, რომ ქართული ლაშქარი თავისი მაგარი ადგილებიდგან გამოსულიყო. მაშასადამე, ქართული ჯარის მარაბდაზედ დაშვება იყო ას-

რულება იმის, რასაც სპარსი სარდალი ლამობდა. სამხედრო მოქმედებისას კაცმა არას დროს არ უნდა აასრულოს ის, რაც მტერს სურს. ეს ერთად ერთი ხერხია. მტერი ბრუნდება, მიღის — არ უნდა გაუშვა და მაშინვე უნდა ჩაეჭიდო! მტერი მოდის წინ, თქვენსკენ წამოიწია — მაშინვე დაჰკარი, გაბრუნე! მტერს მარცხნივ უნდა წასვლა — არ გაუშვა! მარჯვნივ — არც მარჯვნივ გაუშვა! ესე იგი, ყველა მისი მოქმედებით გამორკვეული ზრახვანი მაშინვე უნდა შეშალო. ასეთი უნდა იყოს ყველა მხედრის უპირველესი წეს-ჩვეულება. გიორგი სააკაძის აზრები, როგორც „სიცხეა და მისჭირდება“, „ქვეითობა იქ არ ვარგა“, „მინდოორად ნუ ჩავალთ“, „ჩვენს აქდგომასა ვერ სცნობენ“, „ქალაქს შემოვლენ თავშვრილად“ სავსებით ცხოვრებას და სინამდვილეს ეგუება. მაგალითად: ქალაქს შემოვლენ თავშვრილად“ — ეს იმას ნიშნავს, რომ იგი, მტერი, მინდოორს თავს დაანებებს და ქალაქს შემოუტევს ვიწრო წყებით, — ეს მართალია. რადგანაც მარაბდილგან (მინდვრილგან) სხვა რიგად ქალაქის შეტევის მოწყობა არ შეიძლება. და ის, როცა წყება ვიწრო არის, მაშინ უპირატესობა იმ ჯარს ჩეხება, რომელიც უფრო მეღვარია და ხელოვნური. ამისთანა შებმაში უმრავლესობას ისეთი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც გაშლილ მინდოორში.

გიორგი სააკაძის აზრები მე მომწონს როგორც აზრები, რომ-ლებიც შეეფერებიან არსებულ ვითარებას და არა როგორც საერთო ფიქრები, ძალიან სწორი და მართალი, მაგრამ მხოლოდ საზოგადო და აკადემიური. და სწორედ ასეთნი არიან „შებმის“ მომხრეთა აზრები.

ჩემი აზრი რომ უფრო ნათელი იყოს, მოვიყვან. ერთ მაგალითს: 1796 წ. ეხლანდელ ჩრდილო იტალეთში, არკოლის ხიდთან, ბონაპარტმა ორი დღის განმავლობაში ვერ დაამარცხა ავსტრიელები და ვერ აიღო ეს ხიდი. მეორე დღის საღამოს მან გაგზავნა თავისი მოსაკრავენი და ავსტრიელების ზურგში „შეტევა“ დაკვრევინა. ეს მოულოდნელობა ავსტრიელებმა ნამდვილ შეტევად მიიჩნიეს. მათ წარმოიდგინეს, რომ ფრანგის ჯარმა ზურგში მოუარა და დასტოვეს პოზიციები, რომელიც ორი დღე ხელში ეჭირათ და რომლებიც ფრანგებს ვერ აეღოთ. ცხადია, ეს არა ნიშნავს, რომ რათა მტერი დაამარცხო. ზურგში მესაკრავენი უნდა გაუგზავნო. მესაკრავეთა მტრის ზურგში გაგზავნას სამხედრო მეცნიერაბა რჩეულ ხერხად არა სთვლის. პირიქით, ვარჯიშობის დროს რომ ასეთ ხერხს მიმართოს ვინმერ — დაძრახული იქნება და ეს იქნება ფრიად სამართლიანი. მეცნიერაბა ასეთ ხერხს ვერ ურჩევს, როგორც საშუალებას, ხერხს, რომ მტერი დაამარცხს ვერ ურჩევს,

ჩცხოთ. ხერხი არის ხელოვნების საქმე, ხელოვნურობის ნაყოფი და არა მეცნიერული რჩევა.

ამ „რჩევაში“ ჩემს ყურადღებას იპყრობს სწორედ ეს აკადემიური ეხლა, მაგრამ იმ დროს გაადათებული აზრები, კარგად შეთვისებული ყველა სარდლების მიერ მეჩვიდმეტე საუკუნის საქართველოში. და ეს გაადათებული აზრები იყვნენ, არიან და იქნებიან მაჩვენებელი რა დონეზედ სდგას სამხედრო ხელოვნება, რა სიმაღლეს მიაღწია მან?

შევჩერდეთ ამაზედ.

სამხედრო ხელოვნება, როგორც ყოველი ხელოვნება განიცდის სხვა და სხვა ხანას: ყვავდება, მაღლდება და ეცემა.

ჩვენ ვიცით, რომ ყოველ ერის ცხოვრებაში არსებობს საერთოდ სხვა და სხვა ხანები, როცა თვით ერიც მაღლდება ან ეცემა და ეს გამოიხატება მისი ცხოვრების ყოველ დარგში. სამხედრო ხელოვნების განვითარებაც მუდამ ერის ცხოვრების განვითარებას შეეფერება. მაღლდება და წინ მიიწევს მისი ცხოვრება — მაღლდება მისი სამხედრო ხელოვნებაც. ამ დროს უჩნდებიან მას უდიდესი სარდლებიც, როგორც იყვნენ: ალექსანდრე მაკედონელი, იულიუს კეისარი, პანიბალი, ფრიდრიხი დიდი, ნაპოლეონი; საქართველოში — დავით აღმაშენებელი, ან თამარ- მეფის დრო.

ასევე ხდება ერის ცხოვრების სხვა დარგში და ასეთ დროს ერს უჩნდებიან უდიდესი მხატვრები, მწერლები და სხვანი. მაგრამ ყველაზედ შესამჩნევად ეს გამოიხატება სამხედრო ხელოვნებაში, მით უმეტესად, რომ სწორედ ომში სწყდება ერის ბედი და თუ სამხედრო დარგში არ გამოიჩინა ერმა თავისი განვითარება და ამაღლება — ვაი, იმ ერს! ბევრი ერი გაქარწყლდა და აღარ არსებობს, რადგან მხედრულად იყო ბუსტი. ეს მოვლენა ერის ცხოვრებისა იმდენად დაკანონდა, რომ სწორედ მისი სამხედრო ხელოვნება გახდა მაჩვენებელი, აქვს თუ არა ამა თუ იმ ერს თავისი არსებობის ძალა და უნარი.

ამიტომ ერის სამხედრო ხელოვნების შესწავლა წარმოადგენა დიდ აუცილებლობას, თუ გსურთ გაეცნოთ ერის განვითარების ისტორიას და მის მომავალს.

სამხედრო ხელოვნება, რასაკვირველია, ერის ომებში გამოჩნდება, მის გამარჯვებებში. თუ ერს თავისი ისტორიაში არ გამოუჩინას სათანადო სამხედრო სიმტკიცე, სამხედრო დახელოვნება და საკუთარი სასიცოცხლო ძალა, ის სხვა ერს ჩაუყლაპავს.

აი ამ წარსული დროის სამხედრო ხელმძღვანელნი გვიტოვებენ უმაღლესად დახელოვნებულ მაგალითებს. სამწუხაროდ, ამ მაგალითების აღწერა ხშირად არ არსებობს. ან აღწერილია ბუნდოვანად. ასეთი შემთხვევის დროს, სხვა გზა არა გვაქვს, ხერხი უნდა ვიხმაროთ

და შაინც გამოვარკვიოთ, რა დონეზედ იდგა სამხედრო ხელოვნება, რადგან სამხედრო ხელოვნება ბევრ რამეში სჩანს — წესში და ადა-თებში, ნათქვამებში, ნაამბობში, ლექსებში, სიმღერებში და სხვა.

თუ ჩვენს წინ არ გახდავს ამა თუ იმ ომის ან შებმის რუქები, სამხედრო აღწერით თან-დართული, მაშინ საჭიროა ზედმიწევნით იყოს შესწავლილი ყოველივე ის, რაშიაც ხალხის მიერ სამხედრო აზ-რებია გამოთქმული და ეს არა ნაკლებ შეგვიწყობს ხელს ვიცოდეთ, რა სიმაღლეზედ იდგა ერის სამხედრო ხელოვნება. ამიტომ ვრცელი და ყურადღებრივი შესწავლა წარსულის მწერლობის, მგოსნების და არა მგოსნების, აგრეთვე ანდაზების და ნათქვამების, რომელშიაც გა-მოთქმულია მაშინდელი აზროვნება, დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს ცოდნას და ნათელს ჰყოფს იმ ამბებსაც, რაც წარსულისაგან ბუნდოვანად არის გადმოცემული.

არჩილ შეფის ნაწერი: „რჩევა ომისა“ გვაძლევს სწორედ ძალიან ბევრ საბუთს, რომ იმ-დროინდელ სამხედრო ხელოვნებას შევეხოთ. ამ „რჩევა ომისა“-ში აქა-იქ გამოთქმულია სამხედრო აზრები, რომე-ლიც იმ-დროინდელ სამხედრო აზროვნებას გვიხატავენ.

„რჩევა ომისა“ მოგვითხრობს სამხედრო თათბირზედ, რომელიც გამოწვეული იყო შექმნილის მდგომარეობით.

1624 წელს შაპაბაშმა გამოგზავნა საქართველოში დიდალი ჯა-რი ყორჩიბაშ-ისა-ხანის მეთაურობით. ეს ჯარი შემოიჭრა ჩვენს მი-წა-წყალზედ და დაბანაკდა მდინარე ალგეთზე, სოფ. მარაბდასთან. ქართლ-კახებმა ტაბახმელაში მოიყარეს თავი და ომის წინ თათბირი გამართეს. თათბირს დაესწრო ბევრი მეთაური და რაც უფრო საყუ-რადღებოა, აქ ნახავთ როგორც დიდ განთქმულ სარდლებს, მაგალი-თად, გიორგი სააკადეს, ბარათა ბარათაშვილს, მანუჩარ სამცხეს ათა-ბაგს, აგრეთვე თეიმურაზ და ქაიხოსრო მუხრან-ბატონებს, არავის ერისთავს, იესე ქსნის ერისთავს, ბაადურ ციციშვილს, კახელ დიდე-ბულებს და ქართლ-კახელ ვაჟაცებს.

გავტყვეთ კვალ-და-კვალ იმას, რაც ითქვა ამ თათბირზედ. დავი-წყოთ გიორგი სააკადის სიტყვით. ის არის „დამყოფელი“ ყაენთან. იცნობს კარგად მტერს და აცხადებს, რომ ყეინი „სულ ერანს გამო-გზავნიდა“, ესე იგი რომ სპარსთა ჯარი ფრიად მრავალ-რიცხოვანი უნდა ყოფილიყო. შემდეგ ამბობს, რომ: „ქვეითობა იქ არ ვარგა: სი-ცხეა და მისჭირდება“. ასეთი შეფასების შემდეგ იძლევა რჩევას: „მინდორად ნუ ჩავალთ, ნუ შევებმითა“. და განაგრძობს: „ჩვენ აქ დგომასა ვერ სცნობენ, თუ აწვე არ შევებმითა; ქალაქს შემოვლენ თავ-წვრილად: აქ დავხვდეთ — შევიქმთ ვებითა“-ო.

სააკად ნათქვამში აფასებს მტრის ძალებს და საერთო მდგომარე-

ობას, აგრეთვე მეტრძოლთათვის არა ხელსაყრელ სიცხვეს; უჩვენებს. რომ მტერი ჩვენ რიცხვსა და დალაგებას ვერ სცნობს; მერე ამბობს. რომ სპარსელები იძულებული გახდებიან ქალაქს წამოვიდნენ თავ-წვრილად და სჯობია აქ დახვედრა, ვიდრე მინდორათ ჩასვლაო.

მართლაც, ჩვენ კარგად ვიცით, რომ ქალაქის მიდამოებში ტაბა-ხმელა - სოლანლული მთიანი და ღრიანი ადგილებია და რიცხვს აქ ისეთი მნიშვნელობა არ ექნება, როგორც მინდორად შებმის დროს.

ყველა ეს მართალია.

სააკაძის სიტყვა საერთოდ ზოგადი მდგომარეობის შეფასებას შეიცავს და ამის მიხედვით წარმოადგენს ხერხს, რომლითაც უფრო ადვილია შებმის მოგება და გამარჯვება. ამიტომ გადამეტებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მე-17-ე საუკუნისათვის სააკაძის მოხსენება წარმოადგენს სამხედრო მოხსენების მშვენიერ ნიმუშს: მოკლეს, მკაფიოს და შესანიშნავად ხაზგასმულს, რაც უფრო მნიშვნელოვანია და საყურადღებო.

ამის შემდეგ ბარათა ბარათაშვილი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებს, რომ „შეყრილისა ყოვნა არ არს სამართალი“, ესე იგი მოცდა მტრისა შეუძლებელია, რადგან ყველა „დაგვეფანტვის“ აქეთიკით, „მოუწონეს“. კახელი დარბაისლები ომს ირჩევენ, რადგან მათის აზრით „არსად წავლენ (მტერნი) იქიდგან“. თანაც უმატებენ, რომ მტერი ამას წინად ორჯერ შემოესია საქართველოს და ორჯერ-ვე იყო გალაციული. ეს ამბავი მართლა გასამნევებელია, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ სააკაძის სიტყვაც, რომ შაჰი „მთელ ერანს გამოგზავნიდა“.

ბააღურ ციციშვილი აფრთხილებს თათბირს, რომ სიცხე შეგმისათვის ხელშემწყობი პირობა არ არის ქვეითისათვის და „თუ ამოწყდეს გლეხი-კაცი, საქართველო დაძაბუნდა“ — დასუსტდებაო.

ქართლ-კახელი ვაჟკაცები „თითქოს კბილებს იმსხვრევდიან“ და აცხადებენ: „რას ყოვნით მათზე მისცლაა“-ო. აგრეთვე იმასაც. რომ „მინდორად სჯობს ომი ცხენზედ, სიმაგრეში რასა ჰქვიან“-ო.

ეს ქართლ-კახელი ვაჟკაცები სავსე არიან „შებმის“, შეტევის ალტცებით; მოითხოვენ მინდორად შებმას და არა სიმაგრეში. უსათუოდ არიან ცხენოსანი ჯარის წარმომადგენელნი და კარგად იციან, რაშია ამგვარი ჯარის ძალა. აქ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ რომაელების ცხენოსანი ჯარი ცხენს ხმარობდა მხოლოდ სვლაში, შეგმისათვის კი ქვეითდებოდა. ასე იყო მართლა ქრისტეს დაბადებამდე, მაგრამ ნაპოლეონის დროსაც და იმაზე აღრეც ცხენოსანი ჯარი იერიშისთვის ხმარობდა ტარებას და არა ჭენებას და გაქანებას.

მანუჩარ ათაბაგი ამბობს ფრიად სწორ სამხედრო აზრებს. ის გა-

მოსთქვაშს შესანიშნავ აზრის, რომ „ომი საზღვრავს მესამზღვრესა“.  
„მერე არის ორი რაზმი: დაახლოვდეს ერთმანეთზედ; ვინც მიუხდეს  
მეორესა არ ყოვნებით იმავ დღეზედ, მისი ჯარი გათამამდეს, მისი  
დადგეს ძლივლა ფეხზედ“-ო და უმატებს, რომ „ხანგრძლივ რჩევა  
ცუდი არის“-ო.

ეს აზრები მშვენიერი სამხედრო აზრები არიან, მაგრამ როგორც  
საზოგადო დებულებანი და მხოლოდ საზოგადო დებულებანი. ყველა  
აქ გამოთქმულ აზრებში ჩემს ყურადღებას ყველაზედ მეტად გიორგი  
სააკაძის და მანუჩარ ათაბაგის აზრები იპყრობენ. ვფიქრობ, რომ  
სამხედრო ხელოვნებაში ყველაზედ დახელოვნებული პირნი სწორედ  
ესენი არიან.

შესანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ამ ორში, ერთი "მოცდის" მო-  
მხრეა (გიორგი სააკაძე), მეორე — „შებმის“ (მანუჩარ ათაბაგი). უნ-  
და ითქვას, რომ თავის აზრებში ორივე მართალნი არიან და თავის  
აზრთა სიღრმეში ერთმანეთს არ ეწინააღმდევებიან. შევადაროთ. განა  
გიორგი სააკაძე კი ომის წინააღმდევია, განა ის კი ერიდება ომს? არა. მაგრამ შებმისთვის ხელსაყრელ პირობებს ეძებს და რჩეობს  
ისეთ ალაგებს, სადაც მტერი იძულებული იქნება „თავშვრილად“  
მოვიდეს. მანუჩარ ათაბაგის სიტყვებიდგან კი ის გამოდის, თითქოს  
გიორგი სააკაძე ომის წინააღმდევი იყოს („ომი საზღვრავს მესამზ-  
ღვრესა“).

მეორე აზრი რჩეობს — „მიუხდეს მეორესა არ ყოვნებით იმავ დღე-  
ზედ“. ე. ი. უპირატესობას შებმის ინიციატივის, თაოსნობის ხელ-  
ში ჩაგდებას ანიჭებს. ესეც უკამათოა, როგორც საზოგადო აზრი და  
გიორგი სააკაძე არც ამისი წინააღმდევია, რადგან ამბობს: როცა  
მტერი თავშვრილად შემოვა „შევიქმო ვებითა“-ო.

მანუჩარის მესამე აზრიც — „ხანგრძლივ რჩევა ცუდი არის“-ო.  
დიდათ მართალია. მართლაც, ამ „რჩევებში“ იყარება არა მარტო  
დრო, არამედ იბადება სხვა გარემოებაც. შემჩნეულია, რომ რაც მე-  
ტი და ხანგრძლივია თაბირი, მით უფრო მეტი იბადება აზრი,  
მით უფრო მეტად იბნევა და იხლართება მათში ადამიანი. კაცმა  
აღარ იცის, რომლით იხელმძღვანელოს და ბოლოს თვით აზრებიც  
აღარ ვარგანან, რადგანაც ისინი შებლალული არიან კამათით. სწო-  
რედ ამისი მშვენიერი მაგალითია ეს ჩვენი „რჩევა ომისა“-ც. ის გა-  
დაგვარდა ისეთ კამათად, თითქოს დასმული ყოფილიყოს საკითხი:  
შეტევის თუ მოის მორიდების. ნაშროვილად კი სწყდებოდა საკითხი:  
საღ (რა ალაგას) შებმოღნენ მტერს: — „მინდორად“, (მარაბდის ვე-  
ლზედ) თუ ქალაქთან, მთიან და ლრიან ადგილებში. რასაკვირველია,  
სააკაძის აზრი უფრო შეეფერებოდა შექმნილ მდგომარეობას, მით

უმეტეს, რომ თვით ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ უმრავლესობის აზრი მარცხით დამთავრდა.

ეხლა ორი სიტყვით მსურს შევეხო მე-17-ტე საუკუნისათვის „შესანიშნავ აზრს — „ომი საზღვრავს მესამზღვრესა“.

ეს აზრი, დებულება, პრინციპი იყო, არის და იქნება მუდამ სწორი და მართალი. მტრის შეჩერება მხოლოდ ომით შეიძლება. ხოლო იმით შეიძლება, რომ მესამზღვრე უკუ-აგდო; და არა სხვა რაიმე ზომით და ხერხით. სწორედ ომით შეიძლება ალაგმო მესამზღვრე და ბოლო მოუღო მის ყოველნაირ სურვილს და განზრახვას შენს წინააღმდეგ. ვინაიდგან მანუქარ ამბობს, რომ ეს აზრი „ძველად ნათქვამია“— ა. უნდა ვითიქროთ, რომ ჩვენ იმ ღროინდელ მხედრებს ეს დებულება კარგად ჰქონიათ შეთვისებული და სწორედ ეს არის მაჩვენებელი, რომ მაშინდელი ქართველები ომის გადაწყვეტას სცდილობდნენ ბრძოლით. შებმით და არა ბრძოლის მორიდებით. ეს ამბავი იმ მხრით არის საყურადღებო, რომ ამავე ხანაში ევროპაში სხვა აზროვნება ბატონობდა. აქ, ბრძოლას და შებმას, პირიქით, ერიდებოდნენ და სცდილონდნენ საკითხი გადაეჭრათ რაიმე სხვა ხერხით, მანივრებით, ამა თუ იმ აღვილის ან ქალაქის ხელში ჩაგდებით, ხელ-შემწყობ, მაგარ პოზიციებზედ დალაგებით, მათი გამავრებით და სხვა. მაგრამ თვით შებმას მიმართავდნენ მხოლოდ მაშინ, როცა სხვა გზა არა ჰქონდათ.

„მხედარ“—ში და აგრეთვე სხვა უურნალების ფურცლებზედ, სხვათა შორის, გამოთქმული იყო აზრი, რომ, რადგან ტფილისი ძალიან ახლოა სამზღვართან, ჩვენი მეფეები სცდილობდნენ, საზღვარი უფრო შორს გადაეტანათ, რათ დედა-ქალაქი უზრუნველ ეკოთო. ასეთ საზღვრებად ასახელებენ ყარსს, ანისს და სხ. ეს აზრი სწორია არ გახლავს და არცა მგონია, რომ ან ჩვენ მეფეებს ჰქონდეთ ასეთი აზრი, რადგან ასეთი მიზნის მისაღწევად, გაცილებით უფრო ადვილი იქნებოდა დედაქალაქი საღმე საქართველოს შიგნით გადაეტანათ, საზღვრიდან მოშორებით. თუ ჩვენი მეფეენი სხვადასხვა მიმართულებით საქართველოს გარეთ იწეოდნენ, ეს ხდებოდა არა ტფილისის დასაცავად, არამედ სახელმწიფოს გასაფაროთოებლად და განსაღიდებლად. გადაიტანეთ საზღვარი გუმბრში ან ყარსში და თქვენ ნახავთ, როგორ იქნება უზრუნველყოფილი ტფილისი, თუ აქსტაფა და განჯაც თქვენი მტრის ხელშია. აქ უნდა დავუმატო, რომ ბეზობდალის ქედის იქთ. სამხრეთით, არ მოიპოვება არა თუ რაიმე ქედი, ისე ხელსაყრელი მოვერებისათვის, როგორც ბეზობდალია, არამედ რამე ქედი არ არსებობს თვით აღრიდაგამდე — ესე იგი ერევნის თა არაქსის გაღმამდე. სივრცე არას დროს დედაქალაქის დამცველი არა ყოფილა. ამისი მა-

უაღლითები ბევრია: პეტერბურგი ორასი წელიწადია ზედ საზღვარზე სდევს და რავის აულია. მოსკოვი კი, რომელიც რუსეთის შუაგულშია, აულიათ ჩოგორუც პოლონელებს, ისე ფრანგებს. პარიზი საფრანგეთის შუა გულში არა დევს და უახლოვდება საზღვრის იმ ნაწილს, საიდგანაც მას უმეტესი საფრთხე მოელის. ასეთსავე მდგომარეობაშია ლონდონი, რომელსაც იცავს არა სივრცე, ან ზღვა, არამედ ფლოტი. პირიქით, ბუქარესტი, რომლის სიმაგრენი დედაქალაქის საუკეთესო ნიმუშად ითვლებოდნენ და რომელიც რუმინის შუა გულში სდევს. უკანასკნელ ომში, გერმანია-ავსტრიის ჯარმა ერთსა თუ ორ კვირაში აიღო.

უნდა აღვნიშნო, რომ საზოგადოთ სახელმწიფოს დაცვა დედაქალაქის დაცვით არ გამოიხატება. უნდა დაიცვას მთელი ქვეყანა თანახმად შისი გეოგრაფიული და მდებარეობის თვისებისა და იმ ძალითა და საშუალებით, რის გამოლებაც ერს შეუძლიან. სახელმწიფოს დამცველი იყო და არის არა სივრცე, არამედ თვით ერი. ეს კარგათ იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა, რაც გამოიხატა ამ მშვენერ ნათქვამში. ამ სწორე დებულებაში, ისე მოკლედ და მკაფიოდ გამოთქმულში, რომ „ომი საზღვრავს მესაზღვრესა“-ი.

გარდა ამისა, ამ "რჩევაში" ჩვენ ვხედავთ კიდევ ერთ მოვლენა: მაშინდელ ქართველებს ეს დებულება ისე კარგად ჰქონიათ შეთვისუბული და ისე ყოფილი ამ შეგნებით გამჯდარი, რომ მიუხედავად იმისა, რომ მტერი მრავალრიცხოვანი და მასზედ მრავალჯერ მეტი იყო, ყველა ომისთვის მიიწევდა. ხომ მთელი ერანი მოვიდა! ეს გარემოება უნდა ახსოვდეს ყველა ქართველს და განსაკუთრებით მხედრებს.

გ. კვინიტაძე

### „რჩევა ომის“ შესახებ

„მხედრის“ მე-17-ტე ნომერში ბ-მა ამირეჯიბმა მოათავსა ფრიად საინტერესო ისტორიული მასალა — „რჩევა ომისა“. ჩვენთვის, სამხედრო სკოლის წევრებისათვის, ძლიერ სასიმოვნო იყო გაგვევო, რომ 400 წ. წინათ ქართული ჯარი და მისი სარდლები იდგნენ შეგროვილნი სწორედ იმ ალაგას, საღაც ჩვენ 1921 წ. დავლვარეთ სისხლი დედაქალაქის დასაცავად. ვინ იცის, ეგებ მათი გმირული სული თავს დაგვტრიალებდა და გვაძლიერებდა.

ეხლა შევეხებით თვით „რჩევას“. ავტორი ამბობს — ვინ იყო მართალი „რჩევაზე“, ჩვენ სამხედრო სპეციალისტებს ეხებაო! სამწუხაროდ არც ჩვენ შეგვიძლიან გამოვთქვათ მტკიცე განაჩენი, ვინაიდან წერილი არ იძლევა საკმარისს მასალას; ჩვენ შეგვიძლიან ოლონდ

შევაფასოთ მდგომარეობა ორივე მხრისა, განვიხილოთ სარდლების მიერ მოყვანილი საბუთები „მოცდისა“ თუ „შემზია“ და ბოლოს გამოვსთქვათ ოღონდ ჩვენი აზრი.

### ქართული ჯარის მდგომარეობა

ქართული ჯარი იყო შევროვილი ტაბახმელაზე, მისი რიცხვი არ არის ცნობილი, ოღონდ თუ მივიღებთ მხედველობაში ბ. ბარათაშვილის კიტყვებს, რომ ეს იყო „საქართველოს შეყრილი“, რაც ნიშნავს „ქუდაზე კაცს“ ე. ი. გამოყვანილ იყვნენ ყველა ვაჟკაცები, — მებრძოლთა რიცხვი იქნებოდა დიდი, ოღონდ ვარგისობით არა პირველ ხარისხოვანი; ამ ჯარის უმრავლესობას შეადგენდა „ქვეითობა“; ამას ამტკიცებენ გ. სააკაძე, ბ. ციციშვილი და ბ. ბარათაშვილი. ჯარი ჰყავდნენ სათავეში გამოჩენილი სარდლები. ჯარი იყო მოფარებული ტაბახმელას მთებს და სპარსელები ამას „ვერ სცნობდნენ“.

### სპარსეთის ჯარის მდგომარეობა

სპარსელები იყვნენ დაბანაკებული ალგეთზე სოფ. მარაბდის ველზე (12 ვერსი სამხრეთით ტაბახმელიდგან); რიცხვი არც იმათი არის მოყვანილი, ოღონდ გ. სააკაძე ადასტურებს რომ: „სულ ერანს გამოგზავნიდა, იქ არ დამჭერი ხანისა“, ე. ი. რიცხვი უნდა ყოფილიყო ძლიერ დიდი; სპარსელების უდიდეს ნაწილს შეადგენდა ცხენოსანი ჯარი, ვინაიდგან იმ დროს იყო ასეთი ჩვეულება — როცა ლაშქარი მიემგზავრებოდა შორს, აგროვებდნენ უმთავრესად ცხენოსან მეომრებს. ამ შემთხვევაში შაპაბაზი არ გამოჰყა ლაშქარს და ამის გამო, რასაკვირველია, დანიშნავდა საუკეთესო სარდლებს. ვანაიდგან ეს შემოსევა იყო გამოწვეული ქართველების მიერ კარჩი-კაი ხანის ჯარის ამოწყვეტით, უნდა ვითიქროთ, რომ ჯარი იქნებოდა ძლიერი და მაღალი ვარგისობისაც — ამნაირათ, ჩვენის აზრით, სპარსელებს უნდა ჰქონდათ უპირატესობა ქართველებზე.

### ტოპოგრაფიული განხილვა

ტაბახმელის და მარაბდის მიღამოების ტოპოგრაფიული თვისებები, რასაკვირველია, თამაშობდნენ თავის როლს ამ ბრძოლაში და ამის გამო ჩვენც უნდა შევისწავლოთ ისნინ.

სოფ. ტაბახმელა მდებარეობს ქედის ჩრდილოეთის მხარეზე; ქედი ეშვება კოჯორის მთებიდან თან და თან სოლანლულისკენ. ჩვენ დროში ქედი სრულებით გატიტვლებულია ტყისაგან, მაგრამ უნდა ვითიქროთ, რომ „რჩევის“ დროს ტყიანი იქნებოდა, ამის გამო ეს აღვილი ხელსაყრელი იქნებოდა ჯარისათვის თავის შესაფარებლად; ამას აღასტურებს გ. სააკაძე: „ჩვენ აქ დგომასა ვერ სცნობდნენ“. ყოველ შემთხვევაში, ეხლანდელ მდგომარეობაშია(კ. ე') მაორობები თავისი ხევებით არ არიან გამოსაღევი ცხენოსან ჯარისათვის საბრძო-

ლეველათ. სამხრეთით 3 ვერსის მანძილზე მდებარეობს სამი სოფელი ერთ ხაზზე — კუმისი, ვაშლოვანი და ერთისი. ამ სოფლებიდან იწყება ველი, რომელიც იზომება 8-9 ვერს სიგრძით და 5-6 სიგანით; ამ ველზე ჩრდილოეთის ნაწილში მდებარეობს სოფ. კოდი, სამხრეთით კი სოფ. მარაბდა; ამ სოფლებს შოუ 5 ვერსიანი მინდორია, მოკლებული რაიმე დაბრკოლებებს. ამ მინდორზე მოხდა ისტორიული ბრძოლა. მარაბდიდან მიდის ტფლისისაკენ ორი გზა — ერთი სოლანულზე, მეორე კი ტაბახმელაზე. ამ დაბლობში, მართლაც საშინელი სიცხვა ზაფხულობით; ეს აიხსნება იმითი, რომ გარშემო მაღალი მთებია, ველი კი თითქოს ქვაბის ძირში არის მოთავსებული.

### **სპარსეთის ლაშქრის გაჩერება მარაბდაში**

როცა ჩვენ მივაჭიერ ყურადღება გზას განჯიდან თფილისი-საკენ, უნებლიერ დავსვით ორი კითხვა: 1. რანაირად გაჩერებენ სპარსელები მარაბდის ველზე? 2. რათ გაჩერდნენ მარაბდაში?

**1-ლი.** სპარსელები, ეჭვს გარეშეა, მოძრაობდნენ განჯიდან, მიზნათ ქონდათ თფილისი, მაშასადამე უნდა ესარგებლათ ძევლი გზით — განჯა-ყაზახ-წითელი-ხიდი-იალღუჯის-მთები და სოლანული, ჩვენ კი ვხედავთ მათ მარაბდის-ველზე, რომელიც მოშორებულია ამ გზას 18 ვერ. დასავლეთისაკენ. რას ნიშნავს ეს? სპარსელებს ყავდათ დიდ ძალი ცხენოსანი ჯარი. ამისდამიხედვით სარდალი, უნდა ვიფეროთ, მოერიდა გავლას იალღუჯის მთებზე (იმ დროს ტყიანი იქნებოდა) და გზა აიღო ბორჩალოს დაბლობ აღგილებით — წითელ ხილიდან სანდარის მიმართულებით და ამნაირათ გამოვიდა მარაბდის ველზე. სპარსელები, რასაკვირველია, ყოველ წუთს ელოდნენ, რომ ქართველები გზას გადაუჭრიან და ამიტომ ამჯობინეს შეხვედრა ბორჩალოს დაბლობებში, თავიანთ ცხენოსან ჯარის მოქმედების სასარგებლოდ.

**გ-2-რე.** რად გაჩერდნენ მარაბდის ველზე? ზემო მოყვანილ ტოპოგრაფიულ განხილვიდან სჩანს, რომ მარაბდის მიღამოები ძლიერ ხელსაყრელია ცხენოსან ჯარისათვის; სპარსელების სარდალმა, სჩანს, სწორეთ შეაფასა ეს თვისებები და ამის გამო შეაჩერა თავისი ლაშქარი აქ იმ იმედით, რომ ვინ იცის, ეგებ ქართველები შესცდნენ და ჩამოვიდნენ დაბლობებში. ამასთანავე ერთათ, რასაკვირველია, ამ გაჩერებას ჰქონდა მიზნათ ჯარის დასვენება.

### **„რჩევა“**

ეხლა მიუღეთ „რჩევას“; მოვასმინოთ სარდლების სიტყვები და შევაფასოთ მათი საბუთები.

**გ. სააკადე** გადაჭრით არის მომხრე „მოცდისა“, მას მოჰყავს შემდეგი საბუთები: 1. იცნობს რა კარგათ შაჰაბაზს, დარწმუნებულია,

რომ გამოგზავნიდა ძლიერს და „შერჩეულს ჯარს; 2. წინააღმდეგია დაბლობებში ჩასვლისა და ასაბუთებს იმით, რომ სიცხეა და „ქვეითობას გაუჭირდება“. ამის გამო შესაძლებელია მთლათ ამოწყდეს. 3. ტაბახმელაზე შეფარებულ ჯარს სპარსელები ვერ სცნობენო, წამოვლენ „თავწვრილად“ და ქართული ჯარი უეცრად აქ დაეცემათ.

**ბ. ბარათაშვილი** — არ ეთანხმება გ. სააკაძეს და მომხრეა „შებმისა“, ასაბუთებს იმით, რომ შესაძლებელია „მოცდის“ დროს „საქართველოს შეყრილი“ როგორც ჯარი ნაკლებ გაწროვნილი და რომ მელსაც არა აქვს შეთვისებული მტკიცე დისციპლინა — დაგვეფანტვის აქეთ-იქით“ -ო.

კახელები ერთხმათ „შებმაზე“ სდგანან, მათი საბუთი — „ორჯელ გალახულთ შევებათ“ -ო.

**ბ. ციციშვილი** არის მომხრე გ. სააკაძისა; მას მოჰყავს იგივე საბუთები — „უამი არის ეს სიცხისა“ და მეორე შესაძლებლობა — ქვეითობის მთლათ ამოწყვეტა.

**ბ. ათაბაგი** სცნობს ორივე მხრის საბუთებს, ოღონდ იგონებს ძელებურ ნათქვაში: „ომი საზღვრავს მესამზღვრესა“ და ამიტომ მიემხრობა „შებმას“; ამას გარდა აძლევს მნიშვნელობას, თუ ვინ მიუხტება პირველი.

ცხენოსანი ჯარის აზრი ასეთია — „მინდორად სჯობს ომი ცხენზე“.

### საბუთების შეფასება

ეხლა მივიღოთ მედიატორის როლი და შევაფასოთ სარდლების საბუთები.

**1. კახელები** — მათი საბუთი — „ორჯელ გალახულთ“, უნდა ვიცნოთ ამ შემთხვევაში როგორც უადგილო. მართალია, ორჯელ გალახული მტერი, როგორც შიშს მიცემული, უფრო ადვილი გასალახია მესამედ, მაგრამ ერთი პირობის დაცვით, თუ ეს ხდება ერთი ომის განმავლობაში და ზედი-ზედ. სწორედ ეს პირობა აქ არ არსებობს. როგორც ავტორი ავტორი, კახელებს მართლაც დაუმარტებიათ სპარსელები 1615 და 1616 წლებში, უკანასკნელი შემთხვევა კი მოხდა 1624 წ. მაშასადამე ეს ორი ახალი ომი, 8 წლის შემდეგ, რასაკვირველია. სულ სხვა ჯარია და სხვა სარდლობა; საერთოთ ეს შეტაკება ხდება სულ ახალ პირობებში. კახელების აზრს, სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა აქვს, ოღონდ ამ შემთხვევას სრულებით არ ესაბამება და ამის გამო, მედიატორის უფლებით, ჩვენ ამ საბუთს ვაბათილებთ. შემიძლია მოვიყვანო სამხედრო ისტორიიდან მაგალითი, რომელიც ამართლებს კახელების აზრს. რუსეთ-იაპონელ ომის დროს, იაპონელები ზედი-ზედ ამარტებდნენ რუსეთის ჯარს და

მართლაც, თითქოს წინდაწინვე დარწმუნებული იყვნენ თავის გამარჯვებაში. თუმცა ამნაირი მაგალითები ბევრია ისტორიაში, მაგრამ ამის და მიუხედავათ, ეს მოვლენა არ უნდა იყოს ცნობილი როგორც ჩვეულებრივი და აუცილებელი. არის ასეთი მაგალითი, როცა დამარცხებული ჯარი, შემდეგ ბრძოლაში, თითონვე ამარცხებს იმავე მტერს, წინეთ გამარჯვებულს. 1914 წ. რუსეთის 1-ლი ლაშქარი ამარცხებს გერმანელების მე-8-ვე ლაშქარს — ჯერ წინამავალის ბრძოლებში ქ. სტოლუპიანთან და რამოდენიმე დღის შემდეგ ამარცხებს მთელ მე-8-ვე ლაშქარს საერთო ბრძოლაში ქ. გუმბინენთან (აღმოსავლეთი პრუსია); გერმანელები ჰკარგავენ 45 ზარბაზანს და 15,000 ტყვეს; დამარცხებული სარდალი სთვლის მდგომარეობას ისე წახდენილად, რომ იღებს გადაწყვეტილებას დაუთმოს მტერს მთელი ოლმოსავლეთი პრუსია — ჯარი იხევს. ამავე დროს, სამხრეთიდან შემოდის პრუსიაში, გზის გადასაჭრელად მე-2-რე რუსეთის ლაშქარი. გერმანიის ლაშქარს მოელის აუცილებელი განადგურება, მაგრამ ბედილბალმა სხვანაირად გადასწყვიტა. გერმანელების ლაშქარს ეცვლება სარდალი და რამოდენიმე დღის შემდეგ, ორჯერ დამარცხებული ლაშქარი ამარცხებს სასტიკად ჯერ სამხრეთის, მერე რუსულ ლაშქარს (თითქმის 3 კორპუსის ტყვედ ჩაგდებით) და მერე უბრუნდება წინანდელ მის დამარცხებელს — ეს უკანასკნელი კი გადამწყვეტი ბრძოლაში შებმას ვერ ბედავს და იხევს რუსეთის ტერიტორიაზე.

**2. მ. ათაბაგი** — მისი საბუთი „ომი სამზღვრავს მესამზღვრეს“, უნდა ვიცნოთ, როგორც დაგვიანებული და პრაქტიკულად, ამ შემთხვევაში, უნიშვნელო. ამ ძველებურ ნათქვამ სიტყვებს არ დაუკარგავს მნიშვნელობა ეხლანდელ დროშიაც — ნიშნავს იმას, რომ მოუსწროთ მესაზღვრეს და არ შემოუშვათ ჩვენ მიწა-წყალზე. ამ შემთხვევაში კი მტერი არამც თუ უკვე შემოჭრილია, არამედ თითქმის მოსდომია დედაქალაქს და მისი გადასაზღვრა დაგვიანებულია. აქ უნდა მიექცეს უფრო დიდი მნიშვნელობა იმას, თუ სად უფრო ხელსაყრელი პირობები იქნებიან ბრძოლის მოსაგებათ — ტაბახმელაზე. თუ მარაბდის ველზე? მეორე მისი საბუთი — „გამარჯვება არის ღმერთზე“, კიდევაც რომ მივიღოთ, არ აძლევს ნებას სარდლებს თვალდახუჭული ეცნენ მტერს, არამედ ვალდებული არიან ასწონდასწონონ მდგომარეობა და ბრძოლაში შეებან იმ პირობებში, რომლებიც უფრო ხელსაყრელი არიან თავისი ჯარისათვის. ამნაირათ ამ ორ საბუთს, არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ. შანვე წამოაყენა კიდევ ერთი უფრო მნიშვნელოვანი საბუთი — „ვინც მიუხტეს მეორესა“. ეს არის ინიციატივის გამომქენა და ამას, ბევრ შემთხვევაში, აქეს გადამწყვეტი მნიშვნელობა; ეს აზრი უნდა იყოს ში-

ლებული მხედველობაში რჩევაზე, ოლონდ აქაც უნდა შევნიშნოთ, რომ ისტორია ბევრ მაგალითებს გვაძლევს, როცა გამოჩენილი და განთქმული სარდალი, იძულებული ხდება, არახელსაყრელ პირობების გამო მიიღოს დროებით პასიური მოქმედება.

3. ეხლა დაგვრჩა უმთავრესი საბუთები; ერთი მხრივ გ. სააკაძე და ბ. ციციშვილი არიან მომხრენი „მოცდისა“, მეორე მხრივ ბ. ბარათაშვილი არის მომხრე „შებმისა“. პირველების საბუთები: სიცხე, ქვეითობას დაბლობში მოელის საფრთხე, „იქ არ ვარგა ქვეითობა“ და მესამე — „ჩვენ აქ დგომასა ვერ სცნობენ“. ბ. ბარათაშვილმა წამოაყენა ერთი საბუთი — „დაგვეფანტვის აქეთ-იქით“. ორივე მხრის საბუთები ძლიერ მნიშვნელოვანი არიან და ამას, რასაკვირველია, უნდა გაუწიოთ ანგარიში, ოლონდ წინასწარ ვალდებული ვართ განვიხილოთ და შევაფასოთ ისინი.

### სიცხე

„სიცხეა და მისჭირდება“, „უამი არის ეს სიცხისა“. რათ ეშინათ ამ სარდლებს სიცხისა? განა ქართველი ხალხი არ არის შეჩერეული სიცხეს? ეს პირობა ხომ ორივე მხრისათვის ბრძოლაში ერთნაირი იქნება! აქ რაღაც დაფარული მიზეზია და ჩვენი აზრით უნდა იყოს შემდეგი. მოვიგონოთ იმ-დროინდელი მეომრების ჩატარება; მეომარი იცვამდა ჯავშნიან პერანგს, მის ქვევით ჰქონდა, ჩვეულებრივ, გამოქნილი ტყავის ტანსაცმელი, თავზე მძიმე თავსაფარი. ხელში ეკავათ ფარი და მძიმე ხმალი. ქვეითი მეომარი, ამნაირად ჩატარება; და შეიარაღებული, სიცხის უამისას (ალბათ ეს იქნებოდა ივლისი), როდესაც ბორჩალოში სიცხე ადის 45-50 გრადუსამდე, მართლაც უნდა განიცდიდეს დიდ ტანჯვას; გასაკვირი არ იქნება, რომ მეომარი სულ მოკლე ხნის განმავლობაში, გრძნობდეს სხეულის დასუსტებას, რასაც მოჰყვება აუცილებლივ, მისი საბრძოლო ენერგიის და ამტანობის დამცირება. „სიცხეა და მისჭირდება“ — ადასტურებს ჩვენ მეტ გამოთქმულ აზრს. ეს საბუთი, როვორც მეღიატორმა, უნდა ვიცნოთ ფრიად მნიშვნელოვანათ.

### „იქ არ ვარგა ქვეითობა“

გ. სააკაძე და ბ. ციციშვილი წინააღმდეგნი არიან „ქვეითობის“ დაბლობებში ჩაყვანისა; სიცხის გარდა მათ აქვთ გათვალისწინებული ის გარემოება, რომ მტერს ჰყავს დიდხალი ცხენოსანი ჯარი, რის გამო სთვლიან დაბლობებში შეტაკებას ძლიერ სახითათო ქვეითებისათვის. „ლმერთა ნუ ქნას დაგვიმარცხდეს, სულ ერთპირად ამოწყობა“, „დაგვიმარცხდეს ქვეითობა, რითლა მორჩეს“?. ეს უნდა იყოს ჯაგებული ამნაირათ — თუ ქვეითობა დამარცხდა, მოელის მას ამოწყობა სპარსელების ძლიერი ცხენოსანი ჯარისაგან, ვინაიდან ქართუ-

ლი მცირერიცხოვანი ცხენოსანი ჯარი მას ვერ გადაარჩენს. იმ ღრმაში, ცხენოსან ჯარს დიდი უპირატყესობა ჰქონდა ქვეითობაზე, და ამის გამო, ადვილად გასაგებია, რომ გ. ს—ძე ეწინააღმდეგება დაბლობში ჩასვლას — ეს არის მოფიქრებული სიფრთხლე სარდლია, რომელიც სცდილობს ჯარისთვის შექმნას სათანადო პირობები. ეს საბუთიც უნდა ვიცნოთ ძლიერ მნიშვნელოვანათ.

„ჩეენ აქ დგომასა ვერ სცნობენ“.

გ. საკაძე, როგორც გამოცდილი სარდალი, მიხვდა, რომ ზემოაღნიშნულ პირობებში უფრო ხელსაყრელია ქართული ჯარისათვის იდგეს ტაბაძელაზე შეფარებული და როცა სპარსელები ქალაქისაკენ წამოვლენ, აპირებს მათზე დაცემას, მათვის მოულოდნელად. ამნაირად სურს მოუმზადოს მტერს საფრთხე; აქ მას ხელს უწყობს შეფარებული მდგომარეობა, მთები, რომელშიაც მტრის ცხენოსან ჯარს გაუჭირდება მოქმედება და ბოლოს ის გარემოება, რომ მთებზე ისე არ ეცხელება, როგორც დაბლობში. ამბობს: „შემოვლენ თავშვრილად“ ე. ი. წამოვლენ სალაშქრო მოძრაობის წყობილებით, გზაზე გაგძელებულად. აქ უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ იმ ღროს ჯარი მოძრაობაში, სრულებით არ იყო მომზადებული ხოლმე ბრძოლაში შეუაბმელად, მას სჭირდებოდა შეგროვება და გადაწყობა საბრძოლო წესზედ; აი, სწორეთ ამითი უნდა ესარგებლა გ. საკაძეს. „აქ დავხვდეთ — შევიქმთ ვებითა.“ ამნაირად, სამივე საბუთებს ვსცნობთ ძლიერ მნიშვნელოვანათ. და ისიც იმ ზომამდინ, რომ მათ განხორციელებას შეეძლოთ, ბრძოლის მოგების შანსები ძლიერ გაედიდებინათ ქართველებისათვის.

„საქართველოს შეყრილისა ყოფნა არ არს სამართალი, დაგვაფანტოს აქეთ-იქით“.

ეს საბუთი უნდა მივიღოთ როგორც მნიშვნელოვანი, მაგრამ თუ დაფანტვას მართლაც ექნებოდა ადგილი? — ეს უნდა გამოირკვეს. რჩევაზედ არც ერთმა სარდალმა ამ საკითხს არ შეეხო, შესაძლებელია, რომ ბ. ბარათაშვილი ლაპარაკობდა მარტო თავის ჯარზედ, რომელიც იყო შეგროვილი ბორჩალოში. მივაქციოთ ყურადღება თვით ბ. ბ — ლის ნათქვამს. მას არ მოჰყავს საბუთად რაიმე ფაქტი, ან რაიმე პირობა, რომელიც უკვე არსებობს — არა! გამოსთქვამს მხოლოდ თავის აზრს. ამნაირათ, შესაძლებელია, რომ დაფანტვა მართლაც მოხდეს, მაგრამ შესაძლებელია აგრეთვე რომ არ მოხდეს, ან კიდევ მოხდეს ისე პატარა პროცენტით, რომ არ იქნიოს გავლენა ჯარის სიძლიერეზედ. შეუძლებელია, რომ სარდლებს არ ეფიქრათ ამ საკითხზედ. მაგრამ სჩანს. რომ არ მისცეს ისეთი მნიშვნელობა, როგორსაც აძლევს ბ. ბ — ლი. წერილის ბოლოში მოვიყვან კიდევ ერთ

შენიშვნას ამ საკითხის შესახებ. ეხლა უნდა დაუბრუნდეთ კახელებს: „არსად წავლენ იქიდან, ეს ადგილ მისახდომია“. კახელები მართლაც მიხვდნენ, რომ სპარსელებისათვის ხელსაყრელია ბრძოლა მარაბდის ველზე, ამაში ვეთანხმებით, ოლონდ რაც შეეხება — „არსად წავლენ იქიდან“, ეს შეუძლებელია. ჩვენ ვიცით, რომ სპარსელები მივიღნენ არა მარაბდის დასაკავებლად, არამედ საქართველოს გასანადგურებლად და ხალხის ამოსაწყვეტად. მაშასადამე, ჯარის დასვენების შემდეგ, იძულებული გახდებიან დაიძრან თფილისისაკენ, თუ ქართველები არ შესცდებიან და არ ჩამოვლენ მოებიდან ველზე. ეს ყველაფერი გათვალისწინებული ექნებოდა გ. სააკადეს და ამიტომაც აფრთხილებდა რჩევაზედ: „მინდორად ნუ ჩავალთ, ნუ შევებმითა“.

ამ შეფასების შემდეგ, საბუთები, როგორც: — „ორჯელ გალახულთ“, „ომი საზღვრავს მესამზღვრესა“, „გამარჯვება არის ღმერთზე“, „შეგვიძლიან არ მივიღოთ მხედველობაში, ვინაიდან მათ არაფერი გავლენა არ ექნებოდათ ბრძოლაზედ; რჩებიან ერთი მხრივ საბუთები გ. ს — ძის და ბ. ციციშვილისა და მეორე მხრივ საბუთი ბ. ბარათაშვილის. ზემოალნიშნულ გამორკვევის და შეფასების შემდეგ, ჩვენ როგორც მედიატორი, ვაძლევთ უპირატესობას საბუთებს გ. სააკადისას და ბ. ციციშვილისას — ამნაირათ ვართ მომხრენი „მოცდისა“.

„რჩევამ“ გადასწყვიტა „შებმა“! — რათ მოხდა ასე? ჩვენის აზრით აქ გარდამწყვეტი როლი ითამაშა ქართულმა ზედმეტმა გამბედაობამ.

ბრძოლაში პირველი შეტაკება მოიგეს ქართველებმა, საბოლოოდ კი ბრძოლა წააგეს. ეს აიხსნება ამნაირათ — ქართულმა ძლიერმა ქვეითობამ, სპარსელებისათვის მოულოდნელ შეტაკებაში (უნდა ვიფიქროთ, რომ ლამე მიეპარნენ და გათენებისას დეეცენენ) დაამარცხა სპარსელების ნაწილი ჯარი, ოლონდ როცა ბრძოლა გაგრძელდა, სპარსელები მოვიდნენ გონებაზედ, გაიმართნენ, იხმარეს თავისი ძლიერი ცხენოსანი ჯარი, ქართულმა ქვეითობამ, უკვე დალალულმა და დასიცხულმა ველარ გაუძლო ცხენოსანი ჯარის ზედი-ზედ ტალღებს. ის ფაქტი, რომ სპარსელებმა ვერ ამოსწყვიტეს მთელი ქართული ჯარი, და კიდევაც მეტი მსხვერპლი ჰქონდათ, ამტკიცებს. რომ „საქართველოს შეყრილი“ არც ისე უდისციპლინობა და სუსტი ყოფილა, როგორც მას წარმოადგენდა ბ. ბ — ლი „რჩევაზე“. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ გ. სააკადეს და ბ. ციციშვილის წინადადებებს სიმართლე ჰქონდათ.

ყოველ შემთხვევაში უნდა ვიცნოთ, რომ ქართველმა ჯარმა, დაბლობში ჩამოსვლით, ხელი შეუწყო სპარსელებს.

ა. ჩხეიძე

## პროლეტა დამოუკიდებლობისა გელგიაში 1830 წ.

პარიზის ივლისის რევოლუციის მავალითმა, რომელიც 1830 წ. სამი დღის განმავლობაში სწარმოებდა (27-29 ივლის) და გათავდა საფრანგეთის ერის გამარჯვებით ბურბონების დინასტიის წინააღმდეგ, ევროპის ბევრ სხვა და სხვა სახელმწიფოებში გამოიწვია მთელი რიგი რევოლუციების და აჯანყებების ამოფეთქება: ერვნული გრძნობები და დამოუკიდებლობის მისწავებანი ძალიან თავს იჩენდნენ ყველგან და ცეცხლის ალათ ეკიდებოდნენ მთელ ევროპას.

ამ დიდრიცხოვან მოძრაობებს შუა მარტო ერთმა ბელგიამ მიაღწია მიზანს და თავი გაინთავისუფლა პოლანდელების ბატონობისაგან 1830 წ. 4 ოქტომბერს, წინააღმდეგ მთელი ევროპის მართველ დიპლომატიის სურვილისა და მისივე საწინააღმდეგო გადაწყვეტილებისა. საუბედუროთ, სხვა ერები კი იძულებული შეიქმნება კიდე დიდხანს ელოდინათ და დიდი ხანი ებრძოლად ამისათვის და მხოლოდ ბოლოს და ბოლოს, დიდი ტანჯვის და ბევრი სხვერპლის გაწევის შემდეგ, მიეღწიათ ამ სანატრელ ბედნიერობას, უმეტეს ნაწილათ მსოფლიო ომის წყალობით.

ბელგია მთელი მე-18 საუკუნოების განმავლობაში აესტრიის ხელისუფლების ქვეშ იყო, გარდა ძალიან მოკლე ხანისა (11 იანვრი-დან 1790 წ. იმავე წლის დეკემბრამდე), როცა ბელგიამ „ბრაბანტი“-ს რევოლუციის შემდეგ გასდევნა თავის ტერიტორიიდან იოსებ მეორეს ჰაბსბურგის აესტრიის ჯარი და ძალით ხელი მოაწერინა ბელგიის ფედერაციის სტანდების აქტზე. ამრიგათ დროებით თავი გაინთავისუფლა.

იმავე წლის დეკემბერში აესტრია ხელახლად გაბატონდა ბელგიაში.

დიპლომატიის აქციის ვითარებამ 1795 წ. „კამპო ფორმიოს“ ტრაქტატით ბელგია სრულებით ამოშალა ევროპის რუქიდან.

ამაზედ ბელგია არ დასთანხმდა და არ დაჰკარგა სურვილი და იმედი განთავისუფლებისა.

რევოლუციონურ საფრანგეთის ომების დროს მთელი ევროპი-ულ კოოლიციასთან ბელგია ერთ ხელისუფლელბიდან გადაღიოდა სხვა ხელისუფლებებში და მხოლოდ ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ ვატერლოოსთან ვარდება რამდენიმე წლით პოლანდიის ბატონობის ქვეშ (1815 წ. ვენის ტრაქტატის ძალით).

ამ რიგად ბელგია და პოლანდია (აგრეთვე ლიუქსემბურგი) შედგენერ ეგრეთ წოდებულ „ნიდერლანდიის სამეფოს“ პოლანდიის მეფით ვილჰელმი პირველით სათავეში.

ეს მეფე იყო წარმომადგენელი „ორანელების“ დინასტიისა და მეფობდა პოლანდიაში 1815 — 1840 წ.

არასდროს, ბევრ საუკუნოების განმავლობაში, ბელგიას და პოლანდიას არაფერი არ აკვშირებდა და ვერაფრით ვერ მოიპოვეს ერთ-მანეთის სიმბატია; საერთო ინტერესები არასდროს არა ჰქონდათ; კულტურითაც განსხვავდებოდნენ, ვინაიდან ბელგია იმყოფებოდა საფრანგეთის კულტურის გავლენის ქვეშ; ბელგიისათვის საფრანგეთი იყო წყაროთ კულტურისა, მეტადრე დიდ ოევოლუციის შემდეგ; სახელმწიფო ენაც კი ფრანგული იყო, რასაც პოლანდია ეწინააღმდეგებოდა და პოლიტიკურ მიზნათა ჰქონდა სუკველაფერში გაეპოლანდებინა ბელგია — თავისი ენა და კულტურა თავს დაეხვია.

ერთი სიტყვით, ისე მოეწყო დიდი ხნიდამ მათი მეზობლური ცხოვრება, რო ეროვნულ ფსიქოლოგიით სრულებით განსხვავდებოდნენ. ეს ვერ ითქმის ბელგიის იმ ჩრდილოეთ ნაწილის შესახებ, რომელიც მოსახლებულია ფლამანდიელებით, რომელიც ლაპარაკობენ ფლამანდურათ (დაახლოვებულ პოლანდიელების ენასთან); სამხრეთი — ვალლონებით, რომელიც ლაპარაკობენ ფრანგულათ.

საერთო ინტერესებმა, გულწრფელმა და ბრძენმა შინაურმა პოლიტიკამ დააკავშირა იგინი ერთ ერათ და უწოდა მათ საერთო სახელწოდება — ბელგიელები.

ძალდატანებული და არა სასურველი შეერთება პოლანდიასთან (არც ბელგიისათვის, არც პოლანდიელებისათვის) კიდევაც მავნებელი და არა სასარგებლო გამოდგა ამ ერებისათვის (ეს აქტი ვითომც-და კომპენსაცია იყო პოლანდიისათვის სამაგიეროთ ინგლისელებისაგან დაჭრილ პოლანდიელების მდიდარ კოლონიებისა — კაპშტატისა და ცეილონისა — ეს ხომ იგივეა, რო ჩემი ვალი გავისტუმრო სხვისი ქონებით და ამ მიზნით იგი გავცარცვო, მაშინდელი დიპლომატია, ისე როგორც დღევანდელი და მომავალიც მხოლოდ თავის საკუთარ ინტერესების დაგვარად სწყვეტდა ერების ბედ-ილბალს და იზიარებდა ცნობილ ყაჩალურ პრინციპს: „ის არის მართალი, ვინც უფრო ღონიერია“.). დიპლომატიის ამისთანა მოქმედებამ გამოიწვია მთელი რიგი რევოლუციები და აჯანყებები დამონებულ ერებ შეა, რასაკვირველია, რო ამისთანა პოლიტიკა უფრო აღვიერდა ეროვნულ გრძნობებს და ბრძოლის სურვილს დამოუკიდებლობისათვის. და ბრძოლაც სწარმოებდა.

ამ ბრძოლების საუკეთესო ნიმუშს იძლევა ბელგია, რომელმაც

ისეთ მორალურ სიმაღლეს მიაღწია, რო დიდის გაბედულობით და ურყეველ იმედით გამარჯვებისა ბრძოლას შეეცადა და თითქმის რო საკუთარ ძალით მოიპოვა დამოუკიდებლობა და სამუდამოთ თვითონ-ვე გადაწყვიტა თავის ბედ-ილბალი.

ასი წლის შინათ გააკეთა ის დიდებული ეროვნული საქმე თავის საკუთარი ძალით, რაც უნდა გაეკეთებინა საქართველოს ჩვენ დამოუკიდებლობის ხანაში; საჭირო იყო შეერთება მთელ კავკასიასთან (ჩვენ, გაცილებით უკეთეს პირობებში ვიყავით მინამ ბელგია). ეს საქართველომ არამც თუ ვერ შესძლო, არამედ დაჰკარგა ის, რაც ჰქონდა. მაგრამ ცხადია, რო ამით ჩვენი ისტორია თავის დიდებული და ბრწყინვალე წარსულით არა თავდება — აյ უნუგეშობას და უიმედობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს, — პირიქით, როგორც დავინახავთ, მთელი რიგი სხვა და სხვა ერების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლების განხილვიდან: ჩვენ, ქართველები, და ჩვენთან მთელი კავკასია, გაცილებით უკეთეს პირობებში ვართ მანამ ის ერები, რომელთაც უკვე დაიმკვიდრეს სახელნიეროთ დამოუკიდებლობა; ვიმყოფებით ისეთ მდიდარ ბუნებრივ პირობებში, რომელნიც გვაძლევენ დიდ გარანტის გავხდეთ სრულებით და ყველაფერში დამოუკიდებელნი სხვა სახელმწიფოებისაგან. დიდათ დარწმუნებული ვარ, რო კავკასია მოიპოვებს თავისუფლებას, რა ფასათაც არ უნდა დაუჯდეს და შეაღვენს ერთ შედუღებულ ფედერატიულ კავშირს, ეს ჩვენთვის ბუნებრივია, აუცილებელი, და ჩვენი ისტორიაც ამაზედ ცხადათ მიგვითითებს.

აი რას ამბობს ბელგიის ისტორია იმის სასიკვდილო და სასიცოცხლო ბრძოლის შესახებ: ამ ბრძოლის დაწყობამდე ბელგიის საზოგადოება დაყოფილ იყო ორ მოწინააღმდეგე პარტიათ — კატოლიკებათ და ლიბერალებათ. როგორც-კი დაიწყო ბრძოლა, საზოგადოებამ სწრაფად მოიშორა თავიდან პარტიობა. ამით წევრებმა გაუშვიდეს ერთმანეთს ხელი შევობრობისა და ფიცი დასდეს შეერთებულ მუშაობისა ეროვნულ ნიაღაზე. საზოგადოებამ ადვილათ შეიგნო, რო ამისთანა დიდ ბრძოლას უპირველესათ სჭირდება მძლავრი მორალური მოტორი და ამიტომაც უპრეველესი მნიშვნელობა მისცა შეერთებას ერთ ეროვნულ ძალაში. ამით შინაური მტერი — უსაშინელესი და დიდათ მავნებელი საზოგადოების სენი, რომელიც აშცირებდა საკუთარ ერის ძალას — პარტიული დაყოფილება — აშორებულ იქმნა, რითაც მაგარი საძირკველი ჩაეყარა მომავალ გამარჯვებას.

1827—1828 წ.წ. ბელგიის პრესაში დიდათ გავრცელდა ოპოზიციონური ბრძოლა: დაუყონებლივ თხოულობდნენ პრესის თავი-

სუფლებას; მინისტრების პასუხისმგებლობას პარლამენტის წინაშე; სასამართლოს რეფორმებს; მოქალაქეობის თანაწორობას და სხვა.

ოპოზიციის მოძრაობის თავში დადგა ლიბერალური მიმართულების პუბლიციური დე პეტტერი, გამოჩენილი პატრიოტი და ეროვნულ დამოუკიდებლობის დიდი ფანატიკოსი. იგი იყო საუკეთესო წარმომადგენელი თავის ერისა, იმის აზროვნების და გრძნობების გამომხატველი; პიროვნება დიდი ენერგიისა და ავტორიტეტისა. დღიურ „კურიერ“-ის ერთ-ერთ ნუმერში 1828 წ. ეს ლირსეული მამულიშვილი სწერდა: „აქამდისინ ვებრძოდით იეზუიტებს, ეხლაკი უმაღლები წუთია მივმართოთ ბრძოლით მინისტრებს, მათ თანაშემწერებს და მიმდევნელებს“. ამ სიტყვების გამო დე პეტტერი დაატუსალეს 18 თვით.

ხალხმა დიდი მანიფესტაცია გაუკეთა და დიდის ზემით გააცილა სატუსალომდინ. არ არსებობდა ბელგიელი, რომელსაც არ ეჩიარა დე პეტტერის აზროვნება, მისი მხურვალე მიმდევნე არა ყოფილიყო; მთელი ბელგია გაიტაცა მამულის სიყვარულმა და მის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სურვილმა.

როგორც ისტორია მოწმობს, დე პატტერის მოღვაწეობა ტუსალობას არ შეუსუსტებია, წინააღმდეგ, სატუსალო გამოიყენა სამჭედლოთ თავის ოპოზიციონურ მუშაობისა და მხურვალე ენერგიით განაგრძო იგი — მისი ფოლადის ხასიათი არსად არა ხედავდა დაბრკოლებას.

ბრძოლა ჯერჯერობით სწარმოებდა სიტყვით და პრესის საშუალებით, რითაც მზადდებოდა ხალხის შესაფერისი ფსიქიკა. 1830 წ. დასაწყისში დე პეტტერი და რამდენიმე მისი მეგობრები განდევნილ იყვნენ საზღვარგარეთ 5-8 წლით.

ამის შემდეგ მეორე დღესვე ბრიუქსელის ქუჩებზე გაკრული იყო წინადადება ბელგიელების მიმართ შეიარაღებულ ბრძოლის დაწყების შესახებ.

პარიზის ივლისის რევოლუციის ცნობებმა დააჩქარეს აჯანყების ამოფეოქება. ბრუქსელში შეზღვა ფარული რევოლუციონური კომიტეტი ვან დე ვეიერის და გენდებინების შეთაურობით.

რამდენიმე კვირის განმავლობაში შედარებით სიწყნარე სუფედა. 1830 წ. 25 აგვისტოს „ნიემა დე პორტისი“-ს ოპერის წარმოდეგნის შემდეგ, რომელიც რამდენიმე კვირის წინათ, პოლიციის განკარგულებით, მოხსნილ იყო აფიშიდან, რადგანაც იგი ითვლებოდა როგორც პატრიოტულ გრძნობების ამაღლვებელი (შინაარსი — აჯანყება ნებოლში 1647 წ.), მოედანი თეატრის შენობის წინ გაიჭედა ბელგიელებით. იგინი აღელვებულ მოლოდინში იმყოფებოდ-

ნენ. ერთი საათის შემდეგ მოედანი დაიძრა რედაქცია „ნასიონალ“-ის მიმართულებით, რაღაქტორ ლიბრი ბაგნანის საძებნელათ, უკანასკნელმა გაასწრო აჯანყებულებს და მიიმალა. ხალხმა გაანადგურა რედაქციის წიგნთ-საცავი, საბეჭდო და მთელ რედაქციას ცეცხლი მოუკიდა. აგრეთვე მოიქცა სასამართლოს მინისტრის გან მანენის სასახლეს, რომელსაც მოუკიდა ცეცხლი.

წ. მაგდალენის ქუჩაში შეტაკება მოხდა ხალხისა, პოლიციისა და ჯარის შორის. პოლიციის კომისარი მძიმედ დაიჭრა. მრავალი ხალხი მოედო ქუჩებს, ყვირილით: „ძირს მეფე, ძირს პოლანდელები, მივყვეთ საფრანგეთის მაგალითს!“

ხალხმა დააცარიელა იარაღის მაღაზიები და ერთმანეთ შუა დაირიგა (ბელგიელებს საკუთარი ეროვნული ჯარი არა ჰყავდათ, რაღვანაც პოლანდელების მთავრობის განკარგულებით იგი გაუქმებული და დაშლილი იყო).

მეორე დღეს ადრე მოძრაობა გავრცელდა ბრიუქსელის მიდამოებში და აჯანყებამ მიიღო საერთო ხასიათი. მუშაობას მოკლებულნი აფუჭებენ და ანადგურებენ ქარხნებს და საქარხნო იარაღებს. ბრიუქსელის გარნიზონი რიცხვით ძლივს-ძლივს აღწევდა 1,500 კაცამდე.

პოლანდელებმა საშველისათვის მიჰმართეს ახლო მდებარე ქალაქებს, მაგრამ პასუხათ მიიღეს საშველი ძალის გამოგზავნის შეუძლებლობა, რადგან ყველგან ელოდნენ აჯანყებულების თავდასხმას და ამის გამო ჯარის შემცირება საშიშო იყო: პოლანდელებისათვის ცხადი იყო ერთსულოვნური მოქმედება ბელგიელებისა და ისიც, რო აჯანყება ადგილობრივი ხასიათისა არ იყო და მთელი ბელგიაუ მოედებოდა, ამ რიგათ ხელს შეუშლიდა მათ ძალების შეერთებას.

როგორ მოვიქეცით ჩვენ იმ დროს, როცა გაცილებით უკეთეს პირობებში ვიმყოფებოდით და გამარჯვება ჩვენი 1922 წ. ძალიან ადვილი იყო (თუ კი ანგარიშს გაუწევდით შექმნილ პირობებს და ვისარგებლებდით მით, თანახმათ როსტომ მუსხელიშვილის გეგმისა): როსტომ მუსხელიშვილი, რომელიც განზრახ მსახურობდა ბოლშევიკების ჯარში, როგორც ქართული წითელი დივიზის შტაბის უფროსი, და რომელმაც მოიპოვა ისეთი ნდობა ბოლშევიკებისა, რომ მისათვის არაფერი არ იყო საიდუმლო (არც პოლიტიკურის მხრივ, არც სამხედროსი), მშვენიერათ მოფიქრებულ საბრძოლო გეგმას ადგენს, ყველა საჭირო ცნობებს აძლევს ქაქუცას და ჩვენ პოლიტიკურ მოღვაწეებს, თავს უყრის ბოლეშვიკების ჯარს იმ ადგილას, საცა უნდა ყოფილიყო იგი ამოწყვეტლი უკანასკნელ ჯარის-კაცამაღინ იმ დროს, როცა შებმული ქაქუცასთან ბრძოლაში, ზურ-

გიდან შიიღებდა სასიკვდილო დარტყმას შალვა ფავლენიშვილის და ლაშქარაშვილის ძალებისაგან. (იხილე „მხედარი“ ნომერი 14-15. 1922 წ. აჯანყება. დავით ვაჩნაძე).

იმ დროს, როცა ეროვნული აღელვება ბუნებრივათ და სტიქიურის ძალით თავს იყრიდა მტერთან სასიკვდილო ბრძოლისათვის და ადვილათაც გაიმარჯვებდა და გაანთავისუფლებდა არა თუ თავის თავს, იქნებ მთელ კავკასიასაც — ჩვენ ვგზავნით ყველგან კაცებს ფავლენიშვილის და ლაშქარაშვილის ძალების დასაშლელათ, რომლებზედაც დამყარებული იყო მთელი საბრძოლო გეგმის ასრულება (როსტომისა) და ერთს გამარჯვება. იგინი არწმუნებენ აჯანყებულებს, რომ მომხდარი აჯანყება არ არი ეროვნული, იგი მხოლოდ ქაქუცას კერძო საქმეა და ურჩევენ შინ დაბრუნებას სანამ დანიშნული არ იქნება საერთო ეროვნული აჯანყება. გაუგებარია ასეთი მოქმედება! ეროვნული აჯანყება ბუნებრივი მოვლენაა, ადამიანის სურვილს და ანგარიშს არ ემორჩილება და იმის ამოფეთქების წუთს ვერავინ ვერ გაიგებს. კაცს შეუძლიან მხოლოდ ისარგებლოს ხელსაყრელი პირობებით, და მისცეს აჯანყებას (როგორც ეს მაშინ შეიძლებოდა) სასურველი მიმართულება. ჯარი დაიშალა და სახლში დაბრუნდა. დარჩა მხოლოდ ფავლენიშვილი და იმისი რამდენიმე ერთგული მხედარი. აჯანყება დამარცხდა, სამშობლომ სამუდამოთ დაჰკარგა საუკეთესო ხელმძღვანელები სანატრელი და საამაყო მანულიშვილები, რომელთა სახელები სამუდამოთ სადიდებლათ დარჩებიან როგორც სუფთა და მშვენიერი ვარსკვლავნი — ადამიანის დიდების კვალის მაჩვენებელნი. დამარცხდა საქართველო ჩვენის-ცე საკუთარი ცდილობით და საკუთარის ხელით; განადგურდა მისი მუდმივი ერთგული დარაჯი, ჩვენი მშვენიერი და რაინდი ხევსურეთი თავისი ლამაზი ეროვნული გრძნობებით, რომლის დასამორჩილებლათ (ვატარა ხევსურეთისა) რუსეთი, 1804 წ. საქართველოს ოკუპაციის დროს, იძულებული იყო გამოეყავანა ბრძოლისათვის 70,000 ჯარისკაცი და 50 ზარბაზანი (იხილე „მხედარი“ ნომ. 14-15. 1922 წ. აჯ. დ. ვაჩნაძე).

რა იყო ნამდვილი მიზეზი დამარცხებისა ყ ეს ისტორიამ გააჩინოს.

ბრიუქსელში პირველი სროლა გაისმა 26 აგვისტოს დილის 6 საათზე. ჯარი ესროდა ხალხს, რომელსაც შეადგენდნენ მომუშავარნი და ქუჩის ბიჭები („ლუმპენპაროლეტარიატ“). დაიხოცა 5 კაცი, რომელნიც სწვამდნენ და ანადგურებდნენ ქარხნებს. ჯარმა მოიყარა თავი მეფის სასახლის ახლოს. ქალაქის მიდამოები და თითქმის მთელი ქალაქი რევოლუციონერებმა ხელთ იგდეს. ბრიუქსელის მოქა-

ლაქენი ამისთანა მოვლენებით დაშინებულნი, ადგენენ მოქალაქეთა გვარდიას წეს-რიგის დასცავათ და ძალას ატანენ ბრაბანდის გუბერნატორს ვან დერ ფოსსეს, რომელიც შიშით რევოლუციონერების ჭინაშე იმაღლებოდა, ხელი მოეწერა ყოფილი ოფცრის კაროლი პლეტინჯის ნომინაციაზე ამ გვარდიის კომენდანტათ.

რევოლუციონერებმა დაიპყრეს რატუში, რომელზედაც გამოჰყინეს ორანელების დინასტიის ბაირალის მაგივრათ, ბრაბანტის შავ-ყვითელ-წითელი ფერების ბაირალი. ერთმა ბელგიელმა აკტორმა შეადგინა ჰიმნი „ბრაბანსონ“, რომელიც გახდა ბელგიელების ეროვნულ ჰიმნათ. ამის შემდეგ რევოლუციონერები ემზადებოდნენ მეფის სასახლეზე დაცემისათვის. ადგილობრივი მცხოვრებლები ძალიან სცდილობდნენ ხელი შეეშალათ ამ განზრახვაში, რადგანაც ბრიუქსელის არეულობის, მათგან დაწყნარება, სურდათ გამოეყენათ როგორც საბუთი ჰილანდელების მთავრობასთან მოლაპარაკების დროს და სამაგიეროთ მოეთხოვნათ უფლებების დათმობა სხვა და სხვა საკითხებში.

რადგანაც მოქალაქეთა გვარდიამ დაადგინა რაც არ უნდა დაუჯდეს, დაამშვიდოს აღელვებული ხალხი, ადგილათ შესაძლებელი კუმ შეტაკება მომხდარიყო გვარდიას და ხალხს შუა. 27 აგვისტოს, მეფის სასახლის წინ გვარდიამ სროლა დაუწყო რევოლუციონერებს. ამ შეტაკების შემდეგ ბრაბანტის გუბერნატორი დარწმუნდა, რომ ჰილანდელების ჯარის ყოფნა ქალაქში ხელს შეუშლიდა მოქალაქეთა გვარდიას წეს-რიგის დამყარებაში; გასცა განკარგულება ქალაქიდან ჯარის გაყვანისა. შესდგა მალე გვარდიის საბჭო, რომელმაც დაუყენა ჰილანდელებს სხვა და სხვა მოთხოვნილებანი, როგორც მაგ. ვან მაანენის მოშორება; შტატების მოწვევა; პასუხისმგებლობა მინისტრებისა პარლამენტის წინაშე და სხვა....

მეფის გამოურკვეველმა ქცევამ მიიყვანა შეთანხმების გაუქმებამდე.

მეფე რყევაში იყო — მიემართა რეპრესიებისათვის, თუ დათანხმებულიყო, და, გამოურკვეველ სულიერ მდგომარეობაში მყოფმა გაგზავნა ბრიუქსელში თავის უფროსი შეილი ვილჰელმი საქმის მოსარიგებლათ, და იმავე დროს ბრიუქსელს უგზავნიდა გაუგებარ პასუხებს. თავის შვილზე მეფე დიდ იმედს ამყარებდა, რადგანაც იგი პოპულიარულ და პატივცემულ პიროვნებათ ითვლებოდა ბელგიელების შუა.

ბოლოს, 3 სექტემბერს, მეფე დათანხმდა ბრიუქსელი მოთხოვნილებების ასრულებაზე. შხოლოდ.... გვიან-ლა იყო.

რევოლუციამ გაიტაცა სამხრეთი ბელგია და მთელ ბელგიასაც

ეფინებოდა დიდი სისწრაფით. რევოლუციონერები თხოულობდნენ ბელგიის სრულ გამოყოფას ჰოლანდიისაგან და სხვას.... თანახმანი იყვნენ მხოლოდ პიროვნული უნიის შექმნაზე და ჰოლანდიული უნიის შექმნაზე. მეტად და მეტად თავის საკუთარ მეფეთ. მაგრამ თანხმობამდინ ვერ მიაღწიეს. ამის გამო, ორი დღის შემდეგ, შვილი დაბრუნდა ბრიუქსელიდან. მეორე დღესვე ბრიუქსელში რევოლუციონერებმა დაინახეს რა, რომ მთლეთ ბელგია რევოლუციონერების ხელშია, გააუქმეს მოქალაქეთა გვარდია და გახდნენ მთელი ქალაქის ბატონებათ.

საშიში მდგომარეობის გამო მეფემ გასცა ბრძანება მეორე თავის ვაჟეშვილს ფრიდერიკეს ბრიუქსელისათვის რკალი შემოერტყა ჰოლანდიულების ჯარით. ომი უკვე დაწყებული იყო.

23 სექტემბერს ჰოლანდიულების ჯარი თოხი ადგილიდან (ქალაქის კარებებიდან) შემოვარდა ქალაქში. მოქალაქებმა სრულებით თავი დაკვარეს. ამის სამაგიეროთ ხალხმა ენერგიული ბრძოლა გააჩარის ჯართან, მიუხედავათ იმისა, რომ არავინა ჰყვანდა ხელმძღვანელათ; ყველგან აწყობდა ბარიკადებს და ყოველ მტკაველ ადგილს არ უთმობდა მოწინააღმდეგეს, — გარშემო სისხლი იღვრებოდა. 24 სექტემბრის განმავლობაში ფრიდერიკი ზარბაზნებით სთლიდა ქალაქს. ამისდა მიუხედავათ ბელგიელების ძალა წამ-და-უწუმ იზრდებოდა, რადგანაც რევოლუციონერებს ძალები პროვინციებიდან ემატებოდათ. იმავე დროს ხელს უშლიდენ ჰოლანდიულების ჯარის გაძლიერებას. ამ რიგათ ჰოლანდიულების ჯარი ძალიან ძნელ პირობებში მოემწყვდა — გარშემო მტერი, საშველი-კი არსაიდან. 26 სექტემბერს ბელგიელებმა უკვე დასძლიერ ჰოლანდიულებს და საუკეთესო პიზიციები ხელთ გამოსტაცეს. ფრიდრიკის ბრძანებით ჰოლანდიულების ჯარმა ღამით 26-დან 27-ე დასტოვა ქალაქი. განთავისუფლებულ ქალაქში იმ წამსვე შესდგა დროებითი მთავრობა, რის შემადგენლობაში შედის აგრეთვე დე პეტერი.

4 ოქტომბერს დროებითი მთავრობამ გამოაცხადა, რომ ყველა ბელგიის პროვინციები წარმოადგენენ დამოუკიდებელ ბელგიას და რომ მოწვეულ იქნება ეროვნული კონგრესი. ყოველგვარი შერჩივების ცდები სრული უარით იყო აცილებული. 27 ოქტომბერს დროებითი მთავრობამ დიდი რაზმი გაპრზავნა ანტვერპენში, რომერიკ ჯერ კიდე ჰოლანდიულებს ეჭირათ. ამ რაზმმა დაიჭირა ქალაქი; ჰოლანდიულები, რომელნიც მოემწყვდნენ ამ ქალაქის ციხე-სიმაგრეში და იქიდან ესროდნენ ქალაქს ზარბაზნებით. გარდა ამ ციხისა ჰოლანდიელების ხელში იმყოფებოდნენ ლიუქსემბურგი და ქალაქი მაასტრინგტი.

1830 წ. 10 ნოემბერს ბრუქსელში შეიყარა ბელგიელების ეროვნული კონგრესი. ამ კონგრესის დეპუტატებმა 174 ხმით გადასწყვიტეს კონსტიტუციონური მონარქიის დაარსება. წინააღმდეგნი დარჩენენ მხოლოდ 12 კაცი, მათ რიცხვში დეპეტტერიც; ამისთანა დადგენილებით განჩინებულმა, სთქვა: „ამნაირ უმნიშვნელო საქმი-სათვის არა ლირდა ამდენი სისხლის დაღვრა“-ო, და საზოგადოების სამსახურს თავი დაანება და მიჰმართა კერძო ცხოვრებას. ბელგიის სრული დამოუკიდებლობის საკითხს ყველამ ერთი ხმა მისცა.

ბელგიის ახალი კონსტიტუცია გამოქვეყნებულ იყოთებერვალში 1831 წ. ეროვნულ კონგრესის ერთსულოვნობრივი დადგენილებით. საფუძვლად დაედო ორდარბაზიანი პრინციპი. აღმასრულებელი ძალა მიენდო მეფეს და მინისტრებს, ომელნიც პასუხისმგებლებლათ გახადეს შეერთებულ დარბაზების წინაშე. მეფეს შეეძლო თავის ძალით გატარება მხოლოდ მინისტრების საშვალებით. არჩევნობის (დარბაზების წევრებათ) უფლება ენიჭებოდათ უძრავ ქონების პატრონთ. ერთ დეპუტატს ირჩევდა 40,000 კაცი, იგი იყო ამ რიცხვის წარმომადგენელი, და მათი მოთხევილების დამცველი.

პოლანდელების მეფე ვილჰელმი არ შეურიგდა ამისთანა მდგომარეობას და მიმართა სხვა სახელმწიფოებს. ყველაზე მეტ სურვილს ვილჰელმისათვის შევლაში იჩენდა ამის ახლო ნათესავი, რუსეთის ხელმწიფე ნიკოლოზ პირველი, ომელმაც უკვე უბრძანა ღენერალ დიბიჩს მოელაპარაკებინა ბერლინში და ეთხოვა ნებართვა — ხელი შეეწყოთ გერმანელებს პრუსიაზე ჯარის გაყვანაში. ამ განზრახვებს შეუშალა ხელი მოულოდნელმა პოლონეთის იმავე წლის ნოემბრის აჯანყებამ, რომელმაც მთელი რუსის ჯარის ყურადღება მიიზიდა. საერთაშორისო პირობებიც ევროპაში ისეთი შეიქმნენ, რო ვერავის შეეძლო პოლანდელებისათვის შელა. ვერვინ ბედავდა იმის შინაურ საქმეში ჩარევას, მით უმტეს, რომ, თუმცა ბელგია პატარა იყო, მაგრამ სულიერის და ეროვნული გრძნობების სიძლიერეში ვერავინ შეედარებოდა — მთელი ერის ამოწყვეტა ხო შეუძლებელი იყო. უამისოთ-კი ბელგიას ვერავნ დაიმორჩილებდა. წესრიგი და სამხედრო ძალა გასაოცარი სისწრაფით იზრდებოდა მთელ ერთსულოვან და რაინდულ ბელგიაში. ევროპის პოლიტიკოსებმა ცხადათ იგრძნეს უმნიშვნელობა თავის უფულო და გამოანგარშებულ პოლიტიკისა ბელგიის შესახებ, რომელიც არა თუ არ დამორჩილდა მათ დადგენილებას. იარაღით ხელში, ცეცხლით და მახვილით უპასუხა იმათ სურვილს და თვითონ გახდა ბატონი თავის საკუთარ ბედისა. საცა გული ბატონის და ბატიოსნებაა იქ პოლიტიკას არავინ ეპატიუება. ბელგიის ამ სთანა მოქმედებ მ ევროპაზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. ინგ-

ლისის დიპლომატია უკვე დიდის სიმპატიით უყურებდა ბელგიის დამოუკიდებლობას და შემდეგში ბელგიის ერმა მიზიდა სხვა ერების და ევროპიული საზოგადოების თანავრძნობა და პატივისცემა. დამარცხდა ევროპის მართველების პოლიტიკა ბელგიის შესახებ — პატარა ბელგიამ დასძლია დიდი ევროპა და ძალით დამარნა იმის პოლიტიკა თავის თავის შესახებ.

1830 წ. დეკემბერში ინგლისის მოწვევით ლონდონში შესდგა საერთაშორისო კონფერენცია, საცა დამტკიცებულ იყო ბელგიის დამოუკიდებლობა; ზავის ჩამოგდება მოწინააღმდეგებ შუა; ლიუქსემბურგი მიაკუთვნეს პოლანდიას; და ბელგიას მისცეს გარანტია „მუდმივი“ ნეიტრალიტეტისა.

ინგლისის რჩევით ბელგიის მეფეთ მოწვეული იყო სიძე ინგლისის მეფისა გიორგ მეოთხესა, სას-კობურგის თავადი ლეოპოლდი, რომელიც ჩამოვიდა ბრიუქსელში 1831 წ. ივლისში, ფიცი დაუდო კონსტიტუციას და ავიდა მეფის ტახტზე როგორც ლეოპოლდი პირველი (1831-1865).

მაგრამ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ამით არ თავდება, 2 აგვისტოს ბელგიას მოულოდნელათ თავს ესხმის პოლანდელები 50,000 ჯარით. ინგლისი და საფრანგეთი, რომელნიც ლონდონის კონფერენციის ერთ-ერთ წევრთაგანნი იყვნენ და ბელგიას ხელმოწერილი გარანტია მისცეს მისი სამუდამო ნეიტრალიტეტისა, უგზავნიან ბელგიას თავიანთ ჯარებს — საფრანგეთი ხმელეთით, ინგლისი ზღვით და ეს უკანასკნელი ბლოკადას უკეთებს პოლანდის ზღვის ნაპირებს. დიდალი ზარალით, დაჭრილ - დახოცილების დიდი რიცხვით პოლანდელები გადევნილ იყვნენ ბელგიიდან და ანტივარენიც თავის ციხე-სიმაგრით ერთი თვის ბრძოლის შემდეგ, განთავისუფლდა პოლანდელებისაგან.

ბელგია და პოლანდის შორის მტრული განწყობილება კიდე დიდი ხანი იყო, და მხოლოდ 1838 წლიდგან სამუდამოდ დამყარდა მეზობლური მშვიდობიანობა.

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ბელგიამ ფოლადივით მაგარი ნებისყოფა გამოიჩინა, ერთსულოვნება, მეგობრული შედეულება და კავშირი ყველაფერში, უმაღლესი ადამიანური ღირსება და რაინდული პატიოსნება, ერთის სიტყვით, უმაღლესი ეროვნული სულის ძლიერება. სულის ამ თვისებებმა დასძლიეს და უკუაგდეს მტერი. ბევრათ უკეთ შეიარაღებული და მხედრულათ მოწყობილი, მხოლოდ მორალურათ გაცილებით უფრო დაბლა მდგომი. და რაკ უძნელესი იყო — სრულებით გააუქმეს და წაშალეს ევროპის ძლიერი მართვე-

ლების პოლიტიკა და ღირსეული ქეგლი აუგეს თავის ბრწყინვალე სახელს.

ბელგიამ თავისი მაგალითთ ცხადათ დაგვიმტკიცა, რო მორალური ელემენტი სძლევს მატერიალურს. განა იგივე არ დაგვიმტკიცა ჩვენმა ახალგაზრდა სამხედრო სკოლამ? იგივე არ დაგვიმტკიცეს უკანასკნელი ჩვენი ისტორიის სამშობლოს გმირებმა? მთელი ჩვენი საარაკო ისტორიაც ამას არ გვასწავლის? საქართველოს ადვილათ ჟერლო გაეკეთებინა ის, რაც ბელგიამ დიდის ძალის დაჭიმვით გააკეთა, კინაიდგან საქართველო ყოველის მხრივ უკეთეს პირობებში იყო. მაგრამ რაკი ერს არ მივაღებინეთ პირველ დღიდანვე ეროვნული სახე და არ მივეცით პირველი და უკანასკნელი გაღამჯრელი სიტყვა თავის ბედილბალში, დავმარცხდით იმ დროს, როცა გამარჯვება ორივე ხელს გვაწოდებდა.

შაქრო ბაქრაძე

1935 წ. თებერვალი.

### ჯარისკაცის ინდივიდუალურ აღზრდის შესახებ \*)

უზრნ. „მხედარის“ მე-16 რვეულში მოთავსებულია ბ-ნი კ-ი-ს კრიტიკა ჩემი სტატიის „ჯარისკაცის ინდ. აღზრდის“ შესახებ.

უნდა აღვნიშნო, რომ კრიტიკოსი ასცდა ჩემი დებულების მთავარ საგანს და უმთავრესად გაკვრით წარმოთქმულ წინადაღებებს გამოიკიდა. მე მაინც მაღლობას ვსწირავ ბ-ნ კ-ი-ს. კრიტიკა გამოიწვევს ინტერესს: ჩემს მიერ აღძრული საკითხის შესახებ აღბად სხვებიც დასწერენ და იგი თან და თან გაშუქდება. ხოლო ჩემი სტატიის სრულყოფილება და ჩემ აზრთა ურყევი ჭეშმარიტება არ დამიჩემებია. რასაცა ვსწერ, საკრიტიკოთ გამომაქვს.

ჩემს სტატიაში საკითხი ნათლადაა დასმული: ინდ. აღზრ. სისტემის შემოტანის საჭიროება საქართველოში. კრიტიკა ამ ნიადაგზედ უნდა სწარმოებდეს. ეს საკითხი ორნაირი თვალსაზრისით უნდა იყოს

\*) რედაქცია ათავსებს ამ წერილს და ამით ჯარისკაცის ინდივიდუალურ აღზრდის ირგვლივ დაწყებულ კამათს ავტორის და მის კრიტიკოსის შორის დასრულებულათ ვთვლით.

ავტორის შეხედულებანი ზოგიერთ შემთხვევაში, საერთოთ ჯარისკაცის აღზრდის საკითხებში, რედაქციის აზრს ეწინააღმდეგებიან. ვფიქრობთ, რომ ამ თემას კიდევ რამოდენჯერმე დავუბრუნდებით, რასაკვირველია, უკვე სხვანაირ მიღვომით. (რედაქცია).

განხილული: ა) მიზანშეწონლია თუ არა, საერთოდ, ეს მეთოდი; ბ) საჭიროა თუ არა მისი შემოლება საქართველოში.

უმორჩილესადა გსობოვ კრიტიკოსებს ამ ფარგლებითვან ნუ გა-  
მოვლენ თუ სურთ რაიმე დადებითი დასკვნების გამოტანა.

ბ-ნმა კ-ი-მა იძულებულ მყო იმ ნიადაგზედ დავიცვა თავი, რო-  
მელზეც სრულიადაც არა მსურდა კამათის აღძვრა და ჩემი პასუხი  
შემდეგია:

1) ბ-ნი კ-ი თავის კრიტიკას შემდეგი სიტყვებით ათავებს: .... „ამით იმისი თქმა სრულიადაც არ მინდა, თითქოს ევროპის ჯარში ყოველისფერი კარგად იყოს დაყენებული“.... მე მგონი ჩემს კრიტი-  
კოს თავისი სტატია ამ საბოლოო სიტყვებით რომ დაეშე, ჩემ წე-  
რილს სულ სხვა საზომით გაზომავდა და სხვა თვალსაზრისით განი-  
ხილავდა. რაც „კარგად არაა დაყენებული“ იმას გამოსწორება და  
გადაკეთება ესაჭიროება და მეც ჩემ სტატიაში ამაზედ მეტი არა მი-  
თქვამს რა. მე აშკარად და ნათლად გამოვსთქვი: მართალია ევროპი-  
ელ ახალმა საშმ. წესდებებმა ინდ. მეთოდისაკენ უკვე გადასდგეს ნა-  
ბიჯი, მაგრამ იგი ჯერ სავსებით მაინც ვერ განახორციელეს მეთქი.  
მე მხოლოდ იმას ვამტკცებ, რომ ევროპიელი ჯარისათვის აუცილე-  
ბელია ამ მეთოდის ინტევრალური შემოლება. იგი საჭიროა მეტადრე  
საქართველოსათვის, სადაც მის მიზანშეწონილობას გვიყარნახებენ  
ფსიქოლოგიური, გეოგრაფიული და სხვა ფაქტორები და ამასთანავე  
მცირე რიცხვი ქართ. მოსახლეობისა. რუსეთში, მაგალითად, ინდ.  
მეთოდის შემოლება ზედ მეტია და მავნეც იმავე გეოგრაფიული და  
ფსიქოლოგიური მიზეზების გამო. ამ საკითხებს განსაკუთრებულ  
სტატიას უძღვნი უურნ. „მხედარში“.

ა) რა ფარგლებში დავსვი მე საკითხი, რა ნიადაგზედ და კრიტი-  
კაც ამ მხრივ უნდა ყოფილიყო მიმართული.

2) შეიარაღებული ერის სისტემა ჯერ სავსებით არა განხორცი-  
ელებული ევროპაში. იგი მხოლოდ განვითარების პროცესშია. შეია-  
რაღებული ერის სისტემის შემოღებაზედ მე პოსტ-ფაკტუმ კი არ  
დამიწერია, არამედ უკვე 1920 წელს ვამტკიცებდი. რომ სამხედრო  
ორგანიზაციის განვითარება უსათუოთ ამ გზით წავა და, საჭიროცაა  
რომ წავიდეს მეთქი. თავის დროზედ ჩემი თხუზულება ევროპიელმა  
სამხედრო პრესამ საქმარისად დააფასა.

3) ჩემს სტატიაში შემდეგი აზრი გამოვსთქვი: „სამხედრო საქმე  
აალ მხრივ მეცნიერებაა და მეორე მხრივ ხელოვნება“..... ბ-ნი კ—ი  
ამ დებულებას მიწუნებს და იქვე კი ჩემსავე აზრს იმეორებს, ხოლო  
რამდენიმე წინადადებით.

4) ბ-ნი კ-ი ამბობს: მეცნიერება საერთოა და შეუძლებელია ქა-

რთული მეცნიერება არსებობდესო. ამაზედ უნდა უპასუხო, რომ სრულის უფლებით შეიძლება ითქვას: ქართული, ფრანგული, იტალი-ანური და სხვა მეცნიერება. იმიტომ რომ ყოველ მეცნიერებას თვით მექანიკას და ტექნიკასაც კი ეროვნული ელფერი ადევს ხოლმე. მა-გალითად სახელმწიფოებრივი სამართლის დარგში სულ სხვა და სხვა ნაირი კონცეპცია გერმანიაში და საფრანგეთში. იურიდიულ მეც-ნიერებაში თითქმის აქსიომათაა აღიარებული რომ სახელმწიფო სამი ელემენტითვან შესდგება: ტერიტორია, ხალხი, პოლიტიკური ორგა-ნიზაცია. მაგრამ ნომადების მეცნიერი (რომ პყავდეს) უსათუოდ უარსა ჰყოფდა პირველი ელემენტის აუცილებლობას სახელმწიფოს არსებობისათვის.

როცა ვსწერ ქართ. სამხ. მეცნიერების შესახებ მე ვგულისხმობ, რომ უნდა შეიქმნას ქართ. მხედრ. ლიტერატურა; უნდა შესწავლილ იქმნებ საქართველოს გეოგრაფიულ - ტოპოგრაფიული პირობები; ქართველი ხალხის სამხედრო უნარი და ინდივიდ. თვისებანი საქართ-ველის ომის პოტენცია; უნდა შესწავლილ იქმნას საქართ. სამხედრო ისტორია; ზედმიწევნით იქმნას შესწავლილი სამხედრო თავდაცვის სისტემა; რანაირი უნდა იყოს ტიპი ჩვენი ჯარის ორგანიზაც. და მე-თოდი მისი აღზრდისა და სხვა და სხვა. ყოველივე ეს შექმნის ვრცელ ქართ. სამხედრო ლიტერატურას, ქართ. სპეციფიურ პირობებთან შე-გუებულ სამხ. მეცნიერულ მეთოდებს. ხოლო ყოველივე ამას დაედება ქართული ელფერი, ჩაედგმევა ქართული სული, მიეცემა ქართული კოლორიტი, დამუშავდება ქართული სამხედრო კონცეპცია. აი ამას შეგვიძლია თამამად უწოდოთ ქართული სამხედრო მეცნიერება.

5) რაც შეეხება ბათალიონის მანოვრის სტრატეგიულ კონცეპ-ციას, აქაც იძულებული ვარ ჩემს კრიტიკოსს კრტიკოთვე უპასუხო.

სტრატეგია და ტაქტიკა იმ ზომამდე არიან ერთმანეთზედ გადა-ხლართული, რომ მათი ერთმანეთითვან გადამიჯვნა ხშირად შეუძლე-ბელია. ადგილია მხოლოდ მათი მიზნების განსაზღვრა. რასაკვირე-ლია ორთავეს საბოლოო მიზანი ერთი და იგივეა: გამარჯვება და მტრის სულიერი და ფიზიკური განადგურება. მაგრამ მათი უახლო-ესი მიზნები კი სხვადასხვაობენ. სტრატეგიის განსაკუთრებულ მი-ზანს და დანიშნულებას შეადგენს შექმნა საუკეთესო პირობებისა ბრძოლისათვის; ტაქტიკის განსაკუთრებული მიზანი კი თვით ბრძო-ლის წარმოებაში. ბრძოლის ველზედ, მდგომარეობს. საბოლოოთ სტრატეგია ტაქტიკის მოსამსახურეა. შესაძლებელია, განურჩევლად სიღილისა, ბრძოლაში ან მანოვრში მომქმედ ერთეულისა მას გარდა ტაქტიკურისა სტრატეგიული კონცეპცია ჰქონდეს. ეს დამოკიდებუ-ლია ორი მომენტითვან: 1) თუ ათასეული არის განმარტოებული და

დამოუკიდებელი ერთეული, ე. ი. თვით შეადგენს მაომარის მხარის მთელ ჯარს; 2) რა ხასიათისაა თვით მანოვრის ამოცანა.

წარმოვიდგინოთ რომ ორი პატარა თემი ერთმანეთს ეომება. თითო მათგანის ძალა არ აღემატება ათას კაცს. მიზანია მოწინააღმდევის მთელი ტერიტორიის ან ნაწილის დაპყრობა. განა ამ ბრძოლაში სტრატეგიულ კონცეპციას არ ექნება ალაგი? კი ექნება, რათვან აქა ვეღადვთ ორ დიდ სახელმწიფოთა შორის და დიდი ჯარებით ომის თითქმის ყველა ელემენტებს, მხოლოდ მიკროსკოპიულ პროპორციაში. 1920 წ. ქართ. ჯარები მხოლოდ 9000 კაცს უდრიდა. მაშ მას სტრატეგიული კონცეპცია არა ქვინია?!

6) ეხლა ფსიქოლოგიური ფაქტორის შესახებ. რასაკვირველია, ფსიქოლოგ. ფაქტორი ანტიურ ომებშიაც არსებობდა. აგრეთვე იმ ხანაშიც, როცა ადამიანი ადამიანს ქვებით ებრძოდა. მე ეს მოვლენა ჩემს წინა წერილში უარ არ მიყვია. ადამიანის მთავარი დამახასიათებელი ელემენტი, მას აქეთ რაც იგი ორ ფეხზე დადგა, სწორედ ფსიქოლოგია. ამიტომ წარმოუდგენელია, რომ მისმა ფსიქოლოგიამ ბრძოლის ეფექტებს, რა უამსა, სიცრცეში და პირობებშიც არ უნდა არსებობდეს ეს ბრძოლა, — ამა თუ იმ რეაქციით არ უპასუხოს. ხოლო, ამ მხრივ, ანტიურ და თანამედროვე ბრძოლათა შორის ის განსხვავებაა. რომ იმ ღრმას ფსიქოლოგიური ფაქტორი დოდ რომ არა თამაშობდა და მათურად მხოლოდ ხელჩართულ შეტაკებაში წამოიჭრებოდა ხოლმე. დღეს კი არტილერიის ცეცხლი ათეულ კილომეტრებზე და მოქმედობს და სულ სხვა ძალით და რისხვით ვიდრე უწინდელი ისრები, შუბები ან ქვა-მტყორუნელი მანქანები. დიახ, ფსიქოლოგიური ფაქტორი უწინაც არსებობდა. ხოლო თანამედროვე ომში იგი როულ და მთელ პრობლემად დაისვა. ამას უნდა ანგარიში გაეწიოს; იგი თხოულობს შესწავლას და წამლის მონახვას. დღეს იგი სტრატეგიის სფეროში იჭრება და საჭიროა სტრატეგიის და სამხედრო ლიტერატურის მნიშვნელოვან საგნად გადაიქცეს. მე ეს მოვითხოვ ჩემ სტატიაში.

ოციოდე წლის წინეთ აზრათ არავის მოსდიოდა ეკონომიკის გადაქცევა სტრატეგიის საგნად. დღეს კი ეკონომიკა სტრატეგიის ერთ მთავარ საგანთავანად ითვლება. ამნაირად, დროთა შველელობაში, ცხოვრების გართულების პროცესში, სფერო სამხედრო მეცნიერებისა ფართოვდება. ეს ლოლიკურია, რათვან ყოველი მეცნიერების ბუნება მოითხოვს მოქმედების სფეროს, ცოდნათა ასპარეზის შეუწყვეტელ გაფართოებას. სამხედრო მეცნიერებაც და სტრატეგიაც უნდა გაიჭიმოს და ფსიქოლოგიასაც გასწვდეს და თავისი შესწავლის და ზრუნვის საგნად უნდა გაიხადოს. ეს აუცილებელია. ჩემი სტატია ამ დებულე-

გას სრულიად ნათლად გამოსთქვავს. ჩემი დებულების დასაყრდომელი წერტილი სწორედ ფსიქოლოგია საერთოდ და კერძოდ ფსიქოლოგიური ფაქტორი თვით ბრძოლის პროცესში. „ინდ. აზრდის მეოთხე“ შეგვიძლა „ფსიქოლოგიური მეთოდიც“ უწოდოთ.

როცა მე ვამტკიცებ ჯარისკაცის ინდ. აღზრდის საჭიროებას, ამითი მოვითხოვ, რომ ფსიქოლოგია გახდეს სტრატეგიის საგნად. პირველის ლოლიკური დასკვნა მეორეა.

ამ საკითხზედ მე დავსწერე უცხოელ ენაზედ. უცხოელები ამით დაინტერესდენ. ამავე საკითხებზე წავიკითხე რამდენიმე მოხსენება უცხოელ ოფიცერთა წრეებში (მათსავე თხოვნით), აქაც ინტერესით და თანაგრძნობით შემხვდენ. ქართველი კრიტიკოსი იმავ ჩემ დებულებას აღმაცერად უცერის და თვით ვერ ახსნის რა მიზეზით. სრული დარწმუნებული ვარ, რომ ბ-ნი კ-ი ამას განზრას არა სჩადის. სტატიაზედ აშკარად ეტყობა, რომ მცოდნე ოფიცერია, რაც დიდათ სასიამოვნოა ჩვენთვის.

### ლეო კერესელიძე

## საქართველოს სამეცნის სადრო შონი

სამხედრო მიხედულობით, დავით აღმაშენებელის და თამარის საქართველო, — ესე იგი დიდი საქართველოს სამეცნი, — ოთხ ნაწილად იყოფოდა და თითო სამხედრო - საგამგეო ნაწილს სადროშო ერქვა. ამ სადროშოებს, ბატონიშვილი ვახუშტი, თავის საქართველოს "გეოგრაფიაში", შემდეგებს ასახელებს:

1. „წინა - მსრბოლნი“, ანუ „თორელნი, ციხის ჯვარელნი, ახალციხელნი, სრულიად მესხნი და კლარჯნი და სომხითისა, რომელნი ეპყრათ“.

ტერიტორიალურად ეს ნიშნავდა დღევანდელ ახალციხის და ახალქალაქის მაზრებს. არდავანის მხარეს მტკვრის სათავეებით და ოლიტისის მხარეს ისპირითურთ, მთელ კლარჯეთს ზღვის პირამდე და სომხეთის იმ ნაწილებს, რომლებიც ქართველ ბაგრატიონთა სამეფოოში შემოღილდნენ. ამ რიგად ეს იყო საქართველოს სამხრეთ საზღვრებზედ მდებარე სადროში და როგორც ასეთი — ავანგარდი, ანუ როგორც ქართულად ითქმოდა: „წინა - მსრბოლნი“.

2. „მემარჯვენე მიმსვლელ-მცემელნი“, ანუ „სრულიად ლიხთიქითი და აფხაზ-ჯიქნი“.

მაშასადამე ეს სადროში შეიცავდა იმერეთს რაჭითურ, სვანეთს, სამეგრელოს, გურიას, საკუთრივ აფხაზეთს და ჯიქეთს ანუ ჩერქეზეთს.

3. „მემარცხნე მიმსვლელ-მცემელნი“, ანუ „სრულიად ჰერინ და კახნი“, „შაშასადამე მთელი ჰერეთი და კახეთი, რომელთა შაშინ-დელი აღმოსავლეთის საზღვარი გაცილებით განზედ იდო და იცავ-და სამეფოს საზღვრებს კავკასიის მაჰმადიანურ სასულთნოებისა და სპარსეთისაგან.

4. „მეფისა ალმის მპყრობელნი“ ანუ „ქართველნი და როქის სპა“.

„ქართველნი“ აქ ნიშნავს ქართლს, ხოლო როქის სპა — ნაქი-რავებ ჯარს, რომელიც უცხოელთაგან შესდგებოდა. როგორც „მე-ფისა ალმის მპყრობელი“, ანუ მეფის დროშისა, ეს სადროშო საკუ-თრივ მეფისა იყო.

„წინა-მსრბოლნი“, „მემარჯვენე მიმსვლელ-მცემელნი“, „მე-მარცხნე მიმსვლელ-მცემელნი“ მარტო საგამგეო - ტერიტორიალუ-რი ცნებანი არ არიან და წმინდა სამხედრო ცნებასაც შეიცავენ, რო-მელთა გამოცნობა სამხედრო სპეციალისტების საქმეა. საჭიროა მხო-ლოდ ამას ზედ დაერთოს ის ცნობაც, რომელსაც იძლევა ბატონიშვი-ლი ვახუშტი, რომ საქართველოს ეს ოთხი სადროშო „გარნა ოდესმე სამად მიმსვლელად, ანუ სხვა რიგად მიიყვანიან, ვითარ ამჯობინის მეფე ანუ სპასალარი“.

ყოველ სადროშოს სათავეში ედგა სპასალარი (უფრო წინა დრო-ში — სპასპეტი) ხოლო ოთხსავე სადროშოს ომფროსობდა ამირ-სპა-სალარი, რომელიც იყო სამეფოს ერთი ვაზრთაგანი, ვანაგებდა არა მარტო საქართველოს ლაშქრის საქმეს, არამედ საგარეო პოლიტიკა-საც და რომელსაც თანაშემწედ ჰყავდა ამილახორი, ანუ ამირ-ახური. (ამის შესახებ იხილეთ ივ. ჯავახიშვილის „ქართული სამართლის ისტორია“ და ექვთ. თაყაიშვილის „მეფის კარის გარიგება“.)

მაგრამ როგორც ითქვა, ასეთი სამხედრო ტერიტორიალური დანა-წილება მხოლოდ გაერთიანებულ საქართველოს ჰქონდა.

სულ სხვა სურათს წარმოგვიდგენს სამხედრო საქმის გარიგება, ასამდენიმე სამეფოდ და სამთავროდ დანაწილებულ საქართველო-შ. აქ ჩვენ ველარ ვხედავთ საქართველოს ერთ მთლიან სამხედრო თავ დაცვის გეგმას და საქმე გვაქვს ფრიად რთულ კერძოობრივ თავდა-ცვის სამხედრო პრაქტიკასთან.

აღსანიშნავია როგორც მთავარი მოვლენა, რომ ოვით ეს სამე-ფოებად და სამთავროებად დანაწილება იმავე საგამგეო-სამხედრო პრინციპის მიხედვით მოხდა, რომელზედაც აგებული იყო გაერთი-ანებული საქართველოს სამეფოს თავდაცვის საქმე. მაგრამ ამაზედ უწინ თვით ეს გაერთიანებული საქართველოს სამეფოც ამ ტერი-ტორიებისაგან შესდგა. მე-10 საუკ. ბოლოს ესენი იყვნენ: ქართლი

საამიროთი, კახეთის სამთავრო, ტაო-კლარჯეთის სამთავრო, დაშლი-სას, დანაწილებაც ამავე ტერიტორიების საზღვრებში მოხდა. „წინა-მსახურობის“ სადროშოსაგან სამცხე-საათაბაგოს სამთავრო ჩამოყალიბდა, და, „მემარჯვნე მიმსვლელ-მცემელთაგან“ იმერეთის სამეფო შეიქმნა, ისტორიულად მესამე ამ ტერიტორიაზედ (ლაზიკა-აფხაზეთი-იმერეთი), „მემარცხე მიმსვლელ - მცემელთაგან — კახეთის სამეფო, ხოლო „მეფისა აღმის მპყრობელი“ სადროშოსაგან — ქართლის სამეფო. აქედან ცხადია, რომ მთლიან საქართველოს სამეფოს მთავარი მიზეზი ამ სადროშოთა არსებობა არ ყოფილა და მას საფუძვლად ედო ძველი „აფხაზური“, „კახური“ და სხვა ტრადიციები, საერთოდ ის, რომ მთლიანი საქართველო მხოლოდ განსაზღვრული ისტორიულ-პოლიტიკური მოვლენა იყო, ისიც მეათე საუკუნიდგან, მაგრამ სტატიკიულ და ეტნოგრაფიულ მიზეზთა ამ გვარი მორიგეობა საქართველოს გაერთიანება -დანაწილებაში მაინც შესამჩნევ როლს თამაშობდა.

## 2.

მთლიან საქართველოს დაშლასთან ერთად შეიქმნა სამეფოთა და სამთავროთა თავ-დაცვის ასპარეზი. აღასანიშნავია, რომ ძველი წესი სამეფოს ოთხ სადროშოდ დაყოფისა სამივე სამეფომ შეინახა. ქართლი, კახეთი და იმერეთიც ოთხ-ოთხ სადროშოდ იყო დაყოფილი, მაგრამ განსხვავებაც შესამჩნევი იყო.

მეჩვიდმეტე, მეოთრამეტე საუკუნეში და უფრო ადრეც ამირ-სპასალარის მუდმივი თანამდებობა აღარა სჩანს. აღარ სჩანს არც სპასალარის სახელწოდება და ქართლში, მაგალითად, სადროშოს უმფროსს უკვე სარდალი ჰქვიან, ახალი სპარსული სახელწოდება, რომლის ხმარება მეჩვიდმეტე საუკუნიდგან როსტომ მეფემ შემოიღო. ეს სახელწოდება, როგორც ეტყობა, თანდათან იმერეთის სამეფოშიც გადადის და სადროშოების უმფროსებს იქაც „სარდალი“ ეწოდება. სულ სხვა სურათია იმავე დროს კახეთში და იქ სადროშოები, სარდლების ნაცვლად, ეპისკოპოსებს ექვემდებარებიან. ასეთნი იყვნენ: — ბოდებელი, რუსთველი და ნეკრესელი. მეოთხე სადროშო, როგორც ქართლშიაც და აღბად იმერეთშიაც, ეტყობა, კახეთშიაც მეფისა უნდა ყოფილიყო. მაგრამ ეპისკოპოსთა ეს სადროშო უფლება კახეთში მეოთრამეტე საუკუნიდგან მოპობილ იქმნა. ხოლო, როცა იმავე მეოთრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ქართლ-კახეთი ერთ სამეფოდ გამოცხადდა, სადროშო. შესაძლებელია ძველებურად რვა დარჩა. მაგრამ გაერთიანებულ სამეფოში სარდალი მხოლოდ ხუთი იყო. ესენი იყვნენ: — მეწინავესი, მემარცხნესი, მემარჯვნესი, მეფის დროშისა — ქართლში და ქიზიყის სამოურავოსი — კახეთში. (იხ. ს. კაკაბაძის

„საქართველოს ახალი დროს ისტორია“). 1783 წლის რუსეთ-საქართველოს მემკვიდრეობის მინისტრი „გენერალ ოტ პრივატი რუკი“ და „გენერალ ოტ ლევონი რუკი“. აღსანიშვანია, რომ ამირ-სპასალარის წოდება აღდგენილ არ იყო არც ეხლა, როცა ქართლ-კახეთისაგან ერთი სამეფო შეიქმნა, სადროშონი გამრავლდნენ და სამხედრო საქმის გარიგებაც გართულდა. ლაშქარ-ნივისიც, ანუ ჯარის აღწერიც აგრეთვე ხუთი იყო.

მე-18 სუკუნის მეორე ნახევარში სადროშონთა რიცხვი იმერეთის სამეფოშიაც შეიცვალა. როგორც ვიცით, სადროშო იმერეთის სამეფოშიაც ოთხი იყო, ალბად იმავე სახელწოდებით, როგორც ქართლში. მაგრამ მას შემდეგ რაც მეფე სოლომონ პირველმან რაჭის საერისთავო მოსპო, რომელიც იმერეთის მეოთხე სადროშოს შეადგენდა. მეფე სოლომონ მეორემ მეთვრამეტე საუკუნის ბოლოში მხოლოდ სამი სადროშო დააწესა.

თუ რა სურათი იყო სამეგრელოსა და გურიის სამთავროებში, როცა ისინი იმერეთის მეფეთაგან დამოუკიდებელნი ხდებოდნენ, უნდა ვითქმოთ, რომ როგორც უფრო მომცრო ტერიტორიებზედ, ვიდრე ქართლისა, კახეთისა და იმერეთის სამეფონი იყვნენ, შეუძლებელია სადროშონთა რიცხვი იმდენივე ყოფილიყო, როგორც სამეფოებში. ორივე სამთავროში ჯარს სარდლობდნენ, თუ თვით გურიისა და სამეგრელოს მთავარნი არა, რაიცა ხდებოდა უშერტეს შემთხვევის ღრმას, ჯარების სარდლებად ინიშნებოდნენ მთავართა ოჯახის წევრნი და ძალიან იშვიათად სხვანი. რაოდენი იყო სადროშონთა რიცხვი სამცხე-საათაბაგოში, ამას ჯერ გამოკვლევა უნდა.

### 3.

სადროშონთა შედარებთ უფრო ვრცელი აღწერის სურათი ჩვენ ქართლის სადროშოებისა გვაქვს. ის მოყვანილია თავად ალექსანდრე ამილახორის რუსულ წიგნში: „ისტორია გეორგიანსკია“ და სხვა.

თავის საქართველოს მოკლე ისტორიაში თ. ამილახორი მოვითხობს, რომ „რვა ზემო აღნიშნულ მხარეთა ნაცვლად ქართლის მეფეს მხოლოდ ორი მხარე და შერჩა, რომელიც ოთხად განაწილდა“-ო.

„პირველი მხარე განიყოფება ორ კუთხეთ, ზემო-ქართლად და ქვემოქართლად. ზემოქართლი შეადგეს ამილახორთა სათავადოს და სხვა თავადების გვართა: 1. აბაშიძეთა 2. ფალავანდიშვილთა, 3. ფავლენიშვილთა, 4. ხერხეულიძეთა, 5. დავითაშვილთა (ბაგრატიონი), 6. ამირ-ეჯიბთა, 7. ავალიშვილთა, 8. ხიდრიბეგიშვილთა, 9. მხეიძეთა, 10. დიასამიძეთა, 11. სიამარდიანთა, 12. თაქთაქიშვილთა, 13. შალიგაშვილთა, 14. მაჩაბელთა და არიან ბატონიშვილისანი, ტა-

ხტის მემკვიდრესი, რომელიც ლაშქრობის დროს ამილახორის დროშის ქვეშ სდგება“.

„ხოლო ქვემო-ქართლს შეადგენს ორივე საერისთავო, არაგვისა და ქსნისა და მუხრან-ბატონის სამფლობელო, რომელიც არის ორივე ერისთავთა სარდალი.“

„მეორე მხარე აგრეთვე იყოფა ორ კუთხედ. პირველ კუთხეს ეწოდება სომხითი, არის ორბელიანთა სათავადო და სხვა თავადთა, რომელნიც მათი საღროშოსანი არიან, სახელდობრ: 1. ბარათაშვილთა, რომელნი ჩამომავალობენ ორბელიანთაგან, 2. სომხითის მელიქთა, 3. ზურაბიშვილთა, 4. იარალაშვილთა, 5. სოლოლაშვილთა, 6. ყარაბულალიშვილთა, აგრეთვე სხვა აზნაურთა“.... .

„ხოლო მეორე ნაწილს შეადგენს მხარე, გამოყოფილი სომხითისაგან და გარმა-მხარი, სათავადონი ციციშვილთა, ჯავახიშვილთა, თარხანთა ანუ მოურავიანთა, იქაურისა ქათალიკოსა და სხვათა აზნაურთა. ომის დროს ამ ნაწილის ჯარს ჰკრებს თავადი ციციშვილი და მოჰყავს მეფესთან, რომელიც თვით არის ამ ჯარის სარდალი.“

როდესაც ოთხივე საღროშო შეიკრიბება თავისის სარდლებით და სალაშქროდ წავა, არსებობს ძველთაგან ისეთი წყობა, რომ მეწინავედ მიდის თავის ჯარით თავადი ორბელიანი, მემარჯვნედ მიდის ამილახორი, მემარცხნედ მუხრან-ბატონი და შუაში მეფე თავისის ჯარით“.

ამ აღწერილობაში მოცემულია როგორც საღროშოთა ტერიტორიების სიტრცის, მათი შეცულობის და „წყობის“ მხრივ ამ საღროშოთა დანიშნულების სურათი, აგრეთვე სურათი იმ სამობილიზაციო აპარატისა, რომელიც ამ საღროშოებს ჰქონდათ. ამ მხრით და მობილიზაციის პროცესის სრულ სურათის წარმოსადგენად, დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველ საღროშოში მყოფ სათავადოთა ზედმიწვენით ჩამოთვლას. იგი ნათლად გვიხატავს სამობილიზაციო აპარატის ხასიათს. სურათი ასე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. ბრძანება ლაშქარის შეყრისა მეფისაგან მოსდიოდა საღროშოში სარდალს, ხოლო სარდლისაგან ის გადადიოდა ყოველ სათავადოში და აქ ხდებოდა ჯარის მობილიზაცია.

მაგრამ ეს არა ნიშნავს, რომ ყველა სათავადო ცალკე სამხედრო ერთეულს წარმოადგენდა. საღროშოს სათავეში იდგა სარდალი, ხოლო მისი მიმღევნო სამხედრო ხარისხი მიმბაში იყო, რომელიც ჯარის ათასეულს უმფროსობდა. თუ რომელიმე თავადის გვარს შეეძლო თავისი მამულიდგან ათასი ჯარისკაცის გამოყვანა, მაშინ ამ ჯარის მიმბაში თითონ ხდებოდა. მაგრამ მეორამეტე საუკუნეში ათასი ჯარისკაცის გამოყვანა მოსახლეობის სიმცირის გამო ყველა თავადს

აღარ შეეძლო. ამიტომ რამდენიმე სათავადო ხშირად ერთ სამიმბაშო-ში იყო გაერთიანებული. აქედგან ის უნდა დავასკვნათ, რომ მიმბაშთა რიცხვი უფრო მცირე იყო ვიდრე თავადთა და საღროშოში სარდღის ბრძანება ჯარის შეკრებისა უმთავრესად ამ მიმბაშება მისდიოდათ.

4

ამ რიგად ქართლის სამეფოს სამხედრო საქმის გარიგების სურა-თი მეორამეტე საუკუნის დასაწყისში ასეთი იყო:

ჯარის მთავარი მბრძანებელი იყო მეფე. ამ მინით სამეფოც გა-ნიყოფებოდა ოთხ საღროშოდ. საღროშოს სათავეში უდგა სარდალი, მაგრამ ერთ ამ საღროშოთაგანის სარდლად თვით მეფე ითვლებოდა. სარდლის შემდეგ მთავარი სამხედრო ხარისხი იყო მიმბაში, შემდეგ მოდიოდა ხუთასის თავი, ასისთავი, ოცის თავი, და ათასის თავ. ყო-ველ საღროშოს ჰყავდა თავისი ლაშქარ-ნივისი, ანუ ჯარის აღმწერე-ლი და სამობილიზაციო დავთრის დაჭქერი. მაგრამ მისი ფუნქცია მარტო ამით არ თავდებოდა. ლაშქარ-ნივისი ჯარს მუდამ თან ახლ-და და ესწრებოდა ბრძოლას. მის მოვალეობას შეადგენდა ბრძოლის დროს დავლა, ტყვე და მოჭრილი თავები მიეთვალა და შეეღინა სია მხედართა დამსახურების, რადგან ჯილდო მხედარს ამ სიის მი-ხედვით ეძლეოდა. რაც შეეხება სარჯარდას, საფიქრებელია, რომ ის იყო ინტენდანტის მსგავსი რამ.

ჯარი გამოდიოდა უმთავრესად ცხენოუანი და შესდგებოდა აზნაურთაგან და მსახურთაგან. მაგრამ შემდეგ ცხენოსან ჯარში მოყალნე და მებეგრე გლეხებიც გაპყავდათ. ჯარისკაცი კარგად უნ-და ყოფილი ჩატმული და კარგ და მდიდარ იარაღში ჩამჯდარი, მაგრამ ეს ჯარი არ იყო მუდმივი ჯარი, არ სცხოვრობდა ყაზარქა-ში და არ იდგა მუდმივად მიჩნილ აღვილებზედ. იქნიბებოდა მხოლ-ოდ საჭირო დროს.

ყველაზედ დიდი რეფორმა, რომელიც ამ ძველმა ქართულმა ჯარმა განიცადა, იყო ირაკლი მეფის რეფორმა. ჯარში კვლილების შეტანის აზრი მეფეს პირველად ორმოცდაათიან წლებში დაებადა. სპარსეთზედ გალაშქრების სამზადისის დროს, მას უნდა ჯარი ერ-თნაირად გამოეწყო, ოფიცერთათვის სამხარეულები დაერიგებინა. ხოლო მთელ ჯარს ტალვარზედ ჯვარის ნიშანი ჰქონდა. მაგრამ ეს ლაშქრობა არ შესდგა და ჯარში ასეთი ცვლილების შეტანა, თუ გინ-და გარეგანიც, გადაიდო. მაგრამ შემდეგ მეფე დაუბრუნდა ჯარში რეფორმის შეტანის აზრს. 1773 წელს მან მოიწვია ეპისკო-პოზთა და დიდ თავადთა კრება, რომელზედაც ამ საგანზედ იყო მსჯელობა, ხოლო 1774 უკვე გამოცხადდა განჩინება მორიგის ჯა-რისა. ეს „განჩინება“, პროფ. ექვთიმე თაყაიშვილმა ჯერ კიდევ და-

მოუკიდებლობის წინა დროს დაბეჭდა „საისტორიო და საეტნოგრაფიო საზოგადოების“ გამოცემაში და ქართული ჯარის ისტორიის შესანიშნავ დოკუმენტს წარმოადგენს. ირაკლის „მორიგი ჯარი“ დიდი ნაბიჯი იყო წინ ქართული ჯარის ცხოვრებაში და ემყარებით და ჯარის მოკრების უფრო გამართულ წესებს, ვიდრე ეს უწინ იყო. ეს იყო მილიციურ პრინციპზე აგებული ჯარი, რომელიც მუდმივ ჯარს უახლოვდებოდა. ამ „განჩინების“ ძალით აწერილ იქმნა სამეფოს მთელი მოსახლეობა, თავადის, აზნაურის, მსახურის და გლეხის და გაყოფილი თორმეტი რიგად, თორმეტი თვის მიხედვით, რომელიც ყოველ თვე უნდა გამოსულიყო. აქედან წარმოსდგა თვით სახელ-წოდებაც — „მორიგი“. მორიგი ჯარისკაცი მოდიოდა თავის თოფ-იარალით და ნუზლით. პირველ ხანებში, მორიგი ჯარი ყოველთვე უდრიდა 4-5 ათას კაცს. ამ რიგად თორმეტი თვის მიხედვით, და 50-60.000 კაცს. ამ რიგად წლიურად ჯარის რაცხვი თვიურად 2 ათას აღარ ცეილდებოდა და წლიურად მხოლოდ 23-24 ათას უდრიდა. ათას აღარ ცეილდებოდა და წლიურად მხოლოდ 23-24 ათას უდრიდა.

მძიმე შინაურ და გარეშე პირობათა ზედ გავლენით, ეს რიცხვიც შემცირდა და ბოლოს, მორიგი ჯარი სულ გაუქმდა. ძველ ქართულ სამხედრო სისტემას ჯერ კიდევ ირაკლის სიცოცხლეშივე დაუბრუნდნენ.

ასეთია მოკლედ ძველი ქართული ჯარის ისტორია. მაგრამ წმინდა სამხედრო მნიშვნელობის დოკუმენტები, რომლებიც ამ ჯარის ისტორიას ეხებიან, დაბეჭდილი თუ დაუბეჭდავი, შესწავლილი და ჯერ კიდევ შეუსწავლელი, იმდენი მოიპოვება, რომ სამხედრო სპეციალისტებს, ქართული ჯარის უფრო ვრცელის და უფრო დასაბუთებული ისტორიის დაწერა შეუძლიანთ.

### III. ამირეჯიბი

პარიზი, 28 ოქტომბერი, 1935 წ.

## სამხედრო მრეწველობის მობილიზაცია

სამხედრო მრეწველობა არის ერთად-ერთი უმთავრესი საშუალება მტერთან გამარჯვებისა, რის მოპოება შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ კი ორგანიზაციულად კარგად მოწყობილია.

რას ნიშნავს სამხედრო მრეწველობა? სამხედრო მრეწველობა ნიშნავს იმას, რომ მთელი სახელმწიფოებრივი მრეწველობა არის მოწყობილი ისე, როდესაც აქმაყოფილებს ჯარის ყველა მატერიალურ

მოთხოვნილებებს, როგორც მშვიდობიან, ისე ომიანობის დრო. ამას უნდა დაუმატოთ, ნაწილობრივ, აგრეთვე ის დარღები, რომლებიც, აკმაყოფილებენ მხოლოდ სამხედრო მოთხოვნილებებს, როგორც მაგალითად: იარალი, ტყვია-წამალი, ასაფეოქებელი მასალა, ჰაეროპლანები და სხვა. ამას უნდა დაუმატოთ, ნაწილობრივ, აგრეთვე ის დარღები მრეწველობისა, რომლებიც არ შეადგენებ მარტო ჯარის მოთხოვნილებების დასაქმაყოფილებელ მასალას, როგორც მაგალითად: მატყლი, ბამბა, ტყავი და სხვა დარჩები მრეწველობისა. ომიანობის დროს კი, სამხედრო მრეწველობის მნიშვნელობა უფრო ფართოვდება და შეიცავს მრეწველობის ყველა დარღებს. ვინაიდან მთელი სახელმწიფო წარმოადგენს ერთ სამხედრო ბანაკს, რომლის ერთი ნაწილი იარალით ებრძევის მტერს და მეორე-კი ამზადებს მათვის საჭირო მასალებს. სამხედრო მრეწველობის მობილიზაცია კი ნიშნავს მრეწველობის მშვიდობიან დროს წარმოებიდან ომიანობის დროის წარმოებაზედ გადასვლას, როდესაც ბევრათ მეტი მასალები არის საჭირო ომის საწარმოებლად. ომისათვის საჭირო შეიქმნა იმოდენა მასალის დამზადება ქარხნებისათვის, რომ წარმოდგენაც კი არა პქონდათ ომის წინა ხანებში, არამც თუ საფრანგეთს, არამედ გერმანიასაც. მტრის შემოჭრამ-საფრანგეთის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ დეპარტამენტებში, შეამცირა საფრანგეთის უნარი წარმოებისა. ორი მესამედი ქვანახშირისა და 85% რკინის. უმთავრესი ნაწილი დიდი ღუმელებისა და აგრეთვე სამი მეოთხედი ფოლადის წარმოების მტერს ხელთ ჩაუვარდა. სწრაფი მობილი ზაკირი და ენტუზიაზმის წყალობის გამო, უშეტესი ნაწილი სპარიალისტებსა ფრონტზედ გაეშურენ და იქმნენ მთელ ტერიტორიაზეც გაფანტული. ერთი სიტყვით, საფრანგეთმა ომის დროს პირველივე ხანებში იგრძნონ ნაკლი, როგორც ქარხნებისა. მანქანებისა, ნიკოლი მასალისა, ისე პერსონალისა (სპეციალისტებისა). ამიტომაც, საჭირო შეიქმნა ბევრ დაბრკოლებების გადალახვა. მანამ მრეწველობამ შესძლო ყველა საომარ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რაც მრავალი წლების განმავლობაში არ გაკეთებულა, ძლიერ ძნელი შეიქმნა როგორც ფიზიკურათ, აგრეთვე მექანიკურათ, რამდენიმე თვის განმავლობაში მოწესრიგება. ძნელი შეიქმნა იმ ქოტიურ და სრულებით მოუმზადებელ მდგომარეობიდან, რეგულიარულათ სხვა და სხვა სამხედრო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. საფრანგეთის ხალხი მოუმზადებელი შეხვდა მსოფლიო ომს. ეს არ იყო მარტო სამხედრო უშეების ბრალი, არამედ მთელი ერისა. მიუხედავათ იმისა, რომ ძოიერ კარგად ხელავდენ გერმანიის განუშვეტლივ მზადებას ომიანობისათვის, უკანასკნელ წლამდინ, საფრანგეთის საზოგადოებრივი აზ-

რი ოშ მაინც შეუძლებლათ სთვლიდა და ჯარის ჯეროვან საფეხურზე დაყენებას არ აქცევდა ყურადღებას, მით უმეტეს ქარხნების აღნუსხვას და მრეწველობის სამობილიზაციო გეგმის დამუშავებას. თანდათანობით სამხედრო დარგს ნაკლებ მნიშვნელობას აქცევდენ და მათი გადაჭარბებულ დემოკრატობის წყალობის გამო იყო, რომ, სამხედრო სამსახურს ძლიერ აბუჩად აგდებდენ, დისკიპლინა თანდათან ვარდებოდა და ჯარის მორალური ლირებულებაც, თითქმის თვით სამხედრო სპეციალისტებიც კი, ძლიერ კლებულობდნენ. სამხედრო ქარხნები ძლიერ სუსტი და მცირე რიცხოვანი აღმოჩნდნენ. ომიანობის დროს საჭირო შეიქმნა მათი შექმნა, საჭირო გახდა მოწყობა მანქანებისა და ნედლი მასალებით მომარაგება, რაც პირველ ხანებში ძლიერ სუსტობდა. ამის გარდა, საფრანგეთის მთავარი შტაბი დარწმუნებული იყო, რომ თუ ომი იფექტებდა, უპირატესობა ექმნებოდა მოძრავ ომიანობას და მეტად ღიდ მნიშვნელობას აძლევდა მოძრავ ომში ქვეითა ჯარსა და მის ხიშტსა, არტილერიას-კი არ აქცევდა ყურადღებას, ამასთანავე, სწამდა ის, რომ ომი ღიდხანს არ გასწევდა. მძიმე არტილერიას სრულებით ყურადღებას არ აქცევდა და მოძრავ ომში (რომელსაც დარწმუნებული იყო მტერს თავზედ მოახვევდა) იმედებს ამყარებდა ქვეითა ჯარზედ და საველე არტილერიაზედ. სინამდვილეში-კი, სულ სხვა აღმოჩნდა. ომმა პოზიციური ხასიათი მიიღო და თანამედროვე ტექნიკამ აუარებელი მასალა შთანთქა და მხოლოდ მარნაზედ ბრძოლის შემდეგ დაინახეს თავიანთი შეცდომა და შეუდგნენ სწრაფლ ტემპოთ მზადებას.

სამხედრო მრეწველობისათვის მომუშავე ორგანოებს მიზნათ უნდა ჰქონდეთ დასახული ადგილობრივი ძალებით დააკმაყოფილონ ყოველივე მშევიდობიანობის დროის მოთხოვნილებანი და მათ მოვალეობას შეაღევნენ სამხედრო მრეწველობის მობილიზაციის მომზადება. სამხედრო მრეწველობის მობილიზაცია არის ნაწილი მთელი ეკონომიკური ძალების მობილიზაციისა.

მთელ ქვეყნის ეკონომიკურ ძალების მობილიზაციამ უნდა უზრუნველ ჰყოს ყოველივე სახსარი არსებობისა, ბრძოლისა და გამარჯვებისა, როგორც ჯარისათვის, ეგრეთვე მთავრობისა და დანარჩენ მცხოვრებისათვის. მთელ სახელმწიფოს მობილიზაცია, რომელიც გამოიხატება მშვიდობიანობის დროის ორგანზაციიდან ომიანობის ორგანიზაციაზედ გადასვლაში, უნდა შეიცავდეს: —

1. შეიარაღებულ ძალების მობილიზაციას
2. მთელ საზოგადოებრივ ძალების მობილიზაციას (სახელმწიფოებრივ თუ თვითმართველობების დაწესებულებებსა).

3. მთელ ეკონომიურ ძალების მობილიზაციას, რომელიც აქვემდებარება სამხედრო მრეწველობის ორგანიზაციას.

4. ყველა დანარჩენ ძალების მობილიზაციას, რომლებსაც აქვთ რაიმე გავლენა ომის წარმოების მსვლელობაზედ, როგორც მაგალითად: გონიერობრივ ძალების მობილიზაცია, სამეცნიერო და შემომქმედ სამუშაოთ.

თავის-თავათ ცხადია, ყველა ამ საკითხების სამობილიზაციო მომზადება უნდა ეკუთვნოდეს რაიმე სპეციალურ დაწესებულებას, როგორც მაგალითად არის სახელმწიფოს თავდაცვის სათათბირო. საყოველთაო მობილიზაციის მომზადება უნდა შეადგენდეს უმთავრეს დანიშნულებას ამ სპეციალურ დაწესებულებისა. საჭიროა საერთო ჩინჩხის შედგენა, დამუშავება, შემდეგ სხვადასხვა სამინისტროების შორის შეთანხმებითი მუშაობა, საერთო სახელმწიფოებრივ გეგმის მომზადებაში; მომზადებულ გეგმების ცხოვრებაში გატარება ეკუთვნის უკვე სათანადო ცენტრალურ დაწესებულებას. რა როლს უნდა თამაშობდეს სამხედრო უწყება ამ საერთო სახელმწიფოებრივ მობილიზაციის შედგენაში? ომის წარმოებაში და მის გამარჯვებით დამთავრებაში, უმთავრესად პასუხისმგებელია სამხედრო უწყება, რომლის სრულ განკარგულებაში გადადიან ერის თითქმის ყველა ძალები, ამიტომაც სამხედრო უწყებამ უნდა ითამაშოს ამ საკითხში უმთავრესი როლი; ეს გამოიხატება იმაში, რომ სამხედრო მართველ წრებმა, უნდა შეიმუშაონ სამობილიზაციო გეგმები, როგორც ჯარისა, ისე სამხედრო მრეწველობისაც, რომელმაც უნდა დაჰფაროს ყოველივე საჭირო სამხდერო მოთხოვნილებანი ომიანობის ღროისათვის; ამიტომაც სამხედრო უწყებამ უნდა შეიმუშაოს არა სამხედრო უწყებებთან დანარჩენი გეგმებიც, რომელიც შეეხებიან ეკონომიურ ცხოვრების სხვა და სხვა დარგებს და ეს თანამშრომლობა-კი შეიძლება მოხდეს აი სწორედ იმ სპეციალურ დაწესებულებებთან, რომელზედაც ზემოთ მქონდა ლაპარაკი.

თავდაცვის სათათბირო უნდა იყრიბებოდეს პრეზიდენტის (მთავრობის თავჯდომარის) თავჯდომარეობით. მის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ მთავრობის თავჯდომარე, მისი მოადგილე, როგორც — სათათბიროს თავმჯდომარის მოადგილე. — შინაგან საქმეთა და კომუნიკაციის მინისტრები, შეიარაღებულ ძალების გენერალური ინსპექტორი (ლენერალი, რომელიც ომიანობის ღროისათვის არის გათვალისწინებული მთავარსარდლათ), გენერალური (მთავარი) შტაბის უფროსი და ზოგიერთ სხვა დარგის მინისტრებიც, თუ დანიშნულ კრებებზედ ეხებიან მათ კომპეტენციის საკითხებს. როგორც მუდმივი სამუშაო თრგანო მთავრობის თავჯდომარესთან, უნდა არსებობდეს

სამდივნო, რომლის მუშაობას ხელმძღვანელობს სამხედრო მინისტრის მიერ წარდგენილი და მთავრობის თავჯდომარის მიერ დამტკიცებული ღენერალი.

ყოველივე საკითხი ეკონომიური ცხოვრებისა და მისი მობილიზაციისა ორივე ამ დაწესებულებისათვის შესასწავლ საგნათ უნდა შეიქმნეს; ამნაირად, სამხედრო მრეწველობის მობილიზაცია დამყარებული იქნება მთელ სახელმწიფოებრივ ეკონომიურ ძალების მობილიზაციაზე. სამხედრო პირების მონაწილეობა სახელმწიფოს თავდაცვის სათათბიროში იძლევა გარანტიას, რომ მობილიზაციის მომზადება და სამხედრო მრეწველობის ინტერესები ჯეროვანად დაფასებული იქნებიან.

აქ გაკვრით მინდა შევეხო იმას; თუ რა განსხვავებაა ჯარის და სამხედრო მრეწველობის მობილიზაციის შორის: განსხვავება თვით მის შინაარსში მდებარეობს და ამ შინაარსის განსხვავებისაგან გამომდინარეობს მობილიზაციის თავისებურება.

პირველი განსხვავება გამოიხატება იმაში, რომ ჯარი შესდგება ადამიანთა ცოცხალი ერთეულებისაგან, რომლის შეცვლა, მოადგილეობა, შეკრება, კონცენტრაცია (დაგროვება), გადაზიდვა შესაძლებელია, ე. ი. არ არის განსაზღვრულ ალაგას მიკრული. სულ სხვა ნაირათ გამოიყურება სამხედრო მრეწველობა, რომელიც ძლიერ დამოკიდებულია ტერიტორიის განსაზღვრულ ადგილიდან, შეადგენს უძრავ ქონებას, თავისი სხვა და სხვა მოწყობილებითა და მასალებით მიკრულია ერთ ადგილზე და არ აქვს ის თავისუფალი მოძრაობა, რომლითაც ცოცხალ ადამიანთა ერთეულები, ე. ი. ჯარი, სარგებლობენ. ყველა წარმოების გადატანა არ შეიძლება, როგორც მაგალითად ქვა-ნახშირის შალაროები; შეუძლებელია მათი შექმნა იმდაგვარ სიადვილით და სისწრაფითა, როგორც ჯარის, ამასთანავე ძლიერ შეზღუდულ ფარგლებში შეიძლება მრეწველობაში ერთი წარმოების მეორით შეცვლა და თუ ჯარის დამახსიათებელ თვესებათ არის სისწრაფე, სხვა და სხვა ახალ ერთეულების შექმნაში, ტერიტორიისა-გან დამოუკიდებლობა, მუდმივობა და სიძნელე ახალ დარგების შექმნაში მრეწველობის ძირითად თვისებებათ ჩაითვლებიან.

მეორე განსხვავება ჯარის და სამხედრო მრეწველობის მობილიზაციათა შორის გამოიხატება იმაში, რომ ჯარის მობილიზაცია ტარდება შედ. მცირე ხასში, 1 თვეში, სამხედრო მრეწველობის მობილიზაცია-კი ძლიერ მძიმე პირობებშია და ხანგრძლივია, და მის წინდაწინ გათვალისწინება თითქმის შეუძლებელია; ბევრი დროა საჭირო, სანამ ყველა მრეწველობის დარგები შესძლებენ ომიანობის დროის წარმოებაზედ გადასვლას.

მესამე განსხვავება ჯარის და სამხედრო მობილიზაციათა შორის გამოიხატება იმაში, რომ შეიარაღებულ ძალების მობილიზაცია მდგომარეობს სამხედრო ერთეულების შექმნაში, რომელიც განსაზღვრული არიან სამხედრო უწყების წესდებებით, როგორც მობილიზაციის მომხდენის, ეგრეთვე სამობილიზაციო ელემენტის ერთმანეთში განწყობილებით. მაშინ როდესაც სამხედრო მრეწველობის მობილიზაცია უმთავრესად საერთო პიროვნებებზედ ვრცელდება. მობილიზაცია ჯარისა თვით სამხედრო პირთა ხელშია და დამყარებულია მათ ნებაზედ და გადაწყვეტილებაზედ.

სამრეწველო წარმოებების მობილიზაცია კი უმთავრესად კერძო პიროვნებების ნების ყოფაზედ არის დამყარებული, რომელსაც შეუძლიან მშვიდობიანობის დროს გააფართოვონ, დახურონ, შეამცირონ, გადაკეთონ წარმოება და სრულებით არ გაუწიონ ანგარიში სამხედრო მოთხოვნილებებს.

უკანასკნელი განსხვავება-კი გამოიხატება შემდეგში: მშვიდობიანობის დროის ორგანიზაცია ჯარისა უმთავრესად გამომდინარეობს სამხედრო ორგანიზაციისაგან, რომლიდანაც, აშკარად სჩანს, რომ ჯარი არსებობს სამხედრო მიზნებისათვის; საერთოდ მიღებული წესით ჯერ საომარ ორგანიზაციის შეიმუშავებენ და მერმე-კი მშვიდობიანობის დროისას შეაგუებენ, მრეწველობაში-კი პირიქით: მრეწველობა არსებობს მშვიდობიანობის დროის მოთხოვნილებებისათვის და ომიანობის დროის ორგანიზაცია უნდა იშვას მშვიდობიანობის დროის ორგანიზაციისაგან.

მეორე მხრივ, ჯარის მობილიზაციაში და მრეწველობის მობილიზაციაში არის ბევრიც იდენტური და ანალოგიურიც, განაკვეთებით პერსონალურ დარგში. რაც უფრო საერთო არის ამ ორ მობილიზაციის შუა, მით უფრო სისწრაფითა და აღვილათ შეიძლება მრეწველობის ამ დარგის მობილიზაცია. არის მიღრეკილება, რომ სამხედრო მრეწველობის მობილიზაცია რაც შეიძლება მეტათ დაახლოეონ ჯარის მობილიზაციასთან, რასაკვირველია შესაძლებლობის ფარგლებში. ყველაფერი ეს კი წინდაწინვე უნდა იყოს შესწავლით. რომ მრეწველობის სამობილიზაციო გეგმა შეეგულს ჯარის მობილიზაციას.

ვინაიდან მობილიზაცია ხდება, ძლიერ კრიტიკულ ხანაში, ამისათვის საჭიროა:

1. მობილიზაცია უნდა ეხებოდეს ყველა იმ მოქმედებებსა, რომების შესრულება შეუძლებელია მშვიდობიანობის დროს.

2. ყველა ეს აუცილებელი მოქმედებანი უნდა იშნინ გათვალისწინებული და მომზადებული მშვიდობიანობის დროს და თუ

ყველა ზემოხსენებულნი თვისებანი და საჭიროებანი იქმნენ მიზან-შეწონილათ დაფასებულნი და შესრულებულნი, მაშინ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ შევძლებთ მრეწველობის მობილიზაციის წარმატებით ჩატარებას. ამას აქვს დიდი მნიშვნელობა სამხედრო მრეწველობის მობილიზაციისათვის, ვინაიდან, საერთოდ, მისი ჩატარება მოიხოვს დიდ დროსა.

უმთავრეს მოვალეობათ სამხედრო მრეწველობის მობილიზაციისა არის გეგმის შედგენა, რომლის ძალით ყველა სამხედრო მოთხოვნილებანი უნდა იქმნენ ადგილობრივი ნაწარმოებით დაფარულნი. ეს გეგმა უნდა იქმნეს შემუშავებული სამხედრო სამინისტროს მიერ, თანახმათ გენერალურ შტაბის და ჯარების აღმინისტროւის უფროსის დირექტივებისა. უკანასკნელი არის პასუხისმგებელი ომიანობის დროს ჯარის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში.

ეს გეგმა მოიხოვს ორ შემდეგ მოქმედებას

1. სამხედრო მოთხოვნილებების აღნუსხვას და

2. ადგილობრივ ნაწარმოების გამოთვლას.

რასაკვირველია, ორივე ამ მოქმედების შესასრულებლათ, სამხედრო სამინისტროს, სასტატისტიკო დაწესებულების და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსაგანაც იგროვება ცნობები.

უმთავრეს შრომათ, ევიდენციის დარგში, არის გამორკვევა სამრეწველო დაწესებულებებისა, რომლებიც ომის გამოცხადებისას აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენენ სხვა და სხვა მატერიალური მოთხოვნილებების დაფარვაში, როგორც ჯარისა, ეგრეთვე ყოველ მცხოვრებისა. ეს შრომა, მარტო სამხედრო უწყებას არ ეკუთვნის, ვინაიდან აქ სამხედრო მოთხოვნილებების გარდა, გათვალისწინებულია მთელი ერის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ამ საკითხების მოსაწესრიგებლად სამხედრო სამინისტრო დაინტერესებულ სამინისტროებთან ერთად შეამუშავებს გეგმას. უმთავრესად ეს არის სახელმწიფოს თავდაცვის სათათბიროს მოვალეობა. საერთოდ ამ გეგმას ეძახიან „საერთო სახელმწიფოებრივი ო დე ბე (ორდო დე ბატია)“. ამ „ო დე ბეს“ მიზანი არის ის, რომ ომის გამოცხადებისას, როგორც სახელმწიფოებრივ, ეგრეთვე კერძო სამრეწველოთ, ევალებათ სამხედრო მოთხოვნილებების წარმოება და არა აქვთ უფლება არც მრეწველობის დახურვის და არც მათი ნაწარმოების შემცირებისა, სათანადო საადმინისტრო ხელის-უფლების ნებადაურთველათ. ამასთანავე არის შემუშავებული მეორე „დაწვრილებითი“ ანუ „სამხედრო ო დე ბ, რომელშიაც არის აღნუსხული უმთავრესი სამრეწველოები, რომლებზედაც ომის გამოცხადებისას მობილიზაცია ვრცელდება.“

აქ უნდა იყოს აღნიშნული დრო და ადგილი ამა და ამ სამრეწველოს მობილიზაციისა.

რაზედ არის დამყარებული მრეწველობის საწარმოებების მობილიზაცია? იმაზედ, რომ თვითეულ მათგანისათვის შემუშავებულია სპეციალური სამობილიზაციო ელაბორატი. ეს ელაბორატი არის დაწვრილებითი გეგმა საწარმოოს მშვიდობიან დროის წარმოებიდან საომარ წარმოებაზედ გადასცლისათვის. როგორც ყველა სამხედრო ერთეულებისათვის, აგრეთვე საწარმოებებისათვის, რომლებიც არიან „დაწვრილებითი ო დე ბე-ში“ მოთავსებულნი, დამუშავებულია სამობილიზაციო ელაბორატი, და ეს ელაბორატი კი აღნიშნავს რა რიგათ და როგორ უნდა გადავიდეს სამრეწველო მშვიდობიან დროის წარმოებიდან საომარ წარმოებაზედ. შეეხება ეს როგორც სათადარიგო მასალას, ისე აგრეთვე პერსონალურ შემადგენლობას, ტეხნიკურ მოწყობილობას, დაუმუშევარ მასალას, სათბობს, სინათლეს, მოტორისათვის საჭირო ზეთებს, ბენზინს, ფინანსიურ მხარეს, ტრანპორტს და სხვასა. უნდა აღვნიშნოთ, რომ სამხედრო მრეწველობის მობილიზაცია შეიცავს 5 მთავარ განყოფილებას:

1. პერსონალურ საკითხების,
2. ტეხნიკურ საკითხების,
3. მატერიალურ საკითხების,
4. სატრანსპორტო საშუალებების,
5. დაცვა, დახევა, ევაკუაცია და დაზიანება მრეწველობისა.

**სამხედრო მრეწველობის პიროვნულ შემადგენლობის მობილიზაცია.**

სამხედრო მრეწველობის პიროვნულ შემადგენლობის მობილიზაცია რომ წარმატებით ჩატარდეს, საჭიროა აღწერა ყველა სპეციალისტებისა; მისი მობილიზაცია უნდა იქმნეს ორ საფუძველზედ დამყარებული:

1. უნდა იქმნეს გამოყენებული მისი სპეციალური დარგები.
2. ომიანობის დროს საჭიროა სპეციალისტები მივლინებულნი იყვნენ საწარმოებებში, რომლებსაც ისინი ესაჭიროებათ სამხედრო მრეწველობისათვის, ამასთანავე სამხედრო მრეწველობამ არ უნდა შეესუსტოს ჯარის მებრძოლი ელემენტი; ამნაირათ უნდა იქმნეს შენახული ჯარის და სამხედრო მრეწველობის მოთხოვნილებათა წონასწორობა. ამ საკითხის მოწესრიგება ძლიერ ძნელია ომიანობის დროს, ამიტომაც საჭიროა, რომ ჯერ კიდევ მშვიდობიანობის დროს იქმნენ ყველა ეს სპეციალისტები დანაწილებულნი, როგორც ერთეულებისათვის, აგრეთვე სამხედრო მრეწველობისათვის. განაწილების დროს უნდა იქმნენ სამ ჯგუფათ დაყოფილი: პირველ ჯგუფში უნდა იქმნენ მოთავსებულნი ყველანი, ვინც ვარგისნი არიან შემომქმედ მეც-

ნიერულ მუშაობისათვის, მეორეში — ორგანზაციულ და მმართველ და მესამე ჯგუფი-კი აღმასრულებელ სამუშაოთ. ჯარისთვის გამოსაყენებელი იქმნებიან განსაზღვრული რიცხვი ორგანიზატორთა და მმართველთა პიროვნებებისა, რათა შესძლონ სხვა და სხვა საწყობებისა და სახელოსნოებისა მმართვა-გამგეობა, მეორე მხრივ, ამ ჯგუფთა რიცხვში, ყველაზედ მეტი გამოსაყენებელია ისინი, ვინც მშვიდობიანობის დროს სამხედრო გაწროვნა გაიარეს. მრეწველობა კი მოითხოვს სპეციალისტებს, რომლებსაც შეეძლებათ ამ მრეწველობის მობილიზაციის ჩატარება, მერმე მართვა და აგრეთვე სამეცნიერო მუშაობა. აქედან სჩანს, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ სპეციალისტების ევიდენციას, როდესაც საჭიროა გამორკვეულ იქმნეს, რა მუშაობისათვის ვარგისია ესა თუ ის პიროვნება. სამხედრო უწყება უნდა აწარმოებდეს საამისო ევიდენციასა. ამ ევიდენციების სწორ წარმოებას ხელს შეუწყობს სხვა და სხვა სამრეწველო-პროფესიონალური კავშირები, როგორც მაგალითად, ტეხნიკთა კავშირი, რომელიც ევიდენციისათვის დაუფასებელ წყაროს წარმოადგენს. ეს ევიდენცია არის საჭირო, რათა გამორკვეულ იქმნეს წინდაწინვე, რა რიცხვი სპეციალისტებისა მოგვეპოვება და რა დარგში უნდა იქმნენ დანიშნულნი, თუ ვინიცობაა ომი გამოცხადდა. ამიტომაც საჭიროა მშვიდობიანობის დროსვე იქმნეს დანამდგილებით გამორკვეული მათი ორგანიზაცია და ეტატები. თანახმათ სპეციალიზაციისა, ვანაწილებთ მათ იმის მიხედვით, თუ ვინ რა განათლება მიიღო: უმაღლესი, საშუალო თუ დაბალი; რა მოვალეობა შეიძლება მათ დაევალოს, აღმინისტრატიული თუ ტეხნიკური. ომის გამოცხადებისთანავე უნდა მოხდეს მილიტარიზაცია მთელი იმ სპეციალისტებისა, რომლებიც სამხედრო უწყების ევიდენციაზედ იმყოფება. ეს მილიტარიზაცია გამოიხატება იმაში, რომ ომის გამოცხადებისას ყველა ქარხნები და მათი პიროვნული შემადგენლობა გადადიან სამხედრო უწყების გამგეობაში. ამასთანავე საჭიროა, რათა ქარხნების ყველა გამგენი (დირექტორები) იქმნენ სამხედრო სამსახურში გადარიცხულნი, როგორც ოფიცირები, მათი თანამდებობის მიხედვით. ეს საჭიროა დისციპლინისთვის და ძლიერ აადგილებს ქარხანაში მობილიზაციის ჩატარებას და მერმედ მის წარმოებას. თუ დირექტორი რეზერვის ოფიცერია უმცროს ხარისხში და მისი თანამდებობა-კი მოითხოვს უფრო ღიღ ხარისხსა, თანახმად მთავრობის დადგენილებისა, ომიანობის დროისათვის, ეძლევა მას ის ხარისხი (ეგრე წოდებული ტიტულიარნი), რომელიც მის თანამდებობას შეეფერება. ამასთანავე ამნაირად გამხედრებულ დირექტორებს, სამხედრო საკითხების მოსაწესრიგებლათ, ეძლევათ ჯარიდან ნამდვილი ოფიცირები, როგორც დამხმარენი. სერიოზულ საკითხს წარმოად-

გენს ჯამაგირების საკითხი. ამ მხრივ მთელი ქარხანის პიროვნული შემადგენლობა არის 4 ჯგუფათ დანაწილებული: პირველ ჯგუფს შეადგენენ ის პიროვნებები, რომლებიც მიღიტარიზაციის ძალით არიან მოწვეულნი, შეორეს, თანახმად სამხედრო კანონმდებლობისა, რომლებიც ძალაში შედიან მხოლოდ ომშიანობის დროს, მესამეს, თანახმათ საყოველთაო სამხედრო ბეგარისა და მეოთხეს-კი, თავისუფალი დაქირავებულნი. ჩასაკვირველია, საჭიროა, რომ ამ ჯგუფთა ჯამაგირების შორის დიდი განსხვავება არ იყოს და მეორე მხრივ, ფრონტზედ მყოფ პიროვნებებთან შედარებით, უფრო კარგ მდგომარეობაში არ იყნენ.

### ტეხნიკური მობილიზაცია.

ტეხნიკურ მობილიზაციას მიზნათ აქვს დასახული მომზადება ტეხნიკური მხრივ ყველა წარმოებისა, რომლებიც არიან აღნიშნული სამობილიზაციო გეგმაში საომარ საწარმოებლათ.

ეს საომარი წარმოება შეიძლება დამყარებული იყოს ან ნაწარმოების განმრავლებაზედ ან და კიდევ მისი ხარისხის შეცვლაზედ. თვით მშევიდობიანობის დროის წარმოების საომარ წარმოებაზედ სიმრავლის მხრივ გადაყვანა ადვილია, ვინაიდან დამყარებულია მხოლოდ მაქსიმალურ გამრავლებაზედ იმ ნაწარმოებისა, რომელიც კეთდებოდა მშევიდობიანობის დროს. ჩვეულებრივ ეს ხდება ორ ან სამრივ მუშაობის შემოღებით.

რაც შეეხება ხარისხის შეცვლასა, ეს შედარებით უფრო ძნელია და არის დამყარებული თვით ნაწარმოების გვარის შეცვლაზედ. ეს ხდება შემდეგნაირათ: ან ახალი საწარმოები არიან ამუშავებულნი, ომის გამოცხადებისათვალზე, ან და ძველი წარმოება არის შეჩერებული და იწყებენ ახალს, საომარ დროისათვის საჭიროს. ტეხნიკური მობილიზაცია არის დამყარებული, ერთი მხრივ, იმაზედ, რომ მშევიდობიანობს დროს არის მომზადებული ის ტეხნიკური მოწყობილობანი და სხვა და სხვა მანქანები, რომლებიც, ომის საწარმოებლათ, სამხედრო მრეწველობისათვის არის საჭირო და მეორე მხრივ, თვით საწარმოები. არიან აშენებულნი ან და კიდევ გადაკეთებულნი. საწარმოებელის გადაკეთებასთან ერთად არის დაკავშირებული სააღმშენებლო მასალის შეძენა. თვით ტეხნიკურ მოწყობილებების დამზადება შეიცავს: მანქანებს, მოტორებს, წყალსადენს, კუცხლსაჭრობ მანქანის და სხვას. საწარმოოს სიმრავლეთი შეცვლა მოითხოვს ძლიერ ცოტა ტეხნიკურ ცვლილებებს, ან ახალი მაშინები არის დათვმოო. რომლების საშუალებით შეგვიძლია უფრო მეტი ნაწარმოების მიღება ან და კიდევ სამუშაოს ორ-სამ რიგის შემოღებით. და ა, ძირითადი საფუძველი სამხედრო მრეწველობის მობილიზაციისა არის დამზა-

დება ელაბორატებისა იმ საწარმოებისათვის, რომლებსაც სამობილი-ზაციონ გეგმა შეიცავს და ეს ხდება სრულებით ისე, როგორც საომარ ერთეულებში (რაზმში). ყველა ამ საწარმოებსს სამობილიზაციონ ელაბორატებში დაწვრილებით უნდა იქმნეს ტეხნიკური მხარე დამუშავებული. უპირველესად ყოვლისა გამორკვეული არის რა გვარი და რა მაზტაბით წარმოება უნდა იქმნეს ჩატარებული ომიანობის დროს, დანიშნულია დრო, როდის და რა რიგით მრეწველობამ უნდა გადავიდეს საომარ წარმოებაზე, გამორკვეულია რომელ საწარმოსათვის რა მანქანები ან სხვა ტეხნიკური საშუალებანი არის შესაძენი. და აგრეთვე სხვა და სხვა გეგმები, თუ საწარმოს გადაკეთება მოელის, რომელთანაც ასაკვირველია დაკავშირებულია აგრეთვე თვით საჭირო სააღმშენებლო მასალების საკითხების გამორკვევა და მათი შეძენის მოწესრიგება. ტეხნიკურ მობილიზაციისათვის მეტის-მეტ სერიოზულ საკითხს წარმოადგენს განსაზღვრა თვით წარმოების სიმრავლისა და მისი მერმე ჩატარება. უპირველესათ ყოვლისა არის გამორკვეული მეთოდები წარმოებისა თვით იარაღის თუ რაიმე სხვა სამხედრო მასალისა; ჩვეულებრივ, ამას მშვიდობიანობის დროს ახდენენ; თვითეულ მათგანისათვის საჭიროა გამორკვეული იქმნეს, როგორი გზით და როგორ უნდა ჩატარდეს ამა თუ იმ მასალის დამზადება, დაგროვება და მერმე მისი ჩატარება. ძლიერ ხშირად მშვიდობიანობის დროს ტეხნიკურ მოწყობილებების და ზოგიერთ მასალების თვით სახელმწიფოში დამზადება არ წარმოებს, ვინაიდან, საზღვარგარეთელი, ბევრათ უფრო იაფია და ხარისხითაც უკეთესი ან და კიდევ მხოლოდ ომიანობის დროს არის საჭირო. ამასთანავე, საჭიროა დამუშავებული იქმნეს სპეციალური ტეხნიკური აღწერილობა საგნისა, რისი მიხედვით, ერთი მხრივ უნდა წარმოებდეს მისი დამზადება ქარხანაში და მეორე მხრივ-კი მერმე სპეციალურ კომისიების მიერ ამ საგნების ქარნებიდან მიღება. როგორ უნდა იქმნეს შეძენილი სხვა და სხვა ტეხნიკური მოწყობილებანი ომიანობის დროისათვის? მათი შეძება ხდება ორი გზით: ან მშვიდობიანობის დროსვე არის დამზადებულიქარხნის მიერ ეს მოწყობილებანი, ან და კი ომის გამოცხადებისათანავე სამხედრო უწყება გადასცემს მას ყველა საჭირო ტეხნიკურ მოწყობილებას, რომელსაც თვითონვე შეიძენს მშვიდობიანობის დროს და სპეციალურ სამობილიზაციონ საწყობებში აქვს შენახული. ამ რიგათ მშვიდობიანობის დროს შეძენა ამ ტეხნიკურ მოწყობილებათა ხელს გვიწყობს, რაც გვაძლევს საშუალებას სწრაფი გზით მობილიზაცია ჩავატაროთ და რაც შეიძლება სხვა სახელმწიფოებისაგან დამოუკიდებლათ ვაწარმოოთ: მაგრამ ამასთანავე ძლიერ მიზანშეწონილათ და ფრთხილათ უნდა ვიქმნეთ ამ ტეხნიკურ

მოწყობლობათა მშვიდობიანობის დროს დამზადებაში, ვინაიდან ეხლანდელ დროში, ტეხნიკა ისე სწრაფ ტექნიკურ ვითარდება, რომ ადვილი შესაძლებელია ბევრი შეძენილიდან, მათი ჩამორჩენილობის გამო, არც-კი გამოგვადგეს.

### **მატერიალური მობილიზაცია სამხედრო მრეწველობისა**

მატერიალური მობილიზაციის დანიშნულება არის ყოველივე საჭირო მასალების დამზადება და მათით უზრუნველყოფა სამხედრო მრეწველობის ომიანობის დროს. ამ მასალებს შეადგენს: გასათბობი მასალა, სხვა და სხვა დაუმუშავებელი ნედლი მასალა, მატორის ასამუშავებელი საჭირო მასალები, სხვა და სხვა ხარისხის ზეთაბი, სასინათლო მასალა, ტეხნიკური და სააღმამშენებელ მასალები. მატერიალური მობილიზაცია, იმით განსხვავდება ტეხნიკურიდან, რომ საჭიროა მუდმივი და განუწყვეტლივი მისი შევსება, მაშინ როდესაც ტეხნიკური მობილიზაცია-კი მოითხოვს ერთდროული ტეხნიკური მოწყობილებების შეძენას და მათი სამრეწველოებისათვის გადაცემას. ამიტომაც მატერიალური მობილიზაციის გეგმა შეიცავს ერთის მხრივ, საერთო ნუსხის შედეგენას ყველა ამ საჭირო მასალებისა და მეორეს მხრივ-კი, მუდმივ და შეუწყვეტელ შევსებას იმ მასალებითა, რომლებიც სამხედრო მობილიზაციის გეგმაში არის აღნიშნული; უმთავრესი ადგილი უჭირავთ ნედლ მასალებს; და ნედლი მასალების და ნახევარ ფაბრიკატების მოთხოვნილებების გამოანგარიშება დამყარებულია ომიანობის დროისათვის ჯარის მოთხოვნილებებზედ. რასაკვირველია, ყველა გამოანგარიშებანი თეორეტიულია. თვითეულ წარმოებისათვის, რომელიც-კი სამობილიზაციო გეგმაში არის მოთავსებული, დამუშავებულია სამობილიზაციო მატერიალური ელაბორატი, რომელშიაც აღნიშნულია როდის, რადგენი და რა ნაირი მასალისა იქმნება საჭირო სამრეწველოსათვის და საიდან შეუძლია საწაროოს მისი მიღება. ამ მოთხოვნილებების გამორკვევის დროს, საჭიროა ვიცოდეთ მეთოდები ფაბრიკატისა და ტეხნიკური მხარე საწარმოოსი. ცხადია, რომ სამხედრო მრეწველობა უმთავრეს ნაწილათ უნდა იქმნეს ადგილობრივ ნედლ მასალაზე დამყარებული, რომელიც სამხედრო თვალთსაზრისით არა საშიშ სფეროში უნდა იქმნეს მოთავსებული. ამისთვის, საჭიროა, მშვიდობიანობის დროს, მიექცეს დიდი ყურადღება ამ მასალების გამრავლებას და მათი უზრუნველყოფას. ამის შილწევა-კი შეიძლება ინტენსიურ გეოლოგიურ კვლევა-ძიებითა. არსებობს ორ საშუალება მასალის გამრავლებისათვის: გამოგონება ფაბრიკაციის ახალი მეთოდისა, რომელიც იძლევა საშუალებას მეტი მასალის მიღებისა ახალი გზით იმ ბუნებრივ სიმდიდრისაგან, რომელიც უკვე არის გამორკვეული და

მეორე მეთოდი-კი არის გამოგონება სხვა და სხვა ნედლი მასალის მაგიერისა (სუროგატები). უმთავრეს წყაროთ, ნედლი მასალის შესაძენათ არის რეკვიზიტიები ე. ი. ძალდატანებითი ყიდვა; ამასთანავე აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ამ რეკვიზიტის ვალებას გადახდა.

### ტრანსპორტი და სატრანსპორტო საშუალებანი.

სამხედრო მრეწველობის მობილიზაციის ჩატარებისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ტრანსპორტი. მობილიზაციის გამოცხადებისას, ცხადია მთელი ტრანსპორტი არის ჯარის მობილიზაციისათვის გამოყენებული და მხოლოდ შეიარაღებული ძალების მობილიზაციის დამთავრებისას, სამხედრო მრეწველობაში უნდა გამოიყენოს ტრანსპორტი. ვინაიდან შეიარაღებულ ძალების მობილიზაცია გრძელდება 3-4 კვირას, ამ დროს განმავლობაში ტრანსპორტის გამოყენება შეიძლება გამონაკლისის სახით, როდესაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს და ამიტომაც მრეწველობის სამობილიზაციო გეგმაში უნდა აღნიშნულ იქმნეს ის დრო, როდესაც ჯარს მობილიზაცია იქმნება დამთავრებული და მრეწველობას შეეძლება მისი გამოყენება. სამხედრო მრეწველობის მობილიზაცია გრძელდება დიდ ხანს, შესაძლოა 6 თვე და კიდეც მეტი ე. ი. იმ დრომდის, სანამ საწარმოვო შესაძლებს დამუშავებას იმოდენ ნაწარმოებისა, რაც იყო აღნიშნული სამობილიზაციო გეგმაში ომიანობისათვის. შემდეგი გაფართოება წარმოებსა არ ეკუთვნის მობილიზაციის ხანას; ვინაიდან პირველ ხანებში მობილიზაციისა ძლიერ ძნელია საჭარმოების ნედლი მასალით დაკამაყოფილება, ამისათვის, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რომ ყველა ქარხნებს, რომლებიც მობილიზაციის გეგმაში არიან აღნიშნული. პერიოდული დამარაგებული და დაგროვილი პირველი ხანისათვის საჭირო ნედლი მასალა.

არსებობს ორგვარი ტრანსპორტი: პირველ გამოიხატება იმაში, რომ აქვს მიზნათ დასახული გადმოზიდვა საწარმოებისათვის საჭირო ნედლი მასალებისა და ტეხნიკური მოწყობილებისა და მეორეს - კი აქვს მიზნათ სათადარიგო მასალის დაგროვება და მერმე კი მომავალ ხანებისათვის საჭირო ტეხნიკურ მოწყობილებებისა, რომლებიც მომავალ საწარმოოთ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ქარხნებისათვის.

მობილიზაციის გეგმაში საჭიროა აღნიშნულ იქმნეს, რომ სამხედრო მრეწველობისათვის ირიცხებიან მხოლოდ ის ტრანსპორტები, რომლებიც აგროვებენ და ამარაგებენ მხოლოდ დაუმუშავებელ მასალას, ვინაიდან როდესაც გარდაქმნის პროცესი თავდება და მასალა უკვე დამზადებულია, იმ დროიდან მათთვის საჭიროა არა სამხედროი მასალის გადახდა.

დრო მრეწველობისათვის დანიშნული ტრანსპორტი, არამედ სათანამდებო  
დო მომარაგებელი სამსახურისათვის. მობილიზაციის ელაბორატში  
უნდა იქმნეს აღნიშნული ტრანსპორტის დაწვრილებითი დანიშნულე-  
ბა. სატრანსპორტო საშუალებანი, რომლებიც მრეწველობისათვის  
წარმოადგენენ უცილებელ საჭიროებას, არიან შემდეგნი: რკინის  
გზის რონოდები, ავტომობილები, ავიაცია, ცენტრები, ხარები (ურმე-  
ბით). სამხედრო უწყების მოვალეობას შეადგენს თავისი სამობილი-  
ზაციო გეგმაში დაწვრილებით გამოითვალოს და აღნიშნოს, რომელ  
საწარმოოს რა ხარისხის ტრანსპორტი ესაჭიროება და როგორ იქმნე-  
ბა ეს მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებული.

### დაცვა, დახევა, ევაკუაცია (გადატანა) და დაზიანება სამხედრო ობიექტებისა.

საერთო დებულებანი დაცვისა, ომიანობის დროს, აღნიშნული  
არის საკომუნიკაციო ხაზის და უძრავ ობიექტების დაცვის გეგმაში;  
სამხედრო უწყების მიერ შემუშავებულნი საერთო დაცვის გეგმა, რო-  
მელშიაც არიან ჩამოთვლილნი, რომელნი სამრეწველონი თუ ქარხ-  
ნები მოითხოვენ დაცვას და რა სახით უნდა იყოს მათი დაცვა გატა-  
რებულნი ომის გამოცხადების დღიდან. თუ ვინიცაბაა, რომელიმე  
ნაწილი ტერიტორიისა იმყოფება საშიშროებაში და იქ კი არსებობს  
ქარხნები, საჭიროა მათი ამ ადგილიდან სხვა უფრო უშიშარ აღილ-  
ზე გადატანა. ეს გადატანა შეიძლება იქმნეს ნაწილობრივ ან და კი-  
დევ მთლიანი.

ნაწილობრივი გადატანა არ ნიშნავს ევაკუაციასა. გადააქვთ მხო-  
ლოდ ნაწილი ტეხნიკურ მოწყობილებისა ან და მასალისა ან და კიდევ  
უფრო ძვირფასი ტეხნიკური მოწყობილებანი, ან და ისეთი ნაწილები  
მანქანებისა, ურომლისოდ ქარხნების ამუშავება შეუძლებელია. მთლი-  
ანი გადატანა კი გამოიხატება იმაში, რომ ქარხანა სრულებით არის  
ერთ ადგილიდან მეორეზე გადატანილი.

ნაწილობრივი თუ მთლიანი გადატანა ქარხანისა დამოკიდებუ-  
ლია დროისაგან, სხვა და სხვა მიზეზებისაგან, ტრანსპორტისაგან,  
როგორც აგრეთვე, დროებითია თუ უფრო ხანგრძლივია მისი გადა-  
ტანა ერთი სფეროდან მეორეში. გადატანის გარდა, არსებობს ქარხ-  
ნის დროებითი დახურვა, რაც გამოიხატება იმაში, რომ უმთავრესი  
ნაწილები მანქანებისა დროებით არის მიწაში ჩაფლული ან და მდი-  
ნარეში ჩაყრილი. ამ ზომას მიმართავენ მხოლოდ მაშინ, როდესაც  
გადატანისათვის არც დროა და არც ტრანსპორტი. ეჭვს გარეშეა, რომ  
ქარხნის ამისთანა მეთოდებით შეჩერება არ არის რაციონალური.  
ვინაიდან გადამალული საგნების მონახვა მტერს არ გაუჭირდება და  
სრულებით მათი გაფუჭება-კი დიდ მატერიალურ ზიანს მოგვაყენებს

— ამიტომაც საჭიროა ამაზედ შშვილობისანობის დროს ვიფიქროთ და ისე დავაყენოთ საქმე, რომ თავის დროზე მოვახდინოთ მისი ლიკვი-  
დაცია სხვა ადგილზე გადატანით; ამასთანავე უნდა იქმნეს სამობი-  
ლიზაციო გეგმაში აღნიშნული, სად და რომელ ქარხნის, რა ინვენტა-  
რით არის საჭირო შევსება და სად ან რა ახალი ქარხის შექმნა შეი-  
ძლება.

ქარხნის მოწყობილების, ნაწარმოების და მასალის გაფუჭება შე-  
იძლება მოხდეს ნაწილობრივი ან და სავსებითი, იმის და მიხედვით,  
თუ რა პირობებში ვიმყოფებით. თუ გადატანა შეუძლებელია და არ  
გვსურს ქარხანა მტერს ხელში ჩაუვარდეს და ამასთანავე დაკარგულ  
ადგილის უკან დაბრუნებას მოკლე ხანში არ მოველით, მაშინ საჭი-  
როა მათი გაფუჭება, რაც ხდება უმეტეს ნაწილათ ასაფეროებელ მა-  
სალების საშუალებით. სამხედრო უწყებას უნდა ჰქონდეს წინდაწინვე  
შემუშავებული გეგმა სახელმწიფოებრივი თუ კერძო ქარხნების სავ-  
სებით, თუ ნაწილობრივ გადატანის ან და გაფუჭების შესახებ. ამ გე-  
გმაში უნდა იქმნეს აღნიშნული როდის, რომელი ქარხნები და რა  
დროს განმავლობაში უნდა იქმნენ გადატანილი ან გაფუჭებული. ამ  
გეგმაშივე უნდა იქმნეს ნაჩვენები, რომელ სადგურზე იქმნება დატვი-  
რთული და რომელზედ-კი გადმოტვირთული. თვითეულ ობიექტისა-  
თვის, რომელიც სამობილიზაციო გეგმაშია მოთავსებული, უნდა იყოს  
დამუშავებული სპეციალური ინსტრუქციები, სადაც აღნიშნული უნ-  
და იყოს, თუ რა წესრიგით უნდა მოხდეს მათი ევაკუაცია და როგორ  
უნდა იქმნეს ის შემდეგში გამოყენებული.

როგორც სჩანს, სამხედრო მრეწველობის მობილიზაცია ადვილი  
არ არის, მოითხოვს ღრმა და დაწვრილებით შესწავლას. მისი სირთუ-  
ლის გამო მოითხოვს, რათა იქმნეს შექმნილი ერთფეროვანი სისტე-  
მა, რომელიც დამყარებული იქმნება სახელმწიფოს ეკონომიკურ ძა-  
ლების ცოდნაზედ, შეფარდებულს სამხედრო დროის პირობებთან.  
მისი ფრიად დრიადი მნიშვნელობის გამო, სახელმწიფოს თავდაცვის სა-  
კითხში, საჭიროა მჭიდრო თანამშრომლობა როგორც მთავრობები-  
სა, აგრეთვე პარლამენტარულ და კერძო ორგანოთა შორის.

ჩემი ვიზრები მესანგრეთა (საპიორების)  
მოხმარების შესახებ ბრძოლის  
სხვა და სხვა ფორმებში

1.

როდესაც უდგებოდი ამ არტიკულის წერას სრულებითაც არა მქონია მიზნათ მელაპარაკა კილოგრამებზედ, ტონებზედ, მუშაობის დღიურებზედ, სხვა და სხვა ხიდების აშენების სისწრაფეზედ ან სხვა „საიდუმლოებზედ“, რომლებითაც საგაეა ჩვენი მონოტონური მესანგრეთა ყოფა-ცხოვრება. ჩემი არტიკულის მიზანია გავაცნო მკითხველს ჯარის ერთ-ერთი დამხმარე იარაღი, რომლისთვის არ უწოდებიათ არც ბრძოლის ველის დედოფლობა და არც სხვა რამე ეპიტეტი, თუნდაც მისგან არა ერთხელ ყოფილა დამოკიდებული ბრძოლის ბედ-იღბალი და უმოქმედია ბევრჯელ გაცილებით უფრო სახითაო პირობებში ვიდრე ჯართა მთავარ იარაღებს.

განსაკუთრებით უძლვნი ჩემს წერილს ქართულ მხედრობას, რომლისათვის სხვა და სხვა მიზეზების გამო ჯართა ეს იარაღი ნამდვილ „უცნობ“ ოდენობას წარმოადგენა. ამ მიზეზის გამო აზრათ მაქვს გამოვაქვეყნო მთელი რიგი წერილებისა, რომელნიც, ვფიქრობ, ხსენებულ ნაკლს ზოგადათ მაინც შეავსებენ.

ამ წერილში ვილაპარაკებთ მხოლოთ ორ საკითხის გარშემო, საუდიობრ: მესანგრეთა მონაწილეობაზედ და მათ გამოყენებაზედ ანუ სუსანგრეთა ამოცანებზედ ბრძოლის ველზედ. როდესაც დავამთავრებ ამ გარჩევას ბრძოლის სხვა და სხვა ფორმების სახეში მიღებით, შევუდგები შემდეგში მესანგრეთა ხელობის თუ ხელოვნების (ან მეცნიერების) სხვა დარგების განხილვა-გაშუქებას, როგორც: ორგანიზაცია, სწავლა-გაწროვნა და მესანგრეთა მომარავება; გავაშუქებ აგრეთვე მესანგრეთა მუშაობის სხვა და სხვა დარგებს ტეხნიკურ მხრივ.

ვინაიდან მესანგრეთა მუშაობის ობიექტები დამოკიდებული არიან ბევრათ თუ ნაკლებათ ტაქტიკურ პირობებისაგან, ამიტომაც ვთხოვ ჩემს მეგობრებს — ტაქტიკოსებს — მონაწილეობა მიიღონ ჩემს მიერ დაწყებულ საქმეში. ეს საჭიროთ მიმაჩნია, ვინაიდან აგვაცილებს არა ერთ შეცდომას. რომელთა დაშვება ჩვენის სამხედრო აზროვნების დამუშავებისას შეუძლებლათ მიმაჩნია.

ძირითად ტაქტიკურ ერთეულათ, რომლის ფარგლებში განზრახული მაქვს მესანგრეთა მონაწილეობის და გამოყენების საკითხების

გაშუქება, ვიღებ ქვეითა დივიზიას და ეს იმიტომ, რომ ამ ერთეულ-ში დაგროვილნი არიან ჯართა თითქმის ყველა იარაღები, რის გამოც ყოველ მათგანთან დამჭირდება თანამუშაობა. ზოგიერთ შემთხვევებში ჩამოვალ ლეგიონის (პოლკის) საფეხურზედ. თუ კი მდგომარეობა, ამოცანა, მოცემული ტეხნიკური საშუალებანი, გზები, ხიდები და სხვა ამას მიკარნახებენ, მხოლოთ განსაკუთრებულ შემთხვევებში კი დავეშვები უფრო დაბლა და მესანგრეთა მონაწილეობის და გამოყენების საკითხს განვიხილავ ათასეულის საფეხურზედ.

თითქმის ყველა სახელმწიფოს ჯარები იზიარებენ დღეს მოძრაობის „კულტტ“; ყველგან გასავალი აქვთ საოპერაციო და ტაქტიკურ სწრაფათ შესრულებულ კონცეპციებს, რითაც ჰელლისტმობენ უპირატესობის მოპოებას რიცხობრივათ და ტეხნიკურათ უფრო მძლავრ მტერზედ.

ქვეითა ჯარის თვითდაცმი, კოფილების პრინციპი ისე შორს წავიდა, რომ დღეს თითქმის შეუძლებელია ლაპარაკი ქვეითა ლეგიონზედ ამ სიტყვის მნიშვნელობით: დღეს არსებობენ მხოლოთ სხვა და სხვა იარაღთა შეკავშირებული ერთეულები; დღეს ყოველ ნორმალურათ მოწყობილ ქვ. ლეგიონს ჰყავს თავისი საკუთარი არტილერია, პიონერები (მესანგრენი), საკავშირო ნაწილი, თავისი კავალერია (ცხენოსან მზეერავთა მწყობრი) და სხვა.

თუ მხედველობაში მივიღებთ ერთის მხრივ ერთეულების მოძრაობას და მოქმედების სისწრაფის საჭიროებას, მეორეს მხრივ კი საქართველოს ძნელ აღგილმდებარეობითი და საკომუნიკაციო პირობებს — მივალთ დასკვნამდე, რომ სრული ტეხნიკური თვითდაკმაყოფილება მისცემდა ქვეითა ჯარს მოძრაობის და მოქმედების უფრო მეტ უნარს. მაგრამ ამ შემთხვევაში მესანგრეთა სამუშაო ობიექტებიც საგრძნობლათ გამრავლდებიან.

მრავალ სამუშაო ობიექტების კოორდინაცია და მესანგრეთა ერთეულების დაყოფვა - მივლინება ეკუთვნიან მესანგრეთა უფროსის კომპეტენციას, რომელიც ვალდებულია ამ მხრივ პროპოზიციები წარუდგინოს თავის ტაქტიკურ უფროსს.

ამნაირათ მრჩეველ-სპეციალისტის, საინპინერო ჯარის ოფიც. მოვალეობას წარმოადგენს მესანგრეთა შესაფერისი დანაწილება და გამოყენება; ცხადია, რომ ამის გამო კარგათ უნდა ჰქონდეს შეთვისებული ჯარის სხვა და სხვა იარაღების ტაქტიკური თვისებები, თუ კი მათთან თანამუშაობიდან მოველით დადებით შედეგებს. ვანაიდან, ტაქტიკური და ტეხნიკური მხარენი ყოველგვარ მოქმედებისა (მაგ. მოვერება ან იერიშის ორგანიზაცია) ერთმანეთში მჭიდროთ გადამული არიან, ამიტომაც მომზადების მთელი პასუხისმგებლობა ეკის-

რება ბოლოს და ბოლოს ტაქტიკურ უფროსს. აქედან ვრწმუნდებით. რომ ტეხნიკური მომზადება ტაქტიკურ უფროსისა მაღალ დონეზედ უნდა იდგეს : იგი ადასტურებს ყოველგვარ ტექნიკურ პლანებს და ა-ამისოთაც სცემს შესაფერის ბრძანებებს.

ამნაირათ მესანგრენი ყოველგვარ მუშაობისას გამოდიან საერთო უფროსის ნების ორმასრულებელთა როლში.

ყოველ მუშაობისათვის საჭიროა: დრო, ძალა და დამხმარე საშუალებანი.

ეს ელემენტები რაც შეიძლება ნაყოფიერათ უნდა გამოვიყენოთ: ამაზედ უნდა იზრუნოს მესანგრეთა ოფიცერმა, როგორც აგრეთვე საერთო უფროსმაც.

საამისოთ საჭიროა მესანგრეთა და ჯართა სხვა იარაღების თანა-მუშაობა ჯერ კიდევ მშვიდობიან დროს; მხოლოთ ამით მივაღწევთ დადებით შედეგებს საომარ გამოცდის ჩაბარებისას. საჭიროა შეიქმნას ურთიერთ ნდობის ატმოსფერა და მთხოვნილებათა გაება; ყველანი კი მზათ უნდა იყვნენ მაქსიმალურ შრომისათვის, თუ კი ამას მდგომარეობა მოითხოვს. ეს ყველაფერი შექმნის შეხედულებათა და აზროვნებათა ერთიანობას — გამარჯვების აუცილებელ პირობას.

რაც შეეხება რკინისგზის მესანგრეთა, ელექტროტექნიკოსებს, ტელეგრაფისტებს, რადიოტელეგრაფისტებს და სხვას, განვიხილავთ ზოგადათ მხოლოთ ორგანიზაციულ მხრივ; დაწვრილებით განხილვას უთმობ უფრო კომპეტენტურ პიროვნებებს — ამ დარგების სპეციალისტებს.

ბოლოს გამოვსთქვამ, რომ დიდი სიამოვნებით მივიღებ აოგონ-გვარ კრიტიკას, თუ კი. რასაკვირველია, კრიტიკოსი თავისი გამოცდილებით და მომზადებით შესაფერ დონეზედ დადგება.

## 2. შეხვედრითი ბრძოლა და ხერიში

**ლაშქრობისას** მესანგრეთა მთავარ მოვალეობას წარმოადგინს დაბრკოლებათა გადალახვა-დაძლევა, რომელთა წინასწარი გათვალისწინება შესამჩნევათ ხელს შეუწყობს ლაშქრობის სისწრაფეს — ღრივის მოვებას. მესანგრეთა გამოყენება მოხდება უმთავრესათ სალაშქრო გზებზედ, სადაც შეხვდებით შემდეგ სამუშაო ობიექტებს:

1. სხვა და სხვა დაბრკოლებათა დაძლევა, მაგ.: ხიდების ხელმეორეთ აღდგენა ან მათი შეკეთება-გამაგრება, არსებულ ხიდების გაძლიერება თუ კი სალაშქრო ტვირთის ტონაჟი ამას მოითხოვს, გზების შეკეთება - წესზედ მოყვანა.

2. ჯართა მოძრაობის დასაფარავათ — მთელ რიგ ობიექტების ნილაბ-მოსხმა, თუ კი მოპირდაპირის გაძლიერებულ ობიექტების ველოდებით.

უზრუნველყოფილ ბანაკობას-დასვენებისას — მესანგრეთ ვაკ-ლინებთ საუზრუნველყოფილო ნაწილებთან (საღარაჯო ბერები), თუ კი მოველოდებით განსაკუთრებით მოპირდაპირის ჯავშნოსან იარაღს (ტანკები, თვითმავალები). ამ შემთხვევაში გვექნება გასაკეთებელი:

1. საკომუნიკაციო დაბრკოლებები, ბარიკადები,

2. ტანკების საწინააღმდეგო განსაკუთრებული დაბრკოლებები, რომელთაც მოვაწყობთ მოპირდაპირის მოქმედების ეგიბის მიმართულებებზე.

დღევანდელ პირობებში, როდესაც ასე მძლავრათ გაიზარდა ავიაციის როლი, ობსერვაციის მაღალ თვისებების გამო, ლაშქრობას ვახდენთ უმეტეს ნაწილათ ღამეობით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჯარები უახლოვდებიან თავთავიანთ საირიშო ფუნქციებს (საირიშო ფუნქციები — პოზიცია, რომლიდანაც გამოდის იერიში). ამნაირათ მესანგრეთ მოუნდებათ ღამლამეობით მუშაობა, რაშიც დახელოვნებული უნდა იყვნენ. რასაკვირველია, ღამის მუშაობის ნაყოფიერება უფრო ნაკლებია ვიდრე დღისა და დაახლოვებით უდრის დღის მუშაობის 50 პროცენტს.

შეხვედრითი ბრძოლაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იხვეჭს არტილერიის სწრაფი შეყვანა ბრძოლაში. საამისოთ საჭირო იქნება მას გზა გაუკაფოთ; ხევებზედ და პატარა რუებზედ გადასავალების შეკეთება ან მათი აშენება.

შეხვედრითი ბრძოლას ახასიათებს მდგომარეობის ცვალებადობა და ამიტომაც არ გვეძლევა საშუალება თავიდანვე გავითვალისწინოთ სამუშაო ობიექტები. ამიტომაც, თუ კი ვიმყოფებით ბრძოლის მოლოდინში, მესანგრეთა მთავარი ნაწილი მარქაფში უნდა გვყვანდეს, რომ მდგომარეობის მიხედვით სწრაფათ გადავისროლოთ ივი სათანადო ადგილას.

იერიში მოპირდაპირის ზერელათ გაძლიერებულ პოზიციაზედ.

მესანგრეთა ამოცანები იერიშის დროს მით უფრო გაძნელდებიან, რაც უფრო მეტი დრო ჰქონდა მოპირდაპირეს თავისი პოზიციის ორგანიზაციისათვის. თუ ამასთან ერთად განვიცდით არტილერიის ნაკლულოვანებას, რომელსაც ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს მოპირდაპირის თავდაცვის ობიექტების ნგრევაში, და არც ხელთ გვყავს. ტანკები, მაშინ იერიშის მომზადების მთელი სიმძიმე დაეკისრება მესანგრეთა ნაწილებს.

იმის და მიხედვით, თუ სად იმყოფებიან სამუშაო ობიექტები. მუშაობას ვანაწილებთ ორ არ სტრეფათ:

1. მუშაობა ზურგის სტრეფაში,

2. მუშაობა პირველ ხაზის სტრეფაში.

### მუშაობა ზურგის სტრეფაში:

ა). გზების შეკეთება უშუალო ზურგში, გზების და ხიდების შეკეთება საბრძოლო ერთეულის მოქმედების ღერძზედ (იგულისხმეთ დივიზია ან ბრიგადა).

ბ). სასროლო მასალის საწყობების ნიღაბ-მოსხმა (მასკები).

გ). ტეხნიკურ მასალის მომზადება და მისი განაწილება საიერიშო ნაწილებ შორის.

დ). შესაძლებელი მოწყობა საობსერვაციო პუნქტებისა მაღალ უფროსობისათვის (დივიზიის და ბრიგადის უფროსი).

ყველა ჩამოთვლილ სამუშაოს ასრულებენ მესანგრენი, რომელ-ნიც იმყოფებიან მესანგრეთა უფროსის უშუალო განკარგულებაში.

### მუშაობა პირველ ხაზის სტრეფაში:

ა). ტანკების მოძრაობის გაადვილება და მათთვის საიერიშო ფუძეების ნიღაბ-მოსხმა.

ბ). საიერიშო ფუძეების მოწყობა ქვეითა ჯარისათვის და მათი ნიღაბ-მოსხმა, ე. ი. მსროლელთა თხრილების, ტყვიისმფრქვეველების ბუდეების მოწყობა-აშენება, ქვეითა ჯარის მარქაფების დასაგროვ ადგილების მოწყობა და სხვა, რომელთა მიზანია ხელი შეუწყონ ქვეითა ჯარის მომზადებას საიერიშოთ და მის დაფარვას მოპირდაპირის ცეცხლის და ობსერვაციისაგან.

გ). საობსერვაციო პუნქტების მოწყობა ქვეითა ჯარის უფრო-სებისათვის, სასანიტარო შესახვევ პუნქტების, წინწარეულ სასროლო მასალის საწყობების მოწყობა და სხვა. რასაკვირველია, ყველა ამ სამუშაოთა ასრულებისას მესანგრენი გამოიდიან მრჩეველების და ინ-სტრუქტორების როლში, მხოლოთ თვით მუშაობას ასრულებენ ქვ. ჯარის არტილერიის ან ტანკების ჯარისკაცები; იმ შემთხვევაში კი, როდესაც მოსაწყობ-ასაშენებელია განსაკუთრებულ სიძნელის ობი-ექტი, საცა სპეციალისტების უშუალო მუშაობა არის საჭირო, იქ მუ-შაობენ თვით მესანგრენი.

განვიხილეთ მესანგრეთა როლი იერიშის მომზადებაში, გადავი-დეთ ეხლა მათ ამოცანებზედ თვით იერიშის მიტანის დროს. მესანგ-რეთა მორალურ და ფიზიკურ ძალთა დახარჯვას მიეცემა აქ მაქსიმა-ლური გამომეტყველება. იერიშის დროს მესანგრეთა მთავარ და მხო-ლოთ ერთ ამოცანას წარმოადგენს ქვეითა ჯარის წინსვლის გაადვი-ლება. იერიშის მიტანის დროს მესანგრენი იყოფებიან ორ კატეგო-რიათ:

ა). მხლებელ მესანგრენი — უშუალოთ მიჰყებიან ქვეითა ჯარს.

ბ). საერთო მოქმედების მესანგრენი — რჩებიან მესანგრეთა უფროსის უშუალო განკარგულებაში.

**მხლებელ მესანგრეთა ამოცანები იერიშის მიტანისას.**

ა). ხელის შეწყობა ქვ. ჯარისათვის ხელოვნურ (ეკლიანი მავ-თული) ან ბუნებრივ დაბრკოლებათა გადალახვაში.

ბ). საბრძოლო სატვირთულების მოძრაობის გააღვილება (ტყვი-ისფრქვევების და სავაზნე ორთვალაების).

გ). ქვეეთა ჯარის არტილერიის (ქვ. ლეგიონის არტილერია) მო-ძრაობის გააღვილება.

დ). ტანკების მოიერიშე ნაწილის მოძრაობის გააღვილება, რო-გორც აგრეთვე ტანკების მეორე ტალღის მიყვანა საიერიშო ფუძეზე. გაფუჭებულ ტანკებისათვის დახმარების აღმოჩენა და მათი ბრძოლის ველიდან გამოყვანა.

ე). ქვ. ჯარისათვის დახმარების აღმოჩენა მისი წინსვლის შეჩე-რებისას და მოგერებაზედ გადასვლისას.

გარდა ზემოხსენებულისა ზოგჯერ საჭიროა მესანგრეთა შივლი-ნება ტანკების უშუალო მხლებლებთან (დაახლოვებით ვანგარიშობთ: მექანიზრთა 1 ათეული ტანკების თითო მწყობრზედ, რომელიც შე-სდგება 5 ტანკისაგან).

ამნაირათ, თუ კი მივიღებთ როგორც ნორმას, რომ დივიზიას ეყოლება მესანგრეთა ერთი ორგანიული ასეული — მისი დეცენტრა-ლიზაცია საჭირო გახდება, რაც ნორმალურ მოვლენათ უნდა ჩავთ-ვალოთ. რასაკვირველია, მესანგრეთა ასეულის ორგანიზაცია დეცენ-ტრალიზაციის მოთხოვნილებას უნდა აქმაყოფლებდეს, ვინაიდან მხოლოთ ამისთანა ორგანიზაცია მოგვცემს თანამუშაობის საუკეთე-სო პირობებს. საერთოდ კი უნდა აღვნიშნო, რომ მესანგრეთა დანა-წილებას აქვს აგრეთვე თავისი საზღვარი, რომლის გადაცილება უკვე ზიანს მოგვიტანს; ამიტომაც მიღებულია, რომ ასეულის მწყობრზედ ნაკლებ ერთეულებათ დანაწილება უკვე სასურველი არ არის.

**საერთო მოქმედების მესანგრეთა ამოცანები იერიშის მიტანისას.**

ა). ხელის შეწყობა არტილერიისათვის მისი წინწაწევის დროს, პოზიციების წინ გადატანისას, საამისოთ: გზების და ხიდების შეკე-ოება-გაძლიერება, არტილერიის გადაყვანა თხრილებზედ.

დაბრკოლებათა და ბარიკადების დაძლევა, წინსვლის ხელის შე-წყობა ტყიან ან ჭიათური აღვილების გადალახვისას.

ბ). მხლებელ მესანგრეთა მომარაგება ტეხნიკურ მასალით, რო-მელიც მათ შეიძლება დააკლდეს, ბრძოლის ვითარებისას.

გ). საარტილერიო და მესანგარეთა საწყობების უზრუნველყო-ფა. გარდა ზემოხსენებულისა საერთო მოქმედების მესანგრენი მზათ

არიან ყოველ წუთს შეავსონ ან გააძლიერონ ბრძოლით დასუსტებული მხლებელ მესანგრენი; ამნაირათ საერთო მოქმედების მესანგრენი წარმოადგენენ მესანგრეთა საერთო მარქაფს.

ეხლა გადავიდეთ საკითხებზედ, თუ რა ამოცანები დაეკისრებათ მესანგრეთ, თუ კი იქრიში დადებით შედეგს არ მოგვიტანს და ქვეჯარი თავის წინსვლაში გაჩერებულ იქმნება.

ქვეითა ჯარი აღგილ-მდებარეობის კონფიგურაციას და აღგილ-ბრივ ობიექტებს ეფუძნა, რითაც ჰავარიაჟს თავის თავს მოპირდაპირის ცენტრობის და ობსერვაციისაგან.

ქ- ჯარი იწყებს თხრილების გაკაფვას მსროლებისათვის, შემდეგში კი მძიმე ტყვიისფრქვეველებისათვის ბუღებს აშენებს. დღისით დაწყებულ მუშაობას აგრძელებს ღამით.

ამ იროვს მესანგრუთა ამოკანები გამოიხატებიან შემდეგში:

5). საკომუნიკაციო ხაზების ან მოპირდაპირისაკენ მისავლელ დაფარულ მიმართულებების აღნიშვნა (პალებით).

ბ). თხრილების გაკაფევა ქვ. ჯარის უახლოეს მარტაფებისათვის.

გ). მსოფლის საობსერვაციო პუნქტების მოწყობა.

დ). მასალების დამზადება და მათი დაგროვება შემდეგ სამუშაობებისათვის:

— სათვალყურო პუნქტების და სასროლო მასალის საწყობების  
ხელახლათ მოსაწყობათ,

— ამფეთქ შუქთების დამზადება (მოპირდაპირის მავთულიას გა-  
დის დასანგრევათ, უმეტეს ნაწილთა პიროვნეულინის),

— მასალების დამზადება სხვა და სხვა დაბრკოლებათა ღასაძლევათ (მაგ. ტანკების საწინაღმდეგო თხრილების ასაცესებლათ).

როგორც ვხედავთ, ბრძოლის ამ ფორმაშიც ძესახეროათვია აღ-  
მოჩნდება მუშაობის მრავალი ობიექტები. რასაკირველია, ეს ყველა-  
ფერი მოითხოვს მორალურ და ფიზიკურ ძალების უმაღლეს დაჭიმ-  
ვას, რაც დამკიდებულია ჯარისკაცის დისკიპლინაზედ და მის მიერ  
მოვალეობის უაღრეს შეგნებაზედ, გამარჯვების ორ ძირითად პი-  
რობებზედ.

როგორც ვხედავთ, ძირითადი მომენტი, რომელიც ახასიათებს ძე-  
სანგარეთა გამოყენებას იერიშის დროს, არის: მოსამზადებელ ობი-  
ექტთა დიდი რიცხვი და ამასთან ერთად მორალურ და ფიზიკურ ძა-  
ლების უაღრესი დახარჯვა.

### 3. მოპირდაპირის დევნა.

მოპირდაპირის დევნა უნდა გამოიხატოს სწრაფ და თამაშ წინ-სკლაში, რათა იერიშის დადებითი ნაყოფი მთელი მაშტაბით გამოყენებულ იქმნას. ჩენ მუდმივ მისწრაფებას უნდა წარმოადგენდეს მო-

პირდაპირის სრული განადგურება. ყოველი წუთი, ჩვენს მიერ გამოუყენებელი, მისცემს მოპირდაპირეს საშუალებას აერიდოს ჩვენს დარტყმას და თავის რიგებში დარღვეული წესიერება დაამყაროს.

ამიტომაც ამისთანა ხასიათის მოქმედების დროს გარდამწყვეტფაქტორათ იქმნება სისწრაფე, მტერი კი ყოველ საშუალებით შეუდება გაგვიძნელოს და შეაფეროს სხვა და სხვა დაბრკოლებათა შექმნით ჩვენი წინსვლა.

**მხლებელ მესანგრეთა ერთად-ერთ და მთავარ ამოცანათ მტრის დევნის დროს იქნება გზა და გზა ბუნებრივ და ხელოვნურ დაბრკოლებათა დაძლევა, რათა გზა გაუკაფოს ჩვენს ჯარებს.**

ხშირათ მესანგრეთა მიერ ხელოვნურათ ჩატარებულ მუშაობას გარდამწყვეტი ტაქტიკური შედეგები მოუცია.

**საერთო მოქმედების მესანგრეთა ამოცანები გამოიხატებიან შემდეგში:**

ა). მოწინავე, მხლებელ მესანგრეთა, დალეულ ძალების გაძლიერება,

ბ). ღიდ ერთეულის მთავარი საკომუნიკაციო ღერძის სრულ წესრიგში მოვყანა (ხიდების გაძლიერება-შეკეთება და დამთავრება ყველა იმ მუშაობათა, რაც იყო გაკვთებული მხლებელ მესანგრეთა მიერ).

გ). არტილერიის და ტანკების წინსვლის გაადვილება,

დ). მასალის მიწვდომა მოწინავე მესანგრეთათვის, თუ კი, რასაკვირველია, მდგომარეობა ამის საშუალებას მისცემს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ წუთს, როდესაც გავჩერდებით ისეთ რთულ დაბრკოლების წინ, როგორც მდინარე ან მტრის მიერ სრულიათ განადგურებულ რაიონს მივაღებით — ამ მომენტისათვის დაუშვებელი იქნებოდა მესანგრეთა და ტეხნიკურ მსალათა სინაკლულე.

**მდინარის ბრძოლით გადალახვა ხდება სპეციალურ პირობებში და მას უნდა შეეფარდოს მოქმედების ხერხი. ქვეითა ჯარისათვის მდინარის გადალახვა წარმოადგენს იერიშის სხვა სახეს, რომელიც გამოიხატება მის გადალახვაში მტრის თვალყურის დევნის ქვეშ.**

სიძნელე სწორეთ იმაში გამოიხატება, რომ მდინარე მთელ თავის სიფართოვეზე არ იძლევა არავითარ საფარს და მტერი მზაო არის იქონის ტყვიამფრქვეველთა ცეცხლის ქვეშ მდინარის მთელი სიგანე. ეს ძალიან სახიფათო არე (მდინარის სიგანე) ქვეითა ჯარმა უნდა გადაიაროს ნაწილობრივ პონტონების ჭიმას ნავებით ან ნავებით. ქვეითა ჯარის საბრძოლო რიგები ასეთ პირობებში მოკლებული

არიან თავისი თავის დაცვისა, ხოლო მდინარის მეორე ნაპირზე გადასულ ნაწილებს იპყრობს მარტოობა.

აი ნამდვილი სიძნელეები, რომელიც თან ახლავენ ქვეითა ჯარის მდინარის გადალახვისას.

ერიშს ახასიათებს მოულოდნელობა, მოქმედების სისწრაფე და ძალა; ყოველივე ეს უნდა მომზადეს რიგიანათ და ფარულათ.

შემდეგი ნაბიჯის გადაღმას შევძლებოთ მაშინ, თუ კი მდინარის გადალახვა ჩატარდება ხეირიანათ. ამ უკანასკნელის სისრულეში მოყვანა კი მოითხოვს სრულ შეთანხმებას ტეხნიკის და ტაქტიკის. ტაქტიკურმა უფროსმა დაწვრილებით უნდა მხედველობაში აიღოს ტეხნიკური წვრილმანები და მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს მდინარის გადალახვის მომზადებას.

მდინარის გადალახვაში მესანგრეები იღებენ დიდ მონაწილეობა; მათ ხელშია სავსებით ტეხნიკური მომზადება გადალახვისა და სისრულეში მისი მოყვანა.

მდინარის გადალახვის სისრულეში მოყვანის საშუალებანი დამკიდებული არიან შემდეგ სამ ტეხნიკურ პირობებისაგან:

ა). ლაშქრობა — როდესაც მოწინააღმდეგენი ჯერ კიდევ ერთ-მანეთისაგან დაშორებული არიან.

ბ). დევნა — როდესაც გამარჯვებული დევნის დამარცხებულს, ეს უკანასკნელი კი ცდილობს მოწყდეს მდევნელს და განისაზღვროს მისგან მდინარით.

გ). ბრძოლის ხანა — როდესაც მოპირდაპირენი განისაზღვრებიან მხოლოდ მდინარით.

ამ უკანასკნელ შემთხვევის პირობებში გადალახვის მომზადებას სპეციალური ყურადღება უნდა მიეცეს.

საერთოდ მდინარის გადალახვისას მესანგრეთა შუშაობა უნდა გამოიხატოს შემდეგში:

1. გაცნობა და სისრულეში მოყვანა თვით მომზადებისა

2). ყველა მესანგრეთა ერთეულების მოყვანა მოქმედების რეონის რაც შეიძლება სიახლოვით, აგრეთვე ტეხნიკური მასალა.

3). მდინარის სიახლოვით მასალის დაგროვება და მესანგრეების თავის მოყრა, რომ სულ მოკლე ხანი დასჭირდეს თვით მდინარის პირზე გამოსვლა.

2. პირველი ნაწილების გადაზიდვა მდინარის მეორე პირზე.

(ამისათვის საჭიროა მდინარის რამოდენიმე აღგილას მოეწყოს ჯარების გადაზიდვის საქმე).

3. მდინარეზე მიმოსვლის უზრუნველყოფა და შემდეგი ნაწილების გადაზიდვა (ქვეითა ჯარი, არტილერია და სხვა) თანახმათ

იმ გეგმისა, რომელიც შეიმუშავა ტაქტიკურ უფროსმა მესანგრეთა უფროსთან ერთად.

4. პონტონურ ხიდების აშენება (ან მძიმე პრომი, ან საველე ხიდი).

5. საველე ხიდის აშენება.

6. სათანადო ნიღაბის მოსხმა ყოველივე მოქმედებისა, დაწყებული მოსამზადებელ მუშაობისაგან აქციის გათავებამდე.

ზემო მოყვაშილ მუშაობის სისრულეში მოსაყვანათ საჭიროა მრავალი ფიზიკური ძალის გამოყენება ე. ი. საჭიროა რიცხვი მესანგრეთა და ძალების მარქაფები, მასალა და ტეხნიკური იარაღი და ეს იმ მოსაზრებით, რომ შევავსოთ ნაკლი როგორც ტეხნიკური იარაღის, ასევე მესანგრეთა შორის.

#### 4.

#### ერთ ადგილზე მოგერება (უძრავი მოგერება)

ერთ ადგილზე თავდაცვას მიზნათ აქვს შეინარჩუნოს განსაზღვრული ადგილმდებარეობა. ამ ხასიათის მოქმედებამ უნდა შეაჩეროს მტრის წინსვლა, მიანიჭოს მას (მტერს) ზარალი და ამით მისცეს ჩვენ ჯარებს შეძლება დრო მოიგოს და შეინარჩუნოს მთლიანათ ძალები, რასაც სათანადო დროს და ადგილას გამოიყენებს გადამწყვეტი მოქმედებისათვის.

ერთ ადგილზე თავდაცვას მოვაწყობთ მაშინ, როდესაც ძალა და სახსარი მოგვცემენ საშუალებას შევიპყროთ ცეცხლით მთელი დასაცავი სივრცე.

ცხადია, რომ თავდაცვის მოწყობა მოვაიხდება სხვა და სხვა პირობებში, სახელდობრ:

ა). მტერთან უშუალო კავშირის დროს, ბ). როდესაც მტრის იერიშს მოველით უფრო ადრე (ცოტა დრო გვექნება თავდაცვის მოსაწყობათ), გ). როდესაც მოგვეპოვება ბევრი დრო (როდესაც მტერი ჯერ კიდევ შორს არის).

საერთო თავდაცვის სილრმეში დაჯგუფება შეიცავს:

ა). მთავარი პოზიციის უზრუნველყოფის ხაზს ( სადარაჯო ბერია),

ბ). მთავარ პოზიციას

გ). მარქაფების აგდილმდებარეობის და არტილერიის პოზიციებს თუ კი განვიხლავთ მესანგრეთა ერთეულების როლს ასეთ ხასიათის ბრძოლის დროს, აშკარათ დავინახევთ ორ გეზს მათი მუშაობისას: —

1. ორგანიზაციული მუშაობა მთელი უბანის სასარგებლოთ.

2. მუშაობა თვითეულ ფორტიფიკაციული ელემენტებისა.

ორგანიზაციული მუშაობა დამოკიდებულია პირველ ყოვლისა მესანგრეთა ერთეულის უფროსისაგან, რომელიც უნდა იყოს ერთ-გვარი ტეხნიკურ ფორმულათ ტაქტიკურ საერთო უფროსის ტვინში. იმის და მიხედვით თუ რა გეგმა მიიღო ტაქტიკურმა უფროსმა, მე-სანგრეთა უფროსმა უნდა შეიმუშაოს:

1. მესანგრეთა გამოყენების გეგმა,
2. საფორტიფიკაციო ბრძანება,
3. მუშაობის ორგანიზაცია,
4. ტეხნიკური იარაღის და მასალის მიწვდენის გეგმა.

რაც შეეხება მესანგრეთა მუშაობას, ევ გამოიხატება საერთო დახმარებაში, რომელსაც ისინი გაუწევენ ან ბატალიონს ან ლეგი-ონს, ან დივიზიას.

პრინციპათ უნდა მივიღოთ ის, რომ ელემენტარულ სამოსანგრო მუშაობას აწარმოებს თავის თავის სასარგებლოთ ყოველ ჯართა ია-რალთაგანი. მაგალითად, ქვეითა ჯარშა თვით უნდა შესძლოს სასრო-ლო პოზიციის მოწყობა, უბრალო საობსერვაციო პუნქტის აგება და სხვა.

ასეთ შემთხვევაში თვით მესანგრები გამოიყენებიან: —

ა). საერთო სასარგებლოთ, როგორც მაგალითად, უმაღლეს უფ-როსის საობსერვაციო პუნქტის მოსაწყობათ, პოზიციის შიგნით სა-კომუნიკაციო გზების მოსაწყობათ, დიდ ერთეულების მთავარი სა-კომუნიკაციო გზების შესანახვათ, ნიღაბ მოსხმის ჩასატარებლათ და სხვა.

ბ). ისეთ მუშაობისათვის, რისთვისაც საჭიროა სპეციალური ტე-ხნიკური გაწვრთნა ან და სპეციალური ტეხნიკური იარაღი, როგორც გაზების საწინააღმდევო თავშესაფარი, მსუბუქი თავშესაფარი, სპე-ციალური დაბრკოლებანი (ტანკების საწინააღმდევო მინები), მტრი-საგან მომავალ გზებზე დაბრკოლებების მოწყობა და სხვა. გარდა ამისა მესანგრები შეიძლება გამოყენებულ იქნენ მავთულიან დაბრ-კოლებათა მოწყობაში.

გარდა ზემო მოყვანილ მუშაობისა, მესანგრები გამოყენებული იქნებიან მშიმე თავშესაფარის ასაშენებლათ (საბრძოლო საცხოვრე-ბელი, სანიტარული, და სხვა) და სპეციალურ დაბრკოლებათა ასაშე-ნებლათ.

მიუხედავათ ტაქტიკური პირობებისა, ძალთა რიცხვისა და მასა-ლისა, მუშაობის წესრიგი თავდაცვის მოწყობაში არის შემდეგი:

პირველ ყოვლისა საზიანო ცეცხლის გაძლიერება და ნიღაბის მოსხმა, შემდეგ კი — თავშესაფარი.

თავდაცვის ელემენტების ასრულების წესრიგი კი იქნება შემდეგი:

1. საობსერვაციო პუნქტები და სასროლო პოზიციები (პირველ ყოვლისა ტყვიამფრქვეველთათვის), უფროსების ადგილები და სატელეფონო ცენტრალები, გაწმენდა და მოწყობა სრულის ველისა, დაბრკოლებანი, მოწყობა ველისა კონტრიერიშისათვის.

2. ხეირიანი და საქმიანი ნიღაბმოსხმა ყოველივე მუშაობისა, მისვლამოსკვლის და უკვე აგებულ ობიექტებისა.

3. კომუნიკაცია პოზიციის შეგნით, თავშესაფარები.

4. კომუნიკაციები მომარაგებისათვის და ევაკუაციისათვებს.

მუშაობის წარმოებისას, უნდა ა ველოდეთ მოპირდაპირის თავდასხმას და ამიტომაც პოზიცია მუდმივ მზათ უნდა იყოს ბრძოლისათვის. საამისოთ უპირველეს ყოვლისა, საჭიროა რაც შეიძლება მალე შეუდგეთ მთავარ პოზიციის წინწაწეულ ელემენტების მოწყობა-გაშენებას (თავდაცვის პირველი ხაზი).

ამ ელემენტების გასამაგრებლათ ვაძლევთ მესანგრეთა და ტეხნიკურ საშუალებათა უმეტეს ნაწილს.

საფორტიფიკაციო მუშაობა არ უნდა ჩავთვალოთ დასრულებულათ, ყოველთვის უნდა მივესწრაფოდეთ პოზიციის გაუშვინებელისაკენ. საამისოთ მზათ უნდა ვიყოთ მუშაობა გავაგრძელოთ მოპირდაპირის ობსერვაციის და ცეცხლის წარმოების დროსაც

#### 4. დამაგვიანებელი მოქმედებანი.

##### (უკანდახევა)

ასეთ მოქმედების წარმოებას მიზნათ აქვს ყველა იმ ელემენტების გამოყენება, რომელთაც შეუძლიათ მოპირდაპირის წინსვლა შეაფერხო-დააგვიანოს. ამ ელემენტებს ეკუთვნის უპირველეს ყოვლისა ბრძოლა და სივრცე.

მესანგრეთა გამოყენება უმთავრესათ შეეხება სივრცეს: ვცდილობთ სხვა და სხვა დაბრკოლებათა შექმნით გავალრმავოთ ეს სივრცე, რითაც ერთის მხრივ მოპირდაპირეს დრო დავაკარგვინოთ, მეორეს მხრივ კი ჩვენი ძალები უფრო ყაირათიანათ გამოყიუენოთ. დამაგვიანებელ ბრძოლების წარმოებას ხელს უწყობს გორაკიანი აღგილმდებარეობა, გადაჭრილი ხეობებით, დაფარული ტყით და საკომუნიკაციო არტერიებს მოკლებული.

ადგილმდებარეობის ასეთი პირობები ხელს უწყობენ მესანგრეთ არემარე ხელოვნურათ დაკვეტონ.

დამაგვიანებელ ბრძოლაში მესანგრეთ დაეკისრებათ:

1. თვალყურის დევნა იმ გზების, რომლითაც ისევს ჩვენი ჯარი.
2. დასანგრევ ობიექტების მომზადება.
3. დაბრკოლებათა მომზადება და მოწყობა მთავარ და მეორე-ხარისხოვან მიმართულებებზე

4. საფორტიფიკაციო მუშაობის წარმოება იმ პოზიციებზედ, რომელიც მდებარეობენ დახვის საბოლოო ხაზზედ.

ნგრევის სისრულეში მოყვანა სწარმოებს სამი ეტაპით, რომელიც შეიძლება დაშორებულ იყვნენ ერთ-ერთმანეთში დღეებით ან კიდევ კვირაობითაც. ეს ეტაპები არიან: —

ა). მომზადება — სჭირდება ბევრი დრო და ბევრი მუშაობა და მასალა; გამოიხატება სამინიჭურებელი მომზადებაში, ასაფეროებრელ მუხტების, ფისის და ჩალის მომზადებაში ობიექტის ასაფეროებრელათ ან დასაწვავათ.

ბ). გატენა და მუხტების შეიარაღება — საერთოდ არა სჭირდება დიდი დრო; გამოიხატება ამფერებ მასალის უჯრედებში მოთავსებით ან ხის ხიდების ჩალით მოხვევაში და ფისით მოსხმაში.

გ). აფეროება ან დაწვა — აფეროება ხდება სწრაფათ, დაწვის დროს კი საჭიროა ცდა დაახლოვებით სამი მეოთხედი-ერთი საათი მაინც, სანამ ობიექტი არ დაიწვება.

დაბრკოლებათა შექმნისათვის ტყეში საჭიროა ბევრი დრო. თუ ობიექტი ასაფეროებლათ მომზადებულია, საჭიროა მისი დარაჯობა.

ვარჩევთ შემდეგ ნაირ ნგრევებს:

ა). პირველ რიგის ნგრევები — იმ ობიექტთა, რომელიც მდებარეობენ მეორეხარისხოვან მიმართულებებზედ და შეიძლება ღანგრეულ იქმნენ ადრე.

ბ). ნგრევის მთავარი ობიექტები — მდებარეობენ მოქმედების მთავარ მიმართულებებზედ და დანგრეულ იქმნებიან მოქმედების დროს.

გ). შემავსებელი ნგრევანი — ნაკლებ მნიშვნელოვანი ობიექტები, რომელთა დანგრევა დამკიდებულია დროზედ და მასალაზედ. მათი დანგრევის მიზანია გაუძნელოს მოპირდაპირეს ნგრევის მთავარ ობიექტებთან მისცლა ან მათი გვერდის ახვევა.

ამის და მიხედვით გვეყოლებიან მესანგრენი:

ა). **მხლებელი**, რომელიც იმყოფებიან ნაწილებთან და ანგრევენ. ბ). **საერთო მოქმედებისა**, რომელთა დანიშნულებაა საკომუნიკაციო არტერიები გააძლიერონ-შეაკეთონ და ამაგრონ პოზიციები ჯარების ზურგში; ამავე დროს წარმოადგენენ მესანგრეთა საერთო მარქაფს.

**5. მოძრავი მოგერება (ანუ აქტიური მოგერება).**

მოძრავ მოგერებას აწარმოებენ იმ შემთხვევაში, როდესაც მოქმედებას ვაწარმოებთ განიერ ფრონტზედ და სამოქმედო ასპარეზი იმდენათ დიდია, რომ შეუძლებელი ხდება მთელი სივრცის დაფარვაცეცლით.

ბრძოლის სათანადო ხელმძღვანელობა მოძრავ მოგერებისას მოითხოვს უფროსობისაგან გარდაწყვეტილების აღების სისწრაფეს, მდგომარეობის სწორ გარკვევას და მის რეალურ დაფასებას, წინდა-ხედულობას, მოვლენათა უშეცდომოთ გათვალისწინებას და საერთოდ სწრაფ მოქმედებას.

განიერ ფრონტზედ წარმოებული მოგერება შეიცავს ერთ და იმავე დროს სამბრძოლის სამ სხვა და სხვა ნაირ ფორმებს, სახელდობრ:

ა). მოგერებას ერთ განსაზღვრულ ალაგის (უძრავი მოგერება).

ბ). მოპირდაპირის დამაგვიანებულ მოქმედებას.

გ). კონტრიერიშების წარმოებას.

ასეთ მოქმედებისას მესანგრეთა ამოცანები გამოიხატებიან:

ა). პოზიციების გამაგრებაში

ბ). ნერევის წარმოებაში

გ). საკომუნიკაციო ხაზების შეკეთება-გაძლიერებაში ჯარების ზურგში.

საერთოდ ვცდილობთ, რომ მესანგრეთა და ტეხნიკურ საშუალებათა მთავარი ძალები მოვიხმაროთ იქ, საცა ვითვალისწინებთ ერთ ალაგას უძრავ მოგერიების ჩატარებას, ვინაიდა მოძრავ მოგერიების ეს ელემენტი წარმოადგენს მის ქვაკუთხედს. გარდამწყვეტ კვეთებას ვაწარმოებთ მთავარი ძალებით. რომელიც დაგროვილი არიან უძრავ მოგერიების პოზიცის უკან; დანარჩენ ასპარეზზედ ვცდილობთ მოპირდაპირე დავაგვიანოთ.

ნერევის ვაწარმოებთ იქ, საცა ვაწარმოებთ მოპირდაპირის დამაგვიანებელ მოქმედებას. საჭიროა, თუ კი ტეხნიკური საშუალებანი საქმარისად მოგვეპოვება, ნერევამ მიიღოს მასიური ხაიათი.

გზების და ხიდების შეკეთება ჯარების ზურგში საჭიროა უპირველეს ყოვლისა მთავარ ძალების (მარქაფების) მოქმედების გასაადგილებლათ, ვინაიდან თითქმის მთელი მოძრავ მოგერების კონცეპცია დამყარებულია მთავარ ძალების მოძრაობის სისწრაფეზედ.

მესანგრეთა რიცხვი (ტეხნიკური საშუალებანი), რომელიც დაგვჭირდება ხსენებულ სამუშაო ობიექტებისათვის, დამოკიდებულია მდგომარეობისგან, ადგილ-მდებარეობისგან და ნიაღავის პირობებისაგან. საერთოდ კი უნდა განმეორებით ვთქვათ, რომ მესანგრეთა უმეტესობა გამოყენებულ იქმნება უძრავ პოზიციის საფორტიფიკაციოთ.

მესანგრეთა რაციონალური გამოყენება მოითხოვს მათ ყაირა-  
თიან მოხარებას; სამოქმედო ასპარეზი დიდია, მხოლოდ დრო კი  
ხელსაყრელ პირობებშიც ნაკლები გვექნება. საჭიროა მესანგრეთა  
დაგროვება ჯერ მთავარ ობიექტებზედ და შემდეგ მდგომარების და  
დროის მიხედვით მეორე ხარისხოვან ობიექტებზედ მოხმარება.

---

ზევით მოკლეთ-განივიხილეთ მესანგრეთა ამოცანები, რომელნიც  
დაეკისრებათ მათ თამედროვე ბრძოლის წარმოებისას; ეს ამოცანები  
დაუკავშირეთ ბრძოლის ძირითად ფორმებს. მიღებული სურათი ნათ-  
ლათ გვაჩვენებს იმ მრავალ ფეროვან როლს, რომელსაც ასრულებენ  
მესანგრენი.

თუ კი ეხლა გავითვალისწინებთ საქართველოს ტოპოგრაფიულ  
პირობებს, მთიან ადგილმდებარეობას და საკომუნიკაციო არტერიე-  
ბის სილატაკეს, ადგილათ მივალთ დასკვნამდე, რომ ჩვენს პირობებში  
მესანგრეთა ამოცანების შესრულება გაცილებით უფრო გაძნელებუ-  
ლი იქნება, მეტადრე წინვლის პირობებში (საკომუნიკაციო ხაზების  
უქონლობა-სილატაკე).

ეს მომენტი საჭიროა გავითვალისწინოთ, რათა შევძლოთ შევე-  
გუოთ როგორც მესანგრეთა ორგანიზაციით, ისე მათი მომარაგებით,  
იმ პირობებს, რომელთაც გვიკარნახებენ ჩვენის სამშობლოს ბუნების  
პირობები.

ამ ფრიად საპასუხისმგებლო საკითხში, რომელიც უკვე ჩვენს  
სამხედრო აზროვნების, დოქტრინის სფეროს ეკუთვნის, საჭიროა მჭი-  
დრო თანამუშაობა ჩვენი ტაქტიკოსებისა.

3. ხე — ძე

---

## უცხო სახელმწიფოთა მიმოცილვა.

### წითელი ჯარი

„დოიტშე ვეპრის“ № - 37 ქ. ვნახულობთ წითელი ჯარის ფრიად ღირსშესანიშნავ განხილვას — მისი ღირებულებისა და მომზადებისა სამხედრო მოქმედებისათვის.

ამ წერილის ავტორი გერმანელი ოფიცერია, რომელიც იმყოფებოდა რუსეთში იმ დრომდის, სანამ პოლიტიკურ ორიენტაციის შეცვლამ არ ჩამოიყვანა ინსტრუქტორებათ ფრანგები.

ავტორი გვაცნობებს, რომ მართალია წითელი ჯარი შეიარაღებულია მასალის მხრივ საუკეთესო ნიმუშებით და სწავლა-გაწვრთნაც მაღალ საფეხურზედ სდგას, მაგრამ ომის დროისათვის მაინც დიდ ღირებულებას არ წარმოადგენს.

თავის დასკვნას ავტორი ასაბუთებს შემდეგით: —

წითელი ჯარი შესდგება 73 დივიზიისაგან, დივიზია — 8500 კაცამდი. ეს უზარმაზარი რიცხვი დივიზიებისა ეროვნულ თვალსაზრისით მთლიანობას მოკლებულია.

ამ ჯარის თითქმის ნახევარი შესდგება ეროვნულ ნაწილებისაგან ან და ტერიტორიალურ დივიზებისაგან, რომელნიც გამოყვანილი არიან ავტონომიურ რესპუბლიკათა მიერ და იმყოფებიან თავთავიანთ რესპუბლიკების ფარგლებში. მაგალითად, უკრაინაში იმყოფება 17 დივიზია, რომელთაგან 8 დივ. არის სუფთა უკრაინული. სწავლა-წროვნა ამ დივიზიებში სწარმოებს უკრაინულ ენაზედ, მხოლოდ განკარგულებები და ბრძანებლობა რუსულ ენაზედ.

ბელორუსიაში იმყოფება 2 დივიზია ბელორუსებისაგან შემდგარი, დანარჩენი იქ მყოფი 3 დივ. ეროვნულ მხრივ ნარევ ელემენტებს წარმოადგენს.

ამიერკავკასიაში მყოფი ჯარები ეროვნულ მხრივ შესდგებიან: საქართველოში: 2 დივ. წმინდა ქართული (ტფილისი, ქუთაისი). აზერბეიჯანში: 1 დივ. წმინდა თათრული (ბაქო).

სომხეთში: 1 დივ. წმინდა სომხური (ერევანი).

ხსნებულ დივიზიებს გვერდს უდგია 3 დივიზია და 1 ცხენ. ბრიგადა წმინდა რუსულ ელემენტისაგან შემდგარი; აქვთ მათ ოკუპანტების გამორკვეული სახე.

ჩრდილოეთ კავკასიაში იმყოფებიან, როგორც ეროვნული ნაწილები:

- 1 ცხენოსანი პოლკი — ვლადიკავკაზი (ორჯონიქიძეში)
- 1 ცხენ. პოლკი დალესტანელების, შემცირებული ეტატებით.

კავკასიის ჯარებში, ეროვნულ ნაწილებში, სწავლა - აღზრდა სწარმოებს ადგილობრივ ენებზედ, ამის გარდა განკარგულებები და ბრძანებები გამოდიან აგრეთვე ადგილობრივ ენებზედ ე. ი. ქართულ, სომხურ და აზერბეიჯანის ნაწილებში.

კავკასიასთან შორ-ახლო-მდებარე ქვეყნებში იმყოფებიან: —

- 1 პოლკი იდელ-ურალის თაორებისა (კაზანი)
- 1 „ ბაშკირებისა (უფა)
- 1 „ მდინარე ვოლგაზე მცხოვრებ გერმანელებისა (სარატოვ)
- 1 ბრიგადა თურქმენების ცხენ. ჯარისა (აშაბადი)
- 1 „ უზბეკებისა (სამარკანდი)
- 1 პოლკი ცხენ. ტაჯიკებისა (სტალინბადი)
- 1 სამთო არტ. დივ. ტაჯიკებისა (სტლინბადი)
- 1 პოლკი ცხენ. ყაზახ-ყირგიზებისა (პეტროვსკ)
- 1 „ „ ყარა ყირგიზებისა (ტიშკევ)

დასახელებულ ნაწილების გარდა იმყოფებიან კიდევ სხვა ეროვნული ნაწილები, რომელთაც ავტორი არ იხსენიებს.

ავტორი იღებს მხედველობაში ამ ათასფეროვნობას სხვა და სხვა ხალხისა და ენისა და იმასაც. რომ ზემოაღნიშნული ერები მტრულ განწყობილებაში არიან მოსკოვთან. ამის გამო ავტორი დასძენს, რომ ამ ჯართა მთლიანი აქციისათვის გამოყენება ერთ სარდლობის მიერ დიდ სიძნელეს წარმოადგენს. რაც მომავლისათვის ჰქმნის უიმედო მდგომარეობას.

1933 წ. აღმასრულებელ ცენტრალურ კომიტეტის სხდომაზედ (რომელიც საიდუმლოდ სწარმოებდა) მივიღნენ იმ დასკვნამდე, რომ უკრაინაში მყოფ 17 დივიზიიდან 8 დივ. (უკრაინული) არ არიან სრულებით სანდო. 4 დივ. — საეჭვო და მხოლოთ 5 დივ., შემდგარი წმინდა რუ-ულ ელემენტისაგან, ცნობილ იქმნენ საიმედოთ. ამისთანავე დაახლოვებით მდგომარეობა არსებობს კავკასიაში და ბელორუსიაში.

ავტორი ამტკიცებს. რომ გაცილებით უფრო მძიმე მდგომარეობა არსებობს აზიურ რუსეთში (თურქესტანში), საცა მოსკოვისადმი მტრული განწყობილება გაცილებით უფრო აშკარათ გამოიყურება, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ამის დასამტკიცებლად ავტორს მოჰყავს ფაქტი. რომ აქამდისინ შეუძლებელ იქმნა კომუნისტურ კლუბების დაარსება ნაწილებში; აგრეთვე არავითარი შედევი არ მოუტანია სარწმუნოების წინააღმდეგ წარმოებულ აგიტაციას, პირიქით, ატეისტური მოძღვრება იწვევს შესაფერისას რეაქციას და სარწმუნოების ხელმძღვანელთა გავლენის და ავტორიტეტის განმტკიცებას.

ავტორს მოჰყავს საინტერესო მაგალითი: როცა იაპონელებმა აიღეს ჯეპოლი, ყველა ნაწილები, ბურიატებისაგან შემდგარი, მონგოლიიდან უცდათ გაპქრენ, რის გამოც გარნიზონები უჯაროთ დარჩენდა. ავტორს მოჰყავს სხვა მაგალითებიც, რის შემდეგ გამოჰყავს დასკვნა, რომ სრულ იმედის დამყარება სარდლობას შეუძლიან მხოლოთ და მხოლოთ წმინდა რუსულ ნაწილებზედ, რომელიც გარნიზონებათ დაფანტული არიან რუსეთის მთელს ტერიტორიაზედ, საცა არსებულ წესწყობილების დამცველებათ და სხვა ერების ტერიტორიათა ოკუპანტების როლს ეწევიან. თუ ეს ჯარები ომიანობის დროს რომელიმე სამხედრო თეატრზედ გადაყვანილ იქმნებიან, მაშინ აჯანყებების მოწყობა არა რუსულ ტერიტორიებზედ ავტორს უეჭვოთ მიაჩნია.

ზემოთ მოყვანილი ეროვნული განსხვავებანი წარმოადგენენ ერთ-ერთ მთავართაგან მიზეზს რუსულ ჯარის სისუსტისა, მხოლოთ მეორე უფრო სუსტი მხარე მდებარეობს იმაში, რომ რუსული ჯარის შემადგენლობის 80% წარმოადგენს სოფლის ელემენტი, რომელიც მტრულ განწყობილებაში იმყოფება საერთოდ არსებულ რეჟიმისადმი. მიწის ჩამორთმევის და კოლექტივიზაციის შემოღების შემდეგ, ეს მტრული განწყობილება უფრო გაძლიერდა. გლეხებს ესმით, რომ როცა ბოლშევიკები დიდ გასაჭიროში იყვნენ რეჟიმის დამყარების პროცესის დროს, მაშინ დაუფსებელი დახმარება აღმოჩენეს მათ, რითაც გაბატონება გაუადვილეს. დღეს ეს კეთილი განწყობილება შეიცვალა მტრულზედ. ამის გამო რუსულ ჯარის მობილიზაცია, რაც ნიშნავს 80% მასისათვის იარაღის მიცემას, სახიფათო უნდა იყოს რეჟიმისათვის.

გლეხებაცობა, რომელსაც მიწა ჩამოართვეს და გახადეს სახელმწიფოს „ბატრაკებათ“, უფრო უარეს პირობებში ჩავარდა. ვიდრე იმყოფებოდა რევოლუციამდის; ამიტომაც სწორეთ ეს გლეხებაცობა, უკმაყოფილებით აღვხილი და წითელი ჯარის მწკრივებში მდგომი, საიმედო ელემენტს არ წარმოადგენს, მეტადრე ომიანობის დროს. უეჭველია, რომ ჯარის ყოველი ნაკლი შეიძლება შესწორდეს ოფიცერ-ინსტრუქტორების ღირებულებით და მომზადებით, მაგრამ სწორეთ ეს ელემენტი სამხედრო მომზადების თვალსაზრისით არ არის დაყენებული შესაფერ ღონეზედ, თუ კი ყველა უფროსები შეყრილი არიან უპირველეს ყოვლისა მათი პოლიტიკურ ღირებულების თვალსაზრისით და ამიტომაც, როგორც სამხედრო პირები არ ააქმაყოფილებენ მოს მოთხოვნილებებს. მაგრამ ბოლშევიკები შაინც სცდილობენ მთელი ჯარის გაკომუნისტებას. უკანასკნელ სტატისტიკის მოცემულობით 59% შემადგენლობისა იზიარებს კომუნიზმს. მაგრამ ეს % შეეხება მხოლოთ და მხოლოთ ცენტრალურ მიღამოებში მყოფ

ჯარებს; ჩაც შეეხება დანარჩენ ჯარს (80-88%) — მათი სულიერი მიღრეკილება ავტორის მიერ ზევით მოყვანილია.

დიდ როლს თამაშობს ჯარის საომრათ მომზადებაში სამხედრო მრეწველობა. მართალია, რომ ბევრი საზღვარგარეთიდან ჩამოსული სტუმარი, რომელსაც ის აჩვენეს, რის ჩვენებაც შესაძლებლათ სცნეს, აღტაცებაში არიან, მაგრამ თუ კი დავაკვირდებით სამხედრო მრეწველობის ვითარებას მთელ სახელმწიფოს მოთხოვნილების თვალსაზრისით, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ეს დარგიც არა ნორმალურ და ცუდ პირობებში იმყოფება. ავტორი აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას რკინის, ფოლადის და საერთოდ მეტალურგიის განვითარებას, რომელსაც ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს სამხედრო მასალის მზადებაში.

ავტორი აქცევს ყურადღებას რკინის გზის მუშაობის არა ნორმალურ პირობებს. რკინის გზის მნიშვნელობა დიდია მეტალრე ჯარის ტრანსპორტებისათვის და ფრონტზედ საომარ მასალის მიზიდვისათვის. მხოლოთ ტრანსპორტების მოძრაობის დღევანდელი პირობები, მშეიღობან დროსაც, ვერ აქმაყოფილებენ მოთხოვნილებებს. გავილებით უფრო მძიმე მდგომარეობა შეიქმნება, რასაკვირველია, ომიანობის დროს.

ავტორს მოჰყავს შემდეგიმაგალითი: სტალინ-მოლოტოვის ერთერთ მოწოდებაში არის მოყვანილი, რომ გარდა ტრანსპორტების სუსტობისა, გაცილებით უფრო აღსანიშნავია მათი გამოყენების თა ეჭვილოატაციის უწესრიგობა; მოწოდება ამტკიცებს, რომ ეს უწესრიგობა გამოწვეულია ცუდათ შეგნებულ შეჯიბრებით, რომელიც არსებობს რკინის გზის სხვა და სხვა დირექციებს შორის; მატარებლებს დანიშნულ დაშორებულ ალაგას არა ჰგავნიან, არამედ გარასაზიდავ მასალას სტოვებენ თავთავიანთ დირექციების საზღვრებზედ და ცენტრალურ დირექციებს კი ატყობინენ პატაკით თავის დირექციის ტრანსპორტების მარდ და სწრაფ მოძრაობა-მოქმედებას. ამისთანა მდგომარეობაში იმყოფება მეტალრე ქვანახშირის და მძიმე ინდუსტრიის რაიონები. რკინის გზის და ტრანსპორტის საქმე სუკვილაზედ ცუდათ არის დაყენებული ციმბირის ლიანდაგზედ და თუ, სწერს ავტორი, მოხდა ოში იაპონიასთან, ჯარის და მასალის მიზიდვაში ბევრი დაბრკოლებები აღმოჩნდებიან.

ავტორი ხაზს უსვამს საფრანგეთის და რუსეთის დაახლოვებას და მის შედეგებს. ჩაც გამოიხატება ფრანგ სამხედრო მისიების და ინსტრუქტორების ჩამოსულაში და მათ მიერ საპასუხისმგებლო თანამდებობათა დაჭრაში — სამაგიეროთ ყველა გერმანელების დათხოვნაში.

ფრანგები მომხრენი არიან მთელი რუსულ ჯარის რუსიფიკაციისა. ის კომუნისტები, რომელნიც აწარმოებენ ეროვნულ პოლიტიკას, ამ მოთხოვნილების წინააღმდევე სდგანან, რის გამოც ღრმავდება განხეთქილება ნამდვილ რუს კომუნისტებთან; ეს უკანასკნელები კი მომხრენი არიან ფრანგების წინადაღებისა. ამნაირათ, თუ კარგათ დავკვირდებით, ნელ-ნელა და სისტემატიურათ ცხოვრება შედის ისევ იმავე კალაპოტში, რომელშიც იმყოფებოდა ჯერ კიდევ იმპერატორების დროს, რასაც ყოველთვის რუსიფიკაცია ახასიათებდა. წითელი ჯარის სისუსტეს ავტორი ადასტურებს უპირველეს ყოვლისა რუსეთის მეტისმეტ დამთმე პოლიტიკით, რომელიც გამოიჩინა მან იაპონიის მიმართ.

გერმანელი მეთვალყურე ამტკიცებს საბოლოოთ, რომ წითელი ჯარის საომარი ღირებულება ევროპიულ თვალსაზრისით საერთოდ დაბალია.

### ფინლანდია

ფინლანდიამ ბევრ სხვა ერებთან ერთად მოიპოვა დამოუკიდებლობა რუსეთის რევოლუციის წყალობით. ეს აქტი მით უმეტეს გაადვილებული იყო მისთვის, რომ შესამჩნევი დახმარება მიიღო გერმანელებისაგან, მათი ჯარების სახით და რაც უმთავრესია, ხალხის ჯერ კიდევ მშვიდობიან დროს მომზადების წყალობით, რაც ხალხის სულიერ და ფიზიკურ ძალთა აღზრდა-წროვნაში გამოიხატა. ამ მომზადებამ მისცა ფინლანდიას საშუალება დამდგარიყო სახელმწიფო ებრივ შეგნების უმაღლეს დონეზედ.

ფინლანდია აცხადებს თავის დამოუკიდებლობას 1917 წლის დამლევს.

1920 წლის ხელშეკრულების ძალით რუსეთთან, ხელმოწერილს ქ. დორბატში, ფინების ტომებით დასახლებული კარელია რჩება რუსეთის ხელში, სამაგიეროთ ფინლანდიას მიეკუთვნება ვიწრო გასავალი მყინვარე ოკეანესაკენ. მართალია კარელია დღესაც რუსეთის ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ პროფინური მოძრაობა იქ იმდენათ ძლიერია, რომ მომავალში უნდა ველოდოთ მის ევების შეერთებას ფინლანდიასთან. საამისო მუშაობა, კონსპირაციულად წარმოებული, ძლიერია და თუ ეს ასე მოხდება, ეს იქნება ბალტიის ზღვის თითქმის სრული დაკარგვა რუსეთის მიერ ვინაიდან კარელიის შეერთება ფინლანდიასთან შძლავრათ დაემუქრება იმ ერთად ერთ გამოსავალს ზღვისაკენ, პეტერბურგ - კრონშტადს, რომელიც დარჩენია დღეს რუსეთს ამ ზღვაზედ და რომლის სიახლოეს სწორეთ კარელია მდებარეობს. მაგრამ ეს ფინლანდიის ოცნების და ჩვენთვის-კი წმინდა თეორიული საკითხია ჯერ-ჯერობით.

ფინლანდიის სიგრძე-სიგანე უდრის 388.279 კვლ. კილ.; მოსახლეობა — 3.500.000. დედაქალაქი — ჰელსინკი (ჰელსინგფორს). ქვეყანა ბუნებისაგან სიმდიდრეს შოკლებული; მიწის და ჰასტელსაყრელი პირობების გამო სოფლის მეურნეობა სუსტათ არის განვითარებული. ერთად ერთ სიმდიდრეს წარმოადგენს ტყე; სამაგიეროთ დასახლებულია მეტისმეტ მშრომელ და სისტემატიურ ხალხით. ხასიათის ეს თვისება ამ ერის ნამდვილ სიმდიდრეს წარმოადგენს. უმთავრესი მრეწველობა გამოიხატება ქალალის ქარხნებში, რომელებიც ძალიან მაღალ საფეხურზედ არიან დაყენებულნი, რის გამოც არ მოეპოვებათ კონკურენტები თითქმის მთელს ევროპაში. სამხედრო მხრივ მთელი ხალხი დარაზმულ ბანაკს წარმოადგენს. არსებობენ მრავალი ორგანიზაციები სპორტიული, წინასწარ სამხედრო მომზადების და სხ. ყოველი ორგანიზაცია სამხედრო ელფერის მატარებელია. ხელმძღვანელებათ ჰყავთ რეგულიარული ჯარის ოფიცირები და კარგათ მომზადებული ინსტრუქტორები, რომელთათვის სამხედრო კურსების გავლა აუცილებელია.

ფინლანდიის ჯარი მაღალ ვარგისობისაა; შეიარაღებულია სამხედრო მასალის საუკეთესო და უკანასკნელ ნიმუშებით; გაწროვნილი და აღზრდილი პატრიოტიზმის და ჯარსკაცის მოვალეობის შეგნების საუკეთესო მეთოდებით.

რეგულიარული ჯარის კადრი შესდგება : 1.818 ოფიცირისაგან და 29.757 ჯარისკაც-ნაცვლებისაგან.

სამხედრო ფლოტის პიროვნული შემაღვენლობა: 396 ოფიცირი და 3.613 მეზღვაური. სამხედრო ფლოტის გარდა აქვთ შედარებით მძლავრათ განვითარებული საგაჭრო ფლოტიც.

სამხედრო სამსახური სავალდებულო ყოველ ფინლანდელისთვის და გრძელდება 35 წელი, ამაში 17 თვე ჯარის რიგებში. დანარჩენი რეზერვში, საიდანაც ხანგამოშვებით ბრუნდებიან ჯარში 4-6 კვირიან განმეორებეთი კურსებზე.

საზოგადოთ ერის დაცვის საკითხი მაღალ საფეხურზედ სდგას, მას დიდ ანგარიშს უწევენ მთავრობა და ყველა არსებული პოლიტიკური ორგანიზაციები. ჯარი, აღმინისტრაცია, პოლიტიკა და ერის საომრათ მომზადება თითქმის მთლათ სამხედრო პირების ხელშია.

### ესტონია

სივრცე სიგანე — 60.000 კვ. კილ.; მცხოვრებლები — 1.800.000-მდე. დედაქალაქი და უმთავრესი ნავთონები — ტალლინი.

მე-12 საუკ. გერმანელებმა მოახდინეს ძველი ესტონიის კოლონიზაცია. შემდეგ საშუალო და ახალ საუკუნოების გარდამტებ წლე-

ებში გადადის შვეციის ბატონობის ქვეშ და ბოლოს ნიშტადის ტრა-  
ქტატის ძალით 1721 წელს ესტონია მიეკუთვნება რუსეთს.

მე-19 საუკ. მეორე ნახევარში და მე-20 საუკ. დასაწყისში ვი-  
თარდება და ვრცელდება წერაკითხვის საზოგადოების მუშაობა და  
ეკონომიკური მოძრაობა. ხალხში სისტემატიურად იღვიძებს თვით შე-  
გნების იდეა. 1918 წელს, რევოლუციის წყალობით, ესტონია შორდე-  
ბა რუსეთს და წყებს დამოუკიდებელ ცხოვრებას. დამოუკიდებლო-  
ბის დამყარების პროცესი სახესა ბრძოლებით; ესტონია ეომება გერ-  
მანელებს და რუსეთს. 1921 წელს (საქართველოსთან ერთად, იმავე  
დღეს) ცნობილ იქმნა როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული  
სახელმწიფო. დამოუკიდებლობისათვის წარმოებული ოქები აყენე-  
ბებ ესტონიას მეტად ძნელ ეკონომიკურ პირობბში, რომელთა აღორ-  
ძინებას სწირავს დიდ და სისტემატიურ მუშაობას. შედეგები მუშაო-  
ბისა დადებითნი არიან — ესტონია დევება მაგარ ნიადაგზე.

სამხედრო მხრივ ესტონია წარმოადგენს ერთ საუკეთესო მაგა-  
ლითს ხალხის მილიტარულ დარაზმულობისა. ჰყავთ მრავალი ორგა-  
ნიზაციები, ნახევრათ სამხედრო ელფერისა; განსაკუთრებულ ყურად-  
ღებას იპყრობს ორგანიზაცია, სახელათ „მსროლელები“. ამ ორგანი-  
ზაციას ეკუთვნის აუცილებლივ ყოველი მოქალაქე; მათ ასწავლიან  
სროლას და საზოგადოო ყველა უკანასკნელ დროის ნიმუშის იარაღის  
ხმარებას. ეს ორგანიზაცია წარმოადგენს ქვეყნის მილიტარიზაციის  
ქვაკუთხედს.

ესტონიას ჰყავს რეგულიარული ჯარი, პატარა, მაგრამ მაღალ  
ხარისხოვანი. შეიარაღებულია უკანასკნელ თანამედროვე იარაღით:  
გაწვრთნილი საუკეთესო მეთოდებით და აღზრდილი პატრიოტულ  
ნიადაგზედ.

ჯარის მშვიდობიანი შემაღენლობა: 1.200 ოფიცერი და 12.243  
ჯარისკაც - ნაცვალი. სამხედრო ფლოტის შემაღენლობა: 77 ოფი-  
ცერი და 779 მეზღვაური.

აუცილებელი სამსახური ვრცელდება 35 წელი. ამაში 12-18 თვე  
ჯარის რიგებში, დანარჩენი — რეზერვში, საიდანაც დრო გამოშვე-  
ბით რუნდებიან ჯარის რიგებში 4-8 - კვირიან განმეორებითი კურ-  
სებზედ.

#### ლოტვა.

სიგრძე-სიგანე — 66.000 კვ. კილ., მცხოვრებთა რიცხვი 2. 000.  
000-მდე. დედაქალაქი — რიგა — 338.000 მცხოვრებით. მთელი რე-  
სპუბლიკა დაყოფილია 4 პროვინციათ, მხოლოთ ქ. რიგა თავის მიღა-  
მოებით ცალკე აღმნიშვნაში ნაწილს წარმოადგენს. ქ. რიგა ით-  
ვლდება ლოტვის საუკეთესო ნავთ-სადგურათ, აქეთკენ მიღის თითქ-

მის მთელი ტრანზიტი რუსეთიდან, ბალტიის ზღვისაკენ მიმართული. ლოტგის მოკლე ისტორიული სურათი გამოიყურება შემდეგნაირად: — 700 წლის განმავლობაში ლოტვა იმყოფებოდა წევა და სხვა ძლიერ სახელმწიფოთა ბატონობის ან გავლენის ქვეშ. მხოლოთ ხალხის სულიერ სიძლიერემ გადაარჩინა ლოტვა ეროვნულ განადგურებისაგან და შეძლება მისცა მიეღწია დღევანდელ დღემდე სრული ეროვნული სახით და თავისი კულტურით.

მე-13 საუკუნეში ლოტვა იმყოფება გერმანელების ხელში, შემდეგ განიცდის პოლონეთის ბატონობას (1571 წ.), მე-17 საუკ. ვარდება მაშინდელ ძლიერ შვეციის ბატონობის ქვეშ, მე-18 საუკ. პირველ ნახევარში უვარდება ხელში რუსეთს, რაცა გასტანს რუსეთის დიდ რევოლუციამდე.

ალექსანდრე მესამის დროს იწყება ლოტვის მძლავრი რუსიფიკაცია, რასაც მოჰყვება ხალხის რეაქცია, ეროვნულ სულის გაღვიძების სახით. იწყება ფარული ბრძოლა, რომელიც უპირველეს ყოვლისა მიმართულია გერმანელ მემამულეთა წინააღმდეგ, რაც არ შეესაბამება რუსეთის შაშინდელ პოლიტიკას, ვინაიდან რუსეთი ხელს უწყობდა მისდამი კეთილათ განწყობილ გერმანელ მემამულეებს. 1905 წ. რევოლუციის დროს ლოტვაში ხდება აჯანყება, რომელსაც რუსები სასტიკათ აქრობებ.

დიდი ომის დროს დგება ლოტველების სხვა და სხვა მოხალისე ნაწილები, რომელნიც იბრძვიან რუსებთან ერთად. შემდეგში ეს ნაწილები შეიქმნებიან წმინდა ეროვნულ ჯარის ფუძელ. 1918-1920 წ ეს ჯარი მიიღებს მთავარ და გარდამწყვეტ მნიშვნელობას დამოუკიდებლობის გასამტკიცებელ ბრძოლებში. ამ წლებში ჯარი ივსება ხალხის საუკეთესო წარმომადგენლებით-მებრძოლებით. სამხედრო ელემენტს ეძლევა სახელმწიფოს დასაწყისშივე საშუალება მოვალეობის სათანადო ასრულებისა, რაც გრძელდება დღევანდელ დრომდე, რის გამოც მხედრებს უჭირავთ მეტის მეტი საპასუხისმგებლო აღვილები არა მარტო წმინდა სამხედრო დარგში, არამედ სახელმწიფოს მმართველობის თითქმის ყოველ დარგში.

სამხედრო მხრივ დღევანდელი ლოტვა გამოიყურება შემდეგათ:

ჰყავთ მრავალი, ნახევრათ სამხედრო ორგანიზაციები, საცა ამზადებენ ახალგაზრდობას ჯერ კიდევ ჯარში შესვლამდი. ამნაირ ორგანიზაციებით მოცულია მთელი სახელმწიფო. ჰყავს რეგულიარული ჯარი; მისი ვარგისობა მაღალხარისხოვანია. შეიარაღებულია უკანასკნელ ნიმუშებით და გაწვრთნილ-აღზრდილია საუკეთესო მეთოდებით. სავალდებულო სამსახური გრძელდება 29 წელი, ამაში ჯარის

რიგებში 12-15 ოვემდე, დანარჩენი რეზერვში. დროგამოშვებით რეზერვისტებს იწვევენ ჯარში განმეორებითი კურსბზე 4-6 კვირის ვა-დით. რეგულიარული ჯარი შესღება მშვიდობიანობის დროს:

2.200 ოფიციალისაგან და 20.800 ჯარისკაც-ნაცვლებისაგან (ამის გარდა არსებობს კიდევ სანაპირო რაზმი 100 ოც. და 1100 ჯარისკაც-თა შემადგენლობით).

სამხედრო ფლოტის შემადგენლობა: 50 ოფიცერ - მეზღვაური.

#### ლიტვა

სივრცე-სიგანე უდრის 55.658 კვ. კილ.; მცხოვრებთა რიცხვი — 2.260.000. დედაქალაქი კაუნას (კოვნო). მთავარი ნავთსადგური — კლაპედა. მეწვევლობის მხრივ ლიტვა დამოკიდებულია სხვა ქვეყნებისაგან. უმთავრესი სიმდიდრე ტყე და სოფლის მეურნეობაა. სა-ზოგადოთ დარიბი ქვეყანა, მაგრამ დასახლებული მეტისმეტ მომუშავე ხალხით. მოკლე ისტორიული სურათი: მე-13 საუკ. პირველ ნახევარში შესდგა ლიტვის დიდი სათავადო თავად მენძოგით სათავეში ვარდა შესდგა ლიტვის დიდი სათავადო თავად მენძოგით სათავეში (1263). დაწყებული 1385 წლიდან განიცდის ლიტვა პოლონეთის დიდ და მძლავრ კულტურულ გავლენას; შემდეგში ორივე დასახელებულ ერთა თანამუშაობა იღებს უფრო მჭიდრო ხასიათს, რაც დაგვირგვინება ლიუბლინის ხელშეკრულობით („ლიუბლინის უნია“). პოლონე-დება დაყოფის შემდეგ პოლონეთთან ერთად იბრძვის დამოუკიდებლობისათვის.

1917 წელს, რუსეთის რევოლუციის წყალობით და გერმანელებ-თან ხელშეკრულობის დადებით აცხადებს დამოუკიდებლობას.

თავის დამოუკიდებლობის დასაწყისში განიცდის გერმანიის ძლიერ გავლენას. მხოლოთ უკანასკნელ რამდენიმე წლის განმავლობაში ლიტვა აღგება ახალ პოლიტიკურ ხაზს, უახლოვდება უფრო ბალტიის სხვა ქვეყნებს და უარყოფს ყოველგვარ გავლენას გარედან.

თავის დამოუკიდებლობის შენარჩუნებას ლიტვა აკუთვნის ჯარს, რომელმაც აწარმოებ მრავალი მოქმედებანი ჯერ ბოლშევი-კების და შემდეგ პოლონელების წინააღმდეგ.

სამხედრო მხრივ დღევანდელი ლიტვა გამოიყურება შემდეგ-ნაირათ:

ჰყავს მრავალი ნახევრათ სამხედრო ორგანიზაციები, რომელთა დანიშნულება ანალოგიურია იმ ორგანიზაციებთან შედარებით, რომელიც სხვა ქვეყნებში ზევით განვიხილავთ.

ჰყავს რეგულიარული ჯარი. სავალდებულო სამსახური გრძელ-დება 23 ნახევარ წელი, ამაში 18 თვე ჯარის რიგებში, დანარჩენი რეზერვში.

ჯარის შემადგენლობა: 1351 ოფიცერი, 16.488 ჯარისკაც-ნაცვა-

ლი. ჯარის გარგისობა მაღალია. შეიარაღებულია თანამედროვე სა-მხედრო მასალით, გაწვრთნის და აღზრდის საკითხიც მაღლათ დაყენებულია. მთელი სახელმწიფო დაყოფილია 28 აღმინისტრატიულ უბნებათ. ყოველ აღმინისტრატიულ უბანს ჰყავს თავსი სპორტიული ორგანიზაცია, რომელთაც ცხადი მხედრული სახე აქვთ.

ყველა ზევით აწერილ პატარა სახელმწიფოებში სწარმოებს უკანასკნელ ხანებში დიდი მუშაობა ჯარების ტექნიკურათ დაყენებაზე, რაც შეიძლება მაღლა. ნელ-ნელა ფეხს იყიდებს მოტორიზაციაც. ავიაციას და საერთოდ ტეხნიკურ ნაწილებს აქცევენ დიდ ყურადღებას. ამნაირათ შეიძლება გამოვიყენოთ დასკვნა, რომ ეს პატარა სახელმწიფოები იჩენენ მაქსიმალურ მისწრაფებებს, რათა ერის დაცვის საკითხში დასდგნენ თანამედროვე სამხედრო მოთხოვნილებების დონეზედ.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ეს სახელმწიფოები უმთავრესათ ბუნებით ღარიბ ქვეყნებს წარმოადგენენ და რომ თითქმის ყველა მათგანს ორ-მხრიულ თავდაცვის წარმოება დასჭირდათ დამოუკიდებლობის გასამტკიცებლათ (რუსეთი-გერმანია უმთავრესათ) — ადვილათ წარმოვიდგენთ ამ ერების მიერ აღმოჩენილ სულიერ და ფიზიკურ სიმტკიცეს. ისტორია ამ ქვეყნების სულ ახლო წარსულისა ამის საბუთია.

ჩვენთვის, ქართველებისათვის, მხოლოთ დასკვნების გამოტანაა საჭირო:

დამოუკიდებლობის მოსაპოვებლათ არ არის საკმარისი პირობა ერის 3.000-ან წლიანი ისტორია — საჭიროა მხოლოთ დამოუკიდებლობის ურყევი სურვილი; ეს კი გამოიხატება ყოველთვის ხალხის ბრძოლის უნარში, რაც ხსენებულ პატარა ერებმა, უეჭველია, გამოიჩინეს.

მიზეზები ამ პატარა ერთა დღესაც დამოუკიდებელ არსებობისა შემდეგნი არიან:

1. ხალხის ფსიქიკა მომზადებული იყო დამოუკიდებლობისათვის მოწინავე ელემენტების მოღვაწეობით ჯერ კდევ გარდამტებ ხანის გაცილებით აღრე.

2. გარდატეხის ხანაში, 1917-1920 წლებში, წინასწარ მომზადების წყალობით, გამოიყენეს რუსეთში და გერმანიაში მომზღარი რევოლუციები. რევოლუციას შეხედეს არა როგორც მისწრაფებათა მიზანს, არამედ როგორც საშუალებას.

3. ამ ხალხთა წინამძღვრლებმა დროზედ შეაფასეს მდგომარეობა და სოციალისტური სააგიტაციო მატარებელი, რომელშიაც ისხდნენ, ასტატურათ გადაიყვანეს მშობლიურ ლიანდაგზედ.

4. ჩააბარეს მხედრებს ის როლი, რომელიც ბუნებრივათ მათ საკუთრებას წარმოადგენდა — მისცეს საშუალება შეიარაღებულ ძალთა დაყენებისა ისე, როგორც ამას მოითხოვდა სამხედრო საქმის თანამედროვე გაგება.

გ. 3 — ლი

ქართველი მხედრობა ღრმა თანაგრძნობას უცხადებს საყვარელ შვილის გარდაცვალების გამო პატივცემულ და დამსახურებულ ლენერალ ი. ყაზბეგს.



არტ. კაპ. ირაკლი ყაზბეგი

„მხედრი“ თითქმის აწყობილი იყო, როდესაც მოგვივიდა მეტად სამწუხარო ამბავი, რომ ამა წლის 26 თებერვალს დაბა რაიხაში, საავათმყოფოში გარდაიცვალა არტილერისტი კაპიტანი ირაკლი ყაზბეგი, შვილი დამსახურებულ და საქართველოში კარგათ ცნობილ ღენ. ი. ყაზბეგისა.

კაპ. ორაკლი ყაზბეგი დაიბადა 23 მეათათვეში 1902 წ. ქ. თბილისში და იქვე დაამთავრა კადეტთა კორპუსი. შემდეგ შევიდა თბილისის პოლიტენიკუმში, სადაც იყო მხოლოდ ერთი წელი. ჯარში მოხალისეთ შევიდა, რომლის რიგებში მსახურობდა რამდენჯერმე მიმინოს დროს.

საქართველოს დალუპვის შემდეგ სხვა თანამემამულებთან ერთად იზიარებს ემიგრანტულ ბელ-ილბალს, გამოდის საზღვარ-გარეთ და ხვდება პოლონეთში, სადაც ამთავრებს ჯერ სამხედრო უნიტარულ სკოლას და შემდეგ 1925 წ. საარტილერიო სკოლას, რის შემდეგ მიღის ლეიტენანტის ხარისხით საარტილერიო ნაწილში.

1928 წლის განმავლობაში ათავებს ტანკების და ჯავშნიან თვით მავალების კურსს და 25.9.29 წ. — 25.2.35 წლამდის მსახურობს ჯავშნიან მატარებებდანების ნაწილში.

1.11.34 წელს წარჩინების სახით იღებს კაპიტანის ხარისხს.

2.10.34 წ. მიწვეული იქმნა ტანკების და ჯავშნიან თვით მავალების ცენტრალურ სკოლაში ტექნიკურ ნაწილზედ, რომლის დამთავრება ვერაგრძნილი იყო აღნიშვნის მიზანისათვის.

პოლონეთში, თავისი პირადი ღირსებით, ქცევით და სამსახურით მიჩნეული იყო სამაგალითო ოფიცრათ და მაღლა სწევდა უცხოელთა თვალში ქართველი მხედრის სახელს.

განსვანებული ითვლებოდა მოტორიზაციის ერთ-ერთ საუკეთესო ოფიცრათ. მისი დაკარგვით საქართველოსთვის თავგამწირულ მხედართა ოჯახს მოაკლდა ძვირფასი, თავის საქმის იშვიათი მცოდნე და მართლაც ბრწყინვალე ოფიცერი.

უწყალო განგებამ არ აღირსა მას ბედნიერება სამშობლოს მკერდზედ მიძინებისა. გამოგვაცალა ჩვენს რიგებს კიდევ ერთი მეომარი-მამულიშვილი, რომლის საფლავს მწარე ცრემლებით დასტირს ჩრდილოეთის ნისლიანი ცა; მაგრამ როცა დარჩენილ შენს მეგობრებს ვარენისება სამშობლოს ველებზედ ბრძოლის ბედნიერება, მაშინ შენი აჩრდილიც იქ იქნება, დაუვიწყარო ქართველო მხედარო; და ეხლა-კი, როცა უცხო დედა-მიწამ მივინახა, შენს გაუღვიძებელ ძილში სულ მუდამ ჩვენი მომავალი, აღორძინებული სამშობლო გვიზროს...

გამარჯვებით ძვირფასო ირაკლი!

დაკრძალულ იქმნა ქ. ვარშავაში სამხედრო პატივითა და წესით. განსვენებისას დაესწრო მრავალი ოფიცრობა, პირადი მეგობრები და საქართველოს გულშემატკივარნი.

პანაშვიდი და სამგლოვიარო წირვა გადახდილ იქმნა ქართველი ღვდლის გ. ფერაძის მიერ.

## ახალი წიგნები

### რეცენზიები.

ამა წლის დასაწყისში გამოვიდა პოლონურ ენაზედ ვ. ოევზაძის ავტორობით წიგნი სახელწოდებით „კაუკაზ“. წიგნი შეიცავს კავკა-სის გეოგრაფიულ მიმოხილვას.

ავტორი, ლენ. შტაბის ოფიცერი, თემას უდგება უფრო სამხედრო თვალსაზრისით, რის გამოც შრომას სამხედრო გეოგრაფიის გარკვე-ული ელფერი აღევს.

აღსანიშნავია, რომ ავტორი თემას განიხილავს გაერთიანებულ კავკასიის თვალსაზრისით; ამ მხრვ ნაშრომი წარმოადგენს კავკასიის სამხედრო გეოგრაფიის ცდას.

ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ნაშრომის უკანა-სკნელი ნაწილი, სადაც ავტორი შეეხება კავკასიის სამხედრო ანა-ლიზს (ადგილ-მდებარეობის და ტოპოგრაფიულ პირობების დაფასე-ბას ოპერატიულ და ტაქტიკურ თვალსაზრისით), უმთავრესად ჩრდი-ლოეთის მიმართულებათა სახეში მიღებით. შრომის ეს ნაწილი მეტათ საინტერესოა; სჭირდება მას ვრცელი განხილვა-დაფასება, მაგრამ ეს გასავები გახდება „მხედრის“ მყითხველისათვის მხოლოთ იმ შემთხვე-ვაში, თუ კი მთლათ გარდათარგმნილი და მოთავსებული იქნება „მხედარში“, რაც დამოკიდებულია ავტორის დასტურისაგან.

წიგნი მოზრდილია და შეიცავს 100 გვ., თანდართული აქვს კავკასიის 1:1.500.000 მაშტაბიანი რუქა და შესღება შემდეგ ნაწი-ლებისაგან:

1. საზღვრები, 2. ოროგრაფია, 3. ჰიდროგრაფია, 4. ჰავა, 5. კომუნი-კაცია (ძალიან ვრცლათ დახასიათებული), 6. კავკასიის აღმინისტრა-ტიული დაყოფა, 7. მოსახლეობა, 8. მეურნეობა და კავკასიის სიმდი-დრეთა ექსპლოატაციის პირობები, 9. კავკასიის მნიშვნელობა სამხე-დრო თვალსაზრისით.

ნაშრომი ეყრდნობა მრავალ წყაროებს; მათ შორის, რაც შეეხე-ბა მოსახლეობის ეთნიურ გამოყრებას, პროფ. მარრის მიერ გამო-ქვეყნებულ მასალებზედ.

ნაშრომს, ეჭვს გარეშეა, აქვს დიდი საპრაპარანტო მნიშვნელობა და ამ მხრივ წარმოადგენს იგი პოზიტიურ მუშაობის მისაბად მაგა-ლითს.

ვფიქრობთ, რომ წიგნის დამუშავებისას ავტორს დასჭირდებოდა მრავალ დაბრკოლებათა გადალახვა, როგორც წყაროების დაგროვებაში, ისე განსაკუთრებით, რუქის შედგენაში, რაც მართლაც ძნელ საქმეს წარმოადგენს.

## რჩდაშცილსაგან

„მხედარ“-ში გამოქვეყნებულ ნაშრომების შინაარსზედ პასუხს აგებენ ავტორები.

„მხედარის“ რედაქცია განმეორებით სთხოვს ქართულ პერიოდულ გამოძეგლობათა ყველა რედაქციებს, გამოგვეგზავნოს საინფორმაციოთ შათ გამომცემლობათა ორი-სამი ეგზემპლარი, ყოველ მორივ ნომრის გამოშვებისათანავე.

სამაგიეროთ დაეგზავნებათ მათ „მხედარი“, რომელიც გამოდის 3-4 თვეში ერთხელ.

ვაცნობებთ დაინტერესებულ რედაქციებს, რომ აქამდისინ მოგვდის რეგულიარულათ შემდეგი უურნალ-გაზეთები:

„დამოუკიდებელი საქართველო“.

„თეთრი გიორგი“.

„ქლდე“.

„ქავკაზ“.

არ ვღებულობთ სრულებით ან მოგვდის დროგამოშვებით:

„საქართველოს გუშაგი“.

„სამშობლო“.

„ორნატი“.

„სოციალისტური აზრი“.

„ბრძოლის ხმა“.

„მომავალი“.

„იერიში“.

„ეხო ბორბი“.

„მხედარი“-ს მისამართი: —

David (Dolik) Vatchnatzé, 10, Passage des Eaux, Paris (XVI<sup>e</sup>)

ჩვენი უურნალის პატივცემულ მქითხველებს ვაცნობებთ, რომ „მხედარის“ ამ ნომერის გამოცემა დაგვიანდა ტეხნიკური ხასიათის დაბრკოლებათა გამო.

დოლიკ ვაჩნაძე.

„მხედარი“ № 18

სტრიქონი:

83.

1. ნა — ლი	— კავკასიის კონფედერაცი. თავდაცვის პირობ.	3
2. შა — ლი	— სამშობლოსათვის სამსახური	34
3. ღენ. კვინიტაძე	— მხედრის ფიქრები	43
4. ღენ. ჩხეიძე	— „რჩევა ომისა“ შესახებ	51
5. ღენ. ბაქრაძე	— ბრძოლა დამოუკიდ. ბელგიაში	59
6. ღენ. კერეელიძე	— ჯარისკ. ინდ. აღზრდის შესახებ	69
7. ამირაჯიბი	— საქართ. სამეფოს სადროშონი	73
8. ქუ — ძე	— სამხედრო მრეწველობის მობილიზაცია	79
9. ხე — ძე	— ჩემი ფიქრები მესანგრეთა მოხმ. შესახ.	94
10. კვა — ლი	— უცხო სახელმწიფოთა მიმოხილვა	109
11. ნეკროლოგი	— კაპ. ირ. ყაზბეგი	119
12. ახალი წიგნები	— რეცენზიები	121
13. რედაქციისაგან	—	122